მატიანე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

№11

ვანი
Вани
Vani
2018 წ.

სარჩევი

1. **საახალწლო მილოცვა** 3

2. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** 5

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ავტონომიის იდეა.

3. **რამაზ ნამიჭეიშვილი** 11

ეკონომიკური გენოციდი საქართველოში და მისი დაძლევის რესურსები

4. **ომარ კაპანაძე** 19

სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოებების მიხედვით (გაგრძელება)

5. **ვანელები ქვეყნის სულიერი და ფიზიკური აღმშენებლობის ასპარეზზე** 39

6. **თეიმურაზ ადეიშვილი** 52

ვანელი ბერმუხა, მეცნიერი და მოღვაწე

7. **სიმონ არველაძე** 56

გალაკტიონი და კლასიკოსები

8. **დოდო ჭუმგურიძე** 64

გრიგოლ ლორთქიფანიძე

9. **ინეზა ხურციძე, რაფიელ ქართველიშვილი** 82

„ვანის რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ციხე-სიმაგრეები.

10. **გადრი გუხაიძე** 89

ბიბლიის შემქმნელი ეთნოსი, ქართულ-შუმერული ენები.

11. **ავთანდილ სილაგაძე, ანზორ თოთაძე** 98

ქართული გვარ-სახელები

12. **აკაკი თევზაძე** 106

მაჭანკლობის თემის ასახვა ქართულ მწერლობაში, ქართულ ხალხურ პოეზიასა და ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში

13. **გადრი ხურციძე, ტარიელ ოქროპილაშვილი, ვარლამ გიორგაძე** 117

სოფელი საპრასია

14. **ციცინო გაგუნია, თემურ გეგიძე** 121

სოფელი ტობანიერი

მ ი ლ ო ც ვ ა

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ ახალ 2018 წლის შემობრძანებას ულოცავს:

– რაიონის ყველა ოჯახს და მაცხოვრებელს, სრულიად საქართველოს.

– კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრებს, პროფესორებს: **გურამ ყიფიანს, თეიმურაზ სურგულაძეს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, თეიმურაზ ადეიშვილს, უჩა დვალიშვილს, ლუკა დვალიშვილს, ომარ ძაგნიძეს, ოლეგ ალავიძეს**, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორს **ომარ გაბუნიას**.

– მეცნიერებსა და მკვლევარებს, ინტენსიური და საქმიანი თანამშრომლობისათვის: **გია კვაშილავას, სერგო ვარდოსანიძეს, მალხაზ ერქვანიძეს, დიმიტრი ახვლედიანს, გურამ ლორთქიფანიძეს, ქალბატონ დარეჯან კაჭარავას, როზა დევდარიანს, ქრისტინე მეძველიას, ნანა გონჯილაშვილს, შორენა პირველს, ნანა ვალიშვილს, მაია ჭელიძეს, ზოია ცხადაიას, დოდო ჭუმბურიძეს. უხუცეს მეცნიერს სიმონ არველაძეს, გურამ ბელთაძეს, კობა არაბულს, რენიკო საკანდელიძეს, ბადრი ბუხაიძეს, მერაბ კეზევაძეს, ლადო სულაბერიძეს** (უმცროსი).

– ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელებს: **ალექსანდრე ლილუაშვილსა და ალექსანდრე გოგორიშვილს**, მათ ცალკეულ სამსახურებსა და თანამშრომლებს.

– რედაქტორ-გამომცემლებს, ბიზნესმენებს: **ბეჟან წაქაძესა და ზაურ თათვიძეს**.

– ყველა იმ მეცნიერსა და მოღვაწეს, რომლებიც სიტყვითა და საქმით გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრს“.

– ვანი-ბაღდათის ეპარქიის მღვდელთმთავარს, ვანის ოლქის სამღვდელო და სამონაზვნო დასს, რომლებიც გულწრფელად იღწვიან ქრისტიანული რწმენის გაძლიერებისთვის და აღავლენენ ლოცვებს ერისა და მუნიციპალიტეტის უკეთესი მომავლისათვის.

–კრებულ „მატიანეში“ გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებელი სტატიების, ნარკვევების, წერილების ავტორებს, მათ მკითხველებს.

– ვანის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს“, მის ყველა თანამშრომელს.

– ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ყველა საჯარო სკოლას და მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრის“ საქმიანობას.

– ვანის ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ვანელს, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ საკმაოდ რთულ პროცესებში დაუდგნენ ვანს გვერდით.

– შპს „მბმ-პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს.

პატივს მივაგებთ პროფესორების – ვანის რაიონის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანადამფუძნებლების **ამირან ნიკოლეიშვილისა** და **თორნიკე ეფრემიძის** ხსოვნას.

ბედნიერება იყოს თითოეული მათგანის, მათი ოჯახების გზამკვლევი!

წარმატებები და გამთლიანება, ვუსურვოთ სრულიად საქართველოს!

მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა!

მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა
„მუმლი მუხასა“ და „ლილეოსი“
ეს გმირთა ჩვენთა არის სიმღერა –
ეს სიმღერაა საქართველოსი!

მოაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური,
გესმის არაგვის ხმა საკნაური?
გესმის თერგის და მტკვარის ხმაური? –
ეს სიმღერაა საქართველოსი!

მიარღვევს რისხვა აწყვეტის ავის,
რომ არ უდრკება ქვეყნად არავის.
გესმის გრიალი მთებიდან ზვავის? –
ეს სიმღერაა საქართველოსი!

თავისუფლების – მოყვარე ერებს,
ვით ზღვას, ვერარა ვერ შეაჩერებს.
მთა რომ იმღერებს, ტყე რომ იმღერებს, –
ეს სიმღერაა საქართველოსი!

აქ გამარჯვების დროშად სწერია:
სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია!
თუ რამ სიმღერა გულს უმღერია, –
ეს სიმღერაა საქართველოსი!

გმირებით სავსე სამშობლო მხარევ,
დღეს გამარჯვების გულით მღელვარევ,
იდიდე! ამ ხმას სხვაში ვერ გარევ,
ეს სიმღერაა საქართველოსი!

გალაკტიონი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – პროფესორი, აკადემიკოსი

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ავტონომიის იდეა

ილია ჭავჭავაძის აქტიურმა ბრძოლამ ქართველი ხალხის წინაშე მწვავედ მდგარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად, რაც მთელი მისი მოღვაწეობის უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნად იყო ქცეული, განახლებული ძალით იჩინა თავი მეოცე საუკუნის დასაწყისში. საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში იმხანად მიმდინარე უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა მწერლის მოღვაწეობას ხსენებულ პრობლემათა რეალურად მოსაგვარებლად კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინა და, ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი განახლებული ძალით ჩაუდგა სათავეში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოსთვის ავტონომიის სტატუსის მოსაპოვებლად ჩვენი ერის პატრიოტი შვილების მიერ იმხანად წამოწყებულ ბრძოლას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ილიამ აღნიშნული იდეის რეალურად განხორციელების მიზნით გადადგა, ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის მცდელობა იყო. როგორც სათანადო დოკუმენტური მასალებით დგინდება, ხსენებული პარტიის უმთავრესი მიზანი ჩვენი ქვეყნისათვის პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება უნდა გამხდარიყო.

იმხანად არსებული ვითარების საფუძვლიანმა განსჯა-გაანალიზებამ ილია ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ უზენაეს ეროვნულ იდეალად დასახული მიზნის – სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ხსენებული ეტაპის გავლა აუცილებლად იყო საჭირო.

როგორც მწერლის ნაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, ამ თვალსაზრისამდე იგი იმხანად არ მისულა და აღნიშნული იდეა მის ნააზრევში თავდაპირველად ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში პოულობს აშკარა გამოვლინებას.

ამ გარემოებას ხელისუფლებამ იმთავითვე მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და 1884 წლიდან ილიაზე პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობაც კი იქნა დაწესებული. ამ მეთვალყურეობის დამადასტურებელი მასალებით კიდევ უფრო მეტად ხდება ცხადი მწერლის ეროვნულ-პოლიტიკური მიზანსწრაფვის არსი. კერძოდ, პოლიციის საიდუმლო მასალებში ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ვკითხულობთ: «ილია ჭავჭავაძე ჟურნალების „ივერიის“ და „იმედის“ თანამშრომლებთან ერთად შეადგენს ჯგუფს იმ ლიბერალებისას, რომელთაც სურთ მოიპოვონ საქართველოს დამოუკიდებლობა და ოცნებობენ ქართულ პარლამენტზე“. მეორეგან კი წერია: „თავადი ილია ჭავჭავაძე გამორჩეული ჭკუის პატრონია და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ქართველებში და, განსაკუთრებით, თავისუფლად მოაზროვნეთა შორის. დადის ხმები, რომ მასთან დროდადრო იკრიბებიან ქართველი ინტელიგენტები და არკვევენ საქართველოს სხვადასხვა საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებს» (შარაძე, 1990: 245).

XX საუკუნის დასაწყისში ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად ი. ჭავჭავაძის მიერ გაწეული ღვაწლის შესწავლა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან არაერთი მკვლევარის ცხოველი ინტერესის საგნად იქცა (გ. მამულია, გ. შარაძე, ლ. ალექსიძე, გ. ყორანაშვილი, შ. ბადრიძე, ვ. აბაშმაძე, ვ. მეტრეველი, გ. ლობჟანიძე...). პირველწყაროებისა და საარქივო მასალების შესწავლის შედეგად მათ არაერთი ისეთი დოკუმენტი გამოავლინეს, რომლებიც ნათლად ადასტურებენ ილიას აქტიურ მოღვაწეობას ახალი პარტიის შესაქმნელად.

იდეოლოგიურად და მსოფლმხედველობრივად მონათესავე რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ანალოგიით, ამ პარტიასაც სახელად, ილიას აზრით, საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია უნდა დარქმეოდა. გ. მამულიას შეფასებით, მართალია, «ილიას პარტიის პროგრამის მთავარი მოთხოვნა კონსტიტუციური მონარქიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მოპოვებას ითვალისწინებდა, მაგრამ ეს მოთხოვნა თავის პროგრამაში უფრო ადრე, 1904 წელს (1 აპრილს ჟენევაში), ჩამოყალიბებულმა საქართველოს

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიამაც (არჩ. ჯორჯაძე და სხვები) შეიტანა". უმთავრესი განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ საქართველოს ავტონომიისაკენ მიმავალი სოციალური გზა ფედერალისტებსა და ილია ჭავჭავაძეს განსხვავებულად ჰქონდათ წარმოდგენილი. კერძოდ, ფედერალისტების პროგრამა სოციალისტური იყო, ილიასი კი ლიბერალური და რეფორმისტული (მამულია, 1987: №3, 6).

ახალი პარტიის დამფუძნებელი ყრილობა 1905 წლის ბოლოს, რუსეთის იმპერატორის მიერ 17 ოქტომბრის ცნობილი მანიფესტის გამოცემის შემდეგ გაიმართა. ქვეყანაში განვითარებული რევოლუციური მოვლენების ზეგავლენით გამოცემულმა ამ მანიფესტმა, რომლითაც ხელმწიფე ხალხს პიროვნების ხელშეუხებლობასა და სიტყვის თავისუფლებას აღუთქვამდა, თავდაპირველად მართლაც შექმნა ამგვარი თავისუფლების ილუზია, რითაც კარგად ისარგებლეს ილიამაც და მისმა თანამოაზრეებმაც.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით იმედგაღვივებულმა მწერალმა ასე გამოხატა ქართველი ხალხის ეროვნული ნება: „ჩვენ, ქართველებს, ისევე როგორც იმპერიის ყველა სხვა მოქალაქეს, აღარ ძალგვიძს ახლანდელი მდგომარეობის გაძლება. ჩვენ მოვალენი ვართ, ვიზრუნოთ ჩვენს მომავალ ბედზე; ამას მოითხოვს ბუნებითი, ყველა ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელი თვითდაცვის გრძნობა. ამ გრძნობით განმსჭვალულნი ვალდებული ვართ, ავარიდოთ ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს მოსალოდნელი არეულობა და სისხლისღვრა, რასაც ხალხის მოთმინების ფიალის ავსებით გამოწვეული მოახლოებული ამბები გვაუწყებენ". სხვაგან კი მწერალი ცხადად და გარკვევით აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო „კანონები აქვე უნდა დაწერილიყო, ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან" (ჭავჭავაძე, 1958: 280).

ი. ჭვჭავაძის წარმმართველი როლი საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის საქმეში ამ ფაქტითაც ნათლად ჩანს: გაზეთ „ივერიის" ცნობით („ივერია", 1905 წ. №43), თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ სწორედ ილიას აქტიური ინიციატივით ჩაწერა პეტერბურგში გასაგზავნ პეტიციაში ასეთი მოთხოვნა: «ქართველი ხალხის კულტურული განვითარება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ საქართველოს, რომელმაც ნებაყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედსა, მიენიჭება უფლება, იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივ კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასთვის თანასწორის კენჭისყრით თუ იქნებიან ამორჩეულნი".

ასე მიიყვანა ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ ილია და მისი თანამოაზრენი ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის პრაქტიკულ მცდელობამდე. პარტიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანსწრაფვა მისი პროგრამის პროექტში ასე იყო გაცხადებული: „ჩვენ, ქვემორე ამის ხელისმომწერებმა, რომლებიც შევიკრიბეთ ქართველი ხალხის სხვადასხვა ფენიდან კერძო პირთა სახით, ვიმსჯელეთ რა განმათავისუფლებელი მოძრაობითა და კერძოდ, 17 ოქტომბრის მანიფესტით შექმნილი მდგომარეობის თაობაზე, დავადგინეთ:

დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის ამა თუ იმ მოულოდნელ მოთხოვნილებათა საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ღონისძიებათა მითითების, პროპაგანდისა და განხორციელებისათვის, რასაც შეუძლია ჩვენს ქვეყანაში წესრიგის, მშვიდობისა და სიწყნარის დამყარება:

1. შეიქმნას კავშირი ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდებით.

2. შეუერთდეს იგი რუსულ კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას და მისი პროგრამის არსებითი და ძირითადი პუნქტების საფუძველზე შედგეს საკუთარი პროგრამა, რომელშიც უნდა შეტანილ იქნას ქართველი ხალხის განსაკუთრებული მოთხოვნებით გამოწვეული ცვლილებანი და დამატებანი».

ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, რომლებიც სპე-

ციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე განსაკუთრებული ყურადღების საგნადაა ქცეული, თავდაპირველად პ. რატიანმა მიაკვლია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ილიას პირად არქივში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტებზე მსჯელობის დროს მათი ავტორის დაზუსტების საკითხი მკვლევართა შორის დღემდე რჩება აზრთა სხვადასხვაობის საგნად, იმაზე არავინ კამათობს, ეს დოკუმენტები თუ უშუალოდ ილიას მიერ არა, მისი პირადი კონსულტაციებითა და ზედამხედველობით მაინც რომაა დაწერილი.

მწერლის თანამედროვეთა გადმოცემით, ახალი პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მონაწილეებმა პარტიის თავმჯდომარედ თურმე ილია დაასახელეს, მაგრამ ხანდაზმულობის გამო იგი ამ წინადადებას კატეგორიულად არ დათანხმებია. ყრილობამ მიიღო პარტიის სამოქმედო პროგრამა, რომელიც დაიბეჭდა როგორც გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ისე ცალკე პუბლიკაციის სახითაც გავრცელდა ხალხში ათი ათას ეგზემპლარად (ზურაბიშვილი, 1962: 14).

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ილიას თაოსნობით დაფუძნებულ ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო მოთხოვნათა არსზე, ქვემოთ მოკლედ გავიხსენებ ამ პროგრამის იმ პუნქტებს, რომლებშიც საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსი და ქვეყნის მართვის ძირითადი პრინციპებია განსაზღვრული („პროგრამის“ ტექსტი თავდაპირველად დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში» 1906 წლის 18-19 იანვარს. იხ. აგრეთვე: შარაძე, 1990: 268-271). რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა ძირითადი უფლებების განსაზღვრის დროს „პროგრამაში“ ხაზგასმით იყო აღნიშნული კანონის წინაშე მათი უცილობელი თანასწორობა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

დოკუმენტში ცალკე, საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული რწმენის, სიტყვის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების სრულ თავისუფლებასა და ცენზურის სამუდამოდ გაუქმებაზე. VIII მუხლში კი ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ «რუსეთის სახელმწიფოს ძირითადმა კანონებმა უნდა დაიცვას ყველა ეროვნების პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეკონომიკური უფლება, აგრეთვე თავისუფალი კულტურული თვითგამორკვევა: უნდა დამყარდეს ყოველ ენათა თავისუფალი ხმარება საზოგადო ცხოვრებაში, თავისუფლად დაარსება და მოვლა სასწავლებელთა და ყოველგვარ კრებულთა, კავშირთა და დაწესებულებათა, რომელთაც აზრად აქვთ ენის, ლიტერატურის და კულტურის დაცვა და განვითარება“.

ქვეყნის „ერთადერთ კანონმდებელ დაწესებულებად“ „პროგრამა“ „საზოგადო, ფარულის, თანასწორობის და საიდუმლო კენჭის ყრით“ არჩეულ პარლამენტს აღიარებდა და ნათლად განსაზღვრავდა იმ ფუნქციებს, რომლებიც მას უნდა შეესრულებინა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მართვის საქმეში.

იმის გამო, რომ „პროგრამის“ უმთავრესი ეროვნული მიზანი რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ერთეულად გამოყოფა იყო მიჩნეული, ილია და მისი თანამოაზრენი საგანგებო ყურადღებას ამახვილებდნენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრაზე. ამ თვალსაზრისით დოკუმენტში ჩამოყალიბებულ საპროგრამო მოთხოვნათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი დებულებები:

– გაუქმდეს კავკასიის მხარის მმართველობისათვის შემოღებული ყველა კანონი, ბრძანებულება, მითითება და საერთოდ ცხადი და ფარული განკარგულებები, რომელნიც მიმართული არიან მკვიდრი მოსახლეობის უფლებათა შეზღუდვისაკენ.

– აღდგენილ იქნას მკვიდრი მოსახლეობის უფლება სამხედრო ბეგარის მოხდის თაობაზე მხოლოდ ამიერკავკასიის ფარგლებში.

– ქართული ენის სავალდებულოდ ცნობა იმ პირებისათვის, რომელნიც მსახურობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში საქართველოს ფარგლებში და რომელთაც უშუალო სამსახურებრივი ურთიერთობა აქვთ მკვიდრ მოსახლეობასთან.

– მიეცეს საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას განსაკუთრებული უფლება თავისუფალ მიწებზე განსახლებისა საქართველოს ფარგლებში და დადგინდეს მათთვის ამ უფლებათა განსახორციელებლად შეღავათები და დახმარებები.

– დაარსდეს საქართველოს ფარგლებში უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი.

– გაერთიანდეს თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, სოხუმის და ზაქათალის ოკრუგები ერთ ცენტრალურ საქართველოს საერობოში.

– დაუბრუნდეს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალური უფლებები და აღდგეს მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო თავის წინანდელ ფარგლებში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის ოლქი, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები) კათალიკოსის მთავრობით.

– რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის 24-ე მუხლის ყველა დამატებას ესაჭიროება მხოლოდ განმარტება იმისა, რომ საქართველოს ავტონომია მოიცავს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის ოლქს, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებს და რომ ავტონომიური წარმომადგენლობის კომპეტენცია არ ვრცელდება არც არმიაზე, არც ფლოტზე, არც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე, არც საერთო იმპერიულ საფინანსო პოლიტიკაზე.

ილია თვლიდა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ამ უფლებათა მინიჭება იმხანად ყველაზე დიდი მონაპოვარი იქნებოდა, პირველი მძლავრი ნაბიჯი საბოლოო ეროვნულ იდეალად დასახული სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებელ გზაზე.

ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნის საქმეში ილიას უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პარტიის პროგრამა სწორედ მის მიერ ჩამოყალიბებული ზემოთ დამოწმებული დებულებების საფუძველზე შედგა. მართალია, რუსულ ენაზე შედგენილი ამ პროგრამის ტექსტი უშუალოდ ილიას ხელით არ არის დაწერილი, მაგრამ მისი საბოლოო რედაქცია მთლიანად რომ იყო მისადაგებული დიდი მწერლის ნაფიქრ-ნააზრევს, ამას პროგრამის ტექსტზე მისი ხელით გაკეთებული ჩასწორებებიცა და მინაწერებიც ადასტურებს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ზემოთ დამოწმებული ილიასეული მოთხოვნებისა და პროგრამის ტექსტის ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებაც ნათლად გვიჩვენებს. პროგრამის საბოლოო ტექსტში თითქმის მთლიანად და მხოლოდ არაარსებითი ცვლილებებით გადავიდა ყველა ის მოთხოვნა, რომელთაც ი. ჭავჭავაძე ახალი პარტიის შექმნის განმსაზღვრელ უმთავრეს პირობად მიიჩნევდა.

„პროგრამაში“ გარკვევით იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული რუსეთისა და საქართველოს პარლამენტების ფუნქციები და უფლებამოსილებანი. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაში, დოკუმენტის მიხედვით, არ შედიოდა შემდეგი საკითხების განხილვა: ჯარისა და ფლოტის საქმე, საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა, საგარეო პოლიტიკა, სავაჭრო და საგადასახადო კანონმდებლობა, რკინიგზისა და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გზების გაკეთება, ფულის მოჭრა და ა. შ.

საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების სფეროში კი, „პროგრამის“ მიხედვით, უნდა შესულიყო: სწავლა-განათლების საქმე, ადგილობრივი მნიშვნელობის ისეთი კანონების გამოცემა, რომლებიც არ შეეწინააღმდეგობდა რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებს, ადგილობრივი ფინანსები, სტამბა, ფოსტა-ტელეგრაფი, ეკლესია, ჯანმრთელობის საქმე და ა. შ.

ავტონომიური საქართველოს მმართველობისთვის „ყურის საგდებად“ და იმის გასაკონტროლებლად, „ავტონომიურმა მმართველობამ მტკიცედ შეასრულოს“ ცენტრალური ხელისუფლებისგან გამოცემული კანონები, რუსეთის უმაღლესი მთავრობა უფლებამოსილი იყო დაენიშნა მთავარმართებელი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული ისიც, რომ „ვერც ერთი საქართველოს შესახებ რუსეთის სახელმწიფოს აქტი ვერ გამოცხადდებოდა, თუ რომ რუსეთის მთავ-

რობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანახმა არ იქნებოდა და ზედ ხელს არ მოაწერდა.

მოკლედ, ასეთია ის ძირითადი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპები, რომლებიც ახალი პარტიის შექმნის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

როგორც მწერლის თანამედროვეთა ჩანაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, საქართველოს ავტონომიის გამოცხადების შემთხვევაში ქვეყნის პრეზიდენტი ილია უნდა გამხდარიყო. ეს აზრი მაშინ, ეტყობა, ხალხში მეტად ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ნათქვამის დასტურად გავიხსენებ ა. ბაქრაძის მიერ დამოწმებულ პართენ გოთუას მოგონებას, რომელშიც ი. ჭავჭავაძის როლი ეროვნული ერთობის დამკვიდრების საქმეში შემდეგნაირადაა შეფასებული: პ. გოთუას აზრით, იმხანად „მხოლოდ ილიას შეეძლო შეეერთებინა ყველა პარტია“ და გამოეხატა ჩვენი ხალხის სულიერი სიძლიერე. «აი, ვინ არის საქართველოს პრეზიდენტობის ღირსი, თუ გვეღირსა თავისუფლება. მხოლოდ ილიას ძალუძს ჩაუდგეს სათავეში განთავისუფლებულ საქართველოსო“, – ერთმნიშვნელოვნად დაასკვნიდა თურმე პ. გოთუა (ბაქრაძე, 1992: 119).

როგორც ცნობილია, თავისი ეროვნული ინტერესების პრაქტიკული რეალიზებისათვის ილიამ სახელმწიფი საბჭოს მაღალი ტრიბუნის გამოყენებაც აქტიურად ცადა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საბჭოში მისი მოღვაწეობის პერიოდი მეტად ხანმოკლე გამოდგა, მან მაინც მოასწრო ამ თვალსაზრისითაც გაეკეთებინა ბევრი რამ მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი.

სახელმწიფო საბჭოში მოხვედრის უმთავრეს მიზნად ილია უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას რომ ისახავდა, ეს მან ამ საბჭოში არჩევისთანავე განაცხადა ცხადად და არაორაზროვნად. კერძოდ, 1906 წლის აპრილში რუსული გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუში ილიას უთქვამს: «სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდნენ ზოგნი ჩემი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი – ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ – ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები“ („განათლება“, 1908: 108).

სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ავტონომიის პრობლემურ საკითხებზე ილია აქტიურ მოლაპარაკებებს მართავდა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ისე ამ იდეის პრინციპულად მოწინააღმდეგე ქართველ სოციალ-დემოკრატებთანაც. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სახელმწიფო სათათბიროს საპარლამენტო პრესის თავმჯდომარე მ. ბოლქვაძე („განათლება“, 1908: №3-4).

მისი ეს მონათხრობი რომ სიმართლეს შეესაბამება, ამას იმ პერიოდის სხვა მოღვაწეთა მოგონებებიც ადასტურებს. მაგალითად, სახელმწიფო საბჭოს წევრად ილიასთან ერთად არჩეული მიხეილ გედევანიშვილის გადმოცემით, იმხანად პეტერბურგში მასთან თურმე ხშირად იკრიბებოდა იქაური ქართველობა. ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე ილიას განუცხადებია, რომ იმას სურდა, საბჭოში შეეტანა მოთხოვნილება საქართველოსთვის სრული ავტონომიის მინიჭების შესახებ. მაგრამ ამის წინააღმდეგი წასულა ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც „ეთქვა, რომ ბევრს საბჭოს წევრს ველაპარაკე, ვიცნობ კარგად, რაც არიანო და არავინ არ დაგიჭერს იქ მხარსაო და მაგ გამოსვლით კი საქართველოს მხოლოდ ზიანს მიაყენებო“ (ხვედელიძე, 1980: 151).

სახელმწიფო სათათბიროს კომისიაში საქართველოს ავტონომიის საკითხები პეტერბურგელ ქართველთა მინდობილობით მოსკოველ ვექილ ლედნიცკის დაუსვამს. იმის გამო, რომ სათათბიროს ქართველი დეპუტატები, ილიას გარდა, იმხანად ჯერ კიდევ არ იყვნენ პეტერბურგში ჩასული, საკითხის განსახილველად მომზადების მთელი სიმძიმე თურმე თავად ი. ჭავჭავაძემ იკისრა. როგორც მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს, „ილიას გრძნობას არ ასვენებდა ეს დიადი საკითხი... იგი გულდასმით ათვალიერებდა თან ჩამოტანილ მასალას, მაგრამ ეს საკმაოდ არ

მიაჩნდა“ და ცდილობდა ისეთი საიმედო პირის მოძიებას, რომელიც, მისი მითითებით, იქაურ უმაღლეს დაწესებულებაში არსებულ იმ საჭირო საბუთებს მოძებნიდა და მოაგროვებდა, რომელთა საშუალებითაც გაიოლდებოდა ჩვენი ქვეყნის ავტონომიისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა. სხვანაირად, ილიას აზრით, „სჯა დიდად ძნელი იქნებოდა“.

ავტონომიისათვის ბრძოლას მეტისმეტად ართულებდა ის გარემოება, რომ სათათბიროს ქართველ დეპუტატთაგან ყველა, გარდა ერთისა (ი. ბარათაშვილისა), სოციალ-დემოკრატი იყო და პარტიულ მოსაზრებათა გამო პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას.

ბუნებრივია, მათი ამგვარი პოზიცია გადაულახავ წინააღმდეგობას შეუქმნიდა ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების ეროვნული ოცნების პრაქტიკულ აღსრულებას.

ამ კრიტიკული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით ილიამ დასახმარებლად იმხანად პეტერბურგში მყოფ ცნობილ მრეწველსა და მეცენატს დავით სარაჯიშვილს მიმართა, რომლისგანაც ქართველი სოციალ-დემოკრატები დიდად იყვნენ დავალებული. დ. სარაჯიშვილმა სასტუმრო «ევროპაში» თურმე სადილი გამართა, სადაც მოპირისპირე მხარეები იყვნენ მიწვეული. სათანადო მოლაპარაკების შემდეგ სოციალ-დემოკრატებს: ი. რამიშვილს, ნ. ჟორდანიასა და ი. გომართელს «დიდსულოვნად» დაუხევიათ უკან და ილიასათვის და ავტონომიის იდეის მომხრე სხვა ქართველებისათვის პირობა მიუციათ, რომ ისინი «საქართველოს ავტონომიას არც დაიცავდნენ, მაგრამ არც წინააღმდეგ იტყოდნენ რამეს». ესეც დიდი მიღწევა იყო! მათგან მე არც ამას მოველოდიო, — უთქვამს ამასთან დაკავშირებით ილიას.

საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლის პარალელურად ილია იმხანად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვისაც აქტიურად იბრძოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით მას არაერთხელ ჰქონია საგანგებო შეხვედრა-საუბრები ხელისუფლების მაღალჩინოსან წარმომადგენლებთან.

სამწუხაროდ, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა მარცხით დამთავრდა. იმედი იმისა, რომ სახელმწიფო სათათბიროში დასმული ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა და ქართველ პატრიოტთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ოცნება რეალურად აღსრულდებოდა, მხოლოდღა ილუზია გამოდგა. ხელმწიფე-იმპერატორმა სულ მალე პირველი სახელმწიფო სათათბირო დაშალა, რითაც საქართველოს ავტონომიის იდეას საბოლოოდ დაუსვა წერტილი. ამ ფაქტით უზომოდ გულნატკენ ილიას თანამოაზრეთა წრეში სინანულით განუცხადებია: „ეს ახალი და დიდი უბედურებაა ჩვენთვის... ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არას მპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მოესწრებაო“ („განათლება“, 1908: 1121).

დამოწმებული ლიტერატურა:

ბაქრაძე ა. „ილია და აკაკი“, 1992 წ.

გაზ. „ივერია“, 1905 წ. №43.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906 წ. 18-19 იანვარი.

ზურაბიშვილი ი. „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“, 1962 წ.

მამულია გ. „ილია ჭავჭავაძე და ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“. იხ: ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1987 წ. №3; აგრეთვე: ჟურნ. „განთიადი“, 1987 წ. №6).

ჟურნ. „განათლება“, 1908 წ. №3-4.

ჟურნ. „მაცნე. ისტორიის სერია“, 1987 წ. №3.

ჟურნ. „განთიადი“, 1987 წ. №6.

რატიანი პ. „ილია ჭავჭავაძე. მოღვაწეობა და აზროვნება“,1965 წ.

შარაძე გ. „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება“, წიგნი მეორე, 1990 წ.

ჭავჭავაძე ი. „თხზ. სრული კრებული ათ ტომად“, ტ. IX, 1958 წ.

ხვედელიძე გ. „მიხეილ გედევანიშვილი“, 1960 წ.

რამაზ ნამიჭეიშვილი – ეკონომიკის დოქტორი, სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი

ეკონომიკური გენოციდი საქართველოში და მისი დაძლევის რესურსები

ტერმინი „გენოციდი“ ბერძნულია და გვარის, ტომის მოკვლას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით გენოციდი არის-ადამიანთა დევნა ან განადგურება განსაზღვრული ერთიანობის ან წარმომავლობის ნიშნისმოგებით, ამა თუ იმ სოციალური, კულტურული ან ბიოლოგიური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო, ადამიანის დანაშაულის ფარული აღიარება. ტერმინი „გენოციდი“ სიტყვახმარებაში შემოიტანა ამერიკელმა იურისტმა რ. ლემკინმა 1944 წ. ამ ტერმინში იგულისხმება შემდეგი ქმედებები: რომელიმე ჯგუფის წევრების მკვლელობა; ასეთი ჯგუფის წევრებისადმი სხეულის სერიოზული დაზიანების მიყენება ან გონებრივი აშლილობის გამოწვევა; რომელიმე ჯგუფისადმი განზრახ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გამიზნულია მისი სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურებისთვის; ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებულია რომელიმე ჯგუფში შობადობის აღსაკვეთად; ბავშვების ერთი ჯგუფიდან მეორეზე ძალადობით გადაცემა და ა. შ. ასეთი გენოციდის კერძო შემთხვევაა ეკონომიკური გენოციდი, როგორც სოციალურად საშიში მოვლენა, რომელიც გამოიხატება ქვეყნის მოსახლეობის გაღარიბებით ან ამოხოცვით სახელმწიფოს მიერ საკუთარი[1] ხალხის ცხოვრების დონეზე და ხარისხზე თავდასხმის (ზეწოლის) პოლიტიკის შედეგად; განსაზღვრული სოციალური ძალების ქმედება თავის გასამდიდრებლად სხვა სოციალური ჯგუფების ძარცვის, ღარიბი ცხოვრებისთვის გამეტების ხარჯზე და მათი განადგურება.

სწორი არის შენიშვნა, რომ ეკონომიკური გენოციდი პოლიტიკური გენოციდის შედეგია. ნაკლებმნიშვნელოვანია თუ რა განპირობებს მას-შენი ხელისუფლების პოლიტიკური უმწიფობა, ბნელი აზრების შეგნებული ინტერვენცია თუ სხვა ქვეყნებისაგან წაქეზება ან მათ გავლენაში მოქცევა. ახლა მსოფლიოში ფინანსური იმპერიის მიერ პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობა ეკონომიკური გენოციდის მსხვერპლია. მისი მასშტაბები დღითიდღე იზრდება და გარჩევა არა აქვს ვინ არის მისი მსხვერპლი-საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა თუ პლანეტის უმეტესი დასახლება. ისე, ყველაზე იოლი ხელმისაწვდომი საკუთარი ქვეყნის გენოციდია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველომ ზღვა სისხლი დაღვარა, უძველესი ადგილები ჩამოითალა და დღეს ისევ ნაფლეთებად იფქვნის კანს. შაჰ-აბასმა 300 თუ 350 ათასი ქართველი აჰყარა ფუძიდან და ირანში ძალდატანებით გადაასახლა. ქართულგვარიანმა ხელისუფლებამ 2 მლნ. ქართველი უკანმოუხედავად გააქცია სამშობლოდან, ამდენი თუ არა მილიონი, ალბათ, უკან მიმდევარია. მასმედია ართობს ხალხს, ქვეყანა ლამის ერთ დიდ ბორდელად იქცეს. დაპატარავდა ერი, გაუქრა კერიის სიყვარული. სატელევიზიო ამქარი უტიფრად აცხადებს, რომ ყველაფერი დროებითია, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და რაღაც 20 წელიწადში ყველაფერი კარგად იქნება. ნეტავ გულშიაც ასე ფიქრობენ, თუ მართლა „ღრუბლები უფენიათ ბალიშებად“. ერთმანეთში აირია დამოუკიდებლობის იურიდიული ფორმა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ფორმალური დამოუკიდებლობა. საქართველო, რომელიც ყელამდე ვალებშია, სოციალურად დაუცველია მისი მოსახლეობის 400 ათასი კაცი, 700 ათასი პენსიონერი 180 ლარის შემყურეა და წამლების ყიდვა კი არა, ყოველდღიური ლუკმაპური პრობლემად გახდომია. გადასახადები ყელში აქვს გაჩხერილი. ხელისუფლება ნაბიჯს ისე ვერ გადადგამს უცხოელ პატრონებს თუ არ დაეკითხა და ისე არ მოიქცა, როგორც დაავალეს. ამ ქვეყანას დამოუკიდებლობის რაიმე ნასახი გააჩნია? პირიქით, ეს არის უცხო ქვეყნის კოლონია სულით და სხეულით, მოსახლეობა თავიდან ფეხებამდე ვალებში ჩაფლული, რომელიც ბანკებს სეიფებში ჩაუმწყვდევია.

ვიცი, დიდი ტყუილების ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ საკუთარ სახლში ქურდად რომ იქცევი გვადი ბიგვასავით, რა გქვია შენ!

ყველაფერს თავისი ორეული ჰყავს – კეთილს ბოროტი, განათლებულს – გაუნათლებელი, ჭკვიანს – უჭკუო, ნამდვილ კაცს – არაკაცი, სინდისიერს – უსინდისო, მორწმუნეს – ურწ-

---

Геноцид: определение-Психология. vocabulary.ru/termin/genocid.html

მუნო, მართალს-გარეწარი და ა.შ. ეს ყველაფერი ფინანსური იმპერიის თავკაცებმა შესანიშნავად აითვისეს. ტვინებს იტაცებენ და ხელის გულზე ისვამენ, ხოლო საშუალო და დაბალი ნიჭის უხერხემლოებს ხელისუფლებისაკენ გზას უხსნიან და სათბურის პირობებში ამყოფებენ. არაფერი ისე არ სიამოვნებს უღირსს, როგორც ღირსების რანგში აყვანა, იცის რომ იგი ამისი საკადრისი არ არის, მაგრამ ენდეს, ერთგულება დაუფასეს და თავზე დაასვეს მას, რომლის თასმების შემკრავადაც არ ღირს და არც არასდროს ეღირება. საქართველო ახლა ამ თასმების შემკრავების ფეხქვეშ გმინავს. ამიტომ აყვავდა პრიმიტიული აზროვნება და ქმედებანი. მწუხარე სიმშვიდე ჩამოაწვა ჩვენს ცხოვრებას. ყველა თავის ტკივილს ებრძვის ამ ქვეყანაში. ზოგჯერ წამოცდებათ, რომ დავკარგეთ აფხაზეთი, ოსეთი, დაიღვარა სისხლი. გახსენება არ გვინდა იმისა, რომ საკუთარ ხალხს მოვუწყვეთ გენოციდი. მარტო ტერიტორიები კი არ დაიკარგა, გენოფონდი შევკვეცეთ, მიუსაფარი ადამიანები გავამრავლეთ, უპატრონო ბავშვები დაგვიგროვდა, შობადობა დაეცა, ათასობით ადამიანი დასნეულდა, დაკარგულ ტერიტორიებს ეკონომიკა გადაყვა, დევნილებს ახალი ცხოვრების დაწყება მოუწიათ. ერთმანეთის მემკვიდრე ხელისუფლება იმ გზას აგრძელებს, რომელსაც ქვეყნის ძარცვა ჰქვია. დღემდე არავის მოაფიქრდა, ვერც მოიფიქრებდა, დაეთვალა ზარალი, რომელიც სამშობლოს მიადგა ამ ბოლო 25 წლის მანძილზე სისხლიანი დაპირისპირებით, სამოქალაქო ომით, მიტინგებით, და რაღაც ბრძოლებით, სახალხო ქონების განიავებით, განათლების სისტემის გადაგვარებით, კვლევითი ინსტიტუტების მოშლით, შობადობის შემცირებით, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და დარგების მორღვევით.

ეკონომიკური გენოციდი, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს ფრონტალური ხასითისაა და თავს ესხმის მოსახლეობას, რათა დატოვოს სამშობლო და სხვა ქვეყნებში ეძიოს თავშესაფარი; ხელს არ უწყობს ხელფასების გაზრდას, რათა მორჩილებაში იყოლიოს შრომისუნარიანი მასა; ჯიუტად არ ისმენს საპენსიო განაკვეთის გაზრდის მოთხოვნებს, მაშინ როცა თვითონაც არ იცის, რისთვის ღებულობს პრემიებსა და ყოველთვიურ დანამატებს ისედაც მეტისმეტად მაღალ ხელფასებზე. მაშინ როცა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან საქართველო პენსიის სიდიდით წინ უსწრებს მხოლოდ უკრაინას, მოლდავეთს, უზბეკეთს და ტაჯიკეთს. თუმცა აქ არ იგულისხმება ის სოციალური შეღავათები, რომლითაც სარგებლობენ ამ ქვეყნების პენსიონერები. მაგალითად, მოლდავეთში სულ უფრო მეტი პენსიონერი და მცირეშემოსავლიანი ადამიანი სარგებლობს სოციალური შეღავათებით, და კვების პროდუქტებზე და პირველადი მოთხოვნების საქონელზე ნაკლებს იხდიან მოსახლეობის სხვა დანარჩენთან შედარებით სპეციალურად გამოყოფილ მაღაზიებში.

ეკონომიკური გენოციდის გამოხატულებაა აგრეთვე შობადობის შემცირება და უარყოფითი დემოგრაფიული ბალანსის წარმოქმნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ზრდასრული ასაკის ახალგაზრდების ქორწინებათა რიცხვის შემცირება, რასაც უმუშევრობა და მცირეშემოსავლიანობა განაპირობებს. ამას უნდა მივამატოთ ბორდელების აპოკალიფსური ზრდა და სხეულით ვაჭრობის მასშტაბები, რომელიც ასევე მოქმედებს შობადობის შემცირებაზე და მცირეწლოვანი და ახლგაზრდა ქალების სოციალურ დეგრადაციაზე. ფიზიკური შრომა მატერიალური ინტერესების სფეროს სწრაფად შორდება.

ეკონომიკური გენოციდი თავის უმკაცრეს გამოვლენას პოულობს მკურნალობის სიძვირეში. წამლები არა მარტო ძვირია და მცირეშემოსავლიანი მოსახლეობისთვის ხელმიუწვდომელი, არამედ ნაკლებეფექტიანი, ხშირად მავნებელიც კი. ანალოგიური ითქმის კვების პროდუქტებზე და პარფიუმერიის ნაწარმზე.

მონური სული ჩაისუნთქა ქართველმა მოსახლეობამ. დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს კი არა, მეწველ ძროხას ურჩევნია. არჩევნებში არც ხატის შეეშინდა, არც ჯვრისა და 15 ლარად მიყიდა ხმა იმას, რომელიც მერე მეორე ხელით ხვალ იმაზე მეტს უკან წაიღებდა. ერთი თვეც არ გასულა არჩევნებიდან, რომ სწრაფად აიწია ფასებმა ყველაფერზე, რასაც ახლა პირდაღებული მისჩერებია. სწორია დიდი ინტელექტი ამერიკელი ლინდონ ლარუში საზოგადოებას რომ გამოთაყვანებულს უწოდებს. ზუსტად მიგვესადაგება გამოთქმა: ჩვენ საზოგადოება კი არა, იზოლირებული ინდივიდუალური სიმრავლე ვართ. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი მოსამსახურე ხელისუფლება ავირჩიოთ, ისინი გვირჩევენ მოსამსახურეებად და გენოციდსაც

გვიწყობენ...გონებადამჯდარ, შორსმჭვრეტელ ქართველს წინ აეფარა ფულს დახარბებული, ამჩატებული, მატრაკვეცა, მუქთამჭამელი სიმრავლე, რომელსაც ათას მყრალ მამაძაღლთან ნაგორავები ცოლი ...იმ პურს უწვდის, რომელსაც ძაღლიც არ შეჭამდა.

რამ დაგვცაო, იკითხავდა, ალბათ, ჩაუქრობელი ტალანტი, დიდი ნიკო ნიკოლაძე. ჩვენი დაცემა მაშინ დაიწყო, როცა დავიჯერეთ, რომ დასავლეთი აღთქმული ადგილია, სადაც ხელის განძრევაც არ არის საჭირო, ყველაფერი თავსაყრელია. არაფერი ისე საშიში არ არის, ვიდრე აღტყინებული, რაღაც ბანგით გალეშილი ბრბო, რომელიც მეც ხარი ხარიო და სად მირბის და ვის მისდევს, არც უწყისს. ამ დროს გაიძვერები და სამშობლოს მოღალატეები თბილ ადგილს პოულობენ და იწყება ქვეყნის ძარცვა და გაღატაკება. მერე ერთმანეთს დაერევიან და სისხლიან კალოს აწყობენ. ლუციფერი სეირს უყურებს და სიცილით იგუდება, ვინაიდან მისი ჩანაფიქრის პირველი ნაწილი უკვე ფაქტია: ერთმანეთს დავერიეთ, ქვეყანა გავაჩანაგეთ. დრო სწრაფად გაგვექცა და სხვისი შემყურენი უპატრონოდ დავრჩით. დაგვიწყეს დარიგება: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გიშველით, პრივატიზაციით სამუშაო ადგილები გაიზრდება, ხელისუფლება დემოკრატიულად უნდა აირჩიოთო. ბოლომდე გაგებული არ ჰქონდა არა თუ ფართო საზოგადოებას, არამედ მის ელიტარულ ნაწილსაც კი თუ რა იმალებოდა ამ სენტენციების მიღმა. უნდა ვთქვა, რომ მონაწილე ვიყავი მაშინდელი დისკუსიების (იგულისხება ეკონომიკური და პოლიტიკური დისკუსიები საბჭოთა კავშირის დაშლი წინა პერიოდი). არ ვმალავ ჩემს იქ მონაწილეობას-არ არსებობდა სრული და ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი თანამედროვე სამყარო“[1], რომ მეც მათთან ერთად ვიყავი. ზნეობრიობა მალე ჩამოირეცხა მოსახლეობამ, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკას არ სჭირდება იგი, და წინ ჯვრის მაგიერ ფული გამოესახა, მამონას დაეჩოქა მასა. მართალია, საქართველოს არასდროს აკლდა, ყოველთვის ჰყავდა საკმაოდ ბევრი ნიჭიერი და უნიჭიერესი ადამიანი, მაგრამ მათ ყოველთვის რამდენჯერმე სჭარბობდნენ ქვეყნის გამყიდველი და მისი დამაქცევარი უღირსი არაქართველები. ისინი მტრებზე უფრო უარესი და სასტიკნი არიან თავიანთი ქვეყნისთვის... მეორე მსოფლიო ომის დროს ჩემი ორი მეზობელი ნაცისტურ გერმანიაში აღმოჩნდა: ერთი ჰიტლერის ოფიცრად, მეორე-ტყვედ. ბუნკერში, რამდენიმე დღის ნაშიმშილებ ამ ტყვეს ძვალი დაუნახავს და რაკი იქვე ოფიცერი, მისი კარის მეზობელი შეუნიშნავს, უფიქრია თვალს ამარიდებსო და ამ იმედით ძვალს წატანებია. მივარდნილა მეზობელი და ავტომატის კონდახით თავი გაუტეხია და ნეკნებიც ჩაუმტვრევია, ისე უმოწყლოდ სცემდა, თურმე, გერმანელ ოფიცერს პისტოლეტი შეუთავაზებია, რაღას აწვალებ, მოკალი ბარემ და დაისვენებსო (მოხუცები მახსოვს ისინი, ერთმანეთის ახლოს ცხოვრობდნენ ომიდან დაბრუნების შემდეგაც). ის ფაშისტყოფილი ოფიცერი არხეინად ცხოვრობდა და ცაზეც გამოეკერა, ხოლო ის ნაცემ-ნატუსაღარი წელებზე ფეხს იდგამდა, თავი ძლივს გაჰქონდა საწყალს, ღრმა მოხუცებულობამდეც რა მიაღწევინებდა. ასაკის წლებიც, თითქოსდა, იმ მეზობელ ნაოფიცრალს დაუტოვა, არაფრად სჭირდებოდა, ალბათ. აი, ეს ბოროტი სისხლი არ ისვენებს, ისევ ფეთქავს და არავინ უწყის როდის დაიცლება ქვეყანა მისგან.

მსოფლიოში რომ საიდუმლო ორგანიზაციებია, თუმცა ისინი ახლა საიდუმლოებას აღარ წარმოადგენენ და არც თვითონ იმალებიან, ღიად აცხადებენ, რომ ეროვნულობის და ოჯახის მტრები არიან. მაგრამ ჩვენს ხელისუფლებს რამ შეაზარათ ასე სასტიკად თავიანთი ქვეყანა, რომ ყველაფერს ჰყიდიან, ყველაფერს ნთქავენ, ყველაფერს ანიავებენ და მოსახლეობას ულუკმაპუროდ ტოვებენ. თუმცა ამ კითხვას უკვე ვუპასუხე ზემოთ. მკითხველს ის უფრო აინტერესებს სანამდე გაგრძელდება ეს ყველაფერი და როდის გაიელვებს სხივი ნათელი. ალბათ დაიღალა გონება ამდენი ლანძღვითა და გინებით; რაც ხელისუფლების მიმართ ისმის, ეს უფრო ჯავრის ამოყრას ჰგავს, როცა უარყოფითი ენერგიისაგან დროებით იცლები: დროებით, ვინაიდან ხვალაც იგივე მდგომარეობა იქნება. საქართველოს ხელისუფლების შეცვლა მოსახლეობის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვან შეცვლას არ გამოიწვევს, ვინაიდან ხელისუფლების არჩევას ხალხი კი არა, ფინანსური იმპერია ახორციელებს ფულზე დახარბე-

———————

Интервью с В.Ю. Катасоновым-сс._300-Живой журнал. livejournal.com./666580.htnl.

ბული და ფულით გაბრიყვებული ხალხის მეშვეობით, რომლის მონაწილეები ჩვენ თვითონ ვართ. ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგად ცნობილია, რომ მსოფლიო უკვე ხელში უჭირავს ფინანსურ იმპერიას, რომელსაც მისთვის საინტერესო ყველა ქვეყანაში თავისი ჯარისკაცები ჰყავს მილიარდერებისა და მილიონერების სახით, რომლებიც ბანკების მეშვეობით ერთიან ქსელს ქმნიან და ერთიანი ჯაჭვის რგოლები არიან. საკმარისია რომელიმე მათგანში სოკრატეს „შეიცან თავი შენი“ აღმოცენდეს, მაშინვე ჯაჭვიდან ამ რგოლს ამოხსნიან და იქეთ მოისვრიან, სადაც ბოლოკებს ძირებს უღებავენ, თვითონ ჯაჭვს, არაფერი დაეტყობა. არა და ჯაჭვის შემქმნელებმა კარგად იციან ვინ გამოდგება ჯაჭვის რგოლებად. ალექსანდრე პარვუსმა, იგივე იზრაელ გელფანდმა, კარგად იცოდა, რომ ლენინი ფულის მოყვარული იყო, ისევე როგორც სტალინმა, რომ მოლოტოვი დილით და შუადღისას ხელისუფლებაში განხილულ საიდუმლო საკითხებს საღამოს ჟემჩუჟინას უკაკლავდა ლოგინში; ინგლისის დაზვერვამ, რომ კნეინა რაისა მაქსიმოვნა მის მეუღლე გორბაჩოვზე მაღლა იდგა, და ისიც რომ ბრილიანტებზე ჭკუა ეკეტებოდა. და მაინც ესენი ქართველ ხარბ მილიონერებთან შედარებით ბაღის ასაკის ბავშვები არიან. ხალხისა და ქვეყნის გულისთვის გადაიძრობენ თავზე ჯაჭვს და უფულოდ დარჩებიან? ჰო, არის კიდევ უფრო უწყინარი ვარიანტი: ამ მოპარული თუ ნაძარცვი ფულით გამართო წარმოება და შენი ხალხი დაასაქმო, მაგრამ ეს ჩვენი აზრია მხოლოდ, ისინი ამას არ აკეთებენ და ვერც გააკეთებენ, ვინაიდან ქართული მხოლოდ გვარები შემორჩათ და ენა მოსაბრუნებლად, თორემ ენაც კი ეზარებათ, ვინაიდან ქვეყანა ჩვენი პატარაა და ნებისმიერი მათგანის ცხოვრება ყველას ხელისგულზე უდევს და გამომზეურებაც არ სჭირდება. ხალხი საშიშია! „ყველანი ციხეში“. ამ აბზაცის რეზიუმე ასეთია: ლიბერასტობა, ეკონომიკური გენოციდი მსოფლიო, გლობალური მოვლენაა და ხელისუფლების შეცვლა ქართველი ერის შიდა შესაძლებლობებს სცილდება. აქედან გამომდინარეობს მეორე რეზულტატი: რიგითი ამერიკელი, რუსი თუ ფრანგი დახლოებით ისეთივე დღეშია, როგორც ქართველი. გამოდის, რომ ერთ მხარეს დგას ფინანსური იმპერია თავისი ჯარისკაცებით და გამოთაყვანებული მოსახლეობით, ხოლო, მეორე მხარეს, უნიჭიერესი, ტალანტი, იაფად დაქირავებული, უუფლებო და უფულო, ხელისუფლებაზე ხელმიუწვდომელი უმცირესობა, მართალია, თავისუფალი, მაგრამ ერთმანეთისაგან იზოლირებული პიროვნებათა ეკონომიკური ენტროპია. სხვანაირად თუ ვიტყვით, გვაქვს ურთიერთსაპირისპირო ორგანიზებული და არაორგანიზებული, აქტიური და არააქტიური, ფორმალური და არაფორმალური მხარეები.

ხალხის გაერთიანების ენერგომატარებელი ყოველთვის იდეა და რელიგია იყო. ჰიტლერმა გერმანია ნაცისტური იდეით შეადუღაბა, რომლის მიზანი გერმანული რასის მსოფლიო ბატონობა იყო. ქრისტიანობამ მისცა ქართველ ერს ღმერთის სიყვარული, მისი რწმენისა და იმედის ენერგია, რომელმაც იგი ჯოჯოხეთის ქარცეცხლში გამოატარა, მაშინ როცა იმპერიები და უძველესი ერები ისტორიის ქარტეხილებში დაიძირნენ და მეხსერებად დარჩა. ვიდრე მკითხველი შემისწორებდეს, დავასწრებ და ვიტყვი, რომ, კი, ქრისტიანობაც იდეაა ანუ იდეა საკაცობრიოცაა და არასკაცობრიოც. საკაცობრიო იდეა ღვთიურია: ყველა ადამიანი ღვთის შვილია თუკი იგი ღვთიურად ცხოვრობს ანუ მეორე ადამიანი მისთვის ძმა და მეგობარია, რომელსაც ხელი უნდა გაუწოდოს, გაუტეხოს პური, როცა ჰშია, მიაწოდოს წყალი, როცა სწყურია. არასაკაცობრიო იდეა განსაზღვრული სოციალური ჯგუფების ენერგომატარებელია, რომელსაც ადამიანი თავის საშუალებად სჭირდება.

ლუციფერი ყოველთვის ცდილობდა დაეჭირა ღმერთის ადგილი და რაკი ყოველთვის ხელი მოეცარა, დამარცხებულმა ახალი ფანდი აირჩია. ფული გამოიტანა რელიგიად და ადამიანს ზეციური მარადისობა მიწიერ სამოთხემდე ჩამოუტანა, სულიერება ნივთებზე გადაუცვალა. ამიტომ არის ახლა ადამიანი უფრო სასტიკი და ულმობელი ყველასა და ყველაფრის მიმართ, როგორც არასდროს ყოფილა იგი. ერთაზროვნად შეიძლება ითქვას, რომ ფული რელიგიის გამოწვევის წინაშეა. აპოკალიფსი გვიახლოვდება, უფალი განიკითხავს, ვინაიდან დავივიწყეთ იგი. ისტორიის, კიდევ ერთი, უპრეცედენტო შემთხვევა-ბოროტი იდეა უმრავლესობად მოეკიდა და ჭეშმარიტი იდეის სივრცე შეავიწროვა. მიწიერი ცხოვრება ზეციურს გაემიჯნა. შეიძლება ზემოთ უნდა მეთქვა, მაგრამ, ვფიქრობ აქაც თუ ვიტყვი, უადგილო არც აქ იქნება. ფინანსური იმპერია ძლევამოსილია არა მარტო ფულის მონოპოლიით, არამედ ინტელექტუალურადაც,

კოსმოსური თერმობირთვული იარაღითაც... თუკი ვინმე ცდილობს გამოვიდეს ჩვენი მორჩილებიდან, ჩვენი „ფასეულობები“ ასეთია, ის უნდა განადგურდეს.[1] ფაქტები სახეზეა: ჩილე, ვიეტნამი, ერაყი, ვენესუელა, სირია, ეგვიპტე... რასაც ვერავინ უშლის.

საქართველოს რამდენი ხანია აბურთავებს ფინანსური იმპერიის ამპარტავნული და უკიდურესი ამბიციის ახირებები. ჩაგვითრიეს თუ ჩაგვიყოლეს, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ქვეყანა უფსკრულის პირას დგას. ეკონომიკურ გენოციდს ფიზიკური განადგურება აგრძელებს. ნაცვლად იმისა, რომ დემოგრაფიულად დაზარალებული ერის დარჩენილი მოსახლეობა შეკავშირდეს, ერთმანეთს დაერია. დაბეზღებისა და „ჩაშვების“ მასივებს, მკველოებების სერია დაამატა, არასრულწლოვანებმა დროშა აიტაცეს. მკვლელობები მიეძალა საქართველოს. აიფოფრა თავჩაღუნული ინტელიგენცია და დაიწყო დამნაშავეთა გამოწვევა: ზოგი ოჯახს აბრალის, მოსწავლეს ვერ მიხედაო, ზოგი მშობლებს ამტყუნებს-შვილებისთვის არ გცალიათო, ზოგი განათლების უბედურ ინსტიტუტს ახალ უბედურებას ჰკიდებს. განა ჩვენ არ ვასწავლეთ მკვლელობები და სისხლიანი გარჩევები ბავშვებს? დაუსჯიათ კი რომელიმე ჯალათი? დაუსჯიათ კი არა, თანამდებობებზეც დააწინაურეს. განა საზოგადოების უმრავლესობა წამხედურებით არ ცხოვრობს? ცალკე ვერც სკოლა, ვერც ოჯახი, მშობელი თუ მშობლები, განათლების უხეირო სამინისტრო, მკვლელობებს და ძალადობას ვერ შეაჩერებს. როგორ, თქვენ ტელევიზიას ან ინტერნეტს არ ადევნებთ თვალყურს, რომ გაიძახით საიდან ვრცელდება ძალადობა და გარყვნილებაო. ეს ხომ ჩვენი ბოლო ათწლეულების ცხოვრების წესების გამოა. წინ უარესი გველოდება, ვინაიდან ქვეყანას კი არ ვემსახურებით, ვჭამთ და ვგლეჯთ მას, წინაპართაგან სისხლით გაპოხილ მიწას გოჯაგოჯა ვყიდით, ტყეებსა და მდელოებს ცეცხლს ვუნთებთ, პატიოსანს დავცინით, უტვინოებს სავარძლებს ვთავაზობთ, ნიჭიერებს და ტალანტებს სამსახურიდან ვაგდებთ ან პენსიაზე ვაგზავნით, ვინაიდან იქედან სასაფლაომდე ერთი ნაბიჯია, ჩვენც ჭერში ქუდებს ვისვრით, გვიხარია, „მოწინააღმდეგე“ უკვე ქვევიდან ბოლოკებს ძირებს უღებავს.

ქვეყანას, ჯერ ერთი, პატრონი უნდა. ქვეყნის პატრონობა ერისკაცს თუ შეუძლია, შემთხვევითი, ჭამა-სმას აყოლილი კაცი ქვეყანას გაუძღვება? რანაირად გაართმევს თავს საქვეყნო საქმეებს, შენ რომ გუშინ გადასახადის გარეშე 15 ლარის „შემოსავლით“ აღფრთოვანებულმა კაცს, რომ ვიღაცა კაცუნა ამჯობინე, რომელიც ახლა იმ 15 ლარის გადაგაყოლებს. მანამ არ მოისვენებს, ვიდრე ასჯერ თხუთმეტს არ წაგგლეჯს, შენი გაძვალტყავებული ჯალაბის წევრები ერთმანეთს არ დაერევით დანით, ნაჯახით და თოფით, უმიწოდ და უსახლკაროდ არ დაგტოვებს, შვილებს ხასებად და გადამთიელი მოხუცების მომვლელებად არ გახდის. ბოლოს ისევ შენ დაგაბრალიან-ოჯახს ვერ მოუარაო.

როგორც ჩანს, ცოტა გავცდი პირდაპირ სათქმელს. ტკივილმა სიბრაზემდე არ უნდა მიგიყვანოს. არ შეიძლება ქვეყანა არ გიყვარდეს, არ გტკიოდეს თუ კაცი ხარ, მაგრამ უფრო მეტია ქვეყნის მსახურება, როგორც დიდმა ნიკო ნიკოლაძემ თქვა და დაწერა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ. არ არის სწორი თითქოსდა ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ მისი ხელისუფლების გადარჩევის გზით შეიძლება. ამერიკელ ხალხს, მის ინტელექტუალურ ძალებს კაი ხანია უნდათ ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ საამისო ძალა არ ჰყოფნით. ფინანსური იმპერია ყველაფერს დაეპატრონა, „მეცნიერებსაც კი გამოურეცხეს ტვინი“[2].

არ ვარგა, ღმერთმანი, აკვიატებული აზრი: ხელისუფლებას შევცვლით და ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდება. შეიძლება ვინმე ან რამდენიმე შეცვალო ხელისუფლებიდან (როგორც ეს ახლა ხდება თვალის ასახვევად), მაგრამ ხელისუფლების საქმიანობის პრინციპებს ვერ შეცვლი, ვინაიდან მის უკან მსოფლიო ფინანსური იმპერია დგას. გაასაჯაროა ეს აბე ფილკენშტეინმა, რომ „თამაშის წესები“ დაქირავებულთა მიერ იწერება, თვითონ აზრის კონსტრუქტორები ყოველთვის ჩრდილში რჩებიან. ეკონომიკური ბეცები ამას ვერ ხედავენ და კატეგორიულად აცხადებენ: დასავლეთი არაფერს გვიშლისო. დასავლეთი და ვინმე ორფეხი და ორფეხობა კი არა, გვიმონებს და გვასულელებს პირობები, რომელსაც კანონებისა და ნორმების სახით გვიქმნიან და რომელსაც სამოქმედოდ ღებულობენ მათ მიერ უკვე ტვინგა-

1. Хомский Н. Классова борьба. с.135. М.; Праксис, 2003.
2. ლარუში ლ. თხზულებანი. niko-gunia.ge копия

მორეცხილი ქართულგვარიანი ლიბერასტები, სხვის ხელზე მოსამსახურებას დახარბებული მონები. სწორედ მათი მხარდაჭერით აივსო ქვეყანა კაზინოებით, ბორდელებით, პარაზიტული საქმიანობებით. „ყველაზე უფრო პარაზიტულ პროფესიებს მიეკუთვნება ლეგალიზებული სათამაშო ბიზნესი, ნარკოტიკების არალეგალური ვაჭრობა და ფინანსური სერვისები“.[1]

საზოგადოებრივი აზრი უნდა გავაჯანსაღოთ, ცუდად ვაზროვნებთ, არ ვარგა; ავადმყოფური აზროვნებისაგან განკურნებას დრო სჭირდება ანუ თანამედროვე აზროვნების გამომუშავების გრძელვადიანი პროგრამა გვინდა და ისეთი უნარების გამომუშავება, რომელიც, ერთის მხრივ, ნიჭსა და ჭკუას დააფასებს და მეორეს მხრივ, იმდენად დამოუკიდებელი იქნება, რომ სტრატეგიულ პარტნიორებს კი არ აიჩემებს, ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის ადეკვატურ მექანიზმებს მოიშველიებს, რომელიც რუდუნებითი შრომით, ნიჭიერი აზროვნებით გამომუშავდება, როცა გარედან აზრებს თავს ვერ მოახვევენ, ვინაიდან მისი ბრმა მიმდევარი კი არა, კრიტიკული მიმღები იქნება. „თავისუფალი ბაზრის პოლიტიკა თავს მოახვიეს „მესამე სამყაროს“ გარედან, მაშინ როცა ნებისმიერი, განვითარებული სახელმწიფო ყოველთვის რადიკალურად არღვევდა მის ყველა პრინციპს, ყველაზე ხშირად აშშ, ვიდრე სხვა რომელიმე“[2] უნდა დავიწყოთ ახალი სახის სოციალური მოძრაობა, გზა უკვე გაგვიკვალეს ილია ჭავჭავაძემ და ნიკო ნიკოლაძემ. დიდმა ილიამ განათლებას უმხედრა, დიდმა ნიკომ ეკონომიკა ამოათრია წუმპედან. ისინი ყოველივე ანტიპატრიოტულობის, გონებრივი სიბრმავის, ჩამორჩენილობისადმი უკომპრომისო და შეურიგებელი იყვნენ. სწორედ ისინი ატარებდნენ ჭეშმარიტ თავისუფლებას. მტერს და დამპყრობელს აზრით უნდა ებრძოლო, ლანძღვა-გინებით შეიძლება მხოლოდ რისხვა დაიმსახურო. სულმნათი დიდი ნიკო თავისი უზარმაზარი ავტორიტეტის წყალობით რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან საქართველოსთვის მნიშვნელოვან თითქმის ყველა საქმეს აგვარებდა. „დოკუმენტური მონაცემები და მასზე სხვადასხვა პირების გამოხმაურება ახასიათებს ნიკოლაძეს, როგორც ბუნებრივი კრიტიკული აზროვნების პატრონს, უაღრესად განათლებულს, რომელიც იოლად ერკვევა სპონტანურად წამოჭრილ ყოველგვარ სპეციფიკურ, ტექნიკურ საკითხებში, იშვიათი შრომისუნარიანობის ადამიანი, მტკიცე ნების, რომელმაც არ იცის უკან დახევა, ენერგიული, რომელსაც არ აშინებს წინააღმდეგობები, თან ამ დროს ფრიად პატივმოყვარე. ამას უნდა დაემატოს სიტყვისა და კალმის ოსტატური გამოყენების უნარი, სავსე სარკაზმით, პირდაპირ საშიში პოლემიკაში ოპონენტისთვის. ამ მისი ბუნებრივი თვისებების წყალობით იმ პერიოდში ნიკოლაძემ დიდი როლი ითამაშა კავკასიაში, როგორც ძალიან პოპულარულმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, რომლის სიტყვას ყურადღებით ისმენდა საერთოდ მთელი ადგილობრივი საზოგადოება და განსაკუთრებით ზოგიერთი მისი ნაწილი, რომელიც მას თავისი იდეალების გამომსახველად თვლიდა“.[3] მან მთელი ევროპა შემოიარა, ღრმად ჩაიხედა ხალხების ცხოვრებაში, გაიგო მათი ავან-ჩავანი, მაგრამ არც ერთი აურჩევია მამად და პატრონად, არც ერთს დახარბებია და არადროს უცდია სამშობლოს გადაკეთება იმათ ყაიდაზე. ევროპის ქვეყნებსა და სამშობლოს შორის ხიდებს აგებდა საუკეთესო მიღწევების გასაცვლელად. მთელი ცხოვრება საქართველოს სამსახურში გაატარა და შვილებიც იმ გზაზე გაიყვანა. გენიალური ტალანტი ღვთის მოყვარულიც იყო. ის ივსებოდა სულის სიმდიდრით, რომელსაც ქვეყანასა და ხალხს უძღვნიდა.

დიდი ნიკო ვინმეს კვალს კი არ გაყოლია, უცხოელს კუდში კი არ ადევნებია, საკაცობრიო აზროვნება აითვისა, სამოქმედო პროგრამა „მამულის სიყვარული და მსახურება“ შექმნა და წინ ხატად გაიძღოლა და ფეხდაფეხ მიჰყვა მას. ქვეყნის მსახური რომ იყო – გვასწავლიდა ბატონი ნიკო, მარტო მისი სიყვარული არ კმარა, არც უცხოური განათლების მიღებაა საკმარისი, მითუმეტეს, ფულების ფრიალი და ევროპულად გამოპრანჭვ-გაშიშვლება. მამულის სიყვარული ღვთიურია, ქართველი კაცის თანდაყოლილი პასუხისმგებლობაა, რომელიც უნდა აღასრულოგზა ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ და აღასრულებ მხოლოდ ზნეობრივი მაღალპროფესიული ცოდნით, რაიც შენი ადამიანურობის საზოგადოებრივი მეტრია.

---

1. ლარუში ლ. ფიზიკური ეკონომიკა. გვ.10. თხზულებანი. niko-gunia.ge

2. Хомский Н. Классова борьба. с.39. М.; Праксис, 2003

3. მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის. „ფოთის საქმე“. შემდგენლები: მ. კეზევაძე, რ. ნამიჭეიშვილი. ფაქსიმალური გამოცემა. с.6 от постановления. ქუთაისი, 2003.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ კი მიუვლენს ამ თუ იმ ერს მამაზეციერი მის მესაჭეს და მსხნელსა, მაგრამ ჩაივლის დრო და იმ მძიმეჯვარიანსაც თან გაიყოლებს, შეიძლება იმიტომ, რომ რა კარგი საჩინო, რა ავად მიიჩნიეს (დავით გურამიშვილის პერიფრაზი). უზენაესმა ნიკო ნიკოლაძე დროს არ გადააყოლა, უფალმა შეაჩერა და ჩვენი ცხოვრების სანთლად დაგვიტოვა, მითუმეტეს, რომ ხალხმა ნახა, მაგრამ ვერ შეიცნო იგი (ესეც პერიფრაზირებაა, მაგრამ სახარების), არც ახლა უნდათ მისი შემჩნევა. თუ ასე გაგრძელდა, ეს უკვე საქართველოს გზიდან აცდენა იქნება.

ბატონი ნიკო თავის სამშობლოსა და ხალხს იმ გზის სათავეში უდგას, რომელიც მას ღმერთს მიუახლოვებს თუკი ხელისუფლება იმ გზაზე შედგება. ჩვენ ახლა აქ არათავსებადობის შესაყარზე აღმოვჩნდით. დიდი ნიკო ღვთის მოშიში და მისი მსახურია, ხოლო ესენი, ფულებს გამოდევნებული ფარისევლები საეკლესიო დღესასწაულებზე ნახევარმეტრიანი სანთლებით მონასტრებში რომ პოზიორობენ-ლუციფერის მონები არიან, დროს არ აცდენენ და მართლმადიდებლურ სალოცავებშიც თავს თავიანთ უფალს ავედრებენ. რანაირია მთავრობა, რომელიც მაშინ სუქდება, როცა ხალხი სიღარიბეში იძირება (ყვარყვარიზმი). როცა ჭაობიანი ფოთის დილიდან საღამომდე შრომისგან წელში გაწყვეტილი მოსახლეობა შებინდებისას ღრმა ძილს ეძლეოდა, ბატონი ნიკო თავის კოშკში იჯდა და სინათლის შუქზე ქალაქისა და პორტის მშენებლობის პროექტებს ხაზავდა. ახლა, როცა წელში გაწყვეტილი, ლუკმა პურს მოკლებული მოსახლეობა შებინდებისას ღრმა ძილშია, ხელისუფლება რესტორნებში ქეიფობს და საქართველოს სადღეგრძელოებზე მაღალი ყანწით იჭყიპება ან საზღვარგარეთ ერთობა ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში (მკითხველო, ეს ჩემი კაბინეტური ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ, ხშირად შევსწრებივარ ან ახლობლებისგან გამიგონია. არც თქვენ გექნებათ ცოტა მოსმენილი და განაგონი).

ბატონი ნიკოს მამულისადმი მსახურების გზა ასეთია. მაღალპროფესიული ზნეობრივი ცოდნის დაუფლება, კულტურული კრიტიკული აზროვნება, რომელიც დაუნდობელია, მაგრამ არასდროს გადადის მტრობაში, მტკიცე რწმენა, ნება, მიზანსწრაფულობა და შეუპოვრობა, თანამედროვე ეპოქის სიღრმისეული ანალიზი და მისი თავისებურებების შემეცნება, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უახლოესი მიღწევების ქართული ეროვნული ინტერესების სფეროში მოქცევა ქვეყნის ბუნებრივ-გეოგრაფიული, კულტურულ-ინტელექტუალური პოტენციალისა და ადგილობრივი პირობების სპეციფიკურობის გათვალისწინებით. მოსახლეობის ჩართვა სამშობლოს ეკონომიკური აღორძინების ფრონტალურ პროგრამაში, უშუალო მონაწილეობა და მეწინავეობა მშრომელი ადამიანების აქტივიზაციაში, ჭკუისა და ნიჭიერების გამოწვევა მასებში, ხელისუფლების ჩაყენება ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. ვიდრე ამ საკითხების პირდაპირ გაგრძელებაზე გადავიდოდე, ერთ მომენტზე მოგვიხდება შეჩერება. გრძელი პერიოდი ივსებოდა ცნობიერება „თეორიით“, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა და მას დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლია. დიდი ილია ამბობდა: საქართველოში, რომ იტყვიან ჩიტის რძეც კი იშოვება, მაგრამ ქართველ კაცს ხელის განძრევა არ უნდა. დიდი ნიკო რისხვას ამეხებდა: ქართველ კაცს სიღარიბის სენი ჭირს. მხედველობაში ჰქონდა ხე-ტყისა და წყალუხვ მდინარეთა რესურსები, წიაღისეული, ზღვაზე გასასვლელი, სარკინიგზო დერეფანი, ადამიანური კაპიტალი. და მაინც იმძლავრა შინაური თუ გარეშე მტრის მზაკვარმა აზრმა: დავიჯერეთ, რომ ქვეყანა ღარიბია და ავიბერტყეთ ბუდიდან. მეტი რა უნდოდათ ავისმქმნელებს და შემოესივნენ სამშობლოს ჩვენსას. ზოგი ხის მორებს მიარბებინებს, ზოგი ნიადაგს ათლის მამა-პაპისეულ მიწას და თავის ქვეყანაში ეზიდება, ზოგი ვენახს აქვე აშენებს და ფეხის მოცვლას არ აპირებს, ბევრი ოჯახიან-სოფლიანად „შემოიპარა“ და ჩვენი სოფლები და ქალაქები დაასახლა. ვირები, მოედანი რომ დარჩათ ყროყინებენ: შევაპარეთ ხელში გოიმებს ჩვენი ღარიბი ქვეყანა და აწი კისერიც უმტვრევიათ, ხომ მოვატყუეთ.

ნიკო ნიკოლაძე ახალგაზრდობაში მიხვდა, რომ რევოლუცია, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, ქვეყნის მოწყობის საუკეთესო მეთოდი არ არის. მას მხოლოდ ერთი რევოლუციისა სწამდა-რევოლუციისა თავებში, როგორც თვითონ წერდა და არა ტახტების ნგრევისა და განადგურებისა. ქვეყანას ხალხი აშენებს ერისკაცების წინამძღოლობით, ერისკაცებს კი ხალხი ირჩევს თავის მოსამსახურედ. ძე ღვთისა მოვიდა არა იმისთვის, რომ იმსახუროს, არამედ რათა ემსახუროს.

2. მატიანე

მაცხოვრის სიბრძნე მან თავისთავში გარდასახა და „მამულის სიყვარული და მსახურება“-ად ჩამოაყალიბა. ამ აბზაცის რეზიუმე ასეთია: სამშობლოს მსახურება უკეთესად შეიძლება პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარეშე. სირცხვილია, შეადარო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ქვეყნისა და ხალხისთვის გაწეული საქმიანობა, საქართველოში არსებული 200-ზე მეტი პარტიების, სხვადასხვა გაერთიანებების, ასოციაციებისა თუ კავშირების ნაცარქექიობას. 3-5 თუ 10%-იანი სახელისუფლო მარათონში მონაწილე პარტიული ჯგუფები ბიუჯეტიდან ხალხის ფულით ფინანსდებიან და ღარიბ მოსახლეობას ლუკმას აცლიან. ჩვენი განმანათლებელი მამები, პირიქით, ლუკმას იღებდნენ პირიდან ხალხის განათლებისთვის.

მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის წინსვლა დამოკიდებულია არა პოლიტიკური პარტიების, მისი ხალხის პატრონობისა და თუ ბატონობის ამბიციებზე, არამედ ქართული ინტელექტუალების ეროვნულ შეგნებულობაზე, ცხოვრების წესზე, რომელსაც მართლმადიდებლობა ჰქვია. ღმერთმა დაამკვიდრა მიწიერი მმართველობა და ხალხს მეფე დაუმოძღვრა ცისქვეშეთში, რომელსაც პატრონობის ფუნქციები აკისრია. ღმერთისაგან გაქცეულ ყველა სოციალურ ავანგარდს მეფის ჩანაცვლება უნდა. სამყარო დადგა კრიზისის წინაშე. წარმოებას იმ ტემპებით განვითარება არ შეუძლია, რასაც აქამდე ახერხებდა. ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია ორი თვალსაზრისი. კაცობრიობა ან უნდა გადავიდეს მოხმარების ზომიერებაზე, რაც კეთილი გონის სურვილი უფროა, ვინაიდან ამას ფინანსური იმპერია ეწინააღმდეგება და მოსახლეობის მილიარდამდე შეკრეჭა ურჩევნია, რაც მისთვის ტექნიკურად შესაძლებელია და რისი პრეცედენტები უკვე სახეზეა ავადმყოფობების გავრცელების, ომების, წამლების ფალსიფიკაციისა და ეკოლოგიური გენოციდის სახით, ან გამოიყენოს თვითგანვითარების ჩინური ვარიანტი, რომელიც არსებული რესურსების და მარაგების მრალავალჯერად განახლებას ითვალისწინებს. საქართველოსთვის ორივე ვარიანტი გამოუსადეგარია. ღმერთმა მას სიცოცხლის ელექსირი უძღვნა სასმელი წყლის მსოფლიო მარაგების სახით, რომლის დაპატრონებას ცდილობს ქართული ფინანსური ოლიგარქია და რომელსაც უპირისპირდება ქვეყნის ინტელექტუალური არისტოკრატია. ქვეყანაში სახალხო მოძრაობა უნდა გაიშალოს ამ უკანასკნელის მხარდასაჭერად. ხალხის ერთიანობა ჩვენი გადარჩენის გარანტიაა.

ახლა საქართველოში დაახლოებით ისეთი მდგომარეობაა ბატონ ნიკოს რომ უწერია „მამულის სიყვარულსა და მსახურებაში: „ღვთის მადლით ფხიზლდება და ნელ-ნელა იღვიძებს ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუჯდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვქონია...“[1] მხედველობაში მაქვს ერის თვალსაჩინო ადამიანების საზოგადოებივ ქსელში მონაწილეობა. მათ გათავისებული აქვთ პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე, თორემ თავს ასე საჯაროდ არ გამოიდებდნენ, მითუმეტეს, რომ საკმაოდ ბევრია ისეთი კრეტინი, რეგვენი, რომელიც მაღალპროფესიონალს არა თუ ჰაიჰარად დაუწუნებს სეფე აზრს, ბინძურად შეუკურთხებს კიდეც. მაგრამ ინტელექტუალები ბრძენი ხალხია, ყველაფერს აზროვნების გაუმჯობესებისთვის ითმენენ და რეგვენებს არ ეხამურებიან. მიმაჩნია, რომ ინტელექტუალების დღვანდელი ასეთი მონაწილეობა სოციალურ მოძრაობად უნდა გარდაიქმნას და ამ გზით იმოქმედონ საზოგადოებრივი ცნობიერების განახლებაზე. ვითვალისწინებ იმ ავტორების აზრს, რომლებიც თვლიან, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ეკონომიკური აღორძინება არა ზემოდან, არამედ ქვემოდან, ხალხის აქტიურობით უნდა დაიწყოს, იგი უნდა დაიწყოს ადგილებიდან იმ რესურსების გამოვლენით, რისი მფლობელიცაა შენი ადგილის დედა.

1. ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 7. გვ. 302. თბ.,1985.

ომარ კაპანაძე

სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები და საკითხები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით

(გაგრძელება)

გვაქვს მასალები, რომლებიც „ვანის“ სოფლების მაგალითზეც ამტკიცებენ, რომ ისე, როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში გარკვეულ პერიოდამდე XX საუკუნის მიჯნამდეც, აქაც სჭარბობდა მაღლარი ჯიშის ვენახები. ვახუშტი ბატონიშვილი ამაზე მკაფიოდ მიუთითებს: – „საჩხეიძეო – სალომინაოში ვაზები ხეთა ზედა ასულნი ჰქონიათ და უწოდებდნენ მაღლარსა ანუ ბაბილოს,“ რომ, ისე როგორც, დასავლეთ საქართველოში აქაც „მაღლარი მევენახეობა სუფევდაო“[1]. იმერეთში მევენახეობის კულტურაზე ყურადღებას ამახვილებს ი. ა. გიულდენშტედტიც, რომელმაც თავის დროზე იმოგზაურა „საჩინოს“ მიწაზე, მოგვცა მისი აღწერილობა და ღამეც გაათია „სებეკაზე“.

ოფიციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მაღლარი ჯიშის ვენახები დასავლეთ საქართველოში გამორჩეული ყოფილა ნაყოფიერებით და ხარისხიანი პროდუქტიულობით. ამასთან, როგორც ჩანს იგი ნაკლებშრომატევადი იყო ვიდრე დაბლარი, რომელიც ასარვიდან დაწყებული არაერთ დამატებით ოპერაციას ითხოვდა.

ამის გამოც, მაღლარი ვენახები მრავლად ჩანს გაშენებული დღევანდელი შუამთა-ტობანიერის არეალში, ისე, როგორც ვანის სამხრეთ – აღმოსავლეთ მხარის სოფლებში. დასტურდება ისიც, რომ სანაშენოდ გაიჯარებული, გაზიარებული მიწების დიდი უმრავლესობიდან პირობებში ჩადებული იყო ვაზის, „უფრო გვიან დაბლარის“ გაშენება, ხოლო ასეთი ნაკვეთების კიდურებზე ხილის შესაბამისი ჯიშების დარგვაც.

ვანელ გლეხს ვაზის კულტურის გაშენებისათვის ნიადაგებიც კარგად შეურჩევია. ძირითადად ყვითელი და წითელი მიწები, საიდანც მიიღება საუკეთესო ხარისხის ღვინოები. გამოყენებული აქვს შავმიწა ნიადაგებიც, რომელიც შედარებით უხვმოსავლიანია, მაგრამ პროდუქცია აგებს ხარისხში და აქაურ გლეხს მნიშვნელობა ხარისხისათვის მიუცია. თანაც ვაზი ძირითადად გაშენებული ჩანს ფერდა მიწებზე, ე.წ. მზის გულზე და განსაკუთრებულად ეს ხდებოდა იმ სოფლებში, რომლებიც განლაგებულია „ვანისათვის“ მეორე ლანდშაფტურ ზონაში. შედარებით უფრო მაღლაც, სადაც ძირითადად ასევე არაშავმიწანიადაგობრივი განლაგებაა.

მეღვინეობა-მევენახეობა აშკარად კრიზისში მოქცეულა საქართველოში გავრცელებული დაავადების შედეგად. დაავადება გავრცელებულა „ვანის“ თითქმის ყველა სოფელში. ძირითადად, ფილოქსერა გამხდარა ამის მიზეზი, რომელიც ევროპისა და ყირიმიდან შემოტანილი ვაზის ჯიშებს შემოჰყოლია. ამის გამო დასავლეთ საქართველოში არსებული 30 ათასი დესეტინა ვენახიდან 1900-იანი წლების დასაწყისისათვის გადარჩენილი იყო 12-14 ათასი დესეტინა. ქუთაისის გუბერნიის დასავლეთ რაიონებში (გურია-სამეგრელო) მევენახეობა პრაქტიკულად განადგურებულა. არაშესაფერისი და ნაკლებმეცნიერულ იყო მკურნალობის დონეც და რამდენადმე მოუხერხებელიც მაღლარი ვენახების მკურნალობისათვის. შექმნილ სიატუაციათა შედეგად მოსავლიანობა შემცირდა, მოთხოვნილება კი პროდუქციაზე დარჩა უცვლელი. ამის გამო ღვინო პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნების ქვეშ აღმოჩნდა რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის, კონკრეტულად ქუთაისის მაზრის სამხრეთის ვანისა და ბაღდათის სოფლები და შორაპრის მაზრა. მიუხედავად იმისა, რომ ვენახების ნარგაობათა დიდი ნაწილი აქაც აღნიშნულ დაავადებას შეეწირა, სამეგრელო-გურიის რაიონებისაგან განსხვავებით აქ, კლიმატი იძლეოდა დარგის დანარჩენი ნაწილის მკურნალობისა და სწრაფად აღდგენის საშუალებას.

---

1. ნესტორ ერისთავი — მემუარული ჩანაწერები, დაახლოებით ანალოგიური მასალა დაცულია გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ფონდში და ზოგიერთ სხვა წყაროებში.

არსებობენ დამადასტურებელი წყაროები „ვანის“ სოფლებში დღევანდელი შუამთის არეალში, უხუთში, გორას საზოგადოებისა და ამაღლების უბნის სოფლებში დაავადებათა გავრცელების შესახებ, სადაც პირდაპირ მიუთითებენ, რომ ნარგაობათა დიდი ნაწილი განადგურებულა. „მაღლარი ვენახები საერთოდ ყველგან წახთა. გავაშენეთ ნამყენი ვენახები“[1]. ფილოქსერამ იმსხვერპლა უნიკალური ჯიშის ალადასტურის ნარგავებიც, განსაკუთრებულად ციცხვების (დღევანდელი ჭყვიში, მთისძირის გარკვეული ტერიტორია) წიქვაძის ფონის – ტობანიერის სოფლის საზოგადოების რიგ სხვა სოფლებშიც, რომლებიდანაც ეს სახეობა მაღლარის სახით გლეხობას ჰქონია გაშენებული.

ცხადია, ამას მძაფრად გაჰყვებოდა, როგორც შიგა, ასევე საგარეო ბაზრის, რომელზედაც გადიოდა საექსპორტო ღვინო, უზრუნველყოფის შემცირებაც. იმპერიის ბიუჯეტში შენატანების კლებაც, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ღვინო და სპირტი დაბეგრილი იყო აქციზით. ამის გამო იმპერიის ხელმძღვანელობა იძულებული გამხდარა მიეღო სასწრაფო ზომები და გადადგა კიდევაც პრაქტიკული ნაბიჯები, რომელმაც სახელმწიფო და კერძო პირთა მიერ შექმნილ ამერიკული ვაზის სანერგეთა საქმიანობას შეუქმნა მნიშვნელოვანი პირობები. შემოტანილი იქნა ფილოქსერაგამძლე ამერიკული საძირე მასალაც. იმერეთის გლეხობა იმდენად კარგად დახელოვნებულა აღნიშნული საძირე ვაზის მყნობაში, რომ აქ არსებული საქარის სანერგე მეურნეობის ყურადღებაც დიდად არ იყო საჭირო მათთვისო. პროფესორი ალ. ბენდიანიშვილი თავის ნაშრომში იმოწმებს პ. ყიფიანის მიერ საკითხზე გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ნათქვამია: „შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში ამჟამად საქარის ხელმძღვანელობა არ ესაჭიროება, ხალხი იმდენად დახელოვნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თვით სანერგის ხელმძღვანელობას გაუწევს მასწავლებლობას“[2]. როგორც ჩანს ამის გამოც ამერიკულ საძირეზე დამყნილი ვაზით ვენახების პლანტაციების აღდგენა სხვა მხარეთაგან განსხვავებით იმერეთში ძალიან სწრაფად მომხდარა, მათ შორის, „ვანის“ სოფლებშიც. გვაქვს მაგალითები არა მარტო ამ სამუშაოთა ინტენსიურობის შესახებ, არამედ ცალკეული პირების დასახელებითაც კი, რომლებიც ამ საქმის პიონერებად გვევლინებიან. მაგალითად: წიქვაძის ფონის (ჭყვიში) დასახლებაში ლეჟავა და ლევარსი ბახტაძე, ესენი ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებიც არიან. უხუთსა და უხუთის სოფლის საზოგადოებაში ვინმე სოლომონ ბაღდავაძე. ჭყვიშში ამ საქმით საკუთარი მეურნეობა უზრუნველუყვია იუსტინე ტაბიძესაც (ტიციან ტაბიძის მამა) და ა. შ.

როგორც ჩანს მოსახლეობამ საბოლოოდ ირწმუნა, რომ მევენახეობის გადარჩენის თითქმის ერთადერთი გზა იყო ამერიკულ ფილოქსერქგამძლე საძირეზე ვაზის დამყნობა, ეს საქმეც სწრაფად აითვისეს და საფუძველიც მისცეს ვაზის პლანტაციების მაქსიმალურ განახლებას. მიუხედავად მსხმოიარე ნარგაობათა შემცირებისა, მაშინდელი მოვლის ტექნიკისა და ტექნოლოგიის პროგრესირების საფუძველზე დარგის მწარმოებლურობა გაუზრდიათ კიდევაც. ქუთაისის მაზრაში 4712 დესეტინა პლანტაციიდან ყურძნის საშუალო წლიურ მოსავლიანობას მიუღწევია მილიონ ოთხასიათას ფუთამდე[3]“. საშუალო მოსავალი დესეტინაზე 297 ფუთი დღევანდელი საზომით დაახლოებით 4,7 ტონა, ამ მონაცემებში არის განსაზღვრული ვანის სოფლების მოსახლეობისაგან მიღებული ყურძნის მოსავალიც.

ღვინოპროდუქციით ვაჭრობა, მისი მოქცევა რეალიზაციაში, როგორც ითქვა, იყო „ვანის“ მაცხოვრებელთა შემოსავლისა და ცხოვრების მოწესრიგების თითქმის ძირითადი წყარო. ამ პროდუქციის ვაჭრობაში ჩართვას ჩვენ შევეხებით ვაჭრობა, აღებ-მიცემობის საკითხთა მიმოხილვისას, მაგრამ მანამდე მოკლედ შეიძლება ითქვას: „ვანის“ სოფლებში შექმნილი და მოწეული ეს პროდუქცია შიგა ბაზრებზე ადრე შედიოდა რიონის არტერიით და ამ გზით მარაგდებოდა ძირითადად დასავლეთ საქართველოს რაიონების კერძო მოსახლეობაც და ბაზრებიც. შემდეგ, რკინიგზის მეშვეობით გადიოდა იმავე რაიონების, რუსეთის ქალაქებისა და რეგიონებისათვის. მაგრამ რკინიგზის ექსპლოატაციაში შეყვანამდე, როგორც ითქვა, ძირითადი სატრანსპორტო

---

1. ილია მირცხულავა—აგრარულ გლეხური საკითხები საქართველოში.1900–1917 გვ.30-31.

2. ალ. ბენდიანიშვილი „სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში“. თავი 1 საქართველოს-ეკონომიკური განვითარების დონე XIX-XX საუკუნის მიჯნაზე გვ. 36

დატვირთვა მოდიოდა მდინარე რიონზე. გაზრდილი ჩანს მოთხოვნილება ქუთაისის მაზრაშიც, სადაც პროდუქცია შეჰქონდათ ინდივიდუალური საშუალებებით, პირადად მწარმოებლებისაგან ან სპეციალური აგენტების, მყიდველ-გადამყიდველების მეშვეობით. რომელთა მოქმედებასაც უკვე შეძენილი აქვს საქმიანობის პროფესიული ხასიათი.

თუ რა რაოდენობით ღვინო ან ნედლეული – ყურძნის სახით გადიოდა სარეალიზაციოდ ვანის სოფლებიდან, ჩვენ კონკრეტული სტატისტიკური ცნობები ან მონაცემები არა გვაქვს სპეციფიურ მიზეზთა გამო. ინდივიდუალური წესით ყურძნისა და ღვინის გაყიდვა სტატისტიკურ აღრიცხვაში არც ხვდებოდა და ვერც მოხვდებოდა. ამ პროდუქციის მომხმარებელი ძირითადად იყო ადგილობრივი ან მეზობელი დასახლებები, სადაც ღვინის წარმოებას ნაკლებად ან არასაკმარისად ეწეოდნენ.

რეალიზებული პროდუქციის სტატისტიკურ მონაცემებში შეტანას მიზეზთა გამო თავს არიდებდნენ მყიდველ-გადამყიდველებიც. ჩანს, რომ ურთიერთობა ამ დროს ხდებოდა ინდივიდუალურ გარიგებათა საფუძველზე, ოფიციოზისაგან გვერდის ავლით. არაიშვიათად ღვინის ან ყურძნის გარკვეული ნაწილი მწარმოებელთა მიერ ხვდებოდა ბარტერულ გაცვლაშიც.

თხრობაში აღინიშნა, რომ მიუხედავად ვაზის პლანტაციის ფართობთა შემცირებისა პროდუქციის მწარმოებლობა გარკვეულად გაზრდილა კიდევაც, მაგრამ ეს პროცესი ნაკლებად ან საერთოდ არ ემთხვევა „ვანის“ სოფლებისათვის, მისი აგრარული სფეროსათვის მეცნიერული მიღწევების ან აგრონომიული მიღწევებით მომსახურების სრულყოფას, რომელზედაც ყურადღება გუბერნიაში რამდენადმე გამახვილდა მხოლოდ 1900-იანი წლებიდან, კონკრეტულად 1913 წლიდან, მაგრამ ამ საკითხზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი, ყურძნის წარმოებას „ვანში“, მიუხედავად პლანტაციათა შემცირებისა, საფუძველი შენარჩუნებული აქვს, დარგი გადარჩა. მოთხოვნა პროდუქციაზე არსებობდა. არსებობდა ბაზარიც და მიუხედავად ამისა „ვანის“ მთელს სივრცეზე დაფიქსირებული არაა და როგორც ჩანს არც იყო, მარტივ, მანუფაქტურულ დონეზეც კი მოქმედი ადგილობრივი საწარმო და ადგილზევე საქმით დაინტერესებული პირიც, გარდა ერთისა და ისიც ნაწილობრივ, რომელიც ქარხნული წესით კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე გარისკავდა საქმის მოგვარებას. თუმცა, მთელი საქართველოსათვისაც იმ პერიოდში ეს იშვიათობაა და მხოლოდ ერთეული მაგალითები თუ არსებობენ ადგილობრივ ნედლეულზე გადამამუშავებელი საწარმოს გამართვისა. ამის ახსნაც არაერთი ფაქტორით შეიძლება. ამის გამოც „ვანის“ სოფლებში არსებული ყურძნის საუკეთესო ჯიშებიდან – ცოლიკაურის, ალადასტურის, ტარხუნას, ციცქას, ძველშავისა და ა. შ. რომელიც უკვე მოგვიანებით შედარებით დაბალი ხარისხის ადესამ, (იზაბელა) შეავსო. ღვინის დაწურვა-დაყენება წარმოებდა ძველი, ქართული, მამაპაპური მეთოდებით, „რომელიც შედარებით იაფად იყიდებოდა და გარდა კავკასიის შიგა ბაზრებისა საზღვრებს გარეთ მისი გატანაც იშვიათად ხდებოდა“. მიზეზი ასეთია: ღვინის ტექნოლოგიის ევროპულისაგან ჩამორჩენა, რაც ნაკლებად იძლეოდა საშუალებას ღვინის „მყარი ტიპის“ მისაღებად, რომელიც გაუძლებდა დაძველებასაც, წლების მანძილზე არ გაფუჭდებოდა და ტრანსპორტირებისას არ დაჰკარგავდა ხარისხსაც. ეს შეფასება სულაც არ ისახავს მიზნად კრიტიკას. პირიქით, ეპოქა და სახელმწიფოს მდგომარეობა, ტექნიკურ ტექნოლოგიური პირობები და ფინანსების სიმწირე, მისი არარსებობა, რომელიც საწესდებო კაპიტალის სახით აუცილებელია საქმიანობის დასაწყებად, განსაზღვრავდა ასეთ მდგომარეობას და ამ პირობებშიც კი „ვანელი“ კაცი, მშრომელი გლეხი, თავს არ იზოგავდა დარგის სრულყოფა-განვითარებისათვის. როგორც ჩანს გლეხის მიდგომაც ვაზის კულტურის მიმართ შედარებით გააქტიურებულია. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ტექნიკური აღჭურვილობა დიდად არ შეცვლილა, შეცვლილად გამოიყურება მწარმოებლურობის დონე, აქედან შრომის ნაყოფიერებაც. რაც ქანცგამცლელ ფიზიკურ შრომასთან იყო დაკავშირებული და უნდა ჩავთვალოთ, რომ პროგრესირება ყურძნის წარმოების ზრდაში, არა ინტენსიური, არამედ ექსტენსიური გზით მიემართებოდა. უდავოა, ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნილება, რომელსაც შედარებით მაღალი ფასებიც ახლავს, ზრდიდა მწარმოებელი გლეხის დაინტერესებას,ზრდიდა მის შემოსავლებსაც. ამდენად იგი ფიზიკური დატვირთვისაგან უკან აღარ იხევდა. ასევე, ცხადია, აქ საუბარი არ მიგვყავს ცალკეულ პიროვნებებზე, რომლებიც საკუთარ მეურნეობებში

დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ, ან ანანოვის ტიპის მეწარმეებზე, რომლებმაც შესძლეს სოლიდური ფინანსების გამოყენებით პრაქტიკული აგროსამრეწველო კომპლექსის ჩამოყალიბება ადგილობრივი ნედლეულის ბაზის შექმნით, ადგილზევე გადამუშავებით და ბაზარიც გააჩნდათ მიღებული პროდუქციის ორგანიზებული გზით რეალიზაციისათვის. კონკრეტულად ჩვენ ვსაუბრობთ „ვანელ“ გლეხებზე, რომელთა აგრარული ნაწარმიც შედიოდა საქართველოს ბაზრებზე, უერთდებოდა ორგანიზებულ წარმოებას ან ჩართული იყო ბარტერულ გაცვლებში.

ეხლა, რაც შეეხება დაწყებულ საუბარს აგრომომსახურებაზე, კონკრეტულად პროფესიონალ აგრონომთა კადრებსა და მათ საქმიანობას. ამ საკითხს ძალიან მოკლედ შევეხებით, რომ წარმოდგენა შევიქმნათ ამ მიმართულებით იმ დროინდელ არსებულ ვითარებაზე. როგორც ითქვა საკითხის მოსაწესრიგებლად გუბერნიაში ნაბიჯები გადაიდგა 1913 წლიდან. რა დროიდანაც თავისებური სტრუქტურით ყალიბდება აგრონომიული სამსახური. ინიშნებიან საგუბერნიო აგრონომები ..... „რომლის სათავეში იდგა საგუბერნიო თათბირი და შედგებოდა იგი მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებათა აგრონომების, აგრონომთა სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობათა წარმომადგენლობისაგან ..... ზოგიერთ გამოჩენილ მემამულისაგან ..... გუბერნია იყოფოდა ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის ხასიათის მიხედვით რამდენიმე ნაწილად. თითო ნაწილს ან რაიონს ჰყავდა თავისი აგრონომი, აგრონომის თანაშემწეები, ინსტრუქტორები და მამასახლისები. ქუთაისის გუბერნიაში იყო ერთი გუბერნიის აგრონომი, რაიონული აგრონომი 9; ინსტრუქტორი – 8; მეურნეობის მამასახლისი – 18; (სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ XXI საუკუნის დასაწყისთან შედარებით ეს უფრო მოწესრიგებულ მდგომარეობაზე მიანიშნებს), მაგრამ აგროპერსონალის ეს რაოდენობა უმნიშვნელო იყო. „სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესობა მას არც შეეძლო და არც გამოუწვევია“[1]. ცნობისათვის შეიძლება ითქვას აღნიშნული პერსონალის ძალისხმევა არ იყო მიმართული მარტო მევენახეობაზე, მათ ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, რომელიც იმპერიას სჭირდებოდა ნედლეულის წყაროდ. ხოლო რამდენად გასწვდებოდნენ ასეთი შეზღუდული რაოდენობის კადრები საქმეს ეს ცალკე საკითხია თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ დროისათვის ქუთაისის გუბერნიის საზედამხედველო და საგანმგებლო ტერიტორიული სივრცე საფუძვლიანად იქნა გაზრდილი. მსჯელობა შეიძლება წავიდეს სპეციფიურ მომენტზეც, რომელიც ეხება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა, მათ შორის ვაზის პლანტაციების მოვლისა და დამუშავებისათვის ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფას. როგორც ჩანს ეს პროცესი გამართული ფორმით არ გვევლინება. აქ, ბარიერად უნდა მივიჩნიოთ ქართულ სივრცეში წარმოების საშუალებათა წარმოების ჯერ კიდევ დაბალი დონე. რის გამოც, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების საშუალებანი არამარტო XX საუკუნის მიჯნაზე, არამედ 10-იან წლებშიც ძირითადად შემოდიოდა ან რუსეთის ცალკეული საწარმოებიდან ან იმპერიის საზღვრებს გარედან, რომლის შექმნა და ექსპლუატაციაში ჩართვა შეეძლოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც შედარებით საფუძვლიან ფინანსურ მატერიალურ მდგომარეობას ფლობდნენ. აქედან გასაკვირი არაა, რომ აგრარულ სფეროში გლეხთა ხელით შრომის კოეფიციენტი კვლავ წამყვან ფაქტორად რჩებოდა და როგორც ვთქვით, მწარმოებლურობის შედარებითი გაზრდაც მწარმოებლისაგან სადღეღამისო ფიზიკურ შრომას უნდა მივაწეროთ.

ტრადიციულად, ქართული სახელმწიფოსათვის და მისი პერიფერიული დასახლებებისათვის, როგორიცაა „ვანი“ თავისი სოფლებით, მებოსტნეობა იყო და რჩებოდა ერთ-ერთ წამყვან დარგად. აქ, აგრარულ კულტურათა განლაგებას თუ დავაკვირდებით მასში დარგობრივი დიფერენცირებაც მიზანმიმართულად გამოიყურება. ხანგრძლივ პრაქტიკულ დაკვირვებათა შედეგად შესწავლილი ჩანს ნიადაგობრივი და კლიმატური პირობებიც, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს ფაქტორი გახდა განმაპირობებელი მებოსტნეობის ინტენსიურობისა და ბოსტნეულ-კულტურათა მიმართ მოვლის ჩვევების დახვეწა-განვითარებისათვის. საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში და (კავკასიაშიც) XX საუკუნის მიჯნაზე სამრეწველო პოტენციალის

---

1. ოლღა სოსელია — გლეხთა მდგომარეობა XIII-საუკუნის მეორე ნახევრიდან XV-საუკუნემდე გვ.93.

ზრდის პარარელურად, რასაც ქალაქურ დასახლებათა ინტენსიური განვითარებაც ახლდა, მოთხოვნილება ბოსტნეულ კულტურებზე იზრდება და ჩნდება მისთვის შიგა სარეალიზაციო ბაზარიც. რომელიც თავის მხრივ იწვევდა პროდუქციის მიმწოდებელი გლეხის დაინტერესებასაც. მითუმეტეს, პროცესი რამდენადმე წახალისებული ჩანს იმპერიის ხელისუფალთა მიერაც.

„ვანიც“ და საერთოდ იმერეთიც, ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის მხრივ ხელსაყრელი პირობებით ხასიათდება, ეს ჰქონდა ვახუშტი ბატონიშვილსაც მხედველობაში როდესაც აღნიშნავდა: – „იმერეთში მტილოვანი ბოსტნეული ყოველივე მრავლად მოდიოდა“, ამავეს ადასტურებს გიულდენშტედტიც თავის მოგზაურობაში და 1900-იანი წლების მიჯნაზე განვითარებული სავაჭრო ურთიერთობანიც, რომ ამ ზონიდან მოწეული ბოსტნეული ფარავდა კავკასიის არაერთი ქალაქისა და შიგა ბაზრის მოთხოვნილებას. დაბეჯითებით შეიძლება მტკიცება, რომ ამ საქმეში თავისი წილი ედო „ვანის“ ბარის ზონის სოფლებსაც, სადაც ბოსტნეული კულტურებისადმი ყურადღება დასტურდება ადრეული პერიოდიდანაც და განსაკუთრებულად, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვიდრე 90-იან წლებამდე დრომ და დაუდევრობამ ეს ბალანსი არ მოანგრია. ამდენად ახალს არაფერს ვიტყვით თუ აღვნიშნავთ, რომ ეს კულტურა „ვანის“ მცხოვრებთათვის იყო ყოფის აუცილებელი პირობაც და სარეალიზაციო საქონელიც ..... – „ქართველ გლეხს საეკლესიო ნორმების მიხედვით წლის განმავლობაში გარკვეული დღეების მანძილზე მარხვის შენახვა უხდებოდა. ასეთ დღეებში საზრდოს მხოლოდ მცენარეული საკვები წარმოადგენდა“.[1] დასტურდება ისიც, რომ „ვანისათვის“ აღწერილ პერიოდში ძირითადად დამახასიათებელია საკარმიდამო მებოსტნეობა და ამაზე მიუთითებს ვანელი გლეხის ეზოკარმიდამოს მოწყობის (საერთოდ იმერეთისათვის დამახასიათებელი) თავისებურებანი.

„ვანში“ ბოსტნეული კულტურების საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას: აქ, ყველა სახეობა იყო და არის გავრცელებული, დაწყებული ფხალეულითა და დამთავრებული „ვანური ხახვით“. ამ უკანასკნელთან მიმართებაში თამამად შეიძლება აღინიშნოს – თავის დროზე სელექციის არაჩვეულებრივი უნარი გამოუჩენია „ვანელ“ გლეხს, რომელმაც ამ ჯიშს ჩამოუყალიბა გამძლეობის და საოჯახო გამოყენების განსაკუთრებული თვისებები.

„ვანელი“ გლეხი გაწაფული ჩანს ცალკეული ბაღჩეული კულტურების მოვლა-მოყვანის საქმეში. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი ოჯახი დაკავებული იყო ამ პროცესით. ჩვენ ვაფიქსირებთ ფაქტს, რომ ნებისმიერს, თუ მონდომება ექნებოდა, სავარგული ნაკვეთის მოცულობაც და კლიმატური პირობებიც ხელს შეუწყობდა, იგი ბაღჩეული კულტურების თვისებებს იცნობდა და შეეძლო ამ მიმართულებითაც განევითარებინა ძალისხმევა.

რაც შეეხება მეხილეობას, იგი ასევე გამორჩეულ დარგად წარმოგვიდგება და მისი მოხმარებაც მრავალმიმართულებიანი სპექტრის სახეს იძლევა, სხვათა შორის, იმ დროისათვის ამ კულტურათა განლაგების თავისებური ფორმით, რომელიც სავარგული მიწების სიმწირითაც უნდა აიხსნას. ვახუშტი ბატონიშვილი ამ პროცესის ირგვლივ იძლევა თავის დაკვირვებას: – „იმერეთში წალკოტნი არ არიან, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი აქვთ დარგულნი“ ..... – „ასევე ხეხილნი ტყეთა შინა ხარობს ყოველნიო“ (ვახუშტი ბატონიშვილი – გეოგრაფია გვ. 340) ამით დასტურდება, რომ ხეხილის სპეციალურად განაშენებული ბაღები არ არსებობდა. ეს მდგომარეობა საერთოა „ვანისთვისაც“, რომელშიდაც ხეხილის კონცენტრირებულად გაშენება უფრო მოგვიანებით პერიოდს ემთხვევა (XX საუკუნის 30-იანი წლებიდან). თუმცა პირველ მკვალავნი, როგორც მივუთითეთ, კონცენტრირებული მებაღეობისა არიან ძმები თვალავაძეები, რომელთაც „სებეკას“ მიდამოებში შეუძენიათ სამასი ქცევა მიწა (დაახლოებით 60 ჰექტარი) და აქ გაუშენებიათ ხეხილის ბაღი. მიუხედავად ამისა, მებაღეობის კულტურა (ინდივიდუალურ პირობებში) „ვანის“ სოფლებში დადასტურებულია და „ვანის“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ზოგიერთი საქმეც იძლევა ამაზე მითითებას, ხოლო სანაშენო მიწების გაცემაზე შედგენილი ხელწერილები ან აქტები არაორაზროვნად აფიქსირებენ ამ პროცესს და პირდაპირ მიათითებს სად და რა ფორმით უნდა მოხდეს ხეხილის დარგვა-განაშენება. ძირითადში ისე, როგორც ვახუშტი ბატონიშვილს აქვს აღნიშნული „ვენახის“, ბაღჩის ან ყანის კიდურთა ზედა და ვინაც „ვანის“ მოსახლეობის ეზო კარმიდამოსა და სავარგულთა განლაგებას იცნობს, მტკიცება არ სჭირდება, რომ ეს ტრადიცია არსებითად დღემდეა

შემონახული. თანაც არაერთი ისეთი ჯიშიცაა დაფიქსირებული, რომელიც საქართველოს სხვა მხარეში იშვიათად თუ გვხვდება. მაგალითად, არაჩვეულებრივად გამძლე ჯიში მსხლისა. ე. წ. ხეჭეჭური, ვაშლისა ,,ქვავაშლა" (ზამთრის ვაშლი), როგორც მას უწოდებენ ,,ვანის" მთიან ზონაში, სადაც იგი ხარობს და რომელიც ხასიათდება არაჩვეულებრივი გამძლეობითა და ასევე არაჩვეულებრივი არომატით

– „სანადელო ფურცლებში" (აქტებში) განსაკუთრებულადაა ყურადღება გამახვილებული ნიგვზის (კაკლის) კულტურაზე. იგი შეტანილია ნატურგადასახადთა ნუსხაში და როგორც ოჯახისათვის აუცილებელ, მოთხოვნად პროდუქტს ჯეროვანი ყურადღებაც ეთმობოდა. მისი გაშენების შესახებ მოთხოვნები ჩანს „ვანში" სანაშენოდ გაცემული მიწების აქტებშიც. თუმცა ნიგვზის გაშენებას ჰქონდა სხვა დატვირთვაც, რადგანაც მისი მერქანი წარმოადგენს საუკეთესო მასალას ავეჯისათვის. მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში ვხვდებით ცნობებსაც, იმერეთსა და ვანის სოფლებშიც კაკლის ხის მერქნის დამზადების შესახებ, რომლის გატანაც მაშინდელი ტრანსპორტისა და კომუნიკაციათა გაუმართაობის გამო არაერთ სირთულესთან ყოფილა დაკავშირებული.

„სანადელო ფურცლებში", რომლებიც უტყუარ სურათს ჰქმნიან „ვანში" სასოფლო-სამეურნეო კულტურათა არსებობისა და მათ მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრისათვის, იშვიათად ან საერთოდ არაა მითითებული თხილის კულტურაზე. მაგრამ XX საუკუნის მიჯნაზე უკვე ჩანს, რომ ამ კულტურას მიცემული აქვს სასაქონლო პროდუქციის სახე. მოსახლეობას, რომელთაც ეს კულტურა საკუთრებაში გააჩნდათ ჩაურთავთ კიდევაც სააღებმიცემო პროცესში. ამაზე მასალები არის და ცხადი ხდება ისიც, რომ მითითებულ კულტურაზე ზრუნვა განსაკუთრებულად ჩანს „ვანის" მაღალმთიან ზონაში, სადაც გლეხს შეუნიშნავს მისი ნაყოფის მრავალსარგებლიანობაც და როგორც ნიადაგის ეროზიისაგან დამცავი საშუალებაც. „ვანის" სოფლების საკარმიდამო ნაკვეთებში (ისე, როგორც იმერეთში მთლიანად) ხეხილის გაშენებას განსაკუთრებულად უწყობდა ხელს დასახლებათა დაშორიშორებითი (გაფანტული) არსებობაც. თანაც ყოველი მოსახლე სახლთან ახლოს ფლობდა საკარმიდამო ადგილებს, რაც გარკვეული სტიმული იყო ყოველდღიურად მიეხედა აქ გაშენებული კულტურებისათვის. ამასთან, საერთოდ ცნობილი ფაქტია, მრავალწლიანი კულტურები მათი მოვლა და ინტერესი მიჩნეულია ქართველი გლეხის ადგილზე დამაგრებისა და მიგრაციის შემცირების სტიმულადაც. ამდენად მეხილეობისადმი დამოკიდებულება „ვანის" მოსახლეობისაგან უნდა განვიხილოთ არამარტო ოჯახური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებად, არამედ, როგორც სარეალიზაციო საქონელიც და ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლების პირობაც.

„ვანში" ადრეული პერიოდიდან დაფიქსირებულია ბამბისა და კანაფის ნათესებიც. ბამბის კულტურა შეტანილია დროებითვალდებულ გლეხთა მიწის მიჩენილობის გადასახდელთა ნუსხაშიც. ირკვევა, რომ ამ კულტურებს გააჩნდათ სპეციფიური დანიშნულებაც, რადგან იგი მოიხმარებოდა ოჯახური დანიშნულებისათვის. განსაკუთრებულად ტანსაცმლისათვის ქსოვილების დასამზადებლად. გადმოცემით დასტურდება, რომ ამ საქმის სპეციალისტები „ვანის" თითქმის ყველა სოფელში საქმიანობდნენ, რომლებიც ე. წ. „დგამ სავარცხლებით" ახდენდნენ ძაფად ჩამოგრეხილი ბამბისაგან ქსოვილების დამზადებას. ასეთ საშუალებათა ცალკეული ექსპონატები შემორჩენილი იყო XX საუკუნის ბოლო წლებამდეც. ცხადია, ამდაგვარი საქმიანობა იღებდა ოჯახური რეწვის სახეს და გრძელდებოდა მანამ, სანამ სხვადასხვა გზებით „ვანის" სოფლებშიც არ შემოაღწია ქარხნული წესით დამზადებულმა ქსოვილებმა, რომელთაც საჭირო ფორმასა და სახეს აძლევდნენ ადგილობრივი ჭრა-კერვის ოსტატები. მიუხედავად ამისა „ვანის" სოფლების მოსახლეობის ცხოვრების აუცილებელი პირობებიდან გამომდინარე და მიზეზთა გამო, აქ, ამდაგვარი ხამი ქსოვილების დამზადება დასტურდება XX საუკუნის 10-იან წლებამდეც და ცოტა უფრო გვიანაც. ამდენად, ამ საქმისათვის ბამბის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ნედლეულის დამზადება ხორციელდებოდა ადგილობრივ აგრარულ სექტორში.

სიტუაციიდან გამომდინარე XX საუკუნის მიჯნიდან, გარკვეულ პერიოდამდე „ვანში" ბამბის კულტურისადმი დამოკიდებულება ადრეულთან შედარებით, გააქტიურებულიც და მიზანმიმართულად გაუმჯობესებულიც ჩანს. ასეთი ყურადღება განპირობებულია „ვანის" მეზობელ

ქალაქსა და საქართველოშიც ახლადაღმოცენებულ და პროგრესირებად მსუბუქი მრეწველობის საწარმოების გახსნაზე, მათი საქმიანობის სრულყოფაზეც. გამომდინარე აქედან, ეს პროცესი კავკასიაშიც იფართოებს არეალს, მაგრამ ქუთაისის მაზრაში ეს სიტუაცია საკმაოდ მძლავრად გამოიყურება. კარგად ჩანს, რომ აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმპერიის ხელისუფალთა მიერ გატარებულმა „საერთოპროტექციონისტულმა“ პოლიტიკამ. აქედან გამომდინარე, ბამბის ნაწარმისა და იმპორტიორების მაქსიმალურად დაბეგვრამ, რამაც ადგილობრივ პროდუქციას შიგა ბაზარზე გამოუნთავისუფლა გზა და ფასების მატებით შექმნა პირობა ნედლეულის წარმოების გაფართოებისა და მწარმოებელი გლეხის დაინტერესებისათვისაც ..... სწორედ ამის გავლენა უნდა იყოს ამ დროიდან „ვანის“ სოფლებში ბამბის კულტურაზე ყურადღების გადატანა.

გუბერნიის მიმოხილვით მასალებში აღნიშნულია, რომ ..... „აქ, გუბერნიაში, ბამბის კულტურა გარდა ქუთაისის მაზრისა, ვითარდება ნელა.“ ხოლო ქუთაისის გუბერნატორის საკმაოდ მრავალგვერდიან მოხსენებაში პირდაპირაა საუბარი: ..... „ბამბის მოყვანა ძირითადად წარმოებს იმერეთის მთისწინეთში, თბილ, კლიმატურ პირობებში, განსაკუთრებულად „საჩინოს“ რაიონში და სოფელ სიმონეთში.“ დადასტურებულია, რომ იგი შესაბამის „კლიმატურ და ნიადაგურ პირობებთან მისადაგებით“ „ვანშიც“ იფართოებს პოტენციალს. ეს კულტურა „ვანელებს“ მოჰყავდათ ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებზე. სთესენ და გავრცელებულია ბამბის ეგვიპტური ჯიშები. „თუმცა მათი დამუშავება პრიმიტიულია ისე, როგორც სიმინდისა და ამ საქმით ძირითადად დაკავებულნი არიან ქალები.“ დადასტურებულია ციფრებიც, რომ ბამბა დათესილია 774 დესეტინა მიწაზე – საერთო მოსავალი 6240 ფუთი (დაახლოებით 100 ტონამდე) „სამტრედიაში“ დათესილია 88 დესეტინა ..... (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამტრედიის მონაცემში შედის დღევანდელი „ვანის“ რაიონის ბარის ზონის ის სოფლები შუამთიდან-ტობანიერის ჩათვლით – შუამთა-ჭყვიშის დასახლება, მთისძირი, ნაწილობრივ ტობანიერის ტერიტორიებიც, ანუ ტობანიერის სოფლის საზოგადოების სოფლები, რომლებიც მოცემული პერიოდისათვის გაერთიანებულნი იყვნენ სამტრედიის საბოქაულოს საკურატორო ზონაში. თუმცა, აქვე როგორც ჩანს, ჩათვლილია სამტრედიის ზოგიერთი შესაბამისი სოფლებიც.) – „ბაღდათში“ – (ასევე მასში იგულისხმება ციხესულორიდან, დღევანდელი „ვანის“ რაიონის აღმოსავლეთი მხარე სალომინაოს ჩათვლით. სოფლები: ციხესულორი, ქალაქი „ვანი“, სალხინო, დიხაშხო, ამაღლება, გორა-ზეინდრის და სალომინაოს შესაბამისი ტერიტორიები, დამატებული დღევანდელი ბაღდათის რაიონის შესაბამისი სოფლები, რომლებიც იმ დროს შედიოდნენ ბაღდათის საბოქაულოს საკურატორო ზონაში.) „ბაღდათშიც“ დაუთესიათ 95 დესეტინა ბამბა. „სამტრედიაში“ მიუღიათ მოსავალი 1432, „ბაღდათში“ 1000 ფუთი.

ბამბის ასეთი ორგანიზებული სასაქონლო წარმოება, ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს 1910-იანი წლების სიახლედ, „ვანის“ სასოფლო-სამეურნეო სივრცისათვის.

როგორც ჩანს ამ პროცესს მოჰყვა 3-5 კაციანი მანუფაქტურის ტიპის ერთეულ საწარმოთა აღმოცენებაც. რომელშიდაც ხდებოდა ნედლეულის გასუფთავება, წინასწარი დაწნეხვა, დაახლოებითი ნახევარფაბრიკატის სახის მიცემა, და შესაბამისი დანიშნულებით გაგზავნა. აქედან იგი გაჰქონდათ სპეციალურ აგენტებს. ანალოგიური პროცესები დასტურდება „ვანის“ ზოგიერთი სოფლის მაგალითზე და შედარებით ორგანიზებული სახე მას მიცემული აქვს სოფელ „ვანში“. (დღევანდელი ქალაქი ვანი). „აქ, ბამბის საპენტი ქარხნები მოაწყვეს მდინარე სულორზე კონია ჩახუნაშვილმა და სიმონ ბურკაძემ.“

საერთოდ, ანალოგიური მარტივი ტიპის საწარმოთა სიმრავლე დაფიქსირებულია ქუთაისის მაზრაში – „სადაც მაუდის წარმოებაში ჩართული იყო 195 ადგილობრივი საწარმო“. უნდა ჩავთვალოთ, რომ „ვანში“ მოქმედი ერთეული მსგავსი სარეწები ემსახურებოდა სამრეწველო ცენტრებში განლაგებულ საწარმოთა მომარაგების საქმეს, ხოლო „ვანიდან“, როგორც ითქვა, ასეთი სახის პროდუქცია გაჰქონდათ სპეციალურ აგენტებს რომლებიც, როგორც წესი, სათაო საწარმოებიდან მიმაგრებულნი იყვნენ ნედლეულის მწარმოებელ სოფლებზე, ხოლო მიღებული ბამბის ნაწილის გამოყენება ხდებოდა ადგილობრივი „ვანის“ მოსახლეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

მწირი მონაცემები გვაქვს დაფნის კულტურის არა გავრცელების, არამედ, როგორც ნედლეულის ათვისების საკითხებზეც. იგი არაა შეტანილი არც დროებით ვალდებული გლეხის გადასახდელებში და არც სანაშენო მიწების გაცემის ხელწერილებსა და აქტებში. გიულდენშტედტი, როდესაც მან იმერეთში იმოგზაურა აღნიშნავს, რომ აქ გვხვდება და გავრცელებულია დაფნის კულტურაც, მაგრამ გაკვირვებას არ მალავს, რომ არ ხდება მისი სამეურნეო სახით ათვისება. „ვანის“ სოფლებთან დაკავშირებით დაცულ მასალებში მიკვლეულია მხოლოდ ერთი საქმეხელშეკრულების ფორმით, რომელიც იძლევა დასტურს, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებულა ამ კულტურის ათვისება. მხედველობაშია სოფელ ბზვანის მაგალითზე გამხმარი (გამოყვანილი) ფოთლის საბოლოო რეალიზაცია, როდესაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, მეორე მხარეს – ვინმე აზნაურ ჩხეიძეს, დაუმზადოს და მიჰყიდოს მითითებული სახის 8 ფუთი დაფნის ფოთოლი. ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ანალოგიური სახის სხვა მაგალითები არ არსებობდა, მაგრამ მათზე მამტკიცებელი მასალები, გარდა აღნიშნული გამონაკლისისა ჯერ-ჯერობით მიკვლეული არაა. თუმცა მოყვანილი ფაქტიც იძლევა დასტურს პროცესის დაძვრის თაობაზე. სამაგიეროდ, თითქმის, მასიური ყურადღებაა გადატანილი თამბაქოს კულტურის მიმართულებით. აქ პროცესები გასაგებია და მოთხოვნა მასზე დადასტურებულია მიწის მიჩენილობის სანადელო აქტებითაც. თამბაქოც, როგორც მთლიანად საქართველოში, ადგილობრივ კულტურას არ წარმოადგენს, მაგრამ მოთხოვნილება მასზე განუხრელად იზრდებოდა და როგორც ჩანს „ვანელი“ გლეხი ფლობდა მისი მოყვანისა და გამოყვანის მეთოდებსაც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს საბუთი იმაზე, „ვანში“, რომელი პერიოდიდან ვრცელდებოდა მეაბრეშუმეობა როგორც დარგი, მაგრამ ის, რომ ეს სფერო მომგებიანი და ოჯახისათვის ფულადი შემონატანების გარკვეული წყარო იყო ამის მტკიცება შეიძლება. შეიძლება მტკიცება ერთეული, შემონახული ხელშეკრულებებისა თუ ხელწერილების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს ცალკეული ოჯახის მიერ აღებულ ვალდებულებას აბრეშუმის ჭიის მოვლისა და მიღებული პარკის ჩაბარების შესახებ. ასეთ შეხედულებას, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ამ საქმიანობას „ვანში“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, აძლიერებს არაერთი ფაქტი. რამდენადმე დადასტურებულია და მაშინდელი პერიოდული პრესაც აშუქებს. ახლახან ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში მოკვლეული მასალიდან (შეისწავლა შალვა შარაშენიძემ) საფუძვლიანად დგინდება, რომ საქმიანობით დაინტერესებულა ვანელი თავადი ნიკოლოზ ჩიჯავაძე და 1862 წელს (ოქტომბერში) გაუფორმებია შეთანხმება თბილისის „აბრეშუმის ზაოდის“ „ფაბრიკანტ კარლ ფრანცოვიჩ დეფერთან“, რომ მას თბილისში უნდა წაეყვანა შვიდი ვანელი ახალგაზრდა და უნდა შეესწავლათ ამ ფაბრიკის ხელობანი. სოფელ ამაღლებაში ბაზრის გახსნის პარარელურად იხსნება აბრეშუმის პარკის მიმღები ფარდულიც. – „1884 წელს დიმიტრი ნაფეტვარიძე ხსნის პარკის საშრობსა და ბამბის საპენტს“ და ა. შ. ეს ვერ მოხდებოდა თუ არ იქნებოდა ადგილობრივი ნედლეული, რადგანაც მინიშნებული ფარდულები არ წარმოადგენდა ტექნიკურ საწარმოს. აშკარად ჩანს, აქ გროვდებოდა ოჯახებში გამოყვანილი აბრეშუმის პარკი და შემდეგ იღებდა საჭირო მიმართულებას. ამ პროცესებთან დაკავშირებით შედარებით სრულყოფილ ცნობებსა და წარმოდგენას იძლევა, მოგონებების სახით გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ფონდში დაცული მასალა, რომელიც გადამოწმებულ სანდო წყაროდ მიმაჩნია. დასტურდება, რომ იმ დროისათვის „ვანში“ ასეთი ტიპის მოქმედი მიმღებ-ჩამბარებელი პუნქტებისაგან აქ, „წიქვაძის ფონში“ გამართული საქმიანობა ყველაზე ორგანიზებული და მიზანმიმართული ჩანს, გადმოცემით პროცესი უკავშირდება სამ პიროვნებას. მომყავს ამონაწერი: – ..... „ესტატე გაბრიელის ძე კოპალეიშვილი ხონში მიებარა მამფორიასთან ნოქრად, ისწავლა ვაჭრობა ..... შემდეგ წავიდა სოფელში (ე. ი. წიქვაძის ფონში) ააგო მაღაზია. ჯერ სიმინდს ვაჭრობდა, შემდეგ აბრეშუმს. ეს ის ხანაა, როცა სოფელში განვითარდა მეაბრეშუმეობა (აღწერილი პროცესი თარიღულად ემთხვევა XX საუკუნის დასაწყისს) და ამავე დროს „ვანის“ მიდამოებში სოფელ ჭყვიშში (ე. ი. წიქვაძის ფონში) აბრეშუმის მისაღები ფარდული ააშენა ბერძენმა ხადიკომ (ხადკომ?) და სტავრომ, შემდეგ ეს ფარდული შეუძენია ე. კოპალეიშვილს, რომელსაც ეს ფარდული დაუნგრევია და აუშენებია ახალი, უფრო დიდი და ვრცელი. დაკავშირებია სხვადასხვა აბრეშუმის მწარმოებელ ორგანიზაციებს, შეუძენია აბრე-

შუმის ძაფის ამოსაღები დაზგები“ ..... „შემდეგო, მოასწრო ორი-სამი სეზონის ჩატარება. 1921 წლიდან წარმოება სახელმწიფომ ჩაიბარა, დაზგები გაიტანეს სამტრედიაში, აქაც საწარმოს ხელმძღვანელად დაუნიშნავთ ხსენებული ესტატე კოპალეიშვილი. აქ კარგად ჩანს, რომ ეს საწარმო საქმიანობდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე და ამ ნედლეულის პირველ დონეზე გადამუშავებისათვის პირობებიც შეუქმნიათ. პარალელურად აქ ჩანს სხვა პროცესიც, რომ ესტატე კოპალეიშვილი არის მრავალმხრივ საქმიანობას შეჭიდებული გავლენიანი და სანდო პიროვნებაც. მას ურთიერთობა ჰქონია 1905-1907 წლებში „ვანის“ ტერიტორიაზე მოქმედ ანტისამთავრობო მოძრაობაში ჩართულ პიროვნებებთან და როგორც მიუთითებენ ეხმარებოდა კიდევაც მათ. ამასთან ერთად ეს კაცი წიქვაძის ფონის ტერიტორიაზე აწარმოებდა ჯეროვან აღებ-მიცემობას და ფლობდა შესაფერის სავაჭრო ობიექტებსაც.

იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერიის მსუბუქი მრეწველობის საწარმოები 1910-იანი წლებიდან განიცდიან საწარმოო აღმავლობას, პარალელურად იზრდება მოთხოვნა აბრეშუმის პარკზეც. ამას მოჰყვა, ფასების ზრდასთან ერთად სოფლებში ნედლეულის მწარმოებელთა დაინტერესებაც. მითუმეტეს „ვანის“ მოსახლეობას ამ დარგთან მიმართებაში გააჩნდათ სერიოზულად დადებითი გამოცდილება. ამას გარდა დადასტურებული ფაქტია, რომ ვანელი ფეოდალი ნიკოლოზ ჩიჯავაძე დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს. 1874 წელს ეს პიროვნება ურთიერთობაში შედის ვინმე რუდოლფ ეტლინგერთან და დასამუშავებლად ექვსი წლის ვადით აძლევს ტყის მასივს (კრ. „მატიანე“ №8)

მითითებულ დარგზე ჩვენ თავის ადგილზე შევჩერდით, რამდენადმე დეტალური ხაზგასმაც გავაკეთეთ, მაგრამ 1910-იანი წლების შესატყვისობაში აქცენტები გადაგვაქვს, მხოლოდ ნედლეულის რაოდენობისა და ღირებულების გაზრდაზე, რომელიც არაერთჯერადი ფაქტორის გავლენით უნდა აიხსნას და ამან ხელიც შეუწყო აბრაშუმის პარკის რაოდენობრივ ზრდასაც.

გუბერნიის მიმოხილვით მასალებში პირდაპირაა მითითებული ფასების „ზღაპრულ ზრდაზე“, რომ 1912-1913 წლებში სამტრედიის ბაზარზე და საერთოდ, ერთი ფუთი ნედლი სახის პარკის ღირებულება 15-18 მანეთია, ხოლო გამომშრალი ერთი ფუთი პარკის ღირებულებას 1913 წლის აგვისტოში მიუღწევია 58, სექტემბერში 72 მანეთისათვის, რაც იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ ღირებულებაზე მიუთითებს. ამასთან „სამტრედიაში“ – იმავე წელს მიუღიათ 13000 ფუთი, ხოლო „ბაღდათში“ 4000 ფუთი აბრეშუმის პარკი (შესაბამისად 206 და 64 ტონა) ცხადია, ეს იყო იმ დროისათვის პარკის მწარმოებელი მოსახლეობისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროც.

დარგთან დაკავშირებით გუბერნიის ხელმძღვანელთა მიერ გამოთქმულია უკმაყოფილებაც საჭირო რაოდენობის გრენის არასაკმარისობისა და შემოტანილი აბრეშუმის ჭიის ჯიშების არაეფექტურობის შესახებაც.

XX საუკუნის 10-იან წლებს ემთხვევა შედარებითი ძვრები მეფუტკრეობის, როგორც უკვე ახლად ფეხადგმული სპეციალიზირებული, სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელი დარგის მიხედვითაც, რომელიც უკვე თანდათან იღებს წარმოების ორგანიზებულ სახეს. მიჩნეულია, რომ მოთხოვნილებიდან გამომდინარე ეს დარგი მაინც სუსტად კოორდინირებულია თუმცა, 1913 წელს მიღებულია 5636 ფუთი თაფლი, აქედან: „სამტრედიაში“ შემავალ სოფლებში ფუტკრის ოჯახთა რიცხვი გაუზრდიათ 761-მდე. „ბაღდათში 1075-მდე“. „სამტრედიაში“ „ვანის“ შესაბამის სოფლებთან ერთად უწარმოებიათ 183 ფუთი თაფლი, „ბაღდათში“ (აქაც „ვანის“ შესაბამის სოფლებთან ერთად) – 440 ფუთი. გაზრდილია ფუთი თაფლის სამომხმარებლო-საბაზრო ღირებულებაც 5-6 მანეთამდე.

ანლოგიური მდგომარეობაა მეხილეობაშიც, რომელზედაც განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედ სამრეწველო ქალაქებსა და რუსეთის ცალკეულ გუბერნიებში. ამ ბაზრებზე ქართული ხილი, როგორც ჩანს, შედიოდა როგორც კერძო პირების ასევე გადამყიდველების მეშვეობით, რომელთა ინსტიტუტიც, როგორც აღინიშნა ყალიბდება და გააქტიურებულია XX საუკუნის მიჯნიდან.

სოფელ „ვანში“ ძმების, თვალავაძეების მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომ დღევანდელი „ვანის“ საავადმყოფოს ტერიტორიაზე შეიძინეს 60-ჰექტარზე მეტი ფართობი და საფუძველი

ჩაუყარეს კონცენტრირებულ მეხილეობას, არის ფაქტი იმისა, რომ მოთხოვნილება პროდუქციაზე გაზრდილია. განსაკუთრებულად ბაქოს სამრეწველო ცენტრის ბაზარზე, ხოლო ამ პირებს, რომელთაც მჭიდრო კონტაქტები გააჩნდათ აღნიშნულ ქალაქთან გათვლილი ექნებოდათ ბაქოს ბაზრის კონკრეტული სეგმენტის ათვისებაც, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოდან ხილის დიდი მასა შედიოდა სწორედ აღნიშნულ ბაზარზე.

„ვანის“ მაღალმთიანი სოფლებიდან, მათ შორის სოფელ უხუთში მცხოვრებ რამდენიმე პირთა მიერ ხილის შესყიდვა გატანის ფაქტებს ადასტურებს ისტორიკოსი ივ. ხურციძეც. ანალოგიური ფაქტები ამავე სოფელთან მიმართებაში დაფიქსირებულია გუბერნიის მიმოხილვებშიც. გვაქვს სხვა მაგალითებიც.

მნიშვნელოვანია ერთი დეტალიც: XX-საუკუნის ათიანი წლებიდან მოთხოვნადი აგრარული პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე აუცილებლად მოახდენდა გავლენას „ვანში“ მცხოვრები ის კულაკური ფენაც ან უკვე წელმომაგრებული ერთეული გლეხებიც, რომლებიც მიწის აქტიურ მყიდველებად გვევლინებიან. ცხადია, ეს პროდუქცია მათ მიერ ახლადშეძენილი ნაკვეთებიდანაც მიიღებოდა, იპოვიდა გზას ბაზრისაკენ და გახდებოდა სტიმული ამ ფორმით მეურნეობათა გაფართოვებისათვის.

სამწუხაროდ ვერ ხერხდება „ვანის“ მცხოვრებთა სოციალ-ფენობრივი თანაფარდობის დადგენა. არ ხერხდება იგი შესაბამის მასალათა სიმცირისა და არასრულყოფილების გამო, ამიტომ საერთო წარმოდგენა, რომ შევიქმნათ, ვსარგებლობ ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომის „სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში“ მიხედვით, სადაც ასევე მიახლოებითი მაჩვენებელია წარმოდგენილი. „XX საუკუნის მიჯნაზე კულაკები შეადგენდნენ 3-4 %, საშუალო გლეხები 35-40; ღარიბები 55-60 %. კულაკის ქონება-შემოსავალი, ყოველ სულზე 3-4-ჯერ აღემატებოდა საშუალო გლეხისას, 10-15 ჯერ ღარიბი გლეხის შემოსავალს“. უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტნაკლები სიდიდით იგივე მდგომარეობაა „ვანშიც“ და კიდევ ერთიც: მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური-ეკონიმიკური სისტემა არ გულისხმობდა ცხოვრების გათანაბრებით პროცესებს, სოციალურ თანასწორობას და უნდა ყოფილიყვნენ მდიდრებიც და არამდიდრებიც. მაგრამ ღარიბთა და ღატაკთა მთელი მოსახლეობის 55-60 %-ზეა საუბარი და როდესაც საშუალო გლეხთა მდგომარეობაც არ გამოიყურება დიდად მოწესრიგებულად, არამგონია ეს კანონზომიერი მოვლენა იყოს და დადებითად საუბრობდეს ნებისმიერ სოციალ-პოლიტიკურ სისტემაზე.

გუბერნიის მიმოხილვითი მასალებიც იძლევა მხარდაჭერას ითქვას, რომ 1907-1915 წლების პერიოდში, რამდენადმე შეცვლილ და შედარებით აღმავლობით სიტუაციებში, „ვანში“ ცხადია არ ფიქსირდება ძვრები, რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი სარეწების, მითუმეტეს, არც საწარმოების მოწყობა-გამართვის სიმრავლის შესახებ. მაგრამ აღნიშნულია წყლის წისქვილების სიმრავლე „რომელთა წარმადობა (თითოეულის) დღე-ღამეში 6-10 ფუთამდე აღწევდაო. მოწყობილნი არიან პრიმიტიული წესით და უპირატესად მთის მდინარეებზეო“ – გვამცნობს ოფიციალური წყარო.

იგივე ოფიციალური წყარო ლაპარაკობს ტყის მასივების მწირ ათვისებაზეც. გარდა ერთი მომენტისა – წაბლარას ხევში, ნესტორ ერისთავის კერძო ტყესთან დაკავშირებით, სადაც, როგორც მითითებული პიროვნება აღნიშნავს – „ცეცხლაძემ ითავა აქ სარეწის მოწყობაო, სამშენებლო მასალისა და ღვინის კასრებისათვის მუხის მერქნისაგან საჭირო მოწყობილობათა დამზადების სახით“. ეს პროცესი შეტანილია გუბერნიის მიმოხილვით მასალებშიც, სადაც ასევე მინიშნებულია, რომ დასახლებათა მიმდებარე ტერიტორიებზე ტყეები გამეჩხრებულია, ხოლო მთიან ადგილებში, ტყის რეწვის პირობები რთულია რელიეფისა და უგზოობის გამო“.

რაც შეეხება გზებს – ამ საკითხზე გუბერნიისა და მაზრის ხელისუფალთა შეშფოთებაც დაუფარავადაა გამჟღავნებული, მაგრამ, ძირითადად აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ ეს გამოწვეულია რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში საუბარია არამარტო ტყიანი მასივების ასათვისებელი, არამედ სოფელთა შორის სამიმოსვლო გზებზეც. „ვანთან“ დაკავშირებით გზათა უვარგისობა დადასტურებულია არაერთი სხვა წყაროებითაც. თუმცა მაშინდელი ხელისუფალნი ასეთ მოუწესრიგებლობას ხსნიან იმით, რომ ადგილებზე არ ჰყავთ საგზაო და ხიდე-ბოგირების მოწყობის სპეციალისტები და ამის გამო შეკეთებული გზე-

ბი ხშირად გამოდის მწყობრიდან. მაგრამ საუბარი არსად არ მიდის იმაზე, თუ რა ტექნიკური და ფინანსური დახმარება გაეწია გზით მომსახურეობის უზრუნველყოფის საქმეს სახელმწიფოსაგან. ცნობილია, რომ მაშინდელი პრიმიტიული ტექნიკის პირობებში ასეთი საკითხების გადაწყვეტა ძირითადად ემყარებოდა დაწესებულ საგზაო-შრომით ბეგარას და კომლობრივ გადასახადებს.

ცხადია, გვაინტერესებს, ჩვენს მიერ ამჟამად მიმოხილულ პერიოდში, რომელსაც გაჰყვა სამეურნეო დარგთა შორის შედარებითი გადაწყობა და რიგ სფეროებში ეკონომიური გააქტიურება, აისახა თუ არა ეს პროცესი „ვანის“ ზედნაშენურ სივრცეზე, სოციალურ ფენომენზე, მის სრულყოფასა და ქმედუნარიანობაზე.

თამამად და სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, „ვანისათვის“ ეს მომენტები ამ დროშიც თითქმის სტაგნაციურია, არ ხასითდება შესამჩნევი ძვრებით, დიდად არ გასცდენია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის მიჯნაზე არსებულ მდგომარეობას და განვითარების საერთო სივრცეში იგი შედარებით, ჩაკეტილ კუთხედ გამოიყურება. თუმცა სათანადო მასალების გაცნობა-შეჯერება, იძლევა დასკვნის საშუალებას. ითქვას: მეტნაკლები ფორმით, სურათი ასევე საერთოა, „ვანის“ მსგავსი დასახლებებისათვის. კონკრეტულად, „ვანთან“ დაკავშირებით იმაზე, რომ შეფასებანი გაზვიადებული არაა, დავაც შეიძლება და სიტუაციათა არგუმენტირებული დასაბუთებაც.

რა შეიძლება ითქვას მეცხოველეობაზე – უძველეს დარგზე. ვახუშტი ბატონიშვილი როდესაც დასავლეთ საქართველოში მეცხოველეობის საკითხებზე აკეთებს მიმოხოლვას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სულადობისა და ზოგიერთ სხვა მაჩვენებელთა მიხედვით, იმერეთის რეგიონი ჩამორჩებოდა დანარჩენებს, სამეგრელოსა და გურიის მხარესაც კი. უნდა ვივარაუდით, რომ „ვანშიც“ მეტნაკლები სხვაობით სურათი იქნებოდა იგივე, მაგრამ ეს ეხებოდა რაოდენობრივ მხარეს და არა გაცნობიერებულ საჭიროებას. ადრეული პერიოდებიდანვე სჩანს, რომ „ვანის“ სოფლები მეცხოველეობის საკითხებთან დამოკიდებულებაში რამდენადმე დიფერენცირებულ მიდგომას ანხორციელებდნენ. ბარის ზონებისათვის დამახასიათებელია ძირითადად, მსხვილფეხა პროდუქტიული პირუტყვი – ძროხის სახით. მთიანი სოფლების რელიეფისათვის უფრო მოქნილი და მისადაგებული – თხა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ ზონებისათვის მისადაგებულია, ლოკალურად მხოლოდ მითითებული პირუტყვი. საუბარია მეტნაკლებ რაოდენობაზე, იმის მიხედვით მოვლის პირობების გათვალისწინებით რისი შესაძლებლობა გააჩნდათ.

ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ ბატონი ივანე ჯავახიშვილი, რომ ადრეულ პერიოდში ხორცპროდუქტები გლეხებისათვის მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციებში მოიხმარებოდა და თავი ძირითადად რძის ნაწარმით და ლობიოს კულტურით გაჰქონდათო. ყველა ტიპიურ აგრარულ დასახლებას ეხება ეს შეფასება, მათ შორის „ვანის“ სოფლებსაც, სადაც საკარმიდამო მეცხოველეობა აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, მაგრამ ერთი მომენტის გათვალისწინებით – პროცესი ინდივიდუალურ-ლოკალური ხასიათის მატარებელია და პირუტყვსაც კომლთა გარკვეული ნაწილი ფლობს და არა მასიურად გლეხთა ოჯახები. ცხადია ამ ეტაპზე საუბარი არ მიდის კონცენტრირებულ მეცხოველეობაზე. „ვანთან“ დამოკიდებულებაში ეს ასე გამოიყურება, მაგრამ XX საუკუნის მიჯნიდან, როდესაც აგრარულ სექტორში შემოღწევას იწყებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფორმები და მიმართულებანი, სიტუაცია ნელ-ნელა იცვლება და იღებს დარგის ახალ მოთხოვნათა შესაბამისობაში გადაწყობის სახეს. უკვე ფიქსირდებიან ცალკეული ოჯახები ან ე. წ. ,,ბაბუისშვილები“, რომლებიც ამ სფეროში შეკავშირებულად მოქმედებდნენ. ისტორიკოს ივანე ხურციძეს, რომელმაც შეისწავლა თავისი სოფლის უხუთის ისტორია აქვს ასეთი ფაქტები დამოწმებული. ანალოგიური აღინიშნება სოფლებში, ძულუხსა და სულორშიც, ხოლო ყოფილი თავადი ნესტორ ერისთავი, რომელიც საკითხთა მიმოხილვისას არაერთხელ დავიმოწმეთ, გვაწვდის ინფორმაციას, რომ მათი კუთვნილი ალპური ზონის საძოვრები მოუქცევიათ იჯარის ქვეშ და მეჯოგეები საბალახოს ქირად ყოველ 100 სულ პირუტყვზე წლის მანძილზე გვაძლევდნენ 3-3 სულსო და წლის მანძილზე ასე გროვდებოდა ხან 100, ხან 120 სულიო. ასეთი რაოდენობის ქირის გადახდა მეცხოველეობის კოლოსალურ სულადობაზე მიუთითებს, დაახლოებით 10000 სულამდეც. ეს მონაცემები გაზვიადებულიც რომ

იყოს ფაქტს დიდად ვერ ცვლის, რადგან მინიშნება უკვე გაკეთებულია კონცენტრირებულ მეჯოგეობაზე, ანალოგიურ სურათს ვაწყდებით თავად ნიკოლოზ ჩიჯავაძესთან დაკავშირებითაც („მატიანე“ – №7), ამდენად მეცხოველეობა ნელ-ნელა ხდება მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი. საქმიანობაც, როგორც ჩანს, იღებს ან უკვე მიღებული აქვს კაპიტალისტური მეურნეობრიობის დამახასიათებელი სახე და ნიშნები. დაახლოებით ანალოგიურია ბარის ერისთავების ახლო ნათესავის, ლორთქიფანიძის მოქმედებაც, რომელსაც მიწის ნაკვეთების გაყიდვის შემდეგ შეუძენია პირუტყვი და პროცესისათვის მიუცია ორგანიზებული სახე.

გ. მაკალათია თავის ნაშრომში – „მეცხოველეობა ზემო იმერეთში“ გვაწვდის ინფორმაციას, რომ ქვემო იმერეთის ბაღდათისა და ვანის რაიონებში შენიშნულია ორგანობის სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ პირებს, რომლებიც მეჯოგეობას ეწეოდნენ საძოვრებისა და მათზე მოწყობილი შესაბამისი ბაზების სახით გააჩნდათ საზაფხულო-საზამთრო ადგილები და ეს პროცესი მთიანი ზონებისათვის ყოფილა დამახასიათებელი. მაგალითები ჩვენ ზემოთაც მივუთითეთ, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი ახლო ურთიერთობდა ასეთი ოჯახების თანატოლ-შთამომავლობასთან, რომელთა „ბაბუიშვილებს“ გააჩნდათ რამდენადმე კონცენტრირებული მეცხოველეობა შესაბამისად ორი ადგილით და თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, ადრეც და შემდგომშიც ცხოვრობდნენ შეძლებულადაც.

მეცხოველეობის ირგვლივ ამ კონტექსტში ჩამოყალიბებული საუბარი, როგორც ითქვა, არ ნიშნავს და არ უნდა მივიღოთ ისე, რომ „ვანის“ სოფლების ყველა ოჯახს გააჩნდა (ან დღეს გააჩნია) პირუტყვი. მითუმეტეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა „შემსრულებელი“, ან გადაადგილების საშუალებანი – ხარიც და ცხენიც.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გამოტანილი აქვთ ცალკეულ მკვლევარებს და გზადაგზა შეხებაც გვიხდება მასზე, ადასტურებენ ამ შეხედულებათა სიმართლეს. განსაუთრებულად რთულად იდგა საკითხი საგანგებო სიტუაციათა დროს, როდესაც კავკასიის მმართველობის განკარგულებით ხდებოდა არამარტო მუშა პირუტყვის, არამედ სახორცე პირუტყვის რეკვიზიციაც. ეს პროცესი მეტნაკლები ფორმით დასტურდება „ვანის“ სოფლებთან შეხებაშიც, რადგანაც რუსეთ-თურქეთის საომარი მოქმედებებისას, რომელიც საქართველოს სამხრეთის საზღვრების ახლოს მიმდინარეობდა. ,,ვანის'' სოფლების მოსახლეობაზე მოდიოდა დატვირთვა საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე არა მარტო ადამიანთა რესურსების მობილიზებით, არამედ საბრძოლო აღალის გადატანითაც. ამას განაპირობებდა ის გზები, რომლებიც „ვანის“ სოფლებიდან სამხრეთ საქართველოსთან დასაკავშირებლად ალპური საძოვრების გადავლით გამოიყენებოდა.

როდესაც ,,ვანის” აგრარულ სამეურნეო კულტურათა განლაგებას ვეხებით უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: წინამდებარე თხრობის ფორმატი არ იძლევა საშუალებას და არც ვთვლით აუცილებლად, მიმოვიხილოთ მათი ყველა სახეობა – რომელნიც ჩვენს აღწერილობაში ვერ მოხვდა. თუმცა შეფასება შეიძლება გაკეთდეს ასეთი – „ვანის“ სოფლების განლაგება, კლიმატური მდგომარეობა, ნიადაგობრივი ფაქტორი ქმნიდა საშუალებას აქაური გლეხი დაკავებულიყო მრავალფეროვან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლით, რომელიც ცხადია, ტექნიკური ჩამორჩენილობისა და აგრონომიული ცოდნის სიმწირის პირობებში ეყრდნობოდა მხოლოდ მათ მიმართ მიდგომისა და დამოკიდებულების შემონახულ ტრადიციებს, რაც ცუდი არაა, მაგრამ პროგრესირებისათვის რეალურად არასაკმარისია. დაკავშირებული იყო უმძიმეს ფიზიკურ შრომასთან, შეუმსუბუქებელ ვალდებულებებთან გაბატონებულთა და სახელმწიფოს წინაშე, რომელთაგანაც გლეხი, ძირითადი მწარმოებელი, XX საუკუნის 10-იან წლებამდე გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, თითქმის ვერავითარ მნიშვნელოვან ხელშეწყობას ვერ იღებდა. ინტერესს იწვევს „ვანში“ სამეურნეო ურთიერთობანი, ფორმები და მიმართულებანი. ჩემი აზრით, არ შეიძლება დახრა მხოლოდ იმ პოზიციაზე, რომ, რადგან სამეურნეო საქმიანობა 1880-1920 წლების პერიოდში განეკუთვნება ფეოდალური ინსტიტუტების ნგრევიდან ბურჟუაზიულ მიმართულებებზე გადასვლას, მდგომარეობა შეფასდეს მხოლოდ მუქი ფერებით. ეს არ იქნება ობიექტურობა. მოგვიწევს თქმა იმისა, რომ არსებული კონსერვატიულ-უძრაობითი პროცესებიდან, ცხოვრებამ დღის წესრიგში დასვა ურთიერთობათა ცვლის აუცილებლობა, რომელიც

საზოგადაოებრივი განვითარების კანონზომიერებათა ლოგიკიდან გამომდინარეობდა და ის ძვრები, რომელიც ამ მხრივ „ვანის“ მთელ რიგ სოფლებთან მიმართებაში შეიმჩნევა, არამაქსიმალური, მაგრამ შედარებითი პროგრესული მოვლენა მაინცაა. სახეზე გვაქვს საზოგადოებრივ ფენობრივი დიფერენციანციაც, „ვანისათვის“ მარტივ დონეზე, მაგრამ სამეურნეო დარგთა სპეციალიზაციის ჩამოყალიბების საწყისებიც, სავაჭრო-სამეურნეო-საკრედიტო ურთიერთობათა ახალი ფორმების დამკვიდრებითი ხასიათი, შიგა მანუფაქტურული წარმოებრივი პროცესების დაძვრა და ა. შ. ასე, რომ თუმცა „არანახტომისებური“, მაგრამ ცხოვრების ზოგიერთ სფეროში დროის შესაბამისი გამოღვიძება და წინსვლითი ხასიათი სახეზეა.

ამდაგვარი, ინერტული მდგომარეობიდან გამოსვლა მოკრძალებულად, მაგრამ, მაინც მოჰყვა 1905-1907 წლების რევოლუციებსაც, რომელმაც მძაფრად შეარყია რუტინად ქცეული ყოფიერებაც. ხელისუფლებაც იძულებული გახადა ეფიქრა რეფორმათა უფრო კონკრეტულ რეფორმირებაზე, რის შემდეგაც მოქმედებაში ჩაერთო საგლეხო საკრედიტო ბანკები „საკრედიტო ამხანაგობებიც“ თავისი არამასშტაბური მოქმედებით, მაგრამ ადგილებზეც გახსნა ინიციატივის გზები სამეურნეო ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის. ამ ქმედების ჩანასახი ჯერ კიდევ ადრე XIX საუკუნის 70-იან 80-აინ წლებში გამოჩნდა, როდესაც „ვანის“ მეზობელ დასახლებებში გოჩა ჯიხაიშში, დიდ ჯიხაიშში, ბახვში, ოზურგეთში და ა. შ. ფუნქციონირებას იწყებენ „ფულის შემნახველ – გამსესხებელი“ ამხანაგობები. XIX საუკუნის მიწურულისათვის ანალოგიური ამხანაგობის (როგორც ზემოდაც ვთქვით) ფუნქციონირება ჩანს „ვანის“ საზოგადოების სოფელ ვანში და ამაზე დასტურს იძლევა კავკასიის მთავარმმართებლის, თავად გოლიცინის სახელზე „ვანის“ სოფლის საზოგადოების სახელით დეპუტატთა მიერ გაგზავნილი საჩივარიც, რომელშიდაც პირდაპირაა მითითებული სხვა ფუნქციონირებად დაწესებულებებთან ერთად აღნიშნული ამხანაგობის მოქმედებაც და დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს წარმოადგენდა ძირითადად გლეხთა ფინანსურ საშუალებეზე აღმოცენებულ ამხანაგობას, რომელსაც პიროვნულ პრობლემათა მოსაწესრიგებლად იყენებდნენ და ამავე დანიშნულებით უნდა გაეცათ სესხებიც, მაგრამ ასეთი ამხანაგობები მიზეზთა გამო მალე სწყვეტდნენ საქმიანობას. სამაგიეროდ, შედარებით ფესვმაგარი გამოდგა 1910-იანი წლებიდან ჩამოყალიბებული საკრედიტო ამხანაგობები. ესენიც შექმნილია იმავე პრინციპითა და მიზნებით და გუბერნიის მასშტაბითაც, მათი ფუნქციონირება დასტურდება. ამ მხრივ მსგავსი ტიპის ამხანაგობებიდან გამორჩეულნი ყოფილან და ნდობაც მოუპოვებიათ ხონის, ფარცხანაყანების, დიდი ჯიხაიშისა და მათთან ერთად ტობანიერისა და სოფელ „ვანის“ საკრედიტო ამხანაგობებს, რომელთაგან აღებულ სესხებს როგორც აღინიშნა გლეხობა სამეურნეო დანიშნულებით იყენებდა.

„1913 წელს ტობანიერის საკრედიტო ამხანაგობამ თავის წევრებზე სესხად გასცა 19176 მანეთი, აქედან სახნავი მიწისა და ვენახის საყიდლად გამოყენებული იქნა 8950 მანეთი, მიწის იჯარით ასაღებად 795 მანეთი, წისქვილისა და სახლების შესაკეთებლად 1070 მანეთი, მუშა პირუტყვის შესაძენად 2125 მანეთი, მევახშური ვალების გასასტუმრებლად 3915 მანეთი“. „სოფელ ვანის“ ანალოგიურ ამხანაგობას ამავე პერიოდში გაუცია თითქმის იგივე დანიშნულებით 57000 მანეთი, იმ კურსით საკმაოდ სოლიდური თანხა და უნდა ვივარაუდოთ, რომ როდესაც სოფელ „ვანში“ (დღვანდელი ქ. ვანი) საკითხი დადგა საზოგადოების მიერ აფთიაქის გამოსყიდვაზე, რომლის ღირებულებამაც 12000 მანეთი შეადგინა, გამოყენებული იქნა საკრედიტო ამხანაგობის სესხიც და დროში პროცესიც ემთხვევა საკრედიტო ამხანაგობის მოქმედებას.

არაა გამორიცხული ანალოგიური ამხანაგობების მოქმედება სხვა სოფლების საზოგადოებებშიც. კონკრეტულად, სოფელ უხუთის საზოგადოებაში, რადგანაც, როდესაც გლეხებს აქ შეუძენიათ 500 ქცევა ტყე თავად ერისთავისაგან ისისნი დაეყრდნობოდნენ სოფლის საკრედიტო ამხანაგობებს და ა. შ.

რეფორმის შემდგომ განვითარებულმა პროცესებმა მკაფიოდ დასვა საკითხი მიწასთან დაკავშირებული სამეურნეო ურთიერთობების და დამოკიდებულებათა ახალი ხედვით წამოწევის შესახებ. ეს არ იყო მარტივი საკითხი და უკავშირდებოდა აუცილებლობით განსაზღვრულ მოქმედებათა ფორმების ცვლას. ზოგჯერ ეს შეიძლება იყო იძულებითიც, მაგრამ იმ პირობებისათვის შეუქცევადობით ნაკარნახევი.

3. მატიანე

ქუთაისის გუბერნიასა და მაზრაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე „ვანის“ მოსახლეობის მიწის მფლობელობასა და მიწით სარგებლობის დინამიკასა და პრობლემებზე უკვე ვისაუბრეთ და როდესაც შევეხებით „ვანის“ სოფლებში მიწის „სარეალიზაციო საქონლად“ ქცევის ფაქტებს, შედარებით ნათლად დავინახავთ დროის მოთხოვნით ჩამოყალიბებულ რადიკალურ ცვლილებებსაც, მაგრამ, მანამდე სურათი ვანისათვის არის იდენტური, ქუთაისის მაზრაში არსებული ვითარების მეტ-ნაკლები ფორმით შესატყვისი და რა თქმა უნდა, არა განსაკუთრებული.

მიუხედავად იმისა, რომ 1900-იანი წლებისათვის რეფორმიდან 35 წლის მანძილზე მიწაზე საკუთრებითი დინამიკა გვარიანადაა დარღვეული, რომ ქუთაისის მაზრაში გლეხთა საკმაო ნაწილმა დამოუკიდებლად, სახელმწიფო სესხების გარეშეც შესძლეს სანადელო მიწების ნაწილთა გამოსყიდვა, მიწის ფლობის საკითხებში მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა არსებული რეალობისაგან და მიწების 70 % კვლავ მსხვილ მფლობელთა ხელშია. მათ რიცხვში ჯერ კიდევ შედიან თავადაზნაურობის წარმომადგენლები და სოფლის ახლადაღმოცენებული ბურჟუაზიის ის მცირე მასა, რომლებმაც მიწების შესყიდვით ჩაანაცვლეს მიწის ყოფილი მფლობელები, ყველა ნიშნის მიხედვით ანალოგიური სიტუაციაა „ვანშიც“. აქვე ყურადღება მისაქცევია საპირისპირო რეალობაც: ,,წვრილ მიწათმფლობელთა რიცხვი, რომლებიც ამ დროისათვის ქვეყნის მოსახლეობის 90% შეადგენს, ფლობენ სავარგული მიწების მხოლოდ 28%. მაგრამ მიწის ამ შედარებით მცირე მასიდან ისინი ქმნიან ქვეყნის აგრარული პროდუქციის 70%-ზე მეტს, ხოლო 30% დანარჩენი მიწის მფლობელები ერთად აღებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მიღებული პროდუქციის ეს მასა მთლიანობაში ამ პროდუქციის შემქმნელთა საკუთრებაა და უცვლელად შეუძლიათ მათი განკარგვა. ეს პროცესი აქცენტირებას აკეთებს არა მარტო შრომის მწარმოებლურობაზე, არამედ უკვე ნახსენებ, სხვა რადიკალურ მიმართულებაზეც. მწარმოებელი ძალის დაკარგვით გაბატონებული ფენა ჰკარგავს ეკონომიკურ პოტენციალსაც. ეს მრავალგვარი ფაქტორით შეიძლება აიხსნას-მიწების ნაკლებ ინტენსიური დამუშავებიდან ან ვერდამუშავებიდან იმის ჩათვლით, რომ ფაქტორთა გამო, შეუძლებელი ხდება მიწის წარმოების ძირითადი საშუალების მაქსიმალური დატვირთვა. მიანიშნებს იმაზეც, რომ ის სოლიდური თანხა, რომელიც თავადაზნაურობამ გლეხთა განთავისუფლებისათვის კომპენსაციის სახით მიიღეს ასევე გარემოებათა გამო ეფექტურად ვერ გამოიყენა. მწარმოებელი ძალის დაკარგვის კომპენსაცია ვერ მოახდინეს და ეს სურათი იქნებოდა უფრო მძიმე, რომ რეფორმას მიწებით მანიპულირების საშუალებით, გლეხობა კვლავ ყოფილ მებატონეებზე, მიწის მფლობელებზე მიბმულნი არ დაეტოვებინა.

„ვანში“ მიწის მფლობელთაგან ნაკვეთების ნაკლებ ათვისების ერთეულ მაგალითებზე ყურადღება გამახვილებული აქვს ალ. მაღლაკელიძესაც. ამასვე ადასტურებს „ვანის“ სოფლებში მიწების სანაშენოდ გაცემის, გაიჯარების, „გაზიარების“ მრავალრიცხოვანი ფაქტები, მიმანიშნებელი იმისა, რომ გაბატონებულ-შეძლებულ ფენებს მიწა აქვთ, მაგრამ მწარმოებელი ძალები არ ჰყოფნით და არც წარმოების ტექნიკურ საშუალებათა პროგრესი იგრძნობა, ხოლო მწარმოებელ ძალებს მიწა კვლავ მცირე რაოდენობით აქვთ და რადგანაც ოჯახის რჩენის საჭიროება ითხოვს, იძულებული არიან შეძლებული ფენების განკარგულებაში არსებული მიწები დაამუშაონ. ამიტომაც აქ, სამეურნეო ურთიერთიობათა ფორმებში გამოკვეთილ მიმართულებებს იღებს იჯარაც, გაზიარებაც, სანაშენოდ გაცემაც და ა. შ. ამ შემთხვევაში იძულებიდან გამომდინარე ნებაყოფლობით, მიწისმფლობელთან საიჯარო დამოკიდებულებით ურთიერთობებზე გადასვლა, რომელიც რიგი აქტებით „ვანის“ სინამდვილეში გაზიარების სახელითაცაა მოხსენიებული, თუმცა შინაარსობრივი მხარე თითქმის იჯარის იდენტურია.

ზემოდ მითითებულ პროცესებზე, ადგილზე დაცული მასალების შესწავლა, ანალიზი და შედარება საერთოდ განვითარებულ მოვლენებთან საშუალებას იძლევა შეფასება გაკეთდეს რამდენიმე მიმართულებით. ბევრი მომენტია აქედან საგულისხმო და დამახასიათებელი, რომლებიც განსაზღვრავენ სამეურნეო ურთიერთობათა ფორმებსაც:

ა) გამოყენებულია თითქმის ყველა სახის საიჯარო ფორმა, ნატურალურიც და წინასწარ ფულის გადახდის ფორმითაც, მაგრამ ძირითადში დომინირებს ნატურალური იჯარა, როდესაც

მოიჯარე ხელშეკრულებით ადასტურებს ნატურპროდუქტით იჯარის ქირის გადახდის ვალდებულებას. ამ ფორმის მასიურობა მიუთითებს იმაზეც, რომ ალბათ იგი ყველაზე მოსახერხებელი იყო ორივე მხარისათვის.

ბ) ფულადი საიჯარო ურთიერთობის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირებულია უშუალოდ სოფლის საკრედიტო ამხანაგობისაგან. მაგალითად, სოფელ ტობანიერის ანალოგიური სახის ამხანაგობას კონკრეტულ პირებზე ამ სახით გაუციათ 800 მანეთამდე. აღნიშნულია სხვა ინდივიდუალური ფაქტებიც და გამაიჯარებლისაგან დადებული პირობა იმაზეც, თუ იგი გადაწყვეტს გაიჯარებული ნაკვეთის გაყიდვას. ის უნდა მიჰყიდოს მხოლოდ მოიჯარეს.

გ) იჯარაში შეტანილია სავარგულებიც (ძირითადად საყანე მიწებიც) და ტყეც. ყურადღებას იქცევს სანაშენო მიწების იჯარით აღება, რომელზედაც განსაკუთრებული პირობებით შეიძლება გააშენო გამაიჯარებლისათვის საინტერესო მრავალწლიანი კულტურები. ამ შემთხვევაშიც პრიორიტეტს კარნახობს გამაიჯარებელი.

დ) დაფიქსირებულია ნაკვეთის გაზიარებაც, მათზე შედგენილი ხელწერილები ძირითადში იჯარის ფორმის მატარებელია და დამატებით ამ საკითხზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ, მაგრამ სანაშენოდ ნაკვეთების გაცემას მიცემული აქვს კონკრეტული სიახლის მიმართულება, რომელიც ხელს უწყობს დამატებით სამეურნეო კულტურების განაშენიანებასა და ექსპლოატაციაში შეყვანას. ასეთი რამ დამახასიათებელი ჩანს საპაიჭაოს, ტობანიერის, შედარებით მაღალმთიანი ზონის სოფლებში, დასტურდება ასეთი რამ იშვიათად ბარის ზონაშიც. სამეურნეო ურთიერთობათა ამ პროცესებში მოიჯარე, როგორც წესი, სამუშაოს ასრულებს საკუთარ ფიზიკურ ან ოჯახის წევრთა შესაძლებლობებზე დაყრდნობით და საკუთარი საწარმოო იარაღების საშუალებებით.

ე) ყურადღებას იქცევს არა მარტო გაიჯარების პირობები და გათვალისწინებული ურთიერთობანი, არამედ საჭირო საბუთების გაფორმება-მოწესრიგების მხარეც. ე.წ. კონტრაქტები გაფორმებულია ოფიციალურ დონეზე, მოწმეთა თანდასწრებით და დამოწმებულია სოფლის საზოგადოების მამასახლისის ან მისი თანაშემწის მიერ.

სულ სხვა სურათს იძლევა იჯარის გაფორმება სახაზინო მიწებზე (სახელმწიფო მიწებზე). ასეთი შემთხვევები მრავლად არაა დაფქსირებული, მაგრამ ერთეული ფაქტები საკმარის წარმოდგენას ქმნის გარიგების სკრუპულოზურობასა და მიმართულებაზე. თავის საინტერესო დაკანონებული დებულებით. რაც ადასტურებს, რომ სახაზინო მიწებზე საიჯარო გარიგებები უშუალოდ იყო მოქცეული მაზრის ხელისუფლების მხედველობის არეში და კანონითაც გააჩნდათ ამდაგვარი ვალდებულებანი. ამდენად ასეთი საიჯარო ფორმა უფრო დახვეწილი და მაღალვალდებულებითი ხასიათის მატარებელი ჩანს ორივე მხარისაგან, მეიჯარისაგანაც (სახელმწიფოსაგან) და მოიჯარისაგანაც პროცესი კონტროლდებოდა ქუთაისის გუბერნიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსაგან, ამ სამმართველოს სათანადო ჩინის პიროვნების მეშვეობით (მოცემულ შემთხვევაში ზედამხედველი ვინმე დოდაევი). მხარეთა მიერ დაშვებული გადახრები ისჯებოდა ჯარიმებით (ე. ი. თანაბრად ვრცელდებოდა სახელმწიფო უწყებაზეც). როგორც ითქვა, კონტრაქტები შედგენილია საქმის ცოდნით, გათვალისწინებულია მხარეთა ვალდებულებანი, აღებულ ვალდებულებათა შესრულების ხელშემწყობი პირობებიც ატარებს, როგორც სამეურნეო, ასევე სამართლებრივი დაცვის გარანტიებს და ცდილობს არა მარტო იურიდიულ-სამართლებრივი გადახრების გამორიცხვას, არამედ სამეურნეო შედეგების მიღწევას. აქ, არასახაზინო მიწების გაიჯარებისაგან განსხვავებით (ე. ი. კერძომფლობელებისაგან განსხვავებით) სახელმწიფოც იღებს კონკრეტულ ვალდებულებებს და შეთანხმების დოკუმენტში შეაქვს ის პირობებიც, რომელიც მან უნდა განახორციელოს მოიჯარეზე დახმარების სახით.

„ვანში“ მიწასთან დამოკიდებულების სამეურნეო ურთიერთობათა ცვლის მეტნაკლებად გამოკვეთილი და თუ შეიძლება ითქვას, განსხვავებული ეტაპი დაწყებულია XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც აგრარულ სფეროში ჩარევას იწყებს სახაზინო და კერძო ბანკები. საქმე ეხება მიწისმფლობელთა მიერ ბანკის სესხების გამოსატანად გირაოში ჩადებულ მიწების საკითხს. რამდენიმე მომენტია აქ საგულისხმო: ვიდრე

კერძო მსესხებლებისაგან, ძირითადად, თავადაზნაურებისაგან, ვალების გადახდა მოხდებოდეს ბანკებს, როგორც წესი დაუწყიათ გირაოში ჩადებული მიწების გაიჯარებაც, მაგრამ ფაქტობრივად ჩანს ისიც, რომ ბანკისაგან ფულის მსესხებელი მოვალეები საბოლოოდ ვეღარ ახერხებენ სესხის გადახდას, მანამდე პროცენტის დროულ დაფარვასაც და ბანკი უკვე უშურველად მიდის იმაზე, რომ გირაოში ჩადებული მიწები გაიტანოს გაყიდვაზე.

ანალოგიურად მოქმედებს ქუთაისის „მიხაილოვის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი“, ციხესულორიდან კონკრეტულ მფლობელთა მიერ გირაოში ჩადებული მიწების მიმართ. კონკრეტულად დიხაშხო-სალხინოს მიწების გარკვეული ნაწილი ასევე მოიხსენიება „ბანკის მიწებად“, რომელთა დაბრუნება შემდეგში მეპატრონეებს გაუჭირდათ. ხაზინამ თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია საკმაოდ ვრცელი ტერიტორიები ერისთავთა სამფლობელოდნ, ალპური საძოვრების, ტყისა და ჭოკიანის აბანოს ჩათვლით. არის სხვა მაგალითებიც და ზოგიერთ მათგანს, ოღონდ განსხვავებულ კონტექსტში, კვლავ შევეხებით. დაახლოებით ასეთი სურათის მატარებელია „ვანის“ სოფლებისათვის მიწის მფლობელობის, მიწათსარგებლობის, სამეურნეო ურთიერთობათა ფორმები, რეფორმიდან თითქმის 50 წლის მანძილზე, ვიდრე XX საუკუკის 10-იან წლებამდე. თუმცა ამის შემდეგაც, როგორც ითქვა, ძალიან რთულად განიცდის ცვლილებებს, მაგრამ 1905-1907 წლების რევოლუციამ და საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა აგრარულ სფეროსთან დამოკიდებულების საკითხები რამდენადმე შეატრიალა.

„ვანის“ სოფლებთან მიმართებაში ცვლილებანი ნაკლებ ასახული ჩანს შრომის პირობებზე. ტექნიკური პროგრესი სამეურნეო მიწათმოქმედების საკითხებში კვლავ ჩარჩენილია არქაულ დონეზე. აქ სხვა დამატებითი საშუალებების არარსებობის გამო მიწა წარმოადგენს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ერთადერთ ღერძს. ბარი, თოხი, კავი, გამწევი ძალა— შრომის ძირითად იარაღებს. ურემი, ცხენი სპეციალური საზიდრები – ადგილობრივ და უფრო შორი გადაადგილების, ტვირთგადაზიდვის, საკომუნიკაციო ურთიერთობათა საშუალებებს, რომელშიდაც განსხვავებული მდგომარეობაა ბარისა და მთიანი ზონის მოსახლეობის მიერ აღნიშნულ საშუალებათა რელიეფთან მისადაგების საკითხებშიც. მთიანი ზონისათვის კავი, ურემი და ზოგიერთი სხვა იარაღები შედარებით მარტივი ფორმის მატარებელია ვიდრე ბარში, სადაც მას შემდეგ, რაც სამიმოსვლო არტერიათა მოწესრიგების შედეგად რუსეთიდანაც საქართველოს ბაზარზე იწყება შედარებით გაუმჯობესებული შრომის იარაღების შემოტანა, „ვანის” ბარის ზონის სოფლებშიც არამასიურად, მაგრამ უკვე ჩნდებიან რკინის გუთნები, რომელნიც მოხმარებისა და შრომის მწარმოებლურობის თვალსაზრისით გაცლებით პროგრესული ჩანან. ფაქტორთა გავლენით, მიუხედავად კლიმატის ხელსაყრელობისა. აგრარული წარმოება „ვანის“ მოსახლეობისათვის იყო ურთულეს შრომასთან დაკავშირებული განსაკუთრებულად მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც ფერდა ადგილების სიჭარბის გამო რთულდებოდა გამწევი ძალის გამოყენებაც. ამ დროს თოხთან ერთად მოქმედებაში შედიოდა ადამიანის ფიზიკური ძალა. აუცილებელ, კოლოსარულ შრომას უკავშირდება ასეთ ადგილებში ახალი მიწების ექსპლოატაციაში შემოყვანაც, რომელიც ძირითადად გატყიანებული ადგილების (ე. ი. „უყის“ მანამდე აუთვისებელი ადგილების) ათვისებას მოითხოვდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ მუშა პირუტყვსაც ოჯახთა გამონაკლისი ბედნიერები ფლობდა და მონათხოვრებიც დაკავშირებული იყო შრომა-მიგებით პროცესებთან, თვალსაჩინო ხდება ოჯახისა და მათ წევრთა შრომითი პირობების სირთულე. ამის გამოც საუკუნეებში ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთწახმარების ფორმა, როგორიცაა ნადი და რომელიც ასევე შრომამიგებით ურთიერთობებს ემყარება, კვლავ რჩება ურთულეს პირობებთან კოლექტიური გამკლავების საშუალებად. როდესაც მეცნიერი და მკვლევარი თ. გელაძე მსგავს საკითხებს ეხება თავის ნაშრომში „შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში“, მიდის დასკვნამედე, რომ აქ მოქმედებაშია კოლექტიური შრომის სხვადასხვა ფორმა, რომელიც, ძირითადად, ნადის სახით ვლინდება და ვინაიდან იგი თავისი ფორმითა და შინაარსით დამახასიათებელია ვანის სოფლებისთვისაც. მოკლედ შევეხოთ მათ:

ა – მარტივი ფორმა – გაჭირვებული ოჯახებისათვის დახმარება ანაზღაურების გარეშე.

ბ — ქალების ნადი, რომელზედაც ქონებრივი გავლენა ზემოქმედებას ვერ ახდენს.

გ — კოლექტიური შრომა, რომელიც დგებოდა ერთ ,,ბაბუისშვილობაში" შემავალი პატარა ოჯახების მიერ გაყოფილი მიწების დამუშავების დროს.

დ — კოლექტიური შრომა ნადი, რომელიც ეწყობოდა შეძლებულთაგან, მისივე მოწვევით ანაზღაურების გარეშე.

ე — სანაცვლოდ მუშაობის პრინციპზე აგებული შრომა დამყარებული იყო ურთიერთშეთანხმებასა და არ ატარებდა რაიმე დაკანონებულ ვალდებულებით ხასიათს.

ვ — ურთიერთშეზიარების ფორმა.

დასკვნა ასეთია: ამდაგვარი შრომის ორგანიზაციის გარეშე შეუძლებელი ხდება კონკრეტული ოჯახი, როგორი მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს იგი, გასწვდეს სამუშაოთა მთლიან მოცულობას (საკუთარ ნაკვეთშიც, საიჯაროშიც და ა. შ) ამ პროცესში ქართველთა ხასიათიდან გამომდინარე ორიგინალური სახის მატარებელია შრომის პროცესთა გადანაწილების მიღებული ფორმა, რადგანაც იგი ოჯახის შიგნითაც და საერთოდაც გარკვეული „ჯენლტმენური" დამოკიდებულების მატარებელია: უფრო რთულ სამუშაოთა შესრულებას ოჯახშიც და საერთო საქმიანობაში — ნიადაგის დამუშავება, ბარვა, თოხნა, კავსა და გუთანზე მოკიდება და ა. შ. კისრულობს მამაკაცი. შედარებით მსუბუქი სამუშაო, მაგალითად სიმინდის ტეხვა, გარჩევა, საბოსტნე ნაკვეთის დამუშავება, და ა. შ. მამაკაცთან ერთად ეკისრებოდა ქალსაც. კიდევ უფრო მსუბუქისა ბავშვებს, რა თქმა უნდა თავიანთ შესაძლებლობათა ფარგლებში, აქედანვე აჩვევდნენ შრომის ფერხილსაც. ასე, რომ ეს, ჩამოყალიბებული ტრადიციის სახით არსებობდა „ვანის" სოფლებშიც და გვხვდება დღესაც XXI საუკუნის საწყის ეტაპზე, როდესაც აგრარულმა საქმიანობამ, სამწუხაროდ, კვლავ გაიხსენა შრომის ის მეთოდები და საშუალებანი, რომელიც დამახასიათებელი იყო 100-ზე მეტი წლის წინ, ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში.

შრომის საქმიანობასთან შეხებაში ყურადღების გამახვილებას საჭიროებს ზოგიერთი მომენტიც, რომელიც ვანის გლეხობის შრომით ალღოს, დაკვირვებასა და გამოცდილებას უკავშირდება.

უდავოა, ჩვენს მიერ მიმოხილულ პერიოდში არ მიდის საუბარი შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე. ნიადაგის აგროთვალსაზრისით შესწავლაზე, მისი ტექნოლოგიური თვისებების დადგენაზე, რომელიც დასავლეთის ქვეყნებისა და იმპერიის ზოგიერთ ადგილებში გაჰყვა პარტიკულარისტული ნგრევისა და ბურჟუაზიული განვითარების მოთხოვნებს. მაგრამ, მსგავსი პროგრესირებისაგან პროვინციები, მათ შორის „ვანიც", გასაგებ მიზეზთა გამო საკმაოდ შორს იდგა, სურათი ოდნავ იცვლება XX საუკუნის 10-იანი წლებიდან. საერთოდ იმპერიაში განხორციელებული დამატებითი რეფორმების შედეგად. ამ პერიოდამდე „ვანთან" მიმართებაში თითქმის არცერთი მასალა არ იძლევა კონკრეტულ დასტურს, რომ აქ აგრომომსახურება, ერთეული პროფესიონალი კადრებიც კი ფუნქციონირებდნენ. „ვანისათვის" დაბალი ტექნიკური განვითარების დონე, პროფესიონალი კადრების არარსებობა, რომელთა მოქმედება დაკავშირებული იქნებოდა აგრარული სფეროს სწორ კოორდინაციასთან, სიახლეთა გააზრებასა და დანერგვასთან, პრაქტიკულ მიღწევათა გაცნობიერებასთან, არის მსაზღვრელი იმისაც, რომ ადგილებზე შრომისმწარმოებლურობა დაბალი დონისაა და იშვიათი გამონაკლისის გარდა გლეხური ოჯახისათვის თავისი ნაშრომი ნახევარ წელზე ცოტა მეტ ხანს თუ კმაროდა. ეს იყო იძულებითი ბიძგი იქეთკენ, რომ გლეხს დამატებითი შემოსავლის წყარო ეძებნა. მიუხედავად ყველაფრისა, როდესაც ჩვენ „ვანელი" გლეხკაცის ალღოზე მივუთითებთ მხედველობაში გვქონდა არამარტო ტრადიცია, რომელიც წინაპართა გამოცდილებებს ეყრდნობოდა, არამედ ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობაზე საკუთარი მეთვალყურეობით, დაკვირვებით, შრომის პროცესში ჩამოყალიბებული ცოდნაც და გამოცდილებაც, განსაკუთრებულად ეს გამოუვლენია სამეურნეო საქმიანობათა ადგილის შერჩევისა და მასზე განლაგებული კულტურების განაშენიანებისას, რომელიც მიწებისა და ფართობების ვარგისიანობის მიხედვით კონკრეტულ ტოპონიმიკის სახით დღემდეა შემორჩენილი. ეს მიანიშნებს მიწების, თავისებურ ტექნოლოგიურ დარაიონებაზეც. ასეთი ტოპონიმები დაფიქსირებულია მიწის ყიდვა-გაყიდვის აქტებშიც, სანადელო ფურცლებშიც და არაიშვიათად განსაზღვრავს თუ რომელ მიწაზე რომელი კულტურა იძლევა უკეთეს მოსავალს. ამის გამოც თავისი საქმიანობით „ვანელი" გლეხი, ისე,

როგორც საერთოდ ქართველი გლეხობა, როგორც მწარმოებელი ძალა, შეიძლება ჩაითავლოს შემოქმედად, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ჯიშთა განლაგებისა და სელექციის სამუშაოში შეტანილი აქვს თავისი წვლილი. მაგრამ, როდესაც წამყვანმა ქვეყნებმა ბურჟუაზიული ცვლილებების საფუძველზე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ნატურალური მეურნეობის მსხვრევას მოაყოლეს განათლების შედეგებზე და ტექნიკაზე პროგრესირებული სასაქონლო პროდუქციის მწარმოებლურობის სწრაფი ზრდა, საქართველო მისი პროვინციული რაიონებით ჩამორჩა პროცესებს. ამას არაერთი ფაქტორი განაპირობებდა, მაგრამ ქართველთა დიდ მოღვაწეს ილიას მიაჩნდა, რომ აქ მთავარი განმაპირობებელი იყო დაბალი ცოდნა და განათლება, რომელზედაც მან ჩვეული თავაზიანობით, მაგრამ პირდაპირობით მიუთითა თავის სიტყვაში წინამძღვრინათკარში სამეურნეო სასწავლებლის გახსნისას.

ჩანს „ვანში“ აგრარულ სფეროში მოქმედი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ამ დეფიციტს მოკლებული არ იყო. თუმცა მას სწავლა-განათლების ჯეროვანი უნარი და ცოდნის გამოყენების პერსპექტივა ნამდვილად ჰქონდა. ეს დრომ დაამტკიცა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით, როდესაც საამისო პირობები შეექმნა. მაგრამ ასევე, ეს დრო არ ემთხვევა არც მეფის რუსეთის იმპერიულ და არც ამის შემდეგ მენშევიკურ მმართველობას.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ ქუთაისის გუბერნია, ქუთაისის მაზრა ქვეყნის შიგა ბაზარზე ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი მიმწოდებელი და მასში უდავოდ იყო „ვანის“ სოფლების კონკრეტული და არამასიური მოსახლეობის წილი, უნდა ჩავთვალოთ, რომ სფეროში ძვრები არის, მაგრამ რეალობა აჩვენებს, ეს ძვრები ჯერ კიდევ არ არის განპირობებული ასევე მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, აქ დაკონკრეტებას საჭიროებს ზოგიერთი გარემოება: ვისი ჭარბი პროდუქციაა ქცეული საქონლად და თუ ეს პროდუქცია განეკუთვნება მიწისმფლობელებთან ერთად მასიურ გლეხობას, რატომ ხდება, რომ მათი ცხოვრება კვლავ დაბალი, რომ არ ვიხმაროთ სიტყვა უკიდურესი დონისაა?!

მხედველობაშია მისაღები: უდავოდ, პროდუქციის შემქმნელნი არიან ადგილობრივი მწარმოებელი ძალები – გლეხები, მაგრამ მათგან შექმნილი პროდუქციის ვალდებულებით გადასახდელთა დიდი რაოდენობა ნატურალური სახით, გადადის მიწის მფლობელთა ხელში. არა აქვს მნიშვნელობა ეს მებატონეა, მევახშეა თუ კულაკი – პროდუქციის კონცენტრირება ხდება მათ ხელში, მათ განკარგულებაში და აქედანვე იღებს შიგა ბაზრის დაკმაყოფილებისა და საექსპორტო საქონლის სახეს. აქედან გლეხის მიერ შექმნილი პროდუქცია აქტიურადაა ჩართული ბაზარზე, მაგრამ არა ამ პროდუქციის მწარმოებლის სასარგებლოდ. მას უკუგება მოაქვს იმ პირებისათვის, რომლისგანაც ან რომელთა მეშვეობითაც იგი მონაწილეობს ბაზარზე აღებ-მიცემობის პროცესში.

ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული გლეხის კერძო პროდუქცია არ ხვდება აღებ-მიცემობაში მაგრამ ამას განსაზღვრავს რამდენიმე მომენტი: როდესაც გლეხმა შესძლო ჭარბი პროდუქციის დაგროვება და იგი გასცდა ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფარგლებს, ან პროდუქცია გასაყიდად შეაქვს იძულებითი ფაქტორების გავლენით, როდესაც აუცილებელ სიტუაციათა გამო იკლებს იმას რაც მისთვის აუცილებელია, მაგრამ გარკვეულ მომენტში ისევ გახდება იძულებული იყიდოს იმ სახის ნაწარმი, რომელიც საჭიროების გამო გაყიდა. პროცესი მიგვანიშნებს, რომ სარეალიზაციო პროდუქციას ფლობენ და განკარგავენ ისინი ვის განკარგულებაშიც იყო სავარგული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, იყენებდა ექსპლოატირებულ ან უკვე დაქირავებულ შრომას და შემოსავლის ძირითადი ნაწილიც მიდიოდა სწორედ მიწის გამქირავებლებთან (მფლობელებთან). არა მგონია ეს არ იყოს რეალობა!

აქედან რეზიუმეს სახით შეიძლება ითქვას: რიგ არასასურველ ფაქტორთა გავლენით „ვანის“ სოფლებიდან აგრარული პროდუქციის მწარმოებლურობის არამაღალი დონე განპირობებულია – 1. საერთო ტექნიკური განვითარების დროსთან ჩამორჩენილობით. 2. ასევე, მიწისმფლობელთა დაუინტერესებლობითაც ტექნიკური პროგრესირების სრულყოფაზე, რადგანაც პროცესი ითხოვდა დამატებით დანახარჯებს. ამ შემთხვევაში მფლობელი ამჯობინებდა არსებულზე შეგუებას, რადგან პრინციპში მისი არაფერი იხარჯებოდა, ხოლო დადგენილ წილს მიწის სარგებლობისათვის აუცილებლად იღებდა. 3. ხელით შრომის კოლოსალური კოეფიციენტი,

რომელიც არცერთ შემთხვევაში, არც სამუშაო დროის ოპერატიულობით, არც შრომის ნაყოფიერებით მოცემულ ფიზიკურ შესაძლებლობათა ზევით გასაქანს არ იძლევა. 4. მოუწესრიგებელი საკომუნიკაციო პირობები, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებს მაშინდელი პრესაც, „რომ ვანში უხვი მოსავალია, მაგრამ გზების მოუწესრიგებლობის გამო ბაზარზე ვერ გააქვთ და უფუჭდებათო“. ეს კი თავის მხრივ სტიმულის დამაქვეითებელი ფაქტორია. 5. გარდა პრაქტიკული ჩვევებისა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის უკმარისობა, რომელიც გამორიცხავს მიღწევათა და სიახლეთა გაცნობიერებულ გამოყენებას. 6. ვალდებეულებათა და გადასახდელთა სიმრავლე და გადახდის გარდაუვალობა, რომელსაც გლეხის ოჯახის ნაშრომის დიდი წილი მიჰქონდა. სხვათა შორის, ამ პროცესზე ყურადღებას ამახვილებდა მოგზაური რეინიგსიც, როდესაც აღნიშნავდა – ქართველი გლეხის სიზარმაცის შესახებ და მიუთითებდა, რომ მას სიზარმაცეს აიძულებს მოუწესრიგებელი კანონები, გადასახდელთა სიმრავლე, მიწისმფლობელის ხარბი ბუნება, რომ მას თითქმის მთელი მოსავალი მიაქვს გლეხისაგან და ამით შრომის დაინტერესებას აკარგვინებსო. ცხადია, აქ სიზარმაცე არაფერ შუაშია, მაგრამ კაბალური პირობები ყველგან წარმოგვიდგება, როგორც პროგრესირების ჩამხშობი და საქმისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების განმაპირობებელი.

შეიძლება ვთქვათ, „ვანის“ გლეხობა, რომელიც რეფორმების შემდეგ ჩაატიეს განსაზღვრული მოცულობის სავარგული მიწების საზღვრებში და მრავალრიცხოვანი გადასახადის ფორმატში, იძულებული ხდება მისთვის თავისუფალი დროის ფარგლებში მოიძიოს სხვა დამატაებითი სამუშაო. უკეთეს შემთხვევაში ასეთ პროცესად გვევლინება ოჯახური შიგა რეწვის განვითარება, მოხმარების სხვადასხვა საოჯახო ნივთების დამზადება და მისთვის სარეალიზაციო სახის მიცემა, ძირითადად დურგლობისაკენ მიდრეკილი ადამიანები აკეთებდნენ ამას. ამზადებენ ხის ჭურჭლეულობას, თევშებს, გობებს, ჩოგნებს, ფქვილის შესანახ კოდებს (კასრებს) მაგიდებს, ჯამებს, კოვზებს და ა. შ. იმისა და მიხედვით, რომელ პროდუქციაზე ჰქონდათ მოთხოვნილება. ამზადებდნენ დაკვეთით ან დაკვეთის გარეშეც, ბაზარზე გასატანად და ასეთი სახეობის ოჯახური შინარეწვა დამახასიათებელია „ვანის“ თითქმის ყველა სოფლისათვის, რომლებშიდაც კი, ამ ტიპის ოსტატები ცხოვრობდნენ. ხის დამუშავებასთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის XIX საუკუნის პერიოდიკაც, რომელშიდაც გადმოცემულია ცნობები ქუთაისის მაზრის სოფლებში ამდაგვარი საქმიანობისა და აღნიშნული საქმით დაკავეულ პირთა დაახლოებით შემოსავლებზეც: „ვანის საზოგადოება (საუბარია ვანის-თემ-საზოგადოებაზე მასში შემავალი სოფლებით) მდიდარია ხე-ტყის მასალით. 30 კომლზე ერთი დურგალი მოდის. აქ მზადდება ხის ჯამები, რომლებიც იყიდება 2-5 კაპიკად, ხოლო დიდი გობები 50-90 – კაპიკად. ურმების ფასი 10 დან 25 მანეთია. „ვანის“ საზოგადოებაში 60 ხარატია აღრიცხული[1]. პროცესი აჩვენებს, რომ სახეზეა ხის დამამუშავებელ ოსტატ-ხელოსანთა საქმიანობის დიფერენცირებაც. მაგალითად: ურმების მკეთებლები, რომლის ბორბლის დამზადებაც საკმაოდ რთულ და პროფესიულ შრომასთანაა დაკავშირებული; აკვნის მკეთებელნი, ეს საქმიანიობა ითხოვს განსაკუთრებულ ესთეტიკას, სახარატო საქმის ცოდნას, ყავრის მხდელები და სახლების მშენებლობისათვის ხისგან ფიცრების დამამზადებელი, სახლების მშენებლები და მისთვის კარ-ფანჯრების მკეთებელი, საოჯახო ავეჯის დამამზადებლებიც, რომელთა პროფესიული საქმიანობა განცალკავებულია და ა. შ. ყველა ეს საქმიანობა პროფესიულ შრომასთანაა დაკავშირებული და სრულდებოდა ზოგიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსაგან თავისუფალ დროს და როგორც ითქვა, ზოგსაც მიღებული აქვს პროფესიულ-პერმანენტული საქმიანობის ხასიათი. ამიტომაც ამ კუთხით ყურადღება მისაქცევია ის, რომ თუ ყოველგვარი ასეთი საქმიანობა ითვლებოდა მიწათმოქმედების დანამატად, იგი თანამიმდევრულად ყალიბდება, როგორც განკერძოებული, პროფესიული საქმიანობა, ხოლო პირები რომელთა მიერ შექმნილი ხის და ა. შ. პროდუქცია უკვე ჩართულია სავაჭრო აღებ-მიცემობაში, თანამიმდევრულად ყალიბდებიან საქონელმწარმოებლებად და კიდევ ერთი მომენტიც: ხის ხელოსნობა (ხუროობა) „ვანში“ საკმაოდ განვითა-

---

1. გ. გასიტაშვილი — ხის დამუშავების კულტურა იმერეთში (იმერეთი — მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის ავტ. კოლექტივი) გვ. 150

რებულია, ამაზე მიუთითებს აქ ეკლესიათა მშენებლობის საკითხებიც,

როგორც თ. ბერაძე თავის ნაშრომში „ვანის ისტორიული გეოგრაფია“ აღნიშნავს ჯერ კიდევ 1819 წელს „ვანის“ ტერიტორიაზე მოქმედი 33 ეკლესიიდან მხოლოდ 10 ყოფილა ქვისაგან, დანარჩენი 23 ხისაგან ნაშენი.“

ეს მდგომარეობა შენარჩუნებულია უფრო მოგვიანებითაც, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხის ხელოსნობა აქ განსაკუთრებულად პრივილეგირებულია. ცხადია, მათ საქმიანობას ხელს უწყობდა „ვანში“ ტყის მასივების სიდიდეც და ჯიშთა მრავალფეროვნებაც. „არის ქვეყანა ესე ფრიად ტყეში, რამე თუ იშვიათად არს ველნი“ ..... ყველაფერი დაფარულია ტყით და ზემოდან, რომ გადავხედავთ მხოლოდ ტყეს ვიხილავთ და არა შენობებსო. ეს არის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები იმერეთზე და იგი ვრცელდებოდა „ვანის“ სოფლებზეც. რადგანაც ვიცით, რომ სოფელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ტყეთა მასივებს საკმაოდ დიდი სივრცე ეჭირათ. ამასვე ადასტურებს გერმანელი რეინიგსიც და აღნიშნავს ხალხი ტყეებში ცხოვრობსო. ასე, რომ ტყის სიმრავლე გახდა ხელშემწყობი, მითითებული საქმიანობის გამორჩეულად განვითარებისათვის.

ანალოგიურად შეიძლება ვისაუბროთ მჭედლობაზეც. აქედან რკინისაგან შრომისა და საოჯახო ნივთების დამზადებაზე, რომელიც ასევე ჩართულია სააღებმიცემო პროცესებში.

ოფიციალური ლიტერატურით მითითებულია – მჭედლობა თავისი მრავალსახეობით ფეხმოკიდებულია იქ სადაც საამისო პირობებია. რა თქმა უნდა, საამისო პირობები და რკინის ნედლეული „ვანში“ არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ადგილობრივი მჭედლები საქმიანობდნენ შემოტანილი რკინის, ე. წ. ნახევარფაბრიკატების გადამუშავების საფუძველზე, რომლის შემდეგაც მას აძლევდნენ სასურველ ფორმასა და დანიშნულებას.

XX საუკუნის მიჯნიდან ვანში საქმიანობს რამდენიმე ოქრომჭედელიც. თუმცა, ეს ადამიანები აქ ჩამოსახლებული ებრაელები არიან.

იმის გამო, რომ „ვანის“ რამდენიმე სოფელში არსებობდა დამუშავებისათვის ვარგისი ბუნებრივი ქვა და ქვის სატეხებიც, გავრცელებული სახე აქვს ქვის მოხელეობას და ასეთი ქვებისაგან სახლების ბურჯების, ოჯახური ბუხრების მშენებლობასაც, რომელსაც იმ დროისათვის აგურისაგან განსხვავებით უპირატესობა ეძლეოდა. „ვანის“ მოსახლეობაში კარგად გათლილი, ფორმამიცემული ქვის ბუხრები დღესაც არა ერთ ოჯახშია შემორჩენილი და იგი ძირითადად პრესტიჟულ ნაკეთობად ითვლებოდა.

არა გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ „ვანის“ რომელიმე სოფლის საზოგადოებაში მოქმედებაში იყო მარტივი, მანუფაქტურის დონეზეც ჩამოყალიბებული შრომითდარგობრივი გაერთიანება, მათ შორის არც „ვანის“ სოფლის საზოგადოების ცენტრში – სოფელ „ვანშიც“, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო დაწინაურებული ჩანს. მასალები ამაზე ჯერჯერობით მიკვლეული ვერ იქნა. თუმცა არაა გამორიცხული, რომ დაახლოებით ასეთი რამ არსებობდა სოფელ „ვანის“ ცენტრში განლაგებულ ე. წ. ,,ურიების ბაზართან”, სადაც დასტურდება სავაჭრო ფარდულთა სიმრავლე და ზოგიერთი სახელოსნოც, რომელიც XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში მთლიანად გაუნადგურებია ხანძარს.

(გაგრძელება იქნება)

ვანელები ქვეყნის სულიერი და ფიზიკური აღმშენებლობის ასპარეზზე

ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) „ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისა“ და კრებულ „მატიანეს“ რედაქციას სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ მთელი XX საუკუნის პერიმეტრზე დღევანდელ დღემდე და დღევანდელობის ჩათვლით (განსაკუთრებულად XX საუკუნის 40-იანი წლებიდან) ქართულ-ეროვნული აღმშენებლობის საკითხებს ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ის ვანელები, რომელთა ჩამონათვალი ქვემოთაა მოცემული[1]. მათ ბედმა არგუნათ მდგარიყვნენ ქვეყნის სულიერი სიმტკიცის, მეცნიერების განვითარების, საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო მშენებლობისა და სრულყოფის ურთულეს პრობლემათა გადაჭრის ავანგარდში და ცდილობენ ესტაფეტა გადასცენ მომავალ თაობებს, ხოლო მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ საიდან მოდიან და საით მიდიან.

მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ისიც, რომ გარდა ამ პიროვნებებისა ვანში მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ, ასევე, გამოჩენილი ადამიანები, პედაგოგიური, სამედიცინო, საინჟინრო, სახელოვნებო, სპორტული ინტელიგენციის და ა.შ. სფეროდან, რომელთა რუდუნებით მოღვაწეობაზე იდგა და დგას ვანის რაიონი (მუნიციპალიტეტი) და ამით თავიანთი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ ეროვნული აღორძინების პრობლემათა მოგვარებაში. ვანს ჰყავს ღირსეული მუხლჩაუხრელი, მშრომელი საზოგადოება და განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომელმაც ესტაფეტა უნდა ჩაიბაროს, განავრცოს და გააკეთილშობილოს, ხელი შუწყოს ეროვნული სიმტკიცისა და ერთიანობის საქმეს.

* * *

<u>სასულიერო პირები:</u>

1. **კალისტრატე ცინცაძე** – უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი.
2. **ზოილე (დვალიშვილი)** – ბედიის მონასტრის უკანასკნელი წინამძღვარი. უწმინდესი და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის ნათლია.
3. **ანტონ ჩიჯავაძე** – ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი
4. **სიმონ (ბაღდავაძე)** – დიდსქემოსანი მღვდელმონაზონი ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი უკანასკნელი ქართველი ბერი.
5. **დავით შარაშენიძე** – საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი.
6. **მამა ანტონ (ხანთაძე)** – დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვარი.
7. **მამა მათე (ვაშაყმაძე)** – ვარძიის მონასტრის დეკანოზი.

* * *

<u>შემოქმედებითი ინტელიგენცია, პოეტები, მწერლები, მხატვრები:</u>

8. **ტაბიძე გალაკტიონი** – უდიდესი გენიალური პოეტი, აკადემიკოსი.
9. **ტაბიძე ტიციანი** – პოეტი, მწერალი, „ცისფერყანწელთა“ მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი.

* * *

10. **სულაბერიძე ლადო** – პოეტი.
11. **აგიაშვილი ნიკა** – მწერალი
12. **მებურიშვილი ტაგუ** – პოეტი.
13. **ნაფეტვარიძე გიორგი** – პოეტი.
14. **სინაური (სინაურიძე) ანდრია** – მწერალი.
15. **ახობაძე დომენტი** – პოეტი, საზოგადო მოღვაწე.
16. **ახობაძე გიორგი** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ყოფილი დირექტორი.

---

1. შენიშვნა: ჩამონათვალში როგორც გამონაკლისი შეყვანილია ორი პიროვნება ა) ანტონ ჩიჯავაძე – ხონის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, მოღვაწეობდა მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის საწყის წლებში. ბ) თეიმურაზ ლორთქიფანიძე – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

17. **ქარჩხაძე ჯემალი** – მწერალი.
18. **ძიგვაშვილი გიორგი** – პოეტი და მთარგმნელი.
19. **ჟღერია ვლადიმერი** – პოეტი.
20. **თევზაძე აკაკი** – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, ვანის საპატიო მოქალაქე.
21. **ხურციძე გრიგოლი** – მწერალი.
22. **სვანაძე ბადრი** – მწერალი და პოეტი.
23. **ადეიშვილი ნოდარი** – პოეტი.
24. **ადეიშვილი ხოზე** – პოეტი.

* * *

25. **აბრამიძე გოგი** – ფერმწერი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, არაერთი გამოფენის მონაწილე.
26. **გუმბერიძე რაჟდენი** – მხატვარი, გრაფიკოსი, საქრთველოს მხატვართა კავშირის წევრი.
27. **გოგაბერაშვილი ჯონი** – ცნობილი მოქანდაკე, აქვს გამოფენები ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში.
28. **ბერიშვილი ნიკო** – მოქანდაკე, ქალაქ ქუთაისის სამხატვრო სკოლის დირექტორი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.
29. **კოპალეიშვილი თენგიზი** – მოქანდაკე, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.
30. **კიკვაძე ბეჟანი** – მოქანდაკე, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.
31. **ლეჟავა შოთა** – მხატვარი, ფერმწერი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.
32. **ნიკოლეიშვილი თამაზი** – მხატვარი, ფერმწერი, მოსკოვის, თბილისის, ხუთი პერსონალური გამოფენის მონაწილე, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

* * *

<u>სამეცნიერო ინტელიგენცია:</u>

33. **ადეიშვილი თეიმურაზი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნირებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, ვანში ასტროფიზიკური ობსერვატორიის ხელმძღვანელი (დაარსდა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით).
34. **ადეიშვილი გიორგი** – პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კათედრის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
35. **ადეიშვილი ლეონიდე** – იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
36. **ადეიშვილი ჭიჭიკო** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
37. **ადეიშვილი დოდო** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
38. **ადეიშვილი ვლადიმერი (კახა)** – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
39. **ამაღლობელი ნოდარი** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი (ბატონ ნოდარის მამა ვანის რაიონის სოფელ ამაღლებიდანაა, სამხედრო პირი).
40. **ამაღლობელი სერგო** – მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების აკადემიის განყოფილების გამგე, საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი ყრილობის მოსამზადებელ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მწერალთა კავშირის მდივანი.
41. **არველაძე რევაზი** – საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი.
42. **არველაძე სიმონი** – პროფესორი, აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე.
43. **ახვლედიანი ნიკოლოზი** – საქართველოს მეხილეობა-მევენახეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი.
44. **ავალიანი ლადიკო (ვლადიმერი)** – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
45. **ახვლედიანი თამაზი** – მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

* * *

46. **ბელთაძე გურამი** – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

47. **ბოჭორიშვილი თამარი** – მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
48. **ბელთაძე დოდო** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
49. **ბელთაძე თენგიზ** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
50. **ბიბილეიშვილი შოთა** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
51. **ბაჯაძე იოსები** – მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

52. **გაბუნია ლევანი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.
53. **გაბუნია ნოდარი** – პროფესორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ყოფილი რექტორი.
54. **გაბუნია ნუნუ** – პროფესორი, მუსიკათმცოდნე.
55. **გაბუნია მანანა** – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
56. **გაბუნია გივი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
57. **გაბუნია ნოდარი** – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
58. **გაბუნია ლეო** – გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.
59. **გაბუნია ვანო** – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
60. **გაბუნია გიორგი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
61. **გაბუნია ლეონიდე** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი და განყოფილების გამგე, აკადემიკოსი.
62. **გაბუნია კალისტრატე** – პროფესორი, საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, ტომსკის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, აკადემიკოსი.
63. **გაბრიჩიძე გიორგი** – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.
64. **გიორგაძე ოთარი** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, 50-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების ავტორი, აგრეთვე რამდენიმე თეატრალური დადგმის სცენოგრაფიის ავტორი, საქართველოს პედაგოგიური აკადემიის აკადემიკოსი.
65. **გიორგაძე ოთარი** – ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.
66. **გიორგაძე ემელიანე** – მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
67. **გოგორიშვილი პლატონი** – საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
68. **გოგოძე ვახტანგი** – ექიმი, მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირების თავმჯდომარე, რომლის დასტურებითაც აგებულ იქნა გადიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკი და იქ მისასვლელი საბაგირო გზა.
69. **გოგიბერიძე გია** – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
70. **გორგოძე ჟორა (გიორგი)** – დოცენტი.
71. **გიორგაძე ზაალი** – ექიმი, დოცენტი, მოსკოვის კარდიოლოგიის ცენტრის განყოფილების გამგე.

* * *

72. **დვალიშვილი ლუკა** – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
73. **დვალიშვილი უჩა** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
74. **დვალიშვილი ემანუილ** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.
75. **დიაკონიძე რობერტი** – პროფესორი, ვანის საპატიო მოქალაქე.
76. **დევდარიანი როზა** – ფილოლოგიის დოქტორი, მწერალი, ესეისტი, მკვლევარი და პუბლიცისტი.
77. **დვალიშვილი ვიტალი** – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

78. **ერისთავი კონსტანტინე** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი და მისივე სახელობის თბილისის ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, პროფესორი, აკადემიკოსი.
79. **ენუქიძე დავითი** – პროფესორი, თბილისის პუშკინის სახელობის პედ ინსტიტუტის კათედრის გამგე.
80. **ეფრემიძე თორნიკე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის გამგე, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
81. **ეფრემიძე ლევანი** – მეცნიერებათა დოქტორი.
82. **ეფრემიძე ლაშა** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
83. **ენუქიძე ევდოკიმე** – ვანის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის მნათობის" პირველი რედაქტორი, მეცნიერებათა კანდიდატი.
84. **ერემეიშვილი ეროდიონი** – ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დოცენტი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
85. **ერემეიშვილი მურმანი** – ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი.
86. **ერემეიშვილი მერაბი** – პროფესორი, იმერეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის მოადგილე, ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
87. **ენუქიძე დავითი** – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
88. **ერისთავი თამარი** – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
89. **ერისთავი ლიანა** – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
90. **ერემეიშვილი ნაზიბროლა** – პროფესორი.

* * *

91. **ვაშაყმაძე მინდია** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მოღვაწეობს გერმანიაში.
92. **ვაშაყმაძე თამაზი** – პროფესორი, მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ილია ვეკუას სახელობის პრემია, აკადემიკოსი.

* * *

93. **თოდუა შოთა** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, სამხედრო ექიმი, ვანის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი, აკადემიკოს ვიშნევსკის ოქროს მედლის მფლობელი.
94. **თოდუა რაიბული** – მედიცინის დოქტორი, პროფესორი.
95. **თევზაძე ვასილი** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
96. **თვალავაძე ივანე** – პროფესორი, მეტალურგი.
97. **თვალაბეიშვილი გულდა** – ქუთაისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი.
98. **თვარაძე რეზო** – ფილოლოგი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
99. **თათვიძე ზაური** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბიზნესმენი.

* * *

100. **იაშვილი ავთანდილი** – საქართველოს ელექტროკავშირის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, მეცნიერებათა კანდიდატი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.
101. **იაშვილი ირინა** – ლონდონის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის დოქტორი.
102. **ირემაძე აკაკი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
103. **ინასარიძე კარლო** – მეცნიერებათა დოქტორი (ემიგრანტი).

* * *

104. **კეკელიძე კორნელი** – აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისივე სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, ქა-

რთული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი და არაერთი მონოგრაფიის ავტორი.

105. კაშია ვალტერი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.

106. კანდელაკი ბონდო – პროფესორი, ექიმი.

107. კორძაძე რეზო – პროფესორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის გამგე.

108. კორძაძე ავთანდილი – თბილისის გეოფიზიკის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

109. კორძაძე ალექსანდრე (შურა) – ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის კათედრის დოცენტი.

110. კორძაძე მამუკა – ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი, მათემატიკოსი.

111. კორძაძე ავთანდილი – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოყენებითი მათმატიკის ინსტიტუტის პრორექტორი.

112. კორძაძე რეზო – პროფესორი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმლწიფო უნივერსიტეტში.

113. კაპატაძე გოგი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი.

114. კიკაბიძე მურმანი – ფილოსოფოსი, უცხო ენების ინსტიტუტის დოცენტი.

115. კერძევაძე ვლადიმერი – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

116. კაცაძე ამირანი – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

117. კაცაძე ჯემალი – დოცენტი.

118. კორძაძე ლუბა – მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

* * *

119. ლორთქიფანიძე ოთარი – ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დამაარსებელი, ვანის არქეოლოგიური გათხრების ბაზაზე მსოფლიო არქეოლოგთა სამეცნიერო სიმპოზიუმების ინიციატორი, ვანის საპატიო მოქალაქე.

120. ლორთქიფანიძე დავითი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

121. ლორთქიფანიძე გურამი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქეოლოგი.

122. ლორთქიფანიძე დავითი ოთარის ძე – პროფესორი, თბილისის ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი.

123. ლორთქიფანიძე ზურაბი – ისტორიკოსი, პროფესორი.

124. ლორთქიფანიძე გოგი – დოცენტი, ქუთაისის №1 სამშობიარო სახლის ფუძემდებელი.

125. ლომინაძე ჯუმბერი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, გეოფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური ცენტრის დირექტორი.

126.ლომინაძე ვასილი – პროფესორი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი, ოთხი მნიშვნელოვანი გამოგონების ავტორი, როგორც ჰიდრომეტეოდარგის დიდ მეცნიერს ხშირად იწვევდნენ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების სამეცნიერო კონფერენციებზე.

127. ლომიძე გივი – პროფესორი.

128. ლომინაძე სულხანი – კლინიკური ჰოსპიტალის „ღია გულის“ კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

129. ლომინაძე ზაზა – ექიმი-კარდიოლოგი, იმერთის კარდიოლოგთა საზოგადოების დამფუძნებელი, ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი, იმერეთის კარდიოლოგთა საზოგადოების წევრი, 28 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

130. ლილუაშვილი თენგიზი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
131. ლილუაშვილი ალექსანდრე – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.
132. ლილუაშვილი ბაკური – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
133. ლილუაშვილი გია – პროფესორი.
134. ლილუაშვილი ავთანდილი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი.
135. ლილუაშვილი ნარიმანი – ექიმი-ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
136. ლაჭყებიანი ნიკოლოზი – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.
137. ლომიძე გივი – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

138. მინაშვილი ლადო – საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, სრული პროფესორი.
139. მილორავა ვასილი – მეცნიერებათა კანდიდატი, მოღვაწეობდა ქუთაისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.
140. მესხი მურმანი – თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
141. მჟავანაძე შოთა – ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
142. მახარაძე აკაკი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

143. ნიკოლეიშვილი ავთანდილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ქუთაისის პატივგების საქალაქო კომისიის წევრი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი რედაქტორი, სხვადასხვა სამეცნიერო და მხატვრული ჟურნალების სარედაქციო კოლეგიათა წევრი და ა.შ., პოეტი.
144. ნიკოლეიშვილი ამირანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გაზეთ „ქველმოქმედის“ მთავარი რედაქტორი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე და დასავლეთ საქართველოს მთავარი სამმართველოს უფროსი.
145. ნიკოლეიშვილი გიორგი – პროფესორი, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ეკონომიკის ფაკულტეტის კათედრის გამგე, აკადემიკოსი.
146. ნიკოლაიშვილი გურამი ანანიას ძე – პოლკოვნიკი, პროფესორი (ვანიდან სამხედრო მფრინავთა დინასტიის წარმომადგენელი).
147. ნამიჭეიშვილი რამაზი – ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი კათედრის გამგე, ეკონომიკის დოქტორი, სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი.
148. ნანაძე ჯემალი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
149. ნაფეტვარიძე დოდო – ექიმი, პროფესორი.
150. ნაფეტვარიძე ოთარი – პროფესორი.
151. ნაფეტვარიძე შიო – პროფესორი.
152. ნამიჭეიშვილი გერონტი – ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ყოფილი გამგე.
153. ნადირაძე ბორისი – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი დაუსწრებელი სწავლების დარგში, ფილოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
154. ნადირაძე თემური – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.
155. ნიჟარაძე მურმანი – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
156. ნარჩომაშვილი ალიოშა (ალექსანდრე) – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

157. რამიშვილი ილია – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგე, დოცენტი.

158. რობაქიძე ნარგიზა – მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

159. სურგულაძე თეიმურაზი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის საწელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

160. სულაქველიძე ვიქტორი – რსფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი.

161. სურგულაძე გოგი – დოცენტი.

162. საკანდელიძე რენიკო – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

163. სანადირაძე ელგუჯა – საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი.

164. სვანაძე ტარიელი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

165. სულაბერიძე გელა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზოგადი თერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

166. სულაბერიძე ტიტე – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

* * *

167. ტყეშელაშვილი ბესო – პროფესორი, ექიმი.

168. ტყეშელაშვილი ვლასი – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

169. ტყეშელაშვილი გოდერძი – პროფესორი.

170. ტყეშელაშვილი გურამი (ბზვანელი) – პროფესორი, მუსიკოსი, კომპოზიტორი.

171. ტაბიძე ნოდარი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი.

* * *

172. უღრელიძე ქსენია – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

173. ფუტკარაძე იაკობი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

174. ფირანაშვილი ზურაბი (რეზო) – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

175. ქავთარია გრანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

* * *

176. ღიბრაძე ომარი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი.

* * *

177. ყიფიანი გურამი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, არქეოლოგი, ხელმძღანელობს პალეოურბანული კვლევის ლაბორატორიას.

178. ყიფიანი ელგუჯა – მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

179. შენგელია იოსები – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

180. შარაშენიძე თინათინი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

181. შარაშენიძე ჯემალი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

182. შველიძე ზაქარია – ვანის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის მნათობის“ პირველი კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

183. შველიძე დიმიტრი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

184. შარაშენიძე ანზორი – თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი. აკადემიკოსი.

185. შარაშენიძე ნინო – ფილოლოგი, ლინგვისტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

186. შარაშენიძე ზაალი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

187. შანიძე ჯონი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

188. შალამბერიძე მარლენ – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

189. შარაშენიძე სოლომონი – მეცნიერებათა დოქტორი.

190. შარაშენიძე კლიმენტი – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

191. შარაშენიძე იოსები – მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

192. შურაძე ომარი – პროფესორი.

* * *

193. ჩხობაძე ნინო – ეკოლოგიის მინისტრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

194. ჩახუნაშვილი ოთარი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო აკადემიის კლინიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი.

195. ჩხეიძე გოგი – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (უნივერსიტეტი) კათედრის გამგე, პროფესორი.

196. ჩახუნაშვილი სერგო – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

197. ჩიჯავაძე თუთი – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი.

198. ჩიჯავაძე შოთა – მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

* * *

199. ძაგნიძე ომარი – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

200. ძაგნიძე ბადრი – მეცნიერებათა კანდიდატი.

201. ძაგნიძე ქსენია – მეცნიერებათა კანდიდატი.

202. ძიგვაშვილი რომანი – მეცნიერებათა დოქტორი.

* * *

203. ჭოხონელიძე ქრისტინე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

* * *

204. ხელაძე ავთანდილი – პროფესორი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის კათედრის გამგე.

205. ხელაძე გიგლა – ქუთაისის პედ. ინსტიტუტის პრორექტორი სამეურნეო უზრუნველყოფის საკითხებში.

206. ხელაძე ომარი – საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ენერგრტიკის მინისტრის მრჩეველი, აკადემიკოსი, კითხულობდა ლექციებს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

207. ხურციძე გიორგი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

208. ხურციძე ლილი – პროფესორი.

209. ხურციძე გრიგოლი – დოცენტი.

210. ხონელიძე ლერი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, №2 სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი, ქ. ქუთაისის ორი მოწვევის საკრებულოს წევრი, იყო ქუთაისის ვიცე მერი ჯამრთელობისა და სოციალურ საკითხებში.

211. ხარძეიშვილი ომარი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პათოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი და საქართველოს კლინიკურ პათოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

* * *

212. ჯულაყიძე ემზარ – დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

213. ჯულაყიძე ნანა – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

214. ჯავჯანიძე პოლიკარპე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

215. ჯავჯანიძე ნარგიზა – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგი.

216. ჯულაყიძე ჟოზე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

217. ჯოგლიძე ნათელა – მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

* * *

218. წაქაძე ნინო – მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

უმაღლესი ნომენკლატურული მუშაკები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ქვეყნის მნიშვნელოვან სფეროებს, რაიონებს, ქალაქებს.

219. აბრამიძე პავლე – გენერალ-მაიორი, საბჭოთა პერიოდის პირველი ქართველი გენერალი დივიზიის მეთაური შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის გამგე.

220. ადეიშვილი ლევანი – ქალაქ ბათუმის ვიცე-მერი.

221. ადეიშვილი ელიაკ – დონეცკის ქვანახშირის ტრესტის მე-5 მაღაროთა სამმართველოს უფროსი.

222. ადეიშვილი ნოდარი – უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწე.

223. ანდრიაძე ნოდარი – ვანის საპატიო მოქალაქე, ვანის რაიკომის პირველი მდივანი, რომლის სახელსაც უკავშირდება ვანის რაიონის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული წინსვლა (წარმოშობით სამტრედიის რაიონის, სოფელ ჯიხაიშიდან).

224. ახვლედიანი იონა – აჭარის ასრ მიწსახკომის განყოფილების გამგე.

225. ახვლედიანი ზურაბი – ვანის გამგეობის თავმჯდომარე.

* * *

226. ბელთაძე გენადი – მენშევიკური პარტიის ქალაქ დუშეთის ბიუროს თავმჯდომარე, ნოე ჟორდანიას პირადი მდივანი.

227. ბაზიარი ონარი – პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, კოორპორაცია საქართველოს ნავთობპროდუქტების პრეზიდენტი.

228. ბაჯაძე თემური – შსს პოლკოვნიკი, ვანის შს განყოფილების უფროსი, შს სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

* * *

229. გოგორიშვილი ალექსანდრე – ვანის მუნიციპალიტეტის მერი.

230. გაბუნია ვაჟა – ქუთაისის ავტოქარხნის საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების დამაარსებელი, მთავარი ექიმი.

231. გაბუნია დავითი – პოლკოვნიკი.
232. გეგიძე ზურაბი – ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი.
233. გიორგაძე დავითი – საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე.
234. გიორგაძე ქრისტეფორე – ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი.
235. გუმბერიძე ოთარი – პოლკოვნიკი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო ჯარების პოლიტ-განყოფილების ინსპექტორი.
236. გაბრიჩიძე გიორგი – ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.
237. გუმბერიძე ზურაბი – საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში.
238. გაბუნია გურამი – თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი.
239. გიორგაძე ოთარი – ვანის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

* * *

240. დვალიშვილი აკაკი – საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.
241. დვალიშვილი დემური – ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი.
242. დვალიშვილი დავითი – ცნობილი ქართველი მსახიობი.
243. დვალიშვილი რეზო – ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ კომუნისტის რედაქტორის მოადგილე.
244. დვალიშვილი იური – ვანის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
245. დიასამიძე მიხეილი – საბჭოთა კავშირის გმირი, კურსკის (რსფსრ) ოლქის სამხედრო კომისარი.
246. დვალიშვილი ანზორი – ტრესტ „ბამშენის“ „ნია გრუზინსკაიას“ მშენებლობის უფროსი.
247. დვალი ვლადიმერი – პოლკოვნიკი, სამამულო ომის დროს განსაკუთრებული პოლკის მეთაური.
248. დვალიშვილი ლონდერი – შსს პოლკოვნიკი.

* * *

249. კეკელიძე ივანე – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი, ორჯერ იყო არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.
250. კაპანაძე ომარი – ვანის რაიკომის პირველი მდივანი, პირველი ვანელი, რომელიც დღიდან ვანის რაიონის ჩამოყალიბებისა გახდა რაიონის პირველი ხელმძღვანელი (მანამდე სულ ჩამოსულები იყვნენ), საქმიანობდა სხვადასხვა მაღალ საპასუხისმგებლო პოსტებზე, ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი.
251. კაპატაძე ჯენერი – ვანის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.
252. კორძაძე ემელიანე – პოლკოვნიკი, ომის დროს მუშაობდა ქ. თბილისში თავდაცვის შტაბის უფროსად.
253. კობალაძე ანდრო – კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი, სტალინის როლის უბადლო შემსრულებელი.
254. კვაჩიძე ვასილი – პოდპოლკოვნიკი, სამამულო ომის წლებში ახალციხის დივიზიის მეთაურის მოადგილე.

* * *

255. ლომინაძე ბესარიონი – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი 1921 წლიდან, 1923 წლიდან – 1925 წლამდე პირველი მდივანი, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი და შემდეგ ქალაქ მოსკოვში ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი. 1931 წლიდან მაგნიტოგორსკის საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანი. 1933 წლიდან მაგნიტოგორსკის საქალაქო

კომიტეტის პირველი მდივანი.

256. ლორთქიფანიძე სიმონი (სიკო) – მენშევიკური ხელისუფლების პოლკოვნიკი.

257. ლორთქიფანიძე თეიმურაზი – საჩინოელი (ვანელი) თავადი, საქართველოში 1832 წელს თავადაზნაურთა შეთქმულების მონაწილე, როგორც საგამოძიებო მასალებით ჩანს დავალებული ჰქონდა ქუთაისის მაზრის თავადაზნაურთა ჩაბმა მეფის რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლებში, რის გამოც დააპატიმრეს და თითქმის ყველაზე მკაცრად დასაჯეს, მიუსაჯეს კატორღა და გადაასახლეს, საიდანაც არ დაბრუნებულა.

258. ლორთქიფანიძე გრიგოლი – დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო და განათლების მინისტრი.

259. ლორთქიფანიძე ვლადიმერი – მაიაკოვსკის (ბაღდათის) რაიკომის პირველი მდივანი.

260. ლორთქიფანიძე დავითი – საქართველოს ზარაფხანას გენერალური დირექტორი, პარლამენტის ყოფილი წევრი.

261. ლორთქიფანიძე ბაადურ – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის (ე,შევარდნაძის) ადმინისტრაციის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

262. ლილუაშვილი თეიმურაზი – იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

263. ლომინაძე ანდრო – სოციალისტური შრომის გმირი, ვანის რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

* * *

264. მაღლაკელიძე შალვა – „სამაჰმადიანო საქართველოში“ მენშევიკური საქართველოს ხელისუფლების სამხედრო და სამოქალაქო საქმეების საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა ახალციხის, ახალქალაქის მაზრებზე, არტაანის ოლქსა და ფოცხოვის მხარეზე, ქუთაისის მაზრის კომისარი, შემდეგ თბილისის კომისარი და თბილისის გენერალ-გუბერნატორი, რომლის დაქვემდებარებაში შედიოდა თბილისი-გორის მაზრა მთლიანად, ბორჯომის რაიონი, ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთის, თიანეთის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს მაზრების ტერიტორია, თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო, **შემდეგში გერმანიის ვერმახტის გენერალი**.

265. მიქელთაძე სოსო – აჭარის საგუნდო კაპელის მთავარი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

266. მიქელთაძე არჩილი – გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი.

267. მამფორია დავითი – ქ.ბათუმის განათლების განყოფილების გამგე.

268. მინაშვილი მეთოდე – ქობულეთის რაიონის ციხისძირის ციტრუსების საბჭოთ მეურნეობის დირექტორი.

269. მებურიშვილი როლანდი – საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე.

270. მებურიშვილი ბადრი – ვანის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, შემდეგში ვანის გამგეობის თავმჯდომარე.

* * *

271. ნაფეტვარიძე გიორგი – პოლკოვნიკი, იყო რესპუბლიკის სამხედრო კომისრის მოადგილე.

272. ნაფეტვარიძე რევაზი – პოლკოვნიკი.

273. ნიკოლაიშვილი ანანია – პოლკოვნიკი, სამამულო ომის დროს 63-ე შერეული საავიაციო დივიზიის შტაბის უფროსი, შემდეგში ავიაგამანადგურებელთა 203-ე დივიზიის შტაბის უფროსი.

274. ნიკოლაიშვილი თენგიზი ანანიას ძე – პოლკოვნიკი, მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

275. ნიკოლეიშვილი გიგა – ქ. თბილისის მერის ყოფილი მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

276. ნამიჭეიშვილი ბეჟანი – დაამთავრა მოსკოვის დიპლომატიური აკადემია, არის მწერალი, დიპლომატი, ქართული კულტურის დესპანი, მშვიდობის მსოფლიო ელჩი, დ. აღმაშენებლის, ნ. ნიკოლაძისა და გ. ტაბიძის სახელობის ლიტერატურული პრემიების ლაურეატი.

* * *

277. როხვაძე ლევანი – თეატრალურ მოღვაწეთა ქუთაისის განყოფილების უფროსი.

* * *

278. სანიკიძე ბორისი – დონეცკის ქვანახშირის მაღაროთა გაერთიანების გენერალური დირექტორი, ტრესტ საქნახშირის მმართველი.

279. სანიკიძე თამარი – საქართველოს განათლების მინისტრი.

280. საკანდელიძე კარლო – თეატრისა და კინოს მსახიობი.

* * *

281. ტყეშელაშვილი ილია – ჟურნალ „ბუნების“ რედაქტორი.

282. ტყეშელაშვილი მერაბი – რუსთავის მერი.

283. ტყეშელაშვილი ლევანი – შსს ვანის განყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი.

* * *

284. ღვინიანიძე გიორგი – საჩხერის რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

* * *

285. ყიფიანი გივი – ვანის რაიკომის პირველი მდივანი. ვანის საპატიო მოქალაქე, მის სახელს უკავშირდება შემოტრიალება ვანის რაიონის ეკონომიკურ-სოციალურ-კუტურული აღმშენებლობის სფეროში ახალი მიღწევები და წარმატებები (წარმოშობით არის საჩხერის რაიონიდან)

* * *

286. შარაშენიძე ლევანი – გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი და შემდეგში საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

287. შველიძე რაული – შსს პოლკოვნიკი, ვანის რაიონის, გლდანი-ნაძალადევის, ქობულეთის შსს სამმართველოს უფროსი.

288. შარაშენიძე ვიქტორი – საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

289. შარაშენიძე სოლომონი – საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მრეწველობის დარგში, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურიატი.

* * *

290. ჩხობაძე ოთარი – საბჭოთა კავშირის სახალხო ექიმი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საავადმყოფოს ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი ექიმი.

291. ჩხობაძე ნინო – საქართველოს ეკოლოგიის მინისტრი.

292. ჩახუნაშვილი სერგო (გია) – საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი.

* * *

293. ძაბახიძე ვალერიანე – გენერალ-მაიორი, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი. სამამულო ომის დროს ქართული 314-ე დივიზიის მეთაური, ეჭირა სსრ კავშირის სხვადასხვა სამხედრო ოლქებში, საპასუხიმგებლო თანამდებობები.

294. ძაგნიძე ნანა – მოჭადრაკე, ევროპის ჩემპიონი ჭადრაკში, მსოფლიოს ჩემპიონი.

* * *

295. ხანთაძე ვლადიმერი – შავი ზღვის ოდესისა და ილიჩოვის საზღვაო პორტების უფროსი.

296. ხელაძე მერაბი – შსს პოლკოვნიკი.

297. ხარაბაძე გოგი – საქართველოს სახალხო არტისტი.

298. ხავთასი სანდრო – აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგე.

299. ხურციძე ნინო – მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ახალგაზრდებს შორის, ცნობილი მოჭადრაკე.

300. ხურციძე ელეფთერი – პოლკოვნიკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, სამხედრო ექიმი, მუშაობდა გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში მთავარ ტრავმატოლოგად, ვანის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

301. ხურციძე ზაზა – ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

302. ხურციძე პოლიაქტორი – სოფლმშენის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი.

* * *

303. ჯოგლიძე შოთა – ხარაგაულის რაიკომის პირველი მდივანი.

304. ჯანელიძე მიხეილი – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (ვანური ფესვების მქონე პიროვნება, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ უხუთიდან), მისი ბაბუა მიხეილ ჯანელიძე (უხუთიდან) იყო თერჯოლის რაიონის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელი, მამა – ჯანგული (კირილე) ჯანელიძე იმერეთის სამხარეო პროკურორის პირველი მოადგილე.

305. ჯანელიძე კირილე (ჯანგული) – იმერეთის სამხარეო პროკურორის პირველი მოადგილე, შემდეგში თბილისი პროკურატურის პროკურორი.

* * *

306. ღიბრაძე გოჩა – ქალაქ ქუთაისის სამხარეო ადმინისტრაციის პასუხისმგებელი მუშაკი, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს უფროსი, კურირებდა იმერეთის რეგიონის შესაბამის სამსახურებს.

* * *

307. წაქაძე ბეჟანი – ვანის საპატიო მოქალაქე, ბიზნესმენი.

308. წულაია სერგო – აფხაზეთის ა/რ სატყეო მეურნეობის მინისტრი.

* * *

<u>პარლამენტის წევრები:</u>

309. ლილუაშვილი გრიგოლი – პარლამენტის მაჟორიტარი წევრი, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტებიდან, თბილისის მერის ყოფილი მოადგილე, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე.

310. ხურციძე ბეჟანი – საქართველოს ოთხგზის მოწვევის პარლამენტის წევრი.

311. ბაზიარი ონარი – საქართველოს პარლამენტის წევრი. (მაჟორიტარი დეპუტატი).

312. ხურციძე მერაბი – საქართველოს პარლამენტის წევრი.

313. ტყეშელაშვილი მელორი – თბილისის მერის ყოფილი მოადგილე, ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში.

314. მატარაძე გრიგოლი – საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი.

315. ლეჟავა პაატა – საქართველოს პარლამენტის წევრი. (მაჟორიტარი დეპუტატი).

316. ლორთქიფანიძე დავითი – საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი.

317. არველაძე რეზო – საქართველოს პარლამენტის წევრი.

(გაგრძელება იქნება).

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი

ვანელი ბერმუხა, მეცნიერი და მოღვაწე

ვანური ფესვების მქონე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის ბრწყინავს ცნობილი კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის, ფილოსოფოსის, პოეტისა და ღვაწლმოსილი პედაგოგის, ბატონი **სიმონ არველაძის** სახელი.

პროფესორი სიმონ ვარდენის ძე არველაძე დაიბადა ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში (სალომინაოში) 1921 წ. 15 მარტს. არასრული საშუალო განათლება მან იქვე – სოფელში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ქუთაისის რკინიგზის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1940 წელს გაიწვიეს სავლდებულო სამხედრო სამსახურში. მალე მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. ამ დროს ბატონი სიმონი იმყოფებოდა დასავლეთ უკრაინის საზღვრისპირა ქ. ლუცკში. ფაშისტური გერმანიის მოულოდნელი თავდასხმის გამო, პირველ ხანებში საბჭოთა ჯარებს მოუხდათ უკანდახევა. შემდეგ, როგორც ცნობილია, დაიწყო წარმატებული შეტევითი ბრძოლები და იმ ნაწილმა, რომელშიც ს. არველაძე მსახურობდა, მდინარე ელბამდე მიაღწია. 1945 წლის 5 მაისს, აქ მოხდა საბჭოთა საჯარისო ნაწილებისა და მოკავშირეთა კოალიციური შეიარაღებული ძალების შეხვედრა. ეს მომენტი კარგადაა ასახული ცნობილ კინოფილმში „შეხვედრა ელბაზე“. ეს ფილმი პირველად იმერპოლარეთში საერთშორისო ექსპედიციაში ყოფნისას ვნახე ფრანგ და გერმანელ ფიზიკოსებთან ერთად... გულში ჩამრჩა და დღესაც კარგად მახსოვს ერთ-ერთ წარმოშობით გერმანელი სპეციალისტის მ. ფერენბახის სინანულით ნათქვამი: „ნუთუ ჩვენი წინა თაობა ასეთი დანდობელი იყო“. კიდევ ერთი წელი დაჰყო ამის შემდეგ ბატონმა სიმონმა ელბას აქეთა მხარეს, აღმოსავლეთით ერთ პატარა გერმანულ ქალაქში, სადაც მისი სამხედრო ბატალიონი იყო განლაგებული.

1946 წ. ბოლოს იგი დემობილიზებული იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან და 1947 წ. როგორც ომის მონაწილე და ფრიადოსანი საშუალო სკოლადამთავრებული, უგამოცდოდ ჩაირიცხა სტუდენტად თბილისის ი.ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში ბატონი სიმონი ყოველთვის გამოირჩეოდა სიბეჯითითა და ინტერესთა მრავალმხრივობით. მან 1952 წელს წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტის სრული კურსი, დაბრუნდა ქუთაისში და მუშაობა დაიწყო ჯერ საშუალო სკოლაში ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლად, ხოლო პარალელურად მუშაობდა ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში შემოქმედ ბავშვთა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელად.

გარდა პედაგოგური მოღვაწეობისა ამ პერიოდში ბატონი სიმონი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის სხვადასხვა საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ღონისძიებებში, წერდა ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს, საგაზეთო სტატიებს და ჩაბმული იყო ქალაქის ცხოვრების ინტენსიურ რიტმში.

1960-1965 წწ. სიმონ არველაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ფილიალის გამგე, ლექციების კურსი მიჰყავდა თეორიულ ფილოსოფიაში.

1966 წელს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაინიშნა ფილოსოფიის კათედრის უფროს მასწავლებლად, ლექციებს კითხულობდა ესთეტიკასა და ფილოსოფიაში. ამავდროულად საათობრივი ანაზღაურების წესით მიწვეული იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრაზე, სადაც დაამტკიცეს შტატის ლექტორად. 1972 წელს აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „შემოქმედის თავისუფლების პრობლემისათვის“. 1974 წელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მიანიჭა დოცენტის წოდება. 1990 წელს აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს იყო ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის კათედრის გამგის მოადგილე, მერე კათედრის გამგე, სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, წიგნთმცოდნეობის უნივერსიტეტის რექტორი, სახელმწიფო, საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საზოგა-

დოება „ცოდნის“ განყოფილებაში ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის ხელმძღვანელი. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში ჯერ ახალგაზრდა მწერალთა, ხოლო შემდგომ პროზის, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელი, ბიუროს წევრი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ჟურნალ „განთიადის“ სარედაქციო საბჭოს წევრი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში თეატრალური კრიტიკის სექციის ხელმძღვანელი.

მწერალთა კავშირის და ლიტფონდის წევრია 1965 წლიდან, ხოლო თეატრალური საზოგადოების წევრი 1970 წლიდან.

90 წლამდე განვლილ პერიოდში მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, პრემიები, დიპლომები და ა.შ. მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობისათვის „გამარჯვების“ ორდენი და საბრძოლო მედალი, აგრეთვე მედლები „ომის ვეტერანი“. ამას ემატება შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ჯილდოები და წოდებანი: კულტურის დამსახურებული მოღვაწე, უმაღლესი განათლების წარჩინებული მუშაკი, მედალი: „შრომითი მამაცობისათვის“, „შრომის ვეტერანი“ და სხვა. 90-იანი წლებიდან დღემდე მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები და პრემიები:

ღირსების ორდენი, 1966 წელს ხალხთა მეგობრობის პრემია, ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის პრემიები. 2001 წლიდან არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ასევე ვანის საპატიო მოქალაქე. 1941 წლიდან წლების განმავლობაში შეთავსებით მუშაობდა საერო უნივერსიტეტში „გელათი“, სადაც ლექციების კურსი მიყავდა ფილოსოფიურ დისციპლინებში (ლოგიკა, ფილოსოფია, ესთეტიკა, სოციოლოგია და პოლიტოლოგია).

90-იან წლებში რამოდენიმე წლით მერიის გადაწყვეტილებით ასრულებდა საქალაქო საქველმოქმედო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი (ტყუპისცალი ნესტანი გარდაცვლილია), ერთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილიც.

მეუღლე – მარი ერმალოზის ასული ხვედელიძე არის ლიტერატორი, დამსახურებული პედაგოგი, სახალხო განათლების წარჩინებული, ღირსების ორდენოსანი. არის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა და სკოლაში ლიტერატურის სწავლების საკითხებზე გამოქვეყნებული ნაშრომების ავტორი. მასვე ეკუთვნის ხატოვანი გამონათქვამების წიგნი „გალაკტიონი“. ამასთან მარი ხვედელიძე თანაავტორია დოკუმენტურ მემუარული წიგნისა „ჩვენი ცხოვრება უანკარეს ღვინისფერია“ (სიმონ არველაძესთან ერთად).

სიმონ არველაძის შემოქმედებითი სტიქია, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოვლინდა ჯერ კიდევ ომამდე მოწაფეობის წლებში. საარმიო სამსახურში გაწვევამდე, 1940 წლის ივლისში, მოხდა მისი შემოქმედებითი ნათლობა, ე.წ. ბეჭდვისმიერი წახალისება, გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ („ლიტერატურული გვერდი“ რედაქტორი გიორგი ჯიბლაძე). იმავე წელს, ოქტომბერში მისგან გაგზავნილ წერილსა და რამოდენიმე ლექსს გამოეხმაურა გამოჩენილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი ღია წერილით და დამოძღვრა ჭაბუკი პოეტი. მისი სონეტის შესახებ შენიშვნის შემდეგ პოეტი წერდა, ბოლო აბზაცია: „ისე კი უცილობლად გეტყობათ პოეტური ნიჭი და კიდევ და კიდევ უნდა იმეცადინოთ, რომ ქართული ლიტერატურული ოჯახის ღირსეული წევრი გახდეთ. ნახვამდის, თქვენი ლექსების პატივისმცემელი ი. გრიშაშვილი“ (1940 10/10) 80 წლის მწერალს საიუბილეო საღამოზე თავის მისალმებაში ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გენო კალანდიამ, იუბილარს შეახსენა თითქმის ნახევარი საუკუნე მასთან მეგობრობისა და ისიც, რომ „თქვენ ჩვენი დიდებული პოეტის იოსებ გრიშაშვილის ხელდასმული ბრძანდებით. სულაც არ მიკვირს, რომ იმ დღიდან, იმ პოეტური ნათლობიდან, თქვენი ბედის ვარსკვლავი ისევ ანთია“ (გენო კალანდია). მართლაც ამ მომენტიდან იწყება შემოქმედებითი აღტკინება და ნათლობაც, ე.ი. ბეჭდვისმიერი წახალისება. მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველი წიგნი არა პოეზიაში, არამედ ლიტერატურათმცოდნეობის სფეროდან მიაწოდა საზოგადოებას... ასე, რომ ამ სფეროში დაიწყო ინტენსიური სამწერლო-შემოქმედებითი საქმიანობა... არ მოხდა ისე, როგორც დიდმა პოეტმა აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ

მოხდენილი იუმორით თქვა: პოეტის გადანაცვლება ლიტერატურულ კრიტიკაში, თანამდებობრივად ჩამოქვეითებას ჰგავსო. სიმონ არველაძე სხვაგვარად მოიქცა: ლიტერატურული კრიტიკისა და ფილოსოფიურ-პოლიტიკური აზროვნების პარალელურად, ღრმა სიბერეში შესვლისას ზედიზედ რამოდენიმე პოეტური და სატირულ-იუმორისტული წიგნებიც გამოაქვეყნა. პირველი „ბედის ვარსკვლავი ისევ ანთია“ (2011წ, რედაქტორი პოეტი და საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ ლანჩავა), „ახალი ლირიკული გამონათებანი“ (2012წ. რედაქტორი აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი), „სატირულ-იუმორისტული შესიტყვებანი ანუ ფილიპიკები ახლებურად“ (2013წ.) და ა.შ. ოცდამეერთე საუკუნის დაწყებიდან დღემდე იგი მუდმივ კვლევა-შემეცნებით ძიებაშია, წერს და აქვეყნებს, როგორც ფილოსოფიურ-პოლიტიკური პრობლემატიკის შესახებ წიგნებს და გამოკვლევებს, ისე ლირიკულ-ფილოსოფიურ მინიატურებსა და პოლიტიკურ წკიპურტებს.

მწერლისა და მეცნიერის ცხოვრებაში ეს წელი ოთხმოცდამეჩვიდმეტეა, არც თუ ცოტაა, მაგრამ საკმარისი როდია იმისთვის, რომ რეალიზებული გახდეს ის ჩანაფიქრი და სათქმელი, რაც ესოდენ უხვად აქვს მომადლებული.

უხუცესი კაცის მოღვაწეობა პირობითად შეიძლება წარმოვიდგინოთ ორ პერიოდად – მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე და აქედან დღევანდელობამდე. პირველი სიტყვაკაზმული მწერლობის უახლესი ნიმუშების ანალიტიკური მიმოხილვა, თანამედროვეობის წამყვანი მოტივები, კულტურული ურთიერთობები ხალხთა შორის და სხვა, ფართოდ არის წარმოჩენილი იმ წიგნებსა და მონოგრაფიებში, რომლებიც განეკუთვნება 60-იან და 80-იან წლებს. თავის დროზე ამ წიგნებს წილად ხვდათ სათანადო რეზონანსი, კრიტიკის მხრიდან ჯეროვანი დაფასება და ეს ხდებოდა არა მხოლოდ დედაქალაქის ლიტერატურულ საზოგადოებაში, არამედ პერიფერიებშიც (აჭარა, აფხაზეთი და სხვა).

განსაკუთრებით თვალსაჩინოა სიმონ არველაძის წვლილი გალაკტიონოგრაფიაში, რომელიც მან გაამდიდრა ახალი ლიტერატურული ეტიუდებით.

საყურადღებოა წიგნში „გალაკტიონოლოგიური ეტიუდები ჩვენებურები“ შეტანილი სტატიების ციკლი „გალაკტიონი და კლასიკოსები“, „გალაკტიონი და თანამედროვენი“.

2001 წლიდან 80 წლის კაცის ცხოვრებაში იწყება ახალი ეტაპი – ინტენსიური მოღვაწეობის შედეგად დაიწერა და გამოიცა, ჯერ საიუბილეოდ მომზადებული კრებული „ვარდისფერი უღელი“, ხოლო შემდგომ ორი წიგნი „შორეული თავისიანები“, რომელიც მიუძღვნა ბაგრატის ტაძრის ათასწლოვან იუბილეს და გამოიცა 2003 წელს. მალე მას მოყვა წიგნი „ესთეტიკა-კრიტიკა“ (2005წ.), რომელშიც წარმოდგენილია კრიტიკულ-პოლემიკური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური ეტიუდები.

2005 წლიდან დღემდე უაღრესად ნაყოფიერი იყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის სფერო. დღემდე დაწერილი და გამოქვეყნებული წიგნებისა და მონოგრაფიების ჩამოთვლაც ნათელყოფს იმას, თუ რაოდენ თვალსაჩინო მხატვრული და ფილოსოფიური ნააზრევია რეალიზებული მათში.

ასე, რომ ბოლო ათწლეული ერთობ ბარაქიანია და მოიცავს 15-მდე წიგნსა და მონოგრაფიას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი რამ: სიმონ არველაძესა და მის მეუღლეს ლიტერატორ მარი ხვედელიძეს, ამ ღრმა სიბერეში შესულ ღვაწლმოსილ ადამიანებს, თავიანთ დიდ სიმდიდრედ და სიამაყედ მიაჩნიათ ის, რომ მათი აღზრდილი და ხელდასმული ვუნდერ-კინდი ნორჩი შემოქმედები, დღეს საქვეყნოდ ცნობილი მწერლები, მეცნიერები, ერუდირებული ადამიანები და საზოგადო მოღვაწეები არიან... ბევრი მათგანი ცხოვრობს და წარმატებულად მოღვაწეობს საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც. (მწერალი-აკადემიკოსი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ასევე სახელგანთქმულ მწერალთა და ხელოვანთა, მეცნიერ-პედაგოგთა მთელი პლეადა: თეიმურაზ ლანჩავა, ენვერ ნიჟარაძე (გერმანია), ლერი იაშვილი, (რუსეთი), რუბენ ენუქაშვილი (ისრაელი)გივი ალხაზიშვილი, ალი გეგუცაძე, რეზო ბალანჩივაძე, ომარ გვეტაძე, გია ხოფერია, ჯემსი კეპულაძე, ოთარ ჭუმბურიძე, ონისე ბანძელაძე, ზაალ

კიკვიძე, ელისო კილაძე, ნანული ცხვედიანი, მანუჩარ კაჭახიძე, იოსებ ასათიანი, ქეთევან დეკანოზიშვილი, და სხვა).

დიდი პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ აწგანსვენებული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი: არჩილ კოსტავა, ჯემალ ქარჩხაძე, ჯანსუღ ღვინჯილია, ლელა თეთრუაშვილი, ნანი ბაბალიკაშვილი, მაცაცო ლოსაბერიძე, ტაგუ მებურიშვილი, თეიმურაზ აბულაძე, ილია გაგულაშვილი, შერმადინ ქალდანი.

ისინი, როგორც უმაღლესი ადამიანური ღირებულებანი, სულიერ ღირებულებათა სისტემასთან ერთად, ქართველი ხალხის მარადიული დიდებისა და შარავანდედის უნიკალური ნიშანსვეტებია.

წამსვლელი მიდის და მომსვლელი მოდის, მაგრამ საკმარისია კი ეს მარტივი მოძრაობა საზოგადოებაში? რა თქმა უნდა არა. აქ უმთავრესი ის არის, რომ წამსვლელმა დატოვოს მყარი ნიადაგი, როგორც ერის მამად წოდებული დიდი ილია ბრძანებდა, არა ფუყი, არამედ მაგარი ქვა ჩადოს საფუძველში, რათა მომავალმა თაობამ ახლის შექმნა ჰაერში გამოკიდებულმა კი არა, წინაპართა მიერ დატოვებული საძირკველიდან დაიწყოს, შვილმა იცოდეს სად შეჩერდა მამა.

თაობათა შორის ასეთი ურთიერთკავშირის აუცილებლობა თვალნათლივ ჩანს ბატონ სიმონ არველაძის შემოქმედებაში. როცა მისი მრავალმხრივი ნამოღვაწარის ნაყოფს ეცნობი, დაინახავ, რომ პირველყოვლისა ავტორი აქ უბრალო სურვილს კი არ გამოთქვამს ძირტანმაგარი მუხის სასარგებლოდ, არამედ საკუთარი ხელით ნაშენები ქვითკირის სიმტკიცეზე მიგვანიშნებს და თაობათა ისეთ ერთობას ქადაგებს, როგორიც პირადად მან შექმნა. ბატონ სიმონ არველაძეს ჰყავს: შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილი. დიახ პატარა ლუკა არის ის ნორჩი ყლორტი, რომელმაც მამა-პაპათა ნაკვალევზე უნდა იაროს ერთიანი და თავისუფალი საქართველოს აღმშენებლობის გზაზე. სწორედ ეს იდეა ასაზრდოებს ამ დიდი მოღვაწის მრწამსს, ვინც აქ სიცოცხლეში თავდადებით და ერთგულად იღვაწა მშობელი ხალხის სამსახურში, ვალმოხდილმა დატოვა წუთისოფელი და იმერსამყაროში სასახელო სასუფეველი დაიდო, მისი თვალსაჩინო ღვაწლიც და სახელიც უკვდავებად დარჩება მომავალ თაობას.

ასეთია ბატონის სიმონ არველაძის ჩანაფიქრიც და თაობათა ცვლის პროცესში იმ უმთავრესი იდეის ხორცშესხმა, რომელიც ბრძენი ხევისბერი გოჩას ბაგეებიდან ამონათქვამი ყველა ქართველის სმენასა და გაგონებას უნდა ჩასძახოდეს: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“.

თუმცა ბატონი სიმონის კოლეგებსა და მეგობრებს ყველას გვინდა, რომ ძალიან შორს უსასრულობაში გადაიწიოს იმიერსასუფევლის კარიბჭე, რათა ჩვენმა ბერმუხამ კიდევ მრავალი სამეცნიერო კვლევა-ძიების ჩატარება მოასწროს ჩვენი ქვეყნისა და მისი მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

სიმონ არველაძე – მწერალი, პროფესორი

გალაკტიონი და კლასიკოსები

რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა და...

გალაკტიონი

ამ ბუმბერაზთა შორის, მრავალწერტილს შეხიზნულმა დაიგულა თავისი თავი, მაგრამ, ალბათ, ამის ჩაწერა, დროს და შთამომავლობას მიანდო. ასეც მოხდა იმ მრავალწერტილების ნაცვლად სიტყვების – კავკასიონის, რიონის და ბახტრიონის მისარითმავად ნაგულისხმევ მის სახელს – გალაკტიონი – ხალხმა მიუჩინა ადგილი...

გალაკტიონმა მრავალი შესანიშნავი ლექსი თუ ბალადა უძღვნა კლასიკოსებს – შოთას, ილიას, აკაკის და ვაჟას. მათ შორის, რა თქმა უნდა, უკვდავ ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, რომლის მოხსენიება ზემორე სტრიქონებში ვერ მოახერხა, მაგრამ სხვა კონტექსტში ქართული კლასიკური პოეზიის ექვს ქურუმს შორის, რომელთა მემკვიდრედ თვლიდა თავს, პატივით მოიხსენია დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი.

იმ ექვს მწვერვალთა გვეფარა ჩრდილი,
ვინ მოგვილია –
გურამიშვილი, ბარათაშვილი,
ჩვენი ილია.
აკაკი, ვაჟა გასაკვირველი –
დიდება დროთა,
და მათ გვირგვინად მუდამ პირველი
ტიტანი შოთა

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ქართული პოეზიის უკანასკნელი შთაგონება ვაჟა-ფშაველა იყო, თავისი მძლავრი გაქანებითა და ფანტაზიით. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართულ პოეზიაში, როგორც მართებულად შენიშნავდა აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, გამოჩნდა დიდი ხარვეზი, რომლის შევსება ვერავინ შესძლო, ეს ხვედრი უახლესმა ეპოქამ წილად არგუნა დიდ გალაკტიონს. თუმცა ამის პრეტენზია მის გარდა სხვასაც ჰქონდა და გამოუთქვამს კიდეც. გავიხსენოთ სიმონ ჩიქოვანის შემართებით ნათქვამი სტრიქონები: „გურამიშვილის და ვაჟას შემდეგ სიმართლის მთქმელი მე ვარ მესამე“. ნამდვილად, ვაჟას შემდეგ, თუ ვინმემ აგრძნობინა მკითხველს ქართული ლექსის წარუვალი ესთეტიკური მიმზიდველობა, სილაღე და ფანტაზიის ძალმოსილება – ეს იყო გალაკტიონი, როგორც თვითშეცნობილი გენიოსი და ნოვატორი შემოქმედი და სწორედ ამიტომაც მოვიხსენიებთ მას, სასახელო წინაპართა გვერდით, უბრალოდ და მარტივად, მხოლოდ სახელით: „გალაკტიონი“. „ვის იხსენიებს მშობლიური პოეზია ასე მარტივად, მხოლოდ სახელით? ყველაზე ცნობილსა და საყვარელ თავის წარმომადგენლებს, მართლაც მოიგონეთ: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ამიერიდან შენ უერთდები ამ საყვარელ და სასიქადულო სახელებს“ (აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე).

* * *

1. „მესხის გამოხედვა“... გალაკტიონისათვის პოეზია ხალხის ცხოვრების გამომხატველია. „ცოცხალი ცხოვრების ცეცხლისა“ და შთაგონების გარეშე პოეტი ღირსეულს ვერაფერს შექმნის. უძველესი დროიდან მოყოლებული, პოეტები ხსნიდნენ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს და ასე ჰქმნიდნენ შედევრებს. ამ კონტექსტში იგი ხშირად ახსენებს დანტეს, შექსპირს, გოეთეს, ბაირონს, პუშკინს და სხვ. ჩვენში კი, მათთან ერთად, მოიხსენიებს ექვს მწვერვალს: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის და ვაჟას. მეშვიდე ხომ თვითონ იყო და არის!

გალაკტიონი საქართველოს უწოდებდა მგოსანთა მხარეს და ამაყობდა იმით, რომ „უძველეს ხნიდან დაწყებული რუსთაველამდე, რუსთაველიდან ჩვენამდე რეკს ივერთა ჩანგი.“ ქართული პოეზია ყოველთვის მედგრად იბრძოდა სამშობლოს ბედნიერებისათვის, ბედნიერება კი თავი-

სუფლების გარეშე წარმოუდგენელია. აქ უპირველესი რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ იყო, მერე „გულწრფელი მელოდია გურამიშვილის“, ახალგაზრდა ილიას „რომანტიკული სული“, „იკაწრებოდა ხალხის ბედით ბარათაშვილი... ცეცხლი აკაკი, გმირი ვაჟა, ბრძენი ილია“... ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული კლასიკური პოეზია ხალხის წარსულთან, მის ბედ-იღბალთან, ეროვნულ თვითშეგნებასთან. „დღიურებში“ გალაკტიონი არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას ხალხის წარსულთან, მის ბედ-იღბალთან, ეროვნულ თვითშეგნებასთან. „დღიურებში“ გალაკტიონი არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას ხალხის წარსულთან. მის ჰეროიკულ საწყისებთან პოეზიის განუყრელ ერთიანობაზე. იგი წერდა: „პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანხმება საქართველოს წარსულს... საქართველო და მისი პოეზია თანაბრადაა რთული, გულწრფელი და ამაღლებული, მრავალფეროვანია და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიაა“... პოეტებს აქვთ თავიანთი გმირული ტრადიციები, რაზედაც მგზნებარე სიტყვებით გადმოგვცემს იგი რუსთაველზე დაწერილ ერთ-ერთ ლექსში.

დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი,
ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი:
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი,
პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი...
იყო გრიგალი, იყო შერყევა,
იყო მსოფლიო ძალა-უგეში.
მისთვის არ იყო რამ შეფერხება, –
იგი უყვარდათ, როგორც ნუგეში.

ასე სწამდა ქართველ ხალხს პოეზია და ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედება, რომლის მსგავსით უთუოდ იამაყებს ბევრი გამოჩენილი ერი...

რუსთაველი დიდი ხანია გასცდა კავკასიის ქედს, იგი ახლა მსოფლიო პოეტის რანგშია. თუმცა მარტო არ არის. „დროთა ქროლამდის“ ამაღლებულ გენიოსთა შორის, შოთასთან ერთად, უნდა ვიგულვოთ: პეტრარკა, დანტე, შექსპირი, გოეთე, ბაირონი, პუშკინი და სხვა.

იქ მაღლდებოდა პეტრარკას სული,
იქ მუსიკობდა თვით დანტეს ქნარი,
ღელვამ შელისა და ბაირონის
მხოლოდ იქ ჰპოვა ნავთსაყუდარი
იქ რუსთაველის დატრიალებდა
შემოქმედების დიდი ნადიმი,
და იქ რეკავდა უცნაურ გზნებით
ბარათაშვილის მწუხარე სიმი.

ლექსში „მსოფლიო ორკესტრი“ გალაკტიონი სიამაყის შეგნებით წერდა: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს.“

გალაკტიონისათვის სატანა ბოროტების ხატებაა. ამიტომ იგი სულ სიკეთისაკენ მიისწრაფვის, ცდილობს, რომ ჩამოიშოროს ის „მეორე“ და იყოს ერთი, მხოლოდ ერთი — სიკეთე. ასე იყო ტრადიციულადაც. ბუნებით ჰუმანისტური ქართული მწერლობის მისწრაფებაც იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩამოეშორებინა ბოროტი ძალა, რომელიც ყოველთვის უპირისპირდებოდა კეთილ საწყისს. რუსთაველისა არ იყოს, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

„დღიურში“ გალაკტიონი წერდა, რომ მზე და პოეზია განუყრელია. „განა მგოსანი არ ჰგავს მზეს. მხოლოდ ის სწვდება ყველგან: ქოხებში და სასახლეებში, ყოველთვის წმინდა, ყოველთვის ბრწყინვალეა, ყოველთვის ღვთაებრივი, განურჩევლად ისვრის ის თავის სხივებს ყველგან! რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსში მოხდენილად ცნაურდება ეს ჭეშმარიტება.

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.

გალაკტიონი მზეს შესტრფის, თითქოს იგი მზის წილხვედრია რუსთაველის მსგავსად, ვერც მზე იქნება მის გარეშე. „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი.“ მზეში

გალაკტიონი ხედავს ღვთაებრივს, რაღაც ზენარულ მიმზიდველობას, მზე ყველგან არის განფენილი, როგორც „ხატი ღმრთისა უხილავისა."

მზისა და ზღვის მოტივები თავისებურად იკვეთება რუსთაველისა და გალაკტიონის პოეზიაში. ზღვა და ზღვის მღელვარება მათ საკუთარ სტიქიად აქციეს. რუსთაველამდე ზღვა თითქოს პოეზიის მიღმა დარჩა. მერედაც ვერ მიიქცია პოეტების ყურადღება. ამიტომ ამბობდა გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი ქართულ ლიტერატურაში არ სჩანსო ზღვის თემატიკა. მოტივები გალაკტიონის თქმით, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" ზღვა გაკვრითაა ნახსენები, დასკვნა ისეთი იყო, რომ ქართველებს თითქოს საზოგადოდ არ უყვართ ზღვა, მართალი არის თუ არა არტურ ლაისტის ეს შეხედულება, მკვლევარების საქმეა. ერთი რამ კი უდავოა: ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში არ სჩანს. ეს მოძრაობა დაიწყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ. აქ გალაკტიონი ერთი პირველთაგანია. ზღვის მოტივები, უპირველეს ყოვლისა, აისახა მის პირველ წიგნში (1914 წ.), აგრეთვე მომდევნო კრებულებსა და ტომეულებში.

ზღვის თემის დაფუძნების მიზნით განსაკუთრებით საყურადღებოა ცალკე წიგნებად გამოცემული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში" და „ზღვა ახმაურდა". გალაკტიონისათვის ზღვა მეტად ახლობელი რამ არის. იგი ჰქმნის ზღვისა და ხომალდების პოეზიას. შემთხვევითი არც ისაა, რომ ზღვაზე დაწერილ ბევრ მის ლექსს წანამძღვრებული აქვს შოთას სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან" („ზღვის სიმფონია," „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად", „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა" და სხვ.).

ზღვის სამყაროში გალაკტიონი თავს გრძნობდა ლაღად და ბედნიერად, შორეული წინაპრის სუნთქვაც მოესმოდა შავი ზღვის ახლო ნაპირებიდან. თითქოს იგი (რუსთაველი) იჯდა და ოცნებობდა ოქროს ნავში, მოდიოდა მშობლიურ და საოცნებო ქვეყანაში, ედემს რომ ედრება.

მე რუსთველი ამა ზღვიდან
შემოვდივარ ამ ქვეყანას,
მოვიარო სხვა ქვეყანა –
ვერ მოვისმენ ამგვარ ნანას.
ხამს შესწირო კაცმა თავი
მხარეს – ედემს ამისთანას...
მის ვეფხობას, მის სიუხვეს,
სიყვარულს და ოქროს ხანას.

როცა წიგნზე ლაპარაკობს, გალაკტიონი, პირველ ყოვლისა ასახელებს შოთას დიდებულ ქმნილებას, ურომლისოდაც არაფერს წარმოადგენს ბიბლიოთეკა და წიგნთსაცავი, ეს არის უბრწყინვალესი ძეგლი, მხატვრულად ნაჩუქურთმევი, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა და აქვს სიბრძნე „უთვალავი ფერითა." ლექსში „ მშობლიურო ჩემო მიწავ" გალაკტიონი ფიცს სდებს ხალხის წინაშე, რომ დაიცავს უძველეს განძს, როგორც ჩუქურთმას:

„სუნთქვა ძველი წიგნებისა, მშვენიერი ძველი ენა, სული ქართლის ცხოვრებისა, რუსთაველის აღმაფრენა"... „ხუროთმოძღვარს აქ ჰყავს მცველი, მეომარი და მგოსანი, და ჩუქურთმა უფრო ძველი, ვიდრე „ვეფხისტყაოსანი". მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავისახავ იმ ლექსთა ხმას, იმ ჩუქურთმის შუქს დავიცავ".

„ვეფხისტყაოსნის" შვიდას ორმოცდაათი წლისთავი მსოფლიო პოეტური კულტურის ზეიმად იქცა; პოეტის თქმით, „ეს წელიწადი და ეს საათი შარავანდედი არის მთელ დროთა, ეს არის შვიდას ორმოცდაათი წლის მოზღვავება: ეს არის შოთა. უმშვენებს კედელს სურათი მისი ერთ პოეტს, ვინაც ქართლში ყოფილა, რა საოცრებებს ფარავს პარიზი, ქვეყნად ყველაფრით უკმაყოფილო." სწორედ ამიტომ ყოველთვის ამაყობდა და ამაყობს „ქართველი იმ ერთი ვინმე მესხითა."

გალაკტიონი რუსთაველის შეუდარებელი მემკვიდრეა. იგი მისი გენიდან აღმოცენდა და ამომზიანდა. იგი უხმობდა კიდეც ჩვენს დროში ახალ რუსთაველს („ჩვენი დროც ისევ რუსთაველს ელის"). რომელსაც უნდა შეექმნა მონუმენტური რამ ქარიშხლიანი დღეების წარმოსაჩენად. აკი თავად იყო რუსთაველი ახალი დროისა, ახალი, მეოცე საუკუნისა და დიდ შოთასთან ერთად, ისიც „გადაშორდება დღეებს მტვერიანს, გადაშორდება დროთა ბანაკებს, მათ მომავლიდან კვლავ უცქერიან"... მარადიულ ნათლის სვეტად აღიმართება ეს ორი გენიოსი მომავლის წინაშე.

„გალაკტიონ ტაბიძის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან თავისი შემოქმედებით არამცთუ უმეთაურა გადატრიალებას ქართულ პოეზიაში, არამედ ქართული პოეტური სიტყვა ერთბაშად ასწია და შეიყვანა მოწინავე მსოფლიო პოეზიის განვითარების საერთო პროცესში; ერთბაშად ასწყვიტა პროვინციის საფრენ მოედანს და გაიყვანა საერთაშორისო, საკონტინენტთაშორისო საჰაერო გზებზე, ისევე, როგორც უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედმა მეთორმეტე საუკუნეში და ნიკოლოზ ბარათაშვილმა მეცხრამეტე საუკუნეში“ (ირაკლი აბაშიძე).

2. ილია და გალაკტიონი. „ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, – წერდა გალაკტიონი, – წარუშლელი კვალი დააჩნიეს ქართველი ინტელიგენციის ისტორიაში. საზოგადოდ, ქართველი ინტელიგენციის ისტორია ამ ორი პიროვნების გამოსვლით იწყება. ჩვენს წინ ცოცხლად დგას ერთი მხრით დაუღალავი მშრომელი და ძლიერი სულიერი ნიჭის პატრონი ილია ჭავჭავაძე. მეორეს მხრით, დაუმონებლად ამაყი და ციური ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი პოეტი აკაკი.“

ამჯერად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ მჭიდრო სულიერ კავშირზე, რასაც ამყარებდა გალაკტიონი თავის დიდებულ წინაპრებთან, კერძოდ, ილია ჭავჭავაძესთან. ამ შემთხვევაში უნდა გავარჩიოთ ორი სხვადასხვა მიდგომა ილიას მემკვიდრეობისადმი, პირველი: ადრინდელი პერიოდი, როდესაც ახალგაზრდა გალაკტიონი აღშფოთებას გამოთქვამს კლასიკოსი მწერლის ტრაგიკული სიკვდილის გამო; მეორეც, მოგვიანებით მის მიერ დიდი თერგდალეულის პატრიოტული და ლიტერატურული მოღვაწეობის ღრმად შეცნობისა და მხატვრულად გააზრებისა. ილიას მკვლელობას გალაკტიონი აღშფოთებით დაწერილი ლექსით გამოხმაურებია. ეს ლექსი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა თურმე ქუთაისის ციხეში პოლიტიკურ პატიმართა შორის, ამის თაობაზე გალაკტიონზე დაწერილ თავის მოგონებაში ილია ბახტაძე წერდა: „მე მაშინ ქუთაისის ციხეში ვიჯექი, მახსოვს გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერი ლექსი ილია ჭავჭავაძის მკვლელობათან დაკავშირებით დაწერილი, ციხეში მოგვიტანა ციხის ექიმმა დავით ჯაფარიძემ და მაშინ ეს ლექსი ციხის ერთი საკანიდან საკანში გადადიოდა, პოლიტიკური პატიმრები ამ ლექსს დიდი ხალისით კითხულობდნენ (კრებული „სადღეგრძელო იყოს მისი“. გვ.139).

გალაკტიონს „დღიურებში“ აქვს ერთი ჩანაწერი – მოგონება ილიას მემკვიდრეობის შესახებ. „მატარებლის ვაგონში 1907-ში სულ ერთი კაცი კითხულობდა გაზეთს... ცხრაას შვიდში იუსტინეს რიონის სადგურზე ამოუტანეს გაზეთი, რომელშიც ეწერა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი: ყველა ღელავდა, მაგრამ გაზეთს მხოლოდ ერთი კაცი კითხულობდა“ (ტ.12, გვ.434). ილიას მკვლელობას დიდი აღშფოთება გამოუწვევია ხალხში, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც მოიწადინეს მისი სულიერად მოკვლა, ისინი ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოს ილია იყო გულქვა, მჩაგვრელი და დაუნდობელი მებატონე; 1940 წლის ზაფხულში გალაკტიონი ისვენებდა საგურამოში, ილიასეულ სახლში, სადაც შეხვედრია ხანდაზმულ ადამიანებს. მისივე თქმით, მათ ყველას ახსოვს ილია ჭავჭავაძე. ახალგაზრდობა ამაყობს. აი, მხვდება მოხუცი დედაკაცი და მიამბობს: პურის მცხობლად ვიყავი ილიასთან. გადმოდგებოდა ის მადლიანი აივანზე, დამინახავდა თუ არა დამიძახებდა ქეთევან, ქეთევან, ეგრე ბევრს ნუ მუშაობ — ბევრი შვილები გყავს და შენ რომ მოკვდე, მათ რაღა ეშველებათ. საღამოობით დამტვირთავდა სანოვაგით და ისე გამიშვებდა. მისი დღეობა რომ იქნებოდა, სულ ახლომახლო სოფლები, დიდი და პატარა განცხრომაში იყვნენ, საჩუქრებს ურიგებდა თითოეულ ოჯახს, ფართალს და სხვა ნივთებს (ასე ახსოვთ და სიყვარულით იგონებენ ილია ჭავჭავაძეს)“.

გავიხსენოთ გალაკტიონის ცნობილი ლექსი „წიწამურში რომ მოკლეს ილია.“ მასში ავტორი იძლევა ეპოქის თავისებურ პოეტურ დახასიათებას. წიწამურის ტრაგედიას მიიჩნევს დიდი დროის დასასრულად, მაგრამ როდი ჩაქრა ილიას მიერ ანთებული ლამპარი, რომლის შუქმაც გზაზე გამოიყვანა მამულიშვილთა ახალი თაობა, ეს ჩაუმქრალი შუქნათელი თავიდან ბოლომდე გასდევს გალაკტიონის შემოქმედებას. გალაკტიონი კვლავ ილიას მიმართავს, როდესაც ქვეყნის განახლების დასაბამს მისი სიტყვების თავისებური გააზრებით ეგებება: „ახალი დროის დასაწყისი, ყოველ მხრიდან – ხმა, ყველგან – ძახილი.“ ეს არის სტრიქონები ლექსიდან „მეტეხს იქით ცა, აჰა, ნათლდება.“ შემდგომშიაც გალაკტიონის შემოქმედებაში მოისმა ილიას იდეური მოტივების გამოძახილი. ჯერ ერთი, გალაკტიონის სადებიუტო პოეტურ ნაწარმოებს „შავი ღრუბელი“ ატყვია ილიას პატრიოტული შედევრის გავლენის კვალი, მეორეც, ცნობილია ილიას „მგზავრის წერილებიდან“ მოხევე ლელთ ღუნიას პირით გამოთქმული საკუთარი მრწამსი: „ჩვენი

თავი ჩვენადვე გვეყუდნესო.“ ახალი დროის პოეტმა ეს პატრიოტული ნატვრა თანადროულად აამეტყველა: „გემი ცით არ იცნობს ზღვას ვრცლად განიერს, იგი ხომ მეზღვაურს სამშობლოდ ეკუთვნის. – მოხევევ, გახედე ჩვენს იმერ-ამიერს: ეყუდნის თავის თავს? – ცხადია, ეყუდნის!“

ეროვნული სუვენერულობის ეს ცხოველმყოფელი იდეა სწორედ ახლა ისხამს ხორცს და რეალიზდება, წინაპართა უკვდავი სახეები ოსტატურად აღბეჭდა გალაკტიონმა ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ,“ მასშივე წარმოდგენილია ილიას პორტრეტი:

აგერ წინამძღვრიანთკარის
ქარი არხევს ზვარის სამოსს,
და ხავერდი სავსე მთვარის
მოჰფენია საგურამოს.
მეცხრამეტევ! განთიადით
გვეგებება ოხვრა კაკლის...

ასოციაციურად ამ სტროფს ეხმიანება „აგერ დიდი კაკლის ხე, სად ლაღად გაშლილია სანაპირო, რომლის გზით მოდის დიდი ილია.“

1940 წელს, საგურამოში როცა ისვენებდა, გალაკტიონმა ილიასეულ თემაზე დაწერა რამდენიმე ლექსი. არტურ ლაისტის მოგონების მიხედვით აღადგენს პოეტი ილიას სულიერ განწყობილებას ლექსში „ილიას მოტივი“. აი, ეს ლექსიც:

„ზღვაზე მწუხრის ჩრდილია, რომ მღერის: გამაისდი! მაგრამ სევდა ლოდივით მაინც მთებს გასცქეროდა. „უყვარდაო ილიას, – ამბობს არტურ ლაისტი, – ერთადერთი მოტივი და მუდამ მას მღეროდა: რომ სული სტირს და გული, გულიც მასთან ღონდება, რომ ამ წუთისოფლის გულს ვერ იგებს რაიმეთი. თვალს აახელს ბედკრული, თვალს ცრემლი არ შორდება, დარჩენია განწირულს ერთადერთი იმედი.“

ერთ-ერთ თავის ჩანაწერში „ბარათაშვილი, ილია, აკაკი“ განიხილავს რა მათ ლიტერატურულ მოღვაწეობას, გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ახალ დროში „ლიტერატურის პრესტიჟის ასამაღლებლად საჭირო იყო უფრო გამბედავი და მეტი ცოდნით, გამოცდილებით შეიარაღებული ახალგაზრდობა, რომელსაც ცოტათი ნიადაგიც და ასპარეზი სჭირდებოდა სამოქმედო და რომლის დროშა ხელში აიღეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.“

გალაკტიონის მხედველობის გარეთ არ რჩება ის იდეური წინააღმდეგობა, რომელიც თავს იჩენდა ილიასა და აკაკის დამოკიდებულებაში. მიუხედავად ამისა, გალაკტიონის თქმით, ისინი ერთმანეთს უაღრესად პატივს სცემდნენ და აფასებდნენ. თვით ილიას დასაფლავების დღეს აკაკი მწარე ცრემლებით სტიროდა და ასე მოიქცეოდა ილიაც, რომ აკაკის ცხედარი დაენახა.

ილია იყო მაღალი ზნეობის, სულიერად ძლიერი და სპეტაკი პიროვნება, იგი როგორც ეროვნული გენია, უზარმაზარ სივრცეებს აწვდენს შუქს, ეს სიტყვები თანაბრად ეკუთვნის აკაკისაც და გალაკტიონსაც. მათი გავლენა ყოველი მომდევნო დროის მწერლისა და ოსტატის ბედ-იღბალზე შესამჩნევად მნიშვნელოვანია.

ილიას სული და შემოქმედება რთულია, ამიტომ მას ერთი საზომით ვერ მივუდგებით. მისი გონების ძალა, როგორც იტყოდა გალაკტიონი, არაა მარტო სიტყვებში; იგი ზომავდა საგნებს თავისი განსაკუთრებული თვალთახედვის ისრით; ეს თვალთახედვის ისარი ხშირად ცვლიდა საგნების ნამდვილ სახეს, როგორც იცვლება ყოველგვარი საგანი იმისდა მიხედვით, თუ საიდან უცქერი მას. სხვებისთვის შეუნიშნავი, მისთვის ადვილი გასაგები იყო... „არ უყვარდა მას არც ცხოველი და მკვეთრი, გაფრენილი სიტყვა; ბრიტანული სიცივე კარგი ზრდილობის მაჩვენებელი იყო, მისი აზრით.“

ამ გალაკტიონისეულ დახასიათებაში მკაფიოდ იკვეთება ილიას ხასიათის ნიშანდობლივი ყველა თვისება. ამ თვისებათა გამო ბრძენი ილია იყო და არის ჩვენი ეროვნული ხატება, სულიერების სიმბოლო. ამიტომაც იქცა იგი გალაკტიონის და მისი ძმის აბესალომის მთელი მათი ოჯახის საფიცარ ხატად და სულად. „სული ჩვენი ოჯახის იყო დიდი ილია – პოეტის ეს სიტყვები ჩვენთან თანშეზრდილია, ჩვენი ყრმობის რვეულში წარუშლელად სწერია: საფერფლე ილიასი, მამის გზა, „ივერია.“

გალაკტიონი ხშირად აწყვილებდა ძვირფას სახელებს: შოთა და ილია, ილია და აკაკი, ვაჟა და ილია და სხვ. არაიშვიათად აერთიანებდა ძვირფას სამებასაც (ილია, აკაკი, ვაჟა) და მოკრძალებით იგონებდა მათ აჩრდილებს:

მგოსნებო, შეღამდა და ძვირფას საფლავებს,
პანთეონს მივეცით ძვირფასი სამება;
ილიას ცრემლები, აკაკის ხანჯალი
და ვაჟას გარდასულ დღეებზე წამება.

3. „ვინ იყო მისი დიდი მემკვიდრე.“ „შოთა, ილია, აკაკი“.... აქვს რაღაცა ორგანული, სისხლხორცეული კავშირი გალაკტიონს ამ სამეულთან.

გალაკტიონი ერთ-ერთ ლექსში თავად დიდ პოეტს ათქმევინებს „ვინ არის ჩემი დიდი მემკვიდრე, ვინ არის ღირსი წაიღოს ქნარი?!“ ღირსი მემკვიდრე რომ არსაიდან ჩანდა, „მწარე ფიქრით დანაღვლიანდა მოხუცი მგოსანი,“ მაგრამ „მოხუცის უეცარ ფიქრზე ექვსი მგოსანი წინ წავიდა ნელა, მათ როგორც მთების მძლავრი არკანი წინ მიუძღოდა ვაჟა-ფშაველა.“ ექვსივე ეს მგოსანი, „ჩვენი რჩეული პარნასელები ,“ ახლა უკვე კარგად არიან აღბეჭდილნი ქართულ პოეტურ რუკაზე, მაგრამ მათ შორის არ ჩანს გალაკტიონი, მოკრძალებას იჩენს, არ ასახელებს თავის თავს ამ ღირსეულთა შორის. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ იგი ერთ-ერთი პირველთაგანი ხელაპყრობილი იდგა აკაკის „დიდებული ლანდის“ წინაშე: მართალია, გალაკტიონი ერთსულოვნად აღიარეს მეშვიდე დამოუკიდებელ მწვერვალად, მაგრამ ეს არა თუ გამორიცხავს, არამედ კიდევ უფრო მკაფიოდ ნათელყოფს იმას, რომ იგი იყო დიდი აკაკის ღირსეული მემკვიდრე, მისი პოეტური ხაზის განმგრძობი ქართულ პოეზიაში.

გალაკტიონი თავის შემოქმედებას უკავშირებდა XIX საუკუნის დიდ კორიფეებს, კერძოდ, აცხადებდა თავს ბარათაშვილისა და აკაკის პოეზიის მემკვიდრედ. „მთაწმინდის მთვარეში“ გაცხადდა კიდეც ეს მისეული თვალთახედვა. აქ, მთვარის შუქი გახვეული, მსუბუქ სიზმარივით მოსჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე... აქ ახალგაზრდა პოეტს ახლოს (იგულისმება ნ. ბარათაშვილი – ს.ა.). სძინავს მოხუცი პოეტის ლანდს, აკაკი წერეთლის ლანდს...

„გალაკტიონი აკაკის მემკვიდრედ თვლიდა თავს და, თანაც, არცერთ პოეტზე არ უთქვამს მას იმდენი და არ უწერია იმდენი სტრიქონი, რამდენიც აკაკის შესახებ.“ (ნიკა აგიაშვილი). გალაკტიონი ერთგან წერს: „მრავალი პოეტი მისცა საქართველოს მე-19 საუკუნემ, მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანად გამოხატავდა თავის დროს და მთელი საქართველოს პოეზიას, აკაკის მსგავსი არავინ არ არის, მისი გულიდან ამოხეთქავს ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი ძალდაუტანებელი აზრები: მასზე ამბობენ, საქართველოს უგვირგვინო მეფეაო. აბა, მითხარით, განა რომელიმე გვირგვინოსანმა მეფემ, თუნდაც იგი დავით აღმაშენებელი ან გიორგი ბრწყინვალე იყოს, ხმლისა და ბრძოლის გარეშე, ჯერ სად და როდის შეაერთა და სულიერად შეაკავშირა სასტიკი ძნელბედობის ჟამს თავისი ქვეყანა ისე, როგორც ეს ჩაიდინა ილიამ და აკაკიმ მეცხრამეტე საუკუნეში...“

აკაკის თემა ორგანულია გალაკტიონისათვის, იგი პოეტური სიმძაფრით განიცდის აკაკის სიდიადეს. მისი პოეზიის ჩაუქრობელ ნათელს... ყოველთვის, ყველგან, განსაცდელის ჟამსაც „არ დაგვტოვებს პოეტი ობლად, რომ არ აანთოს ისევ სანთელი ხატის მახლობლად.“

მადლს არ მოგვაკლებს და შუქს უსიტყვოს
მისი, პოეტის, მადლით ანთება.
კურთხეულ იყოს, კურთხეულ იყოს,
კურთხეულ იყოს ეს მოლანდება!

საიდუმლო შუქით მოსილი, დაღლილი სანთლებით მოდის ლანდი მოხუცი პოეტისა. ეს ლანდი მარად და ყველგან თანმდევია საქართველოსათვის.

თავის „დღიურებში“ გალაკტიონი აღიარებდა და ამაყობდა იმით, რომ ახალგაზრდობაში აკაკის გავლენას განიცდიდა. თუმცა თავიდანვე საკუთარ გზას ეძებდა და მიაგნო კიდეც. „ფრთხილად და შიშით ავიღე ჩემი ხმა გამოუცდელიო.“ – წერდა ერთ-ერთ ლექსში. აკაკი ახალგაზრდა პოეტებში ყველაზე დიდ იმედს გალაკტიონზე ამყარებდა, არის იმის ნიშნებიო, უთქვამს მხცოვან პოეტს, რომ ის (გალაკტიონი – ს.ა.) ბევრ ახალ რაიმეს შემოიტანსო ჩვენს პოეზიაში... ბედნიერი აღმოჩნდა გალაკტიონისათვის აკაკის მიერ დალოცვილი გზა, ამ გზით თამამად იარა მან და მიაღწია დიდების ზენიტს, ქართული პოეზიის მეშვიდე მწვერვალს.

გალაკტიონისათვის აკაკი იყო უფრო მეტი, ვიდრე ერთ-ერთი მწერალი ქართული პოეზიისა.

5. მატიანე

ჯერ კიდევ აკაკის სიცოცხლეში 1908 წელს, მისი იუბილეს მზადებასთან დაკავშირებით, ახალგაზრდა გალაკტიონმა საიუბილეო ჩანაწერებში გულწრფელად გამოხატა თავისი დამოკიდებულება აკაკისადმი: მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აკაკი დიდი სახალხო მგოსანია. ნამდვილი ხალხის შვილია, კარგად ესმის იმათი ავი და კარგი, პოეტი მას შედარებული ჰყავს მზესთან. მაგრამ პოეტს იმ დროს აწუხებდა ერთი რამ: შავბნელი ძალები რეაქციის ხანაში შეეცდებოდნენ ჩაეშალათ ეს დიდი დღესასწაული. თუმცა სწამდა, რომ ამას ვერ შესძლებდნენ. „იგი (ეს დღესასწაული – ს.ა.) იქნება, – წერდა გალაკტიონი, – მთელი საქართველოს გაერთიანების, ქვეყნის წინსვლის, ქვეყნის მომავალზე ზრუნვის, ქვეყნის მონობის უღელისაგან განთავისუფლების გამოსახულება. ხალხი პირისპირ შეხვდება მისი სულისკვეთების გამომხატველ გენიას.“

აკაკის პოპულარობის საფუძველი იყო და არის გენიალობამდე მისული სისადავე, სულიერი გამჭირვალობა. გალაკტიონმა მიგნებულად შენიშნა, რომ აკაკის ნიჭმა შესძლო მოეცა ბევრი რამ სამარადისო და უკვდავი. ეს ნიჭიერება რელიეფურად წარმოჩინდება სამი განზომილებით; გალაკტიონის თქმით, იგი იყო ნამდვილი სერვანტესი არსებულის იუმორით წარმოსახვაში, ბაირონს ჰგავდა მწუხარებაში, ხოლო ჰაინეს კვალს მიჰყვებოდა სატრფიალო ლირიკაში. იქნებ პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ არის სიმართლის მარცვალი ამ ჰიპერბოლურ შეპირისპირებაში. მთავარი ღირსება და უპირატესობა, რაც ამავე დროს, მისი პოპულარობის აღიარებაცაა, ის არის, რომ „ყველაზე ახლოს ხალხთან იდგა.“ იგი იყო სარკე ხალხის ცხოვრებისა, მისმა ლექსებმა შთაბერეს ხალხს მორალური ძალა, განუმტკიცეს მოთმინება, ასწავლეს თავისთავისადმი პატივისცემა, ვაჟკაცობა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადება.

აკაკის შესახებ გალაკტიონმა დაწერა პოემა „აკაკი წერეთელი“. ეს ნაწარმოები ვერ შეედრება მის ლირიკულ შედევრებს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია იმით, რომ თავისებური მონოგრაფიაა პოეტის ცხოვრების შესახებ. ავტორის დახასიათებით, აკაკის იდეალი იყო სამშობლოს თავისუფლება. ამ იდეალმა გაანათა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, რომ „მან უმაღლესი მისწრაფებანი გასდო მომავლის გზად და ხიდად.“ ეს ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოები თავისი დროის ადამიანური შინაარსის ცოდნას გვაძლევს. წარსულის ცოდნა კი აუცილებელია იმისათვის, რომ თანადროულობა შევიცნოთ და შევაფასოთ. „ფასი თანადროულობის ჩვენ წარსულის ცოდნით ვიცით, – დასძენს პოეტი. აკაკის ფართო ერუდიციას მოწმობს იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გააზრება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებიდან. გალაკტიონის თქმით, იგი, „ილიასთან ერთად... გამოვიდა თავისი კლასის ბრალმდებლად და მამხილებლად.“ აკაკის ეს სულიერი რაინდობა მიმართული იყო ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. პოეტმა გამოკვეთა სახე დიდი მამულიშვილისა, რომელიც ეროვნული თვითშეგნების, მოქალაქეობრივი მოვალეობის, სამშობლოს ერთგულად სამსახურის მაგალითი და ეტალონი იყო.

აკაკიმ იცოდა წარსული, ამაყობდა მისი დიდებით, ძლევამოსილებით, რომ გაიგო ისტორია კონრად ვალენროდისა აენთო მისი გული. ამ ეროვნული გმირის სახე აჯადოებდა მის სულს, პოეტურ წარმოსახვას. მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი სამშობლოზე. „ვალენროდის წრფელი გული, ვალენროდის ხმა ერთგული, აწვალებდა ეს სახელი და ეს გმირი ეროვნული.“

აკაკისათვის პოეზია იყო მძიმე საბრძოლო იარაღი, ხალხის სამსახურისათვის გამიზნული. იგი იწვოდა სამშობლოსათვის, როგორც წმინდა სანთელი, მისთვის ხატი იყო სამშობლო და თვით ხალხი, თავისუფლებას რომ სწირავდა სიცოცხლეს, სწორედ მან ხალხი და სამშობლო პირველ ხატად აღიარა. „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე – მთელი ქვეყანა.“ ამ პოეტურ ფორმულაში ეროვნულ- პატრიოტული ჰანგის ჟღერაცაა და ზოგადკაცობრიული იდეების ქადაგებაც. ამით უკვდავყოფილია იგი, როგორც მგზნებარე პატრიოტი, თავისუფლების მომღერალი, დიდი მომავლის იმედების მეხოტბე. გალაკტიონის თქმით, აკაკი იყო და არის ის ეროვნული გენია.

ვინც გაფრენა იყო ქნარის,
რომელიც მზე იყო დარის.
ვინმე მსგავსი აკაკისა
არ ყოფილა და არ არის.

4. ვაჟა და გალაკტიონი. დაუმთავრებელ მემუარულ ჩანაწერებში გალაკტიონს აქვს რამდენიმე ფრაგმენტი ქართველ მწერლებზე (ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა).

აქ იგი ვაჟას წარმოგვიდგენს, როგორც თვითმყოფად შემოქმედს. ხალასი ნიჭის პატრონს, რომელიც ყოველთვის მზად იყო მუხლი მოეყარა ლიტერატურული მასწავლებლების წინაშე, მაგრამ არა როგორც მონას, რადგან, გალაკტიონის თქმით, „ის თვითონ მეფე იყო, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი.“ განა რომელიმეს სხვას შეეძლო ნიჭიერ თანამოკალმეთა პატივისცემა და შეფასება ისე, როგორც ვაჟას?

აკაკის და ვაჟას ერთმანეთში დამოკიდებულების ნათელსაყოფად გალაკტიონი ხაზგასმით აღნიშნავს: „თუ აკაკი გაკვირვებას ეძლეოდა, როდესაც ხედავდა ვაჟა-ფშაველას ტრიუმფს, სამაგიეროდ ეს უკანასკნელი მუხლს იყრიდა აკაკის წინ და სრულიად არ აწუხებდა მას აკაკის შეხედულება. ასეთია დიდბუნებოვან ხალხთა ცხოვრება“ (ტ. 12, გვ.67).

საგულისხმოა ვაჟა-ფშაველას გალაკტიონისეული მაღალი შეფასება მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე პარიზში. აქ ილიას და აკაკის შემდეგ საგანგებოდ მახვილდება ყურადღება იმ განაკუთრებულ ადგილზე, რომელსაც იკავებს ქართულ ლიტერატურაში გენიალური პოეტის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. მისი თქმით, ვაჟა იყო თავისებური პანთეისტი, რომელიც განასულიერებს ბუნებას, ერთხელ ბაჩანასთან შეხვედრისას გალაკტიონს უთქვამს: ვაჟას ლექსები „კესანე“ და „მუხავ, მიყვარხარ, ტიალო“ შედევრები არისო. ეს ლექსები არის თავისუფალი, ლაღი, ხალისიანი, როგორც მისი შრომა, ვაჟას სიმღერებიდან გამოკრთის უმაღლესი სული, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიდან.

ვაჟა მთის და ბუნების, მზისა და სიყვარულის მგოსანი იყო. ამ მხრივ არის შეხების წერტილები ვაჟასა და გალაკტიონის ესთეტიკურ ნააზრევში. მზე, როგორც ვაჟასთან, ისე გალაკტიონთან, სინათლისა და შთაგონების სათავეა. ვაჟასი არ იყოს, გალაკტიონიც „თვალდამშეული“ შეჰყურებს ბუნებას, სურს, რომ ყველაფერი „ერთი სანახიდან“ აღიქვას, შეიმეცნოს და შემდეგ პოეზიის შედევრად აქციოს. ორივე მგოსანი არსებობის საწყისებს ეძებს. ბუნებაში არსებობის საწყისების ძიება და აღმოჩენა მათი მხატვრული ხედვის საერთო ნიშანია. ბუნებაში არის ელემენტი სულიერი საწყისისა და ისიც გაცოცხლებას ესწრაფვის, მაშასადამე, თავისი არსით ბუნება სიკეთის საწყისია, მაგრამ ზოგჯერ, ვაჟას თქმით, „ისიც მქმნელია ავისა.“

ბუნების სიყვარული უმაღლესი განცდაა. ვაჟასთან სიყვარულზე ხატოვნად არის ნათქვამი:

იმისგან ყვირის ირემი,
მისით დაფრინავს შველია,
მისგანა გალობს ბულბული,
მისგანვე მწვანობს ველია,
იმისგან ხარობს ბუნება...

ვაჟას შემდეგ სიყვარულის ამაღლებულ გრძნობას წრფელი ჰიმნით უმღერის გალაკტიონი:

უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ....
უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ.

რუსთაველისა და ვაჟას შემოქმედებითი მღელვარება და ამ ღელვის უბადლო შედეგი ჰქონდა მხედველობაში უსათუოდ გალაკტიონს, როდესაც თქვა:

რუსთაველი და მშვიდი?
დამშვიდდება და ვაჟა?
აწმყოს დიდება დიდი
და დღეს მომავალს ვაშა!

რუსთაველის და ვაჟას გვერდით გალაკტიონი ერთი იმ გენიოსთაგანია, ვინც არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლექსი, თუმცა კავკასიის ქედს ჯერხნობით ვერ გასცდა, მაგრამ ეჭვს იწვევს ახლო მომავალში მისი ჯადოსნური მხატვრული სიტყვის მსოფლიო რადიუსით გაჯირითება.

გაბედულად თქვა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ: „საქართველო მუდამ იამაყებს სამი გენიოსის სახელით, ესენი გახლავთ: რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ხანდახან აგრე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა-ფშაველა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედევრებს ვერ შექმნიდნენ.“

დოდო ჭუმბურიძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ ლორთქიფანიძე, ბრძოლა ზნეობრივი და მოწამეობრივი

საბჭოთა საქართველოში ბევრი ადამიანი იქცა უჩინარ გმირად. ისინი ამსხვრევდნენ რეჟიმის მიერ შემუშავებულ სტერეოტიპებს, ყალბ იდეალებს, იბრძოდნენ და მარცხდებოდნენ. თუმცა, ვინც ღირსებისა და სამართლიანობის გადასარჩენად იბრძვის, ვინც სიყვარულით არის განმსჭვალული და საკუთარი თავი და ოჯახი იმ ზოგადში აქვს განივთული, რომელსაც „სამშობლო“ ჰქვია, – არ მარცხდება. სამამულო ომები, სამშობლოს დასაცავად დაღვრილი სისხლი ყოველთვის გამართლებულია და ამგვარ ომებში მსხვერპლი იმარჯვებს და არა აგრესორი... ერთი ასეთი მებრძოლი იყო გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო და განათლების მინისტრი, ადამიანი, ვინც ვერ შეეგუა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას, ბოლშევიკური რუსეთის მიერ მის ანექსიას და შეუპოვარი ბრძოლა გამართა რეჟიმთან.

XIX საუკუნეში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად, ქვეყანაში იყო ეროვნული მორჩილებისა და შეგუების ფსიქოლოგიაც, ინტელიგენციის ერთი ნაწილის კომფორმისტულ-კოლაბორაციონისტული საქმიანობა. დამპყრობელი „გადამრჩენის“, „განმათავისუფლებლის“ სახელით იყო მოსული და ასეც უნდა მიეღო კოლონიურ მოსახლეობას. დამპყრობელი თუ „გადამრჩენი“? – ეს კითხვა საუკუნის მანძილზე საბედისწეროდ ეკიდა საქართველოს თავზე. რაც უფრო მეტი ადამიანი გასცემდა სწორ პასუხს, მით უფრო მალე დადგებოდა თავისუფლების ჟამი...

ამ კითხვას გრიგოლ ლორთქიფანიძე თამამად პასუხობდა: რუსეთი დამპყრობელი იყო XIX საუკუნეშიც, როდესაც არად ჩააგდო გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძვლები და ნაწილ-ნაწილ დაიპყრო საქართველო, დამპყრობელი იყო 1921 წელსაც, როდესაც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ახალი ანექსია მოახდინა.

როდესაც XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დასაწყისში განათლებული და პატრიოტი ქართველები სოციალიზმის იდეოლოგიით განიმსჭვალნენ, მათ მხოლოდ ქართველი ერის ეკონომიკური დაწინაურება, უაღრეს სიდუხჭირეში ჩავარდნილი მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენების გაძლიერება სურდათ. ისინი კი, ვინც სოციალიზმის უკიდურეს რეაქციულ ფრთას – ბოლშევიზმს მიემხრენ, მთლიანად რუსული იმპერიული აზროვნების ტყვეობაში და ყოველივე ეროვნულისაგან შორს აღმოჩნდნენ, უაზრო კოსმოპოლიტიზმისა და უტოპიზმის მსხვერპლნი გახდნენ და საკუთარი ქვეყნის მტრებად გადაიქცნენ.

გრიგოლ ლორთქიფანიძეც ამ ტიპის მოაზროვნე იყო, ევროპული ტიპის სოციალისტი. სოციალიზმს ის სოციალურ აღმავლობას უკავშირებდა, ამ უკანასკნელში კი ქართველი ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი და დემოგრაფიული აღორძინების პერსპექტივას, ყოველგვარი ეროვნულის აღმავლობას ხედავდა, თუკი სამშობლო-საქართველოს ინტერესები ილახებოდა, ის, საკუთარი სიცოცხლის სასწორზე დადების საფასურად, შეუპოვრად იცავდა მას. მისი ასეთი თავგანწირვა და ტოტალიტარულ რეჟიმთან დაპირისპირება საყოველთაო რეპრესიებისა და ეროვნული ფასეულობების დევნის ჟამს გმირობის ტოლფასი იყო.

სამწუხაროდ, გრიგოლ ლორთქიფანიძისთანა საღი აზროვნებისა და ეროვნული ცნობიერების ადამიანები სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არცთუ ბევრი იყო. ეს ადამიანი ნამდვილად გამოირჩეოდა თანაპარტიელთა შორის და მთელი ცხოვრება ეროვნული ინტერესების დაცვისათვის ბრძოლას შესწირა თავი. გრიგოლ ლორთქიფანიძე იდეურად, ქაქუცა ჩოლოყაშვილი კი იარაღით დაუპირისპირდა მძიმე საბჭოურ რეჟიმს, რის გამოც ეს წამებული ადამიანები ქართველმა ხალხმა შეიყვარა და მათდამი მადლიერება გულში ღრმად ჩაიმარხა. ეს გმირები რეჟიმისაგან დიდხანს იდევნებოდნენ, საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ მანძილზე მათი

ხსენება აკრძალული იყო, მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აზვირთების ჟამს, 1988-89 წლების შემდეგ, გამოჩნდა მათი ღვაწლი და გმირული თავგანწირვის მაგალითები. არქივებიდან ამოღებულმა უცნობმა დოკუმენტებმა თვალნათლივ აჩვენა გრიგოლ ლორთქიფანიძის ზნეობრივი გმირობა, მისმა ნაშრომმა – „ფიქრები საქართველოზე" – ღრმად დააფიქრა ქართული საზოგადოება საბჭოთა რეჟიმის საშინელებაზე, რუსეთის დამპყრობლურ ინტერესებზე, ყველა რუსული პოლიტიკური და პარტიული ჯგუფის ანტიქართულ მიზნებზე. საბჭოური რეჟიმის თვითმხილველი გრიგოლ ლორთქიფანიძე რუსულ-ქართული ურთიერთობის ობიექტურ შემფასებლად, მიუკერძოებელ კრიტიკოსად, პოლიტიკური პროცესების ნამდვილ ანალიტიკოსად იქცა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ადგილსა და როლს საქართველოს ისტორიაში, უპირველესად, ის ეროვნული, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობები განსაზღვრავენ, რასაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და რის შესანარჩუნებლადაც ყოველთვის ბრძოლაა საჭირო. ეს ბრძოლა ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო იყო და მას უამრავი ქართველი ეწირებოდა. თავდადების, თავგანწირვის ნიჭი და უნარი ყველას არა აქვს. მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ საკუთარი სიცოცხლის ფასად სცადონ იმის გადარჩენა, რაც „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლას" განსაზღვრავს. საუკუნეების მანძილზე მომხდარი უამრავი ცვლილების მიუხედავად, უცვლელი რჩება და მასზეა დამოკიდებული ერისა და ქვეყნის არსებობა. გრიგოლ ლორთქიფანიძე ასეთი შეუპოვარი მებრძოლი და რაინდი იყო. გმირები აწმყოში არ ცხოვრობენ, ისინი წარსულსა და მომავალსაც ეკუთვნიან. გრიგოლ ლორთქიფანიძის გმირობაში ერთმანეთს შეერწყა ზნეობრივი და მოწამეობრივი, და ორივეს ამ ადამიანის ცხოვრების სპეტაკი წესი განსაზღვრავდა.

კარგა ხანს არ იცოდა ქართველმა ხალხმა იმ არაჩვეულებრივი გმირობის ამბავი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს მაშენებელ პოლიტიკურ მოღვაწეს, თუ ტოტალიტარულ საბჭოურ რეჟიმთან მებრძოლ გრიგოლ ლორთქიფანიძეს ჰქონდა ჩადენილი. არადა, თავად მას არაფერში სჭირდებოდა და არც გამოსდგომია ეს გმირობა, უბრალოდ, სხვანაირად არ შეეძლო...

მისი გმირობა ჩვენ გვჭირდებოდა, მომავალ თაობებს სჭირდებათ, რადგან სულიერების დეფიციტის ჟამს, ნებისყოფის განმტკიცების, სიკეთის, სიყვარულის, მაღალზნეობრივი პრინციპების სწავლების სხვა უკეთესი სკოლა არ არსებობს, უფრო დიდი მასწავლებელი არ მოიძებნება, ვიდრე გრიგოლ ლორთქიფანიძის და მისნაირთა მაგალითია.

სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ლორთქიფანიძის შეხედულებები ეროვნულ საკითხში თანამედროვეცაა და სამომავლოც. ბევრი თვალსაზრისი, რაც მას ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებზე, სწორი იყო და ჯანსაღი. მაგალითად, ის მართალი იყო, როდესაც თავისუფალი საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე საუბრობდა, როდესაც ქართველი ერის ცხოვრებაში ეკლესიის როლს აანალიზებდა... მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ძლიერი საგანმანათლებლო კერები სჭირდებოდა, რომ მას მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება და, ზოგადად, დიდი სულიერი კულტურა გადაარჩენდა. მისი აზრით, დასავლურ-აღმოსავლური კულტურის საზღვარზე აღმართულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თუკი თანამედროვე მეცნიერული მიღწევებით აღიჭურვებოდა, შეეძლო გამორჩეული როლი ეთამაშა მსოფლიო უნივერსიტეტთა შორის...

გრიგოლ ლორთქიფანიძე დამოუკიდებელ საქართველოში მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო და განათლების მინისტრი იყო. ამ თანამდებობებზე დანიშვნა მისმა დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა. თუმცა ეს ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობები ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მძიმე დროს მიიღო.

მას არ მოსწონდა პარტიული ნიშნით თანამდებობებზე დანიშვნა, არმიის გაყოფა ორად, – რეგულარულ ჯარად და სახალხო გვარდიად, სადაც მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი. გეგმაში ჰქონდა რეგულარული ჯარისა და გვარდიის შერწყმა, ერთიანი არმიის ჩამოყალიბება. ლორთქიფანიძე ებრძოდა რუსულ აგრესიას, წითელი რუსეთი სამართლიანად მიაჩნდა ოკუპანტად, ბოლომდე იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. მისი ბიოგრაფია ჰგავს იმ ადამიანების ცხოვრებას, რომლებიც მის

გვერდით იტანჯებოდნენ კატორღაში, უამრავი ეწამა და დაიღუპა, უამრავმა დასდო თავი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ მისი ბიოგრაფია განსაკუთრებული ნიშნითაცაა აღბეჭდილი...

გრიგოლ ლორთქიფანიძე დაიბადა 1881 წელს ვანის რაიონის სოფელ ისრითში.

ლორთქიფანიძის გვარი იმერეთის წარჩინებულ ფეოდალურ საგვარეულოს მიეკუთვნება. ამ გვარის მრავალი წარმომადგენელი იყო სამშობლოს ღირსეული დამცველი, ქართული კულტურისა და ხელოვნების რჩეული მოღვაწე, გამოჩენილი ადამიანი, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები. ლორთქიფანიძეები ცხოვრობდნენ ქუთაისში, ასევე იმერეთის სოფლებში: ყუმურში, ბზვანში, დიდ ჯიხაიშში, ვანში, ისრითში, ჩუნეშში, ცხუნკურში და სხვ. ისრითელი ლორთქიფანიძეები იყვნენ როგორც სასულიერო, ასევე სახელმწიფო პირები. ისინი ნათესაური ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებულნი იმერეთის ყველა სოფლის თანამოგვარეებთან თუ სხვა წარჩინებულ საგვარეულო სახლებთან, ჰქონდათ დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ეროვნული ინტერესები.

გრიგოლ ლორთქიფანიძის წინაპარი – დავით ლორთქიფანიძე ქართული ტრადიციებით განთქმული ოჯახის მამა იყო. მის შვილს – თეიმურაზს ექვსი შვილი ჰყავდა: დავითი, ნიკო, იასონი, ერემია, ეკატერინე და სპირიდონი. აქედან, სპირიდონ ლორთქიფანიძემ ოჯახი შექმნა სამტრედიელ მართა თადეოზის ასულ პაპავასთან. ცოლ-ქმარს ცხრა შვილი შეეძინა. საუკეთესოდ მოწყობილი მეურნეობა და სახლ-კარი, ოჯახური ტრადიციები ხელს უწყობდა ახალგაზრდებში შრომისმოყვარეობის ჩამოყალიბებასა და განათლებისკენ სწრაფვას. შვილებს საამისო მაგალითს მშობლები აძლევდნენ. გრიგოლი, სპირიდონისა და მართა პაპავას მეექვსე შვილი იყო. სამშობლოს სიყვარული, გასაჭირის ატანის ნიჭი, მოვალეობის შეგრძნების უნარი თუ დასახული მიზნებისა და პრინციპებისადმი ერთგულება მან ოჯახში შეისისხლხორცა. ლორთქიფანიძეები, მართალია, იმერელი თავადაზნაურების მსგავსად, მცირე ზომის მამულს ფლობდნენ, მაგრამ შრომისმოყვარე ადამიანების წყალობით მეურნეობა ისე რაციონალურად იყო მოწყობილი, რომ მოსავალი ოჯახის ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟის – თეიმურაზის მოგონებიდან: „ბაბუაჩემი სპირიდონი როცა ძმებს გამოეყო, სამტრედიელი თადეოზ პაპავას ასულ მართაზე დაქორწინდა, საკუთრებად დაიმტკიცა მეტად მცირე მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც, თავდადებული შრომითაც კი, ორიოდე თვის სამყოფი სიმინდისა და მწვანილის მიღება თუ ხერხდებოდა. სპირიდონმა უარყო აზნაურული სიამაყე, ფიზიკურად შრომობდა შინ თუ გარეთ, ზოგჯერ ბათუმის ქარხნებში საქმიანობდა, რამდენიმე წელი ჭიათურის მაღაროებში ანგრევდა მარგანეცის მადნით დაყურსულ მიწას. კაპიკის კაპიკზე დადებით შექმნა მცირე კაპიტალი და მოახერხა ჰექტარი მიწის სავარგულების ყიდვა. ბაბუამ შრომისმოყვარე მეუღლის თანადგომით საკმაოდ შემოსავლიანი მეურნეობა და სახლ-კარი გამართა. მის მამულს ორი მხრიდან ანკარა მდინარე სულორი ჩამოუდიოდა, ხოლო დარჩენილი ორი მხრიდან რიყის ქვით ნაშენი ყორე იცავდა. ეზო-კარმიდამოს ლაზათს მატებდა მაღალი ორკარიანი ჭიშკარი. მის ახლოს იყო 10 მეტრის სიმაღლის ჭა, რომელიც არა მარტო წყლით უზრუნველყოფდა ოჯახს, არამედ მაცივრის მოვალეობასაც ასრულებდა. ბაბუა და ბებია მოგვიანებით მოგვითხრობდნენ, როგორ იმოსებოდა ეზო და ბაღი კაკლის, ბროწეულის, ვაშლის, მსხლის, ბლის, ტყემლის, ზეთისხილის, თხილისა და დაფნის ხეებით. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ჩოხოსან სპირიდონ ბაბუას და ტრადიციული ქართული კაბით შემოსილ მართა ბებიას მრავალდარგოვანი მეურნეობა ჰქონდათ გამართული. მიწების დიდი ნაწილი მარცვლეულ კულტურებს ეკავა, 1-2 ქცევა ზვარს, თესავდნენ ბალახს, საკმარისად ჰყავდათ პირუტყვი. საკმაო ადგილი ეკავა ბებიას მიერ განსაკუთრებული გულმოდგინებით მოვლილ ბოსტანსა და ყვავილნარს. მარანში ჩამწკრივებული იყო 10, 30, 50 ფუთიანი ჭურები ღვინისათვის, მცირე ზომის – ბოსტნეულის დასამჟავებლად. ბაბუას ჰქონდა სპირტსახდელი მოწყობილობა, აქ ამზადებდა როგორც ჭაჭის, ასევე ხილის არაყს. მოშორებით, მდინარე სულორზე, მეზობელთან, რაჟდენ ლორთქიფანიძესთან ერთად, გამართული ჰქონდა სამღარიანი წისქვილი, სადაც არა მარტო ოჯახის, არამედ მეზობლების მარცვლეულიც იფქვებოდა. ბაბუას გვერდით შრომისმოყვარეობას და მაღალ ზნეობას სწავლობდნენ მისი შვილები. მან ყველაფერი გააკეთა, რომ შვილებს კარგი განათლება მიეღოთ.“

გრიგოლ ლორთქიფანიძემ 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია.

იმავე წელს ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც მხოლოდ ორი კურსი გაიარა. ოდესის უნივერსიტეტი 1865 წელს დაარსდა და მას ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართველი ახალგაზრდობა ამ უნივერსიტეტს აქტიურად ირჩევდა, რადგან ის საქართველოსთან ყველაზე ახლომდებარე უმაღლესი სასწავლებელი იყო. ამ მიზიდულობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის, რომ ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ისეთი სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი. პეტრიაშვილი რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, ამ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

ოდესისკენ ქართველი ახალგაზრდების ლტოლვა კიდევ უფრო გაიზარდა 1900 წლიდან, როდესაც აქ, მეოთხე – სამედიცინო ფაკულტეტი გაიხსნა. გრიგოლ ლორთქიფანიძემაც მისაღები გამოცდები ამ ფაკულტეტზე ჩააბარა. ორი კურსის დახურვის შემდეგ, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის რამდენიმე წლით დააპატიმრეს. განთავისუფლებული, დროებით სამშობლოში დაბრუნდა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1905 წლის ბოლოსა და 1906 წლის დასაწყისში ქუთაისში გამოსცა ყოველკვირეული გაზეთი – „სოციალ-დემოკრატიის ფურცელი“. მოგვიანებით კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, ოღონდ სწავლა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა.

სოციალ-დემოკრატიული იდეები ახალგაზრდობიდან შეითვისა, მაგრამ ბოლშევიზმი იმთავითვე სძულდა, მიემხრო მენშევიკურ მოძრაობას და ბოლშევიკთა საწინააღმდეგო იდეურ-ორგანიზაციულ საქმიანობაშიც ჩაება. რუსეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჟამს გაიცნო მომავალი მეუღლე – ლუბა ავრამენკო.

ლუბა წარმოშობით უკრაინელი, ვორონეჟის გუბერნიის დაბა ურაევოდან იყო. მამამისს – ტიმოფეი ავრამენკოს ჰქონდა ტყავისა და ზეთის გამოსახდელი ქარხნები, საკმაოდ მდიდარი იყო და თავის ხუთ შვილს კარგი განათლებაც მისცა. ლუბამ მოსკოვის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველება ისწავლა და მშობლიურ ურაევოში არსებულ კომერციულ სასწავლებელში დაბრუნდა პედაგოგად. მალე ამავე სასწავლებელში გაანაწილეს ოდესის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, უკვე ცნობილი რევოლუციონერი გრიგოლ ლორთქიფანიძეც. ქალი თერთმეტი წლით უმცროსი იყო ვაჟზე (ლუბა ავრამენკოს დაბადების წელია – 1892). ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა და დაქორწინებაც გადაწყვიტეს. კომერსანტ მამას შვილის არჩევანი არ მოეწონა. პოლიტიკური დევნის ობიექტი, არსებული ხელისუფლების მოწინააღმდეგე კავკასიელის სიძეობა მისთვის ბუნებრივად მიუღებელი იყო. სიყვარულმა თავისი გაიტანა, წყვილი დაქორწინდა და პირველი შვილი, რომელსაც ქართული სახელი დარეჯანი დაარქვეს, ურაევოში დაიბადა.

რუსეთში დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, რაც მეფის ხელისუფლების დამხობით, შემდეგ კი – ბოლშევიკური გადატრიალებითა და სამოქალაქო ომის გაჩაღებით გამოიხატა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიაღებინა.

თავდაპირველად ოჯახი მშობლიურ ვანის რაიონის სოფელ ისრითში დასახლდა. უკრაინელი ქალი ადვილად შეეგუა ქართულ ტრადიციებსა და გარემოს, მეუღლის მშობლებს, ნათესავებს, შეისწავლა ქართული ენა.

1918 წელს, დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნებისთანავე პარტიულმა ამხანაგებმა ის თბილისში მიიწვიეს, ისიც უყოყმანოდ ჩადგა ეროვნული სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში.

1920 წელს ლორთქიფანიძე ჯერ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, მერე კი – სამხედრო და განათლების მინისტრი გახდა.

საქართველოში დაბრუნებულ ცოლ-ქმარს კიდევ ორი შვილი, ვაჟები – თეიმურაზი და ნოდარი შეეძინათ.

გრიგოლ ლორთქიფანიძე არ გაჰყვა საქართველოს მთავრობას ემიგრაციაში, ის სამშობლოში დარჩა და სხვა პატრიოტებთან ერთად ბრძოლა განაგრძო საბჭოური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა ეს არ აპატიეს და დააპატიმრეს. ვერც ციხემ შეაჩერა თავისუფლებისადმი მისი მისწრაფება. ის ახერხებდა წერილობითი კავშირის დამყარებას თანამებრძოლებთან, ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას, ფიქრობდა საქართველოს ისტორიულ წარსულზე, მის აწმყოსა და მომავალზე.

პატიმრობის წლები ურთულესი იყო არა მარტო იმიტომ, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძეს წილად უმძიმეს პირობებში მოუწია ყოფნამ: მეტეხის, კურსკის, ვორონეჟის, იაროსლავლის საკატორღო ციხეებში, ვლადიმირის სამონასტრო საპყრობილესა და განსაკუთრებულ ბანაკში, არამედ იმითაც, რომ პატიმარი არ ემორჩილებოდა ბედს, წერდა საპროტესტო წერილებს, პუბლიცისტურ ნაშრომებს, სადაც საბჭოთა რეჟიმს დაუნდობლად აკრიტიკებდა. ამგვარი პროტესტანტული სულის ადამიანებს ტოტალიტარული საბჭოური სისტემა უსიტყვოდ ანადგურებდა. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენს გმირს უცნაურად გაუგრძელეს სიცოცხლე. პირადად სტალინი მასზე ხან მოწყალებას იღებდა, ხანაც უკანვე – საკონცენტრაციო ბანაკებში აბრუნებდა.

ჯერ იყო და 20-იან წლებში ჩამოიყვანეს და აზრები გამოჰკითხეს ახალი საქართველოსა და აქ გაჩაღებული მშენებლობების შესახებ. როდესაც მისი კრიტიკული შეფასებები მოისმინეს, ჭკუის სასწავლებლად უკანვე შეაბრუნეს. 1936 წელს, სტალინის უშუალო ნებართვით, პატიმარს ოჯახის წევრებთან კისლოვოდსკში მკურნალობის უფლებაც კი მისცეს. ეს უფლება მოჩვენებითი იყო ისევე, როგორც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურთა სხვა ღონისძიებანი. პატიმარმა ლორთქიფანიძემ ციხიდან განათლების სახალხო კომისარს, ბოლშევიკ ბუბნოვს პოლემიკა გაუმართა, დაუწუნა განათლების სისტემაში გატარებული ღონისძიებები, ქვეყანაში მიმდინარე კულტურული რევოლუცია. კამათმა პოლიტიკური სახე მიიღო და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაინაცვლა. დავა და ორივე მხარის მიერ წამოყენებული არგუმენტები განიხილეს და უჩვეულო დასკვნა გამოიტანეს: გაამტყუნეს მინისტრი და პატიმარი გაამართლეს, ფულადი ჯილდო და დასვენების ულებაც კი მისცეს. პატიმარს გაუჩინეს განთავისუფლების ილუზია, თუმცა არ ჩქარობდნენ: სახელმწიფო მანქანა ცბიერ კატასავით ათამაშებდა კლანჭებში მოქცეულ თაგვს, როდესაც ისურვებდა, მაშინ გამოასალმებდა სიცოცხლეს...

1936 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილიდან: „მინდა ერთი სასიხარულო ამბავი გაცნობო, ჩემი დავა განათლების კომისარ ბუბნოვთან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა, რაც, ცხადია, იმის უტყუარი დასტურია, რომ მე გამანთავისუფლებენ. მომცეს გაცდენილი პერიოდის ფულადი კომპენსაცია, 2600 მანეთი, რასაც გიგზავნი ოთახის სასყიდლად. ცხადია, ეს მატერიალური ანაზღაურება ისეთი ღარიბი პიროვნებისათვის, როგორიც მე ვარ, მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის. თვით ფაქტმა, რომ მე გავიმარჯვე, დიდი მოქალაქეობრივი და მორალური კმაყოფილება მომანიჭა“.

ტყუილად გაუხარდა!

1937 წლის დასაწისში გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომელიც სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა, პატიმრობის ახალი ვადა და ახალ ადგილზე გადასახლება გამოუცხადეს.

1937 წელსვე კვლავ საქართველოში ჩამოიყვანეს, „დივერსიული ჯგუფის“ გამოსავლენად. ვერ გამოიყენეს და ჩეკას ჯურღმულებში დახვრიტეს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე“ – პატიმრობაშია დაწერილი. დიდია ამ წიგნის ძალა. ეს იყო მხოლოდ ტკივილი და მომავალი თაობებისათვის გასაზიარებელი აზრები, ამიტომ უნდოდა არ დაკარგულიყო, მიწაშიც კი ჩაფლო, ციხის ადმინისტრაციას და ზედამხედველებს რომ არ გაენადგურებინა. ბოლოს, თავისუფლების ყველა იმედი რომ გადაეწურა, სახლში გამოგზავნა. არც წაუკითხავთ, ისევ მას უნახავდნენ, მხოლოდ მაშინ გახსნეს გადანახული ჩემოდანი, როდესაც მისი დახვრეტისა და გამართლების ცნობა ერთდროულად მიიღეს, 1955 წელს. წაიკითხეს, მაგრამ ისევ გადამალეს, შეშინებული და დაშინებული ოჯახი ამის შესახებ ვერც იტყოდა რაიმეს და ჯერ არც საამისო დრო დამდგარიყო. წიგნმა დღის სინათლე მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის ახალ ხანაში იხილა: 1995 წელს ქართველმა მკითხველმა წაიკითხა საოცრად მართალი და გონივრულად დაწერილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოთხრობა-ტრაქტატი – „ფიქრები საქართველოზე“.

დღეს გაოცებას იწვევს დოკუმენტების, ლიტერატურის გამოყენების გარეშე როგორ დაწერა პატიმარმა პოლიტიკოსმა ასეთი წიგნი. ისტორიული პროცესების კარგი ცოდნა და ანალიზის უნარი, როგორც კონკრეტულად, – პროფესიონალი ისტორიკოსის, ასევე ზოგადი განათლების მაღალი დონე მკითხველისთვის იმთავითვე ხდება საცნაური. დღესაც, წიგნის დაწერიდან ამ-

დენი დროის გასვლის შემდეგ, ყველაფერი თანამედროვედ და სიმართლედ ჟღერს, ყავლი წიგნში ჩადებულ ავტორის პოზიციას არ გასვლია. ეს ეხება საქართველოს უძველესი წარსულის ისტორიულ გააზრებას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, თუ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზს. დღესაც ამ წიგნს ვუტრიალებთ და ვხვდებით, რომ ჩვენი წინაპრები სწორად სჯიდნენ და ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ხშირად მართებთ დაეკითხონ მათ, როდესაც საქართველოს პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა სურთ – მათი აზრებიც გაითვალისწინონ...

გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეამაყებოდა ქართველობა, ეამაყებოდა ის ტრადიციები, რომელზეც ქართული გენი ამოზრდილიყო. ქართულ სახელმწიფოს იგი მსოფლიოში უძველესად მიიჩნევდა, თვლიდა, რომ საქართველომ პოლიტიკური განვითარების დონით ბევრ ხალხს გაუსწრო. განსაკუთრებული დამსახურება ამ საქმეში, მისი აზრით, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა. ის გამაერთიანებელ მისიას ასრულებდა მაშინაც, როდესაც ქვეყანა პოლიტიკურად დაშლილ-დაქუცმაცებული იყო. ამ დროს, ტოტალიტარული რეჟიმის ხანაში, როდესაც მთავრობის განკარგულებით ეკლესიები ინგრეოდა და სასულიერო პირთა რეპრესიები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ეკლესიის დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აღნიშვნას გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა. პატიმარი პოლიტიკოსი ამით კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს საკუთარი პრინციპებისადმი უშეღავათო ერთგულებას, უშიშარ ხასიათს, ობიექტურობის ღრმა განცდას.

საინტერესოა საქართველოსთვის ქართული ეკლესიის ბრძოლის გრიგოლ ლორთქიფანიძისეული შეფასება. მან „რუსულ არტახებში გაკრული ქართული ეკლესია“ ასე შეაფასა: „რუსეთის მთავრობამ ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა უაღრესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ როლს თამაშობდა ეკლესია საქართველოს წარსულ ცხოვრებაში და ამიტომ მისი დანგრევა და იქიდან ქართული სულის ამოწვა ერთი უმთავრესი მუხლი შეიქმნა საიმპერიო მთავრობის რუსიფიკატორული პროგრამისა. ისე, როგორც ქართველი ხალხის ყველა სხვა წრეები, სამღვდელოებაც არ შერიგებია უბრძოლველად რუსიფიკაციის პოლიტიკას. ამ ბრძოლის დასაწყისი და მისი უკანასკნელი პერიოდი ძლიერი დრამატიზმითაა აღსავსე. ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსიდან და გაენათელ ექვთიმედან დაწყებული, ვიდრე დღევანდელ კათალიკოზ ამბროსიმდე (რომელსაც ამ სტრიქონების წერის დროს (1924) ასამართლებს რუსეთის ხელისუფლება ქართველი ეროვნებისა და საქართველოს დაცვისათვის) ქ**ართული ეკლესიის ისტორია არის წამება ამ ეკლესიისა „ერთმორწმუნე“ რუსეთისაგან**.

რუსეთის საეკლესიო იმპერიალიზმმა გატეხა წელში საქართველოს საოპოზიციო მოძრაობა, მაგრამ მას ეროვნული სული ვერ ამოხადა. ქართული ეკლესია იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა და ძალაუნებურად შეგუებოდა თავის ერთმორწმუნე ბატონს, მაგრამ ის მთელი ამ ხნის განმავლობაში მაინც იყო ერთი უდიდესი ეროვნული ფაქტორი და ჩვენს ისტორიაში ძნელია მითითება მეორე ისეთ ძლიერ დაწესებულებაზე და წრეზე, რომელმაც ესოდენ დიდი როლი ითამაშა ეროვნული სახისა და სულის შენარჩუნებაში. ეს აზრი უნდა მტკიცედ და გადაჭრით ითქვას, ვინაიდან ეს არის ისტორიული ჭეშმარიტება, ხოლო ჭეშმარიტება, წარსულს ეხება ის თუ დღევანდელ დღეს, უნდა ითქვას მიუდგომლად, სრული ობიექტურობით, და უნდა ითქვას იმიტომ, რომ სრული ისტორიული სიმართლის ცოდნა აუცილებელია როგორც დღეისათვის, ისე ხვალისათვის.

გრიგოლ ლორთქიფანიძემ თავის სტატიაში დიდი ადგილი დაუთმო ეკლესიების ძარცვა-რბევის, კედლების შეთეთრებისა და რუსი ჩინოვნიკების მიერ ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობის წაშლის მცდელობას. „ეკლესია-მონასტრები საქართველოში, – წერდა იგი, – ისე როგორც მრავალ სხვა საქრისტიანო ქვეყნებში, ერთსა და იმავე დროს წარმოადგენდნენ განათლებისა და მეცნიერების კერას, მუზეუმსა და წიგნთსაცავებს და ერთგვარ ეროვნულ საგანძო სალაროებს. რუსეთის ანაფორიანი და მუნდირიანი ჩინოვნიკები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ქართული ეკლესია-მონასტრების სულიერი და ხორციელი გაძარცვის საქმეში. ეგზარხები და ნამესტნიკები, გუბერნატორები და რუსი ეპისკოპოსები ერთნაირის გულმოდგინებით თხრიდნენ თვალ-მარგალიტებს ქართული ეკლესია-მონასტრების ხატებს და თვით ხატებიც მიჰქონდათ რუსეთს. იქითკენვე ეზიდებოდნენ ძვირფას ისტორიულ არქივებსა

და განძებს. და ძლიერ ხშირად, ქართული ეკლესიის ეროვნული სახის აღმოსაფხვრელად ისეთ ველურობასაც კი სჩადიოდნენ, რომ საყდარში ქართულ მხატვრობასა და ფრესკებს კედლებიდან ფხეკდნენ, კირით ლესავდნენ და მის ადგილს თავის რუსულ-სუზდალურ ტიპებსა და მხატვრობას ასახიერებდნენ, რასაკვირველია რუსულსავე წარწერით.“

პატიმარი პატრიოტი ქართველი არ ერიდებოდა იმის აღნიშვნას, თუ როგორ უსამართლოდ წაართვა საქართველოს უძველეს, სამოციქულო ეკლესიას მეათე საუკუნის ბოლოს წარმოქნილმა რუსულმა ეკლესიამ და სინოდმა ავტოკეფალია, როგორ მოუსპო ნივთიერი სახსარი, ჩამოართვა მამულები და მისი ქონება სახაზინო უწყებას გადასცა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე საგანგებო ყურადღებას ეკლესიის გარუსებას, ქართული ენის ნაცვლად რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების მცდელობას აქცევდა.

პუბლიცისტი გამორჩეულ აქცენტს საქართველოს განაპირა კუთხეების ეკლესიებში გატარებულ რუსულ საეკლესიო პოლიტიკაზე აკეთებდა.

მისი აზრით, ქართულ სასოფლო მრევლში დამარცხებულმა რუსულმა საეკლესიო იმპერიალიზმმა ნაწილობრივ რევანში აიღო ქართულ ქალაქებში და განსაკუთრებით საქართველოს განაპირა კუთხეებში. თუ ქართული ეკლესია, ტრადიციულად, განაპირა კუთხეებს ადუღაბებდა ცენტრთან და საქართველოს ერთიანობას მტკიცე საფუძველს უყრიდა, რუსულმა ეკლესიამ საწინააღმდეგო როლი ითამაშა: განაპირა კუთხეების ეკლესიაში შეაღწია და გაარუსა, გამოდევნა იქიდან ქართული ენა და ნელ-ნელა გააუცხოვა ეს კუთხეები საქართველოს მიმართ. „რუსეთმა საქართველო რუსულ გუბერნიებად და მაზრებად დასჭრა, ხოლო ქართველი ერის არსებობა გააზღაპრა, ასეთი ნაცია თითქოს არ არსებობდა. მისთვის იყო ქართლელები და გურულები, მეგრელები და კახელები, იმერლები და სვანები, აჭარლები და ხევსურები და ასე ბოლომდე. ამ მიზნისათვის დიდის თავგამოდებით მუშაობდა რუსული ეკლესია და იერიში საქართველოს განაპირა მხარეებზე მიიტანა. რუსული სინოდის ობერ-პროკურორები, შავანაფორიანი და შავგულიანი ბერები, ეს აღზრდით ვახტმისტრები და რწმენით „პოგრომშჩიკები“, რომელთა ხელობა და წმინდა საქმიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ მცირე ერები გაენადგურებინათ. აი, ეს მონობის მოციქულნი, ასე წარმოიდგინეთ, საქართველოში გამოდიოდნენ სუსტ ერთა ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლების ეს უებარი რაინდები იღწვოდნენ იმისთვის, რომ ქართველი ერისა და ქართული ენის „მონობიდან“ გაენთავისუფლებინათ სხვა ტომები. ამ ლოზუნგით ეკვეთა რუსული იმპერიალიზმი ქართულ ენასა და ეკლესიას განაპირებზე, როგორც მაგალითად: აფხაზეთსა და სამურზაყანოში, ოსურ სოფლებში გორის მაზრის ჩრდილოეთით და სხვაგან. ოი, საკვირველებავ, აი, ეს ხალხი ისახავს მიზნად შეუქმნან მწერლობა და სამწერლო კულტურა იმ ნახევრად გაქართველებულ მცირე ტომებს, რომლებსაც მეოცე საუკუნემდე არ ჰქონიათ თავიანთი მწიგნობრობა და ქართული ენის საუნჯით ცხოვრობდნენ და თვითონაც ამ საუნჯეს ქმნიდნენ და ავსებდნენ...“

გრიგოლ ლორთქიფანიძე შეეხო საინგილოსა და მესხეთში გატარებულ რუსულ რეაქციულ საეკლესიო პოლიტიკასაც და ეს მოვლენა ისტორიკოსისა და მოაზროვნის სწორი თვალთახედვით შეაფასა: „რუსმა ბერებმა არ დატოვეს უყურადღებოდ არც საქართველოს ძველი კერა, მისი კულტურისა და ქრისტიანობის აკვანი, მერმე მახვილით გამაჰმადიანებული სამხრეთი საქართველო. აქ ისინი დაეპატრონენ დიდებულ და უძველეს საფარის მონასტერს, მაგრამ დაეპატრონენ არა იმისთვის, რომ შევიწროებულ ერთმორწმუნე ქართულ ეკლესიას დახმარებოდნენ და ძმურად ფეხზე დაეყენებინათ, არამედ იმისთვის, რომ აქ რუსიფიკაციის კერა გაეჩაღებინათ, თვით ტაძარში ქართული ფრესკები ჩამოეფხიკათ, იკონოსტასები დაენგრიათ და მათ ადგილას რუსული ფრესკები გამოესახათ... ვისაც საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოკვლა უნდოდა, მას უნდა მესხეთი მოეგლიჯა საქართველოდან, ქართველი ერიდან, ასედაც იქცეოდა და მოიქცა ისლამი. თურქთაგან განთავისუფლების შემდეგ აქ კი არ აღორძინდა ქართული კულტურა, არამედ სწორედ XIX და XX საუკუნის დასაწყისში დაწყდა მრავალი ის ეროვნული ძაფი, რომელიც ნახევრად გამუსლიმანებულ ქართველებს აკავშირებდათ თავის მშობელ ერთან. და ამ საქმეს შეგნებულად უწყობდა ხელს რუსეთის მთავრობა. მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში შექმნეს რუსული სოფლები, როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთსა და არტაანში, ასევე პატიჟობდნენ და ასახლებდნენ ბერძნებსა და გერმანელებს, ოსმალეთში

დევნილ სომხებსა და მათ მიერვე რუსეთში განაწამებ რუს სექტანტებს. აქვე მოუხმობდნენ და ამკვიდრებდნენ ქუჩათმავალ კარაპახებს და ქურთებს, მუტრუფებსა და თურქმენებს, ნახევრად გამაჰმადიანებულ ქართველებს კი ოსმალეთში მიერეკებოდნენ, ხოლო იმ ქართველ ხალხს, რომელთა წინაპრებმა შექმნეს ვარძია და კუმურდო, ზარზმა და საფარა, ჭულევისა და წყაროსთავის ტაძრები, ამ ხალხს არ აძლევდნენ თავის სახლში დაბრუნების უფლებას. რუსეთის ხელისუფალნი საიმედო, ესე იგი არაქართველი ტომებით ასახლებდნენ მესხეთში გადასასვლელ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორიცაა მაგალითად ციხის ჯვრის ბერძნებითა და მოქცევის (მოქცევი – სოფელ აწყურთან, ისტორიული სლესის ციხის მიდამოებში) რუსებით დასახლება, იმ მოსაზრებით, რომ ხელი შეეშალათ ძველი და ახალი საქართველოს ურთიერთობა-გაერთიანებისათვის.

არ იყო არცერთი საშუალება, რომელსაც მორიდებოდნენ რუსის იმპერიალისტები, ოღონდ მესხეთში ყოველი ქართული აღმოეფხვრათ. და თუ ამ მიზანს სავსებით ვერ მიაღწიეს, თუ მესხეთში მაინც ღვივა ქართული ცეცხლი, ეს უმთავრესად მიეწერება სამ გარემოებას: 1) ძლიერი ეროვნული ტრადიცია, რომლის მფარველი და განმასახიერებელია უამრავი დიდებული ძეგლი, რომლის წინაშე დღესაც მოკრძალებით ქედს იხრის უკვე სრულიად გადაყრუებული და გათურქებული ქართველი გლეხიც კი; 2) იმ საკმაოდ ენერგიულ თავდაცვით ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა აქ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია; 3) ასეთივე ხასიათის მუშაობა-მოღვაწეობა ქართული კათოლიკური ეკლესიისა, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო რუსული გავლენისაგან და წარმოადგენდა ძლიერ ქართულ ეროვნულ ფაქტორს. საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაში ეკლესია თამაშობდა უდიდეს როლს, ის იცავდა ეროვნებასა და პოლიტიკურ მთლიანობას.

ასე ჯანსაღად და ობიექტურად აფასებდა გრიგოლ ლორთქიფანიძე ქართული ეკლესიის ადგილსა და როლს ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

საინტერესოა ამ დიდი პატრიოტის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატისა და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეფასება.

საქართველოს ისტორიული წარსულის ერთ მნიშვნელოვან მომენტს – 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს „ფიქრების“ ავტორი საღ შეფასებას აძლევს. მისი აზრით, ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ დოკუმენტში იმის იმედი ჩადეს, რომ ამ გზით აღდგებოდა საქართველოს მთლიანობა, გზა გაიკაფებოდა ევროპისაკენ, საქართველო ევროპული ცივილიზაციის წიაღს დაუბრუნდებოდა. სამწუხაროდ, იმედი არ გამართლდა. რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია-ანექსია, – ასეთი იყო ისტორიული რეალობა, რასაც გრიგოლ ლორთქიფანიძე გულისტკივილით აანალიზებდა და წერდა: **„რუსეთმა პირდაპირ მიზნად დაისახა ქართველი ხალხის შეგნებასა და ხსოვნაში არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის აღმოფხვრა, არამედ თვით მისი ეროვნული მეობის წაშლაც.“**

„ფიქრებში“ დადებითადაა შეფასებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილება, მრავალპარტიული დემოკრატია, რაც 1921 წლის კონსტიტუციაში აისახა და უფრო ფართო სამომავლო საქმიანობას უნდა დადებოდა საფუძვლად. მაგრამ რუსეთის დაპყრობამ დიდი ხნით შეწყვიტა ქართული სახელმწიფოს თავისუფალი განვითარების პროცესი. ავტორის აზრით, **„რუსეთის წითელი იმპერიალიზმი ყველგან და ყველაფერში სავსებით იმავე მიზანს ემსახურებოდა საქართველოსა და კავკასიაში, რომელსაც წინათ ატარებდა მონარქიული რუსეთი.“** ისევე, როგორც მონარქიულ რუსეთს ებრძოდა ქართველი ხალხი, ამჯერადაც არ შეუშინდა მტერს და ისეთივე გმირული სულისკვეთებით დაუპირისპირდა „წითელ იმპერიალიზმს.“

გრიგოლ ლორთქიფანიძე მანამდეც მტკიცედ იდგა ეროვნულ პოზიციაზე, რუსული აგრესიის ახალმა გამოვლენამ დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ კი, უფრო გაუმძაფრა ანტირუსული განწყობილება, ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისთვის ბრძოლის სურვილი.

გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, რუსეთმა „ოინბაზურად“ გამოიყენა სოციალიზმის გავრცელების იდეა და სინამდვილეში დაიპყრო საქართველო. ქართველი კომუნისტები ადვილად წამოეგენ რუსულ ანკესს და მიიღეს ის, რასაც არ ელოდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობა კი არ მისცეს, ამიერკავკასიის ერთიან სახელმწიფოში გააწევრიანეს და ისე მიუერთეს რუსეთს. საუბარი აღარ იყო ქართული ენის სახელმწიფო სტატუსზე და არც თავად ქართულ სახელმწიფოზე.

გრიგოლ ლორთქიფანიძის სწორი შემჩნევით, რუსეთს კავკასიაში გაბატონებისათვის, უპირველესად, საქართველო უნდა დაეპყრო, რომელსაც, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა თუ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ტრადიციებით გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი მოსპობა ბუნებრივად იწვევდა სომხეთისა და აზებაიჯანის სახელმწიფოთა დაცემას. დამპყრობლისთვის მიუღებელი იყო ეროვნული ინტეგრაცია და სამი ძირითადი ერის გამოკვეთა ამ რეგიონში, მისთვის უკეთესი იყო ეროვნული დომხალი, შუღლი და მტრობა, რადგან ამ ბრძოლასა და გათიშულობაზე ააგებდა თავის დამპყრობლურ პოლიტიკას.

რაც შეეხება საქართველოს დამპყრობ ქართველებს, მათ ერის მოღალატეთა დამღა ვერ მოიცილეს და ვერც მოიცილებდნენ – ისეთი დიდი დანაშაული ჩაიდინეს საკუთარი ხალხის მიმართ. მათი დამსახურება ბოლშეკური რეჟიმის წინაშე ისეთივე „ჯილდოებით“ აღინიშნა, როგორიც სამშობლოს ნამდვილ პატრიოტებს ერგოთ: ისინიც საბჭოურ ტოტალიტარულ რეპრესიებს ემსხვერპლნენ.

1921 წლის თებერვალში, როდესაც ლენინურმა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა, თურქი ასკერებიც შემოიჭრნენ და დაიკავეს ბათუმი. პოლიტიკურად თავადაც კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი, დასაშლელად და ისტორიის ასპარეზიდან გასაქრობად გამზადებული ოსმალეთის იმპერია საქართველოს მიმართ თავის დამპყრობლურ მიზნებს ასეთ დროსაც ვერ შეელია. საერთაშორისო საზოგადოებისაგან გარიყულმა ორმა ძველმა იმპერიამ – რუსეთმა და ოსმალეთმა, მართალია, ერთმანეთთან საერთო ენა გამონახეს და გადარჩენის ახალი გზები მოძებნეს, მაგრამ ბოლომდე ვერ შეთანხმდნენ. მათი სადავო ტერიტორია ყოველთვის სამხრეთ კავკასია იყო და ახლაც, ორივემ ერთდროულად სცადა მისი მიტაცება.

საჭირო გახდა ბათუმისა და აჭარის გადარჩენა. ბოლშევიკებს ამ საკითხს ქართველი პატრიოტები ხელში ვერ ჩაუგდებდნენ. მათ ამ დროს საამისო ძალები არც ჰქონდათ. ამიტომ, ეს საშვილიშვილო მისია აღასრულეს იმ ადამიანებმა, რომლებიც, სამშობლოდან განდევნილები, მზად იყვენ ოჯახებთან ერთად უცხოეთში გადასახვეწად. გრიგოლ ლორთქიფანიძესაც აღარ უფიქრია ასეთ დროს საქართველოს დატოვება, დარჩა ოკუპირებულ სამშობლოში და ოსმალო ასკერებთან ბრძოლაში ჩაება. სავარაუდოდ, მისი თხოვნით იკისრა ბათუმისათვის ბრძოლაში ქართული ჯარის მთავარსარდლობა სახელოვანმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა. გენერალმა სულ რაღაც ორიოდე დღეში შეძლო გაფანტული ქართული ნაწილების შეკრება. თავდადებული ბრძოლის შემდეგ ასკერები ქალაქიდან განდევნეს.

გრიგოლ ლორთქიფანიძე გამბედავი და უშიშარი კაცი იყო. 1921 წლის მარტში, გამარჯვებული ბოლშევიკების გარემოცვაში მყოფმა, წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეთა ნებას, –ხელი მოეწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კაპიტულაციაზე. მან არ სცნო საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ-ოკუპანტური რეჟიმი, რითაც ემიგრირებულ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ქვეყნის განთავისუფლებისათვის შემდგომი ბრძოლის ლეგიტიმური საფუძველი შეუნარჩუნა.

1921 წლის 17 მარტს ქუთაისში გაიმართა საზავო მოლაპარაკება საქართველოს ეროვნულ მთავრობასა და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს (ბოლშევიკებს) შორის. მოლაპარაკების მაგიდის ორივე მხარეს ქართველები ისხდნენ, რაც საქართველოს ტრაგიკული ბედის კიდევ ერთ ირონიას წარმოადგენდა. დამარცხებული ეროვნული ხელისუფლების სახელით მოლაპარაკებას გრიგოლ ლორთქიფანიძე წარმართავდა. ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები მასთან ერთად იყვნენ: სამხედრო საქმეთა მრჩეველი ი. გედევანიშვილი, ალექსანდრე დგებუაძე – პოლიტიკური მრჩეველი, დ. შარაშიძე – დელეგაციის მდივანი; გამარჯვებული ბოლშევიკური ხელისუფლების ინტერესს მამია ორახელაშვილი იცავდა, მას ახლდნენ: ა. სვანიძე, შ. ელიავა და გამბაროვი. კრემლის წარმომადგენლად კი, მოლაპარაკებას ლენინისგან სპეციალური მისიით აღჭურვილი აბელ ენუქიძე ესწრებოდა.

ის ფაქტი, თუ რატომ დათანხმდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ოკუპანტურ ძალებთან მოლაპარაკებას, ახსნილი იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის სპეციალურ განცხადებაში:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის განცხადება

„ქართველ ხალხთან ერთად, მისი ერთსულოვანი ნებით დაყენებული მთავრობა მთელი თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგა საქართველოში შემოჭრილ უცხო ძალებს და ეს ხუთი კვირაა,

რაც ის, ქართველ ჯარსა და სახალხო გვარდიას დაყრდნობილი, აწარმოებს ქვეყნის დაცვას. ხუთი კვირის მძიმე ბრძოლამ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან ნათელ-ყო ქართველი მხედრების მხნეობა და თავდადება, ქართველი ხალხის ერთსულოვნება და სიმტკიცე დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვის საქმეში. ეს ომი, რომელსაც ერთი წუთითაც კი არ მიუღია სამოქალაქო ომის ხასიათი, გრძელდება დღემდის. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო ძლიერ გართულდა და გამწვავდა საქართველოს სამხედრო მდგომარეობა. ანგორის მთავრობამ, ისარგებლა რა ჩვენი მდგომარეობით, უკვე დაიპყრო არტაანისა და ართვინის ოლქები. ახლა, როდესაც საქართველოს მთავრობის პოლიტიკურსა და სამხედრო ბაზას წარმოადგენს ბათუმი, ანგორის ჯარები თავს გვესხმის ზურგიდან და აპირებს ბათუმისა და მისი ოლქის დაპყრობას. ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობას მდგომარეობა აიძულებს მთელი თავისი ყურადღება მიაპყრას ტერიტორიის მთლიანობის დაცვას და არავითარ შემთხვევაში, ნებით თუ უნებლიეთ, არ შეუწყოს ხელი ბათუმისა და მისი ოლქის ოსმალეთის მიერ დაპყრობას. ამ მიზნისათვის ის თავის მოვალეობად სთვლის მიიღოს საქართველოს რევკომის წინადადება მოლაპარაკების შესახებ და შესაძლებლათ სცნობს ამ მდგომარეობაში განსაზღვრულ პირობებით ფაქტიური შეთანხმება მოახდინოს ხსენებულ რევკომთან იმ ომის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც სწარმოებს საქართველოს მხედრობასა და რევკომის განკარგულებაში მყოფ საბჭოთა ჯარებს შორის. საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებაში ხელმძღვანელობს იმ აზრით და მისწრაფებით, რომ ყოველგვარი ღონე და ზომა იხმაროს საქართველოს მთლიანობის დასაცავად, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შინაგანი წყობილება იქნება დღეს ან ახლო მომავალში საქართველოში.

ამავე დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ ეს შეთანხმება სრულიად არ სჭრის ამა თუ იმ ხელისუფლების ცნობის საკითხს. საქართველოს კანონიერ მთავრობათ ის სთვლის თავის თავს, სადაც და რა პირობებშიც უნდა დარჩეს, ვიდრე მთელი ქართველი ხალხის უმრავლესობის თავისუფლათ გამოთქმული ნება არ იტყვის ამის წინააღმდეგს.

ვხელმძღვანელობ რა ზემოთქმულ მოსაზრებით, მაქვს პატივი ამასთანავე წარმოგიდგინოთ თქვენდა განსახილველად პრაქტიკული შეთანხმების შემდეგი პირობები".

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი: გრ. ლორთქიფანიძე

17 მარტი, 1921 წელი

ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე გრიგოლ ლორთქიფანიძემ ბათუმის შენარჩუნება და, ზოგადად, სქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი პირველი რიგის ამოცანად ჩათვალა. მან თქვა: „ჩვენ ვდგავართ იმ პრინციპულ ნიადაგზე, რომ როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს". საქართველოს რევკომის რწმუნებულის – მამია ორახელაშვილის პოზიცია კი სრულიად განსხვავებული იყო. ის ხელისუფლების საკითხს აყენებდა პირველ ადგილზე, ტერიტორიის პრობლემას კი ერის მომავლისთვის მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ის ამბობდა: „ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი, რომ ბათუმის საკითხი იქნეს განხილული კონფერენციის მიერ, მაგრამ ეს საკითხი მეორეხარისხოვანია. ჩვენი პირველი მოთხოვნილება ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ იცნოს საქართველოში მომხდარი გადატრიალება და აღიაროს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, და თუ ეს არ იქნება მიღებული, სხვა დეტალების მიღება შეუძლებელია....

საქართველოს ხელისუფლებამ ბოლშევიკი აგრესორების წინაშე კაპიტულაცია არ მოახდინა, მისი ნაწილი ემიგრაციაში გაიხიზნა იმ იმედით, რომ ევროპის ქვეყნების დახმარებით დაიბრუნებდა საქართველოს. სამშობლოში დარჩენილებს კი, ისევე, როგორც გრიგოლ ლორთქიფანიძეს, სასტიკი ხვედრი ელოდათ.

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ხელს უწყობდნენ ქართველი კომუნისტები, – ადამი-

ანები, რომელთაც დამოუკიდებლობისა და ეროვნული ინტერესების გაგონებაც არ სურდათ, „მშრომელთა აჯანყების“ ინსცენირების ავტორები და „შულავერის მთავრობის“ წევრები. მათ შორის იყვნენ: მ. ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ა. გეგეჭკორი, ბ. მდივანი, ლ. ღოღობერიძე, მ. კახიანი და სხვა... მთავარი გმირი ამ ანტიქართულად განწყობილი და მოაზროვნე ადამიანებისა, იოსებ სტალინი მოსკოვიდან დირიჟორობდა დამოუკიდებელი საქართველოს განადგურებისათვის ბრძოლას, კავკასიის ხელახალ მოქცევას რუსეთის ფარგლებში.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ამ ადამიანებს გაბედულად ამხელდა. ეს მისი ამ წერილებიდანაც კარგად ჩანს. ერთი ბოლშევიკური საქართველოს განათლების სახალხო კომისრის – მარიამ ორახელაშვილისადმია მიწერილი, მეორე კი – დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია-ოკუპაციის ავტორის – საბჭოთა კავშირის მომავალი ბელადის – იოსებ სტალინისადმი. (წერილის ნაწყვეტი)

„პატივცემულო ქალბატონო მარიამ!

... კარგა ხნის წინათ წავიკითხე თქვენი წერილი „სახალხო განათლების საქმე საბჭოთა აჭარისტანში“ და ერთბაშად ამ წერილისადმი გამოხმაურების ჟინმა ამიტანა, მაგრამ ეს ჟინი დავსძლიე... ამ რამდენიმე დღის წინათ აჭარისტანის გასაბჭოების ექვსი წლის იუბილეს გამო გაზეთების მიმოხილვებმა და წერილებმა ხელახლა აღმიძრეს სურვილი, იმ თქვენს საყურადღებო წერილს გამოვეხმაურო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თქვენმა წერილმა შემაშფოთა როგორც ეროვნულად (თქვენ იტყვით „ნაციონალისტურ-იმპერიალისტურად“), ისე მოქალაქეობრივ-სოციალისტურად, (ანუ თქვენი კვალიფიკაციით – „სოციალ-გამყიდველურად“) და, აი, რატომ: ჩვენ, თქვენ და მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთის საბჭოთა აღმოსავლეთ პოლიტიკას ზვარაკად შეეწირა სომხეთი და ნაწილობრივ საქართველო. ეს საშინელება ისტორიული ფაქტია, მაგრამ რა გაეწყობა. ასეთი ყოფილა სომხეთისა და საქართველოს ბედი. ...მეგონა, რომ საქართველომ უკვე გამოიდინა საერთოდ ისლამურ და, კერძოდ, თურქულ სამსხვერპლოზე ამდენი სისხლი. მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ ყოფილა, და ამ მთავარ ამბავს თქვენი წერილიდან ვგებულობ.

თქვენი სიტყვით, აჭარისტანად წოდებული აჭარა ცალკე „ნაციონალური რესპუბლიკა“ ყოფილა. „ბათუმში მცხოვრები ყველა ეროვნების ბავშვები, გარდა აჭარლებისა, ყველანი სწავლობენ“ და სხვა. შემდეგ თქვენ მოგვითხრობთ, რომ აჭარისტანის გასაბჭოების პირველ ხანებში ნებადართული იყო საღვთო სჯულის სწავლება. ეხლაც დართული აქვს ნება, ხოლო თვით მცხოვრებთა ხარჯითო, 157 მეჩეთთან ამდენივე მედრესე არსებობს, სადაც თურქები ასწავლიანო. გარდა ამისა, თქვენი ცნობით, აჭარისტანის სკოლების პირველ საფეხურში შემოღებული ყოფილა სავალდებულო სასწავლებლად თურქული ენა, რომელსაც თურმე, იგივე ხოჯები და თურქი მასწავლებლები ასწავლიან, რადგან ხოჯები თურქულ ენასთან ყურანსაც კონტრაბანდად ურთავენ, თქვენ სვამთ საკითხს ასე: თუ საჭიროა თურქულის სწავლება, მაშინ მეორე საფეხურშიაც შემოვიღოთ, რათა ოსმალური ენის საბჭოთა მასწავლებლები მოვამზადოთო... და ბოლოს, თქვენი წერილი შემდეგი დაუჯერებელი სტრიქონებით სრულდება: ეხლა საუკეთესო ქართველი მასწავლებლები მუშაობენ აჭარაში. მაგრამ ეს დროებითია, სანამ აჭარელი პედაგოგები არ იქნებიან მომზადებულნი. ხოლო ამ საოცარ სტრიქონებს ზევით მეტად „სასიამოვნო და დამამშვიდებელ“ ამბავს მოგვითხრობთ იმის შესახებ, რომ საქართველოსა და აჭარას შორის საომარი ურთიერთობა არ ყოფილა, თურმე „ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა“ შორის ნორმალური მეზობლური ურთიერთობა არსებულა: „აჭარისტანისა და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს შორის ურთიერთობა ძალიან კარგიაო“, და ასე წარმოიდგინეთ, „ურთიერთინფორმაცია და გამოცდილების გაზიარებაც“ კი არსებულა...

პირველ ყოვლისა, აჭარა არის აჭარა და მას არც არავის „ტანი“ და არც ფეხი დასაბოლოებლად არ ესაჭიროებოდა.

მეორე: ქართველობაში არავითარი აჭარელი ერი და ეროვნება არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. სამცხეში ქართველობა სარწმუნოების მხრივ იყოფა მართლმადიდებლებად, მაჰმადიანებად, კათოლიკეებად და მოსეს რჯულის ქართველობად (რამდენადაც ვიცი, იქ ქართველი გრიგორიანები ძლიერ ცოტანი არიან), ხოლო აჭარის ქართველობა სარწმუნოების მხრივ ორ

მთავარ ჯგუფს წარმოადგენენ – მაჰმადიანებსა და მართლმადიდებლებს. რა თქმა უნდა, აჭარა არავითარ საქართველოდან განცალკევებულ ეროვნულ რესპუბლიკას არ წარმოადგენდა და ვერც წარმოადგენს.

აბა, მიბრძანეთ ერთი, რა მოხელეა თურქული ენა ბათუმის ოლქის სკოლებში? რა აქვთ საერთო აჭარასა და აჭარლებს ოსმალებთან, გარდა იმისა, რომ უკანასკნელნი პირველისა ისტორიული ჯალათები იყვნენ და ცეცხლითა და მახვილით ყურანის რჯული მიაღებინეს. კარგი, ბატონო, მათ აქვთ ეხლა საერთო რელიგია, მაგრამ მაჰმადის რელიგია მრავალ სხვადასხვა ერსა აქვს; თურქებს, არაბებს, სპარსელებს, ეგვიპტელებს, ინდუსებს (ნაწილობრივ), ალბანელებს (ნაწილობრივ), სერბებს (ბოსნიაში) და სხვა. როგორც ხედავთ, ამ ხალხებს ეროვნული სახეები აქვთ და ისლამს ისინი არ გაუთურქებია. რა შუაშია თურქული ენა! თუ სარწმუნოების საქმე მოითხოვს, მაშინ კიდევ ჰო, არაბული ენის შესახებ შეიძლებოდა ლაპარაკი, თურქულ ენას სრულიად არაფერი ესაქმება არც აჭარისა და არც გურიის, არც ქობულეთისა და არც მესხეთის, და არც, საერთოდ, საქართველოს სკოლებში, გარდა უნივერსიტეტის სპეციალური კათედრისა.

საქართველოს ბედი ისე წავიდა, რომ რუსული ენა საბჭოური ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ბრუნდება ჩვენს სკოლებში და დღითი დღე ახალ პოზიციებს იღებს, ის ლამობს თავისი ძველი მდგომარეობის დაბრუნებას. მან უკვე მეტწილად განდევნა ქართული სკოლიდან ევროპული ენები და მათ ადგილს იჭერს... კარგი, ჩემო ბატონო, ამას უნდა შევურიგდეთ, რადგან ასეთი საკვირველნი ყოფილან „გზანი იდუმალნი ოქტომბრის რევოლუციის ინტერნაციონალიზმისა“. თურქული ენის სწავლებიდან მაინც გაანთავისუფლეთ ქართველი ბავშვები, განურჩევლად თავიანთი მშობლებისა და მათი სარწმუნოებისა... საბჭოთა საქართველოს არსებულ საზღვრებში მაინც გაგვანთავისუფლეთ ოსმალეთის ბატონობისაგან... ეს მაინც შეასრულეთ და არამცთუ წართმეულ ჯიქეთზე არაფერს ვიტყვით, არამედ იმაზედაც გავჩუმდებით, რომ ამ ბოლო დროს რუსეთმა უკვე კონსტიტუციონალურად დაუმტკიცა რუსულ ენას თვით აფხაზეთი და სამურზაყანო...

პატივცემულო ქალბატონო მარიამ, აბა მიბრძანეთ – რომელ ნაციას ეკუთვნით, ან რომელი ეროვნული რესპუბლიკის მოქალაქე უნდა იყვეს თქვენი გვარის კაცი, მესხეთელი მიქელაძე (მარიამ ორახელაშვილის ქალიშვილობის გვარი მიქელაძე იყო, დ. ჭ.) – იმავე საქართველოსი, როგორც თქვენ, თუ არაბეთის, ან ოსმალეთის, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელად ფარსადანი კი არა, ოსმანი ჰქვია. ან კიდევ, იმავე აჭარის სახალხო განათლების მეთაური, თქვენ მიერ ქებული, ჩემი გვარის კაცი (და რამდენადაც ვიცი,ნათესავი), სულეიმან ლორთქიფანიძე იმიტომ უნდა იქნას თურქად აღიარებული, რომ მას სოლომონი კი არა, სულეიმანი ჰქვია და მისმა პაპამ, თუ პაპის მამამ დაახლოებით გასული საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მაგიერ მაჰმადი იწამა)?

მესხეთი ახალციხით, აჭარა-ქობულეთი ბათუმით ან იქნებიან საქართველოს განუყრელი, ორგანულად შეხორცებული ნაწილი, ანდა საქართველო არ იქნება...

საქართველოს თითქოს ეხლა უნდა მისცემოდა საშუალება, რომ თავისი სხეულის განაწამები ნაწილები რამდენადმე მაინც მოეშუშებინა. თუ სხვა არა, სამცხე, აჭარა, ქობულეთი მაინც უნდა გაანათლოს, მოასულიეროს, შეიხორცოს და შეიდედოს საქართველომ, ამ თავის დაზარალებულ შვილებს მეტი ყურადღებით და მეტი გარჯის გაწევით უნდა მიხედოს, ვიდრე გურიას, იმერეთს, აფხაზეთსა და სხვას. ეს სრულიად უდავო რამ არის, თქვენ კი თქვენი ორჭოფობით არ უშუშებთ ძველ იარებს და ჭრილობებს ამ რაიონებს, პირიქით!

ქართველი ხალხი, რასაკვირველია, მეოცე საუკუნეში არ მოითხოვს თქვენგან, რომ ახალციხელი მიქელაძეები და აჭარელი ლორთქიფანიძეები ჩაყაროს ჯაყის წყალში და აჭარის წყალში, რათა ხელახლა ქრისტიანულად გადმონათლოს, მაგრამ ერთს რამეს კი უეჭველად მოითხოვს – დაანებეთ თავი(...) და აქტიურად შეებრძოლეთ იმ მსუნაგ პანისლამისტურ იმპერიალიზმს, რომელიც დღესაც განაგრძობს ქართველ მაჰმადიანთა თურქულ აზროვნებაში გადანათვლას! არავითარი ისლამური მედრესეები... არ სჭირდება საქართველოს. დაე, საქართველოს კულტურის ისტორიულ აკვანში, მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, ხელახლა დაირწეს ახლა აღორძინებული ქართული კულტურის თავისუფალი აკვანი! უნდა აყვავდეს და გაძლი-

ერდეს ქართული სკოლა, ქართული ენა, ქართული განათლება საქართველოს ამ კუთხეებში!

ამას მოითხოვს თქვენგან და თქვენ თანამმართველთაგან არა მარტო ისტორია და თანამედროვეობა, არა მარტო ქართველი ხალხი და საქართველო, არამედ თქვენი საკუთარი რწმენა და მოქალაქეობრივი სინდისიც, თუკი, რა თქმა უნდა, რასაც სიტყვით ამბობთ, მეტწილად მაინც გწამთ. თუკი მეტწილად მაინც შეგიძლიათ „გულწრფელი სიყვარული და პატიოსანი სიძულვილი."

პატივისცემით გრიგოლ ლორთქიფანიძე.
რუსეთი, ქალაქი კურსკი,
ბოლშევიკების ქუჩა №27, 1927 წელი, მარტის 29.

ამ მძიმე ბოლშევიკური რეაქციის ჟამს, ასეთი გაბედული და მამხილებელი წერილის დაწერა, ალბათ, ბევრს გაუჭირდებოდა, გრიგოლ ლორთქიფანიძისთვის კი ასეთი რამ ზნეობრივი პრინციპის საქმე იყო.

საერთოდ, ის, რაც გრიგოლ ლორთქიფანიძემ ციხეში გაბედა, უდიდესი სიმამაცე, მოქალაქეობრივი თავდადების საუკეთესო ნიმუშია. ამას ის რწმენით აკეთებდა და ამით, აშკარად, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა...

რაც შეეხება მარიამ ორახელაშვილს, ეს ბოლშევიზმით დაბრმავებული და ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანიც არანაკლებ სარისკო ნაბიჯებს დგამდა, კიდევ უფრო მეტსაც, რადგან სამშობლოს ღალატის საფასურად გაღებული ბოლშევიკური ერთგულება წყალში ჩაეყარა: მისმა თანაპარტიელებმა გაუსამართლებლად მიაკერეს სამშობლოს მოღალატის ტიტული და ჩეკას ჯურღმულებში მეუღლესთან, მამია ორახელაშვილთან ერთად საშინელი ტანჯვა-წამებით მოკლეს. მათი ოჯახის წევრებიც არ დაინდეს, ისინიც რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ. ასეთივე ბედი ეწიათ ბუდუ მდივნის, ლევან ღოღობერიძისა და სხვების ოჯახებს. რადგან ბოლშევიკური სამშობლო არ არსებობდა, ნამდვილ სამშობლოს კი ბოლშევიკმა ქართველებმა მართლაც უღალატეს იმ გამოგონილის ერთგულებისთვის, ჩეკასა და „ტროიკების" განაჩენი ადამიანურად ტრაგიკული, მაგრამ სინამდვილესთან ახლოს მყოფი იყო. საქართველოს ისტორიაც ვერასოდეს მოაცილებს მოღალატის დამღას „შულავერის გმირებს" და მათი იდეალების ერთგულ მიმდევრებს...

გრიგოლ ლორთქიფანიძეს მტკიცედ ჰქონდა გააზრებული და თეორიულად ჩამოყალიბებული მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალ-ეკომომიკური და კულტურული ორიენტირები. მისი აზრით, „საქართველოს უნდა ჰქონდეს ერთადერთი პოლიტიკური ორიენტაცია – საკუთარი სახელმწიფოებრიობის სრულყოფისკენ სწრაფვა, ორიენტაცია საკუთარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ანუ ორიენტაცია საკუთარ თავზე. კულტურული თვალსაზრისით უდავოდ უნდა აიღოს საუკუნეობით გათავისებული ევროპული ორიენტაცია: „აქ მტკიცეთ და ურყევათ და არა სადღესხვალიოთ უნდა იქნეს მიღებული ის დებულება, რომ ჩვენ გვიჭერია გეზი ევროპა-ამერიკის მატერიალურსა და სულიერ კულტურაზე", – წერდა იგი.

თავისი ძირითადი მიზნის შესასრულებლად, მისი ღრმა რწმენით, საქართველოს უნდა შეეძლოს ყველა ქვეყნის გამოყენება, თუნდაც ის ჩვენდამი მტრულად განწყობილი რუსეთი იყოს. ნამდვილი მოკავშირე ქვეყანას კავკასიელ ერთა შორის უნდა ეპოვნა.

ამგვარი თვალსაზრისი იმას ნიშნავდა, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე საღად მსჯელობდა, ობიექტურად აანალიზებდა ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას და სწორ დასკვნებს აკეთებდა.

ამრიგად: პოლიტიკური ორიენტაცია – საკუთარ, საერთაშორისოდ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, რომელსაც მტკიცე ეკონომიკურ-ფინანსური საფუძვლები ექნება; კულტურული ორიენტაცია ამერიკულ-ევროპულ სამყაროზე; ერთიანობა კავკასიურ ქვეყნებთან, – ასეთი იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის შეხედულება.

საკუთარ ინტერესებზე აგებული და სახელმწიფოებრივი გაძლიერებისათვის გამოსაყენებელი პოლიტიკური კავშირები, ევრო-ატლანტიკური კულტურული ორიენტაცია, კავკსიური ერთობა და კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობა დღესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს.

აი თემები, სადაც გამოჩნდა გრიგოლ ლორთქიფანიძის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცნობიერება.დიდი განათლება, ღრმა პატრიოტიზმი, სამშობლოსა და ქართველი ხალხის სიყვარული: „რისთვის ჭირდება აფხაზები და ოსები რუსეთს"; „როგორ შეუძლია ძლიერ ეკონომიკას სოციალიზმს გაამარჯვებინოს", გრიგოლ ლორთქიფანიძეს მომავალი საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის საფუძვლად სოფლის მეურნეობის განვითარება, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტენსიური წარმოება მიაჩნდა. მევენახეობა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა, – აი, ის დარგები, რომლის წარმოებაში ქართველ ერს საუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდა. გრიგოლ ლორთქიფანიძე ამ საკითხზე შეხედულებას ასე აყალიბებდა: „ერის, და განსაკუთრებით მცირე ერის მდგომარეობა და მომავალი მაშინ არის მტკიცე და იმედიანი ყოველგვარი ისტორიული ქარტეხილების დროს, თუ ის დაყრდნობილია საკმაოდ მტკიცე სოფელზე, საკუთარ პურზე, ხორცსა და რძის პროდუქტებზე. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ღერძად უნდა გადაიქცეს რაციონალური მემინდვრეობა და მესაქონლეობა. სხვა დარგებს, მათ პროდუქციას დამატებითი მნიშვნელობა ექნება.

მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ჩვენ ჯანსაღათა და უფათერაკოთ ვატაროთ პაწია საქართველოს, ქართველი ერის ხომალდი ვეებერთელა და ბობოქარ კაცობრიობის ოკეანეში."

საბჭოთა ხელისუფლებამ, კოლექტივიზაციის სისტემამ, სამწუხაროდ, ის საფრთხეები, რასაც გრიგოლ ლორთქიფანიძე ვარაუდობდა, საქართველოს ვერ ააცდინა. საქართველოს სოფლის მეურნეობა, მისი ტრადიციული კულტურები განადგურების პირას მივიდა და ისეთი დარგიც კი, როგორიც ქართველი ხალხისთვის მევენახეობაა, კატასტროფულად დაზარალდა.

პატრიოტი მამულიშვილი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა საზღვაო საქმის განვითარებას, ვარაუდობდა სამხედრო პოტენციის ზრდას, სასაზღვრო რაიონების ქართული მოსახლეობით გამაგრებას, – „ეთნოგრაფიული გალავნის აღდგენას". სამწუხაროდ, გრიგოლ ლორთქიფანიძის ეს თვალსაზრისი სასურველის გაცხადება უფრო იყო, ვიდრე რეალური, რადგან საქართველოში დამყარებულმა საბჭოურმა რეჟიმმა ის გალავანიც მოშალა, ბუნებრივად რომ იყო აღმართული ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე, სხვა „გალავნებზე" რომ აღარაფერი ვთქვათ, უფრო ადრე, რუსულმა მონარქიულმა რეჟიმმა რომ მოარღვია, გააუცხოვა და „გაცრიცა"...

პატრიოტი ქართველის სითამამე გამორჩეულად სტალინისადმი მიწერილ წერილებში გამოვლინდა. პირველი წერილი მან ბელადს 50 წლის იუბილეზე, 1929 წელს მისწერა, უფრო სწორად, მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, მაგრამ სურვილებზე მეტად კრიტიკული შენიშვნებით აავსო. ასეთ მისალოცს სტალინისნაირი ამბიციური კაცი კი არა, უბრალო მოხელეც იწყენდა. ავტორი იმაშიც არ იყო დარწმუნებული, ადრესატი მიიღებდა და, მითუმეტეს, წაიკითხავდა თუ არა მისგან გაგზავნილ წერილს. მაინც გზავნიდა, თავის ტკივილებსა და იმედებს შიგ დებდა და ელოდა... რას, რას მიიღებდა კურსკის ციხეში გამოკეტილი პატიმარი ბელადისგან იმის გარდა, რაც მიიღო...

„დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ, – წერდა წერილის ავტორი, – რომის ტრიუმფებში მონაწილეობდა საგანგებო მონა, რომელიც დიდ გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებს და ბედის ცვალებადობას. შუა საუკუნეების რუს მეფეებს კრიტიკოსებად სალოსები ჰყავდათ.

არ ვდგავარ რა ტრიუმფატორის უავგუსტოესი ეტლის ძარის უკან სატერფალზე და არც კარის სალოსი გახლავართ, რასაკვირველია, ასეთი იმუნიტეტის ქონას არ ვვარაუდობ, მაგრამ მაინც მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ შევიტანო ერთგვარი დისონანსი (სულერთია, მას მაინც არავინ გაიგონებს) იმ ხოტბა-დიდების ქოროში, რომელიც გარს გახვევიათ თქვენი ნახევარი საუკუნის დღეს.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ა. შ., ბევრი ჩვენგანი მათ გულწრფელად გისურვებთ, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენს იუბილეს დაემთხვა ორი უმნიშვნელოვანესი, აღმაშფოთებელი წინააღმდეგობრიობა და თქვენს მიერვე შექმნილი ისტორიული ფაქტი ეროვნული პოლიტიკის სფეროდან: ტაჯიკებისათვის მოკავშირე რესპუბლიკის უფლებების მიცემა და იმავდროულად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიის ნიშანთა საბოლოო ლიკვიდაცია და მათი გადაქცევა რუსულ საბჭოთა საადგილმამულოდ კრინიცკის39 მეთაურობით.

საუკეთესო საიუბილეო მისალმებასთან ერთად ვისურვებდი, რომ თქვენ და თქვენი თანამე-

ბრძოლები საბოლოოდ არ დაგატყვევოთ ძველრუსული კრემლის ისტორიულმა აჩრდილებმა და რომ მოსკოვის დიდმპყრობელობამ მეტად ვერ შეძლოს ინტერნაციონალიზმის დიადი იდეის მეწამულ ტოგაში გახვევა."

გრიგოლ ლორთქიფანიძე

მეორე წერილი გაცილებით ვრცელი და არანაკლებ გაბედული იყო. მას 1935 წლის 34 მარტის თარიღი უზის და ლორთქიფანიძესთან ერთად ხელს მისი პატიმარი მეგობრები – ალექსანდრე დგებუაძე და კანდელაკი აწერენ.

საბჭოთა კავშირი ახალი, „გამარჯვებული სოციალიზმის" კონსტიტუციის მისაღებად ემზადებოდა, იხილებოდა კონსტიტუციის პროექტის მუხლები, ადამიანები თავიანთ წინადადებებს აყენებდნენ, ასწორებდნენ, ვითომ დემოკრატიით ტკბებოდნენ. სინამდვილეში, სახელმწიფოს ძირითად კანონში არავის არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ეს ყველაფერი მოჩვენებითი პოლიტიკა, კომუნისტური სიყალბე იყო. გრიგოლ ლორთქიფანიძე ციხიდან ჩაერთო ამ პროცესში. ის აზრებს თავისუფლად გამოხატავდა და შესწორებებსაც ჩვეული სითამამით აკეთებდა. მისი შენიშვნები ძირითადად საბჭოურ სივრცეში საქართველოსა და მისი მომავლის საკითხს ეხებოდა.

აი, ეს წერილი:

„ღრმად პატივცემულო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი ინიციატივით დადგა კონსტიტუციის გადემოკრატიულობის თვალსაზრისით, მისი გადახედვის საკითხი. გვინდა გვჯეროდეს, რომ სწორედ ასე იქნება და გამტკნარდებიან ის სკეპტიკოსები და ავყიები, ვინც ამ დეკლარაციას მხოლოდ „ბოლშევიკურ ბლეფად" მიიჩნევენ და წინასწარმეტყველებენ – „კომუნისტური დაპირებების იალბუზი, ჰა და ჰა, დემოკრატიულ წრუწუნას შობსო".

რაღა თქმა უნდა, ფუჭია ფიქრი, ვითომც საკონსტიტუციო კომისია მოგვისმენს ყველა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხზე, მაგრამ ვბედავთ, სიტყვა მოგაწვდინოთ ამ წერილის მეშვეობით, ზოგადად, ნაციონალურ საკითხებზე, სახელდობრ კი, საბჭოთა საქართველოზე, რადგანაც მისი გასაბჭოების დღიდან აქამდე, გარიყულნი ვართ და სოციალიზმისა და სამშობლოს მტერთა სიაში ვირიცხებით.

საქართველოს ტერიტორიული მინიმუმი ჯერ კიდევ მის გასაბჭოებამდე დაადგინა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რომლის ძალითაც, მხოლოდ აზერბაიჯანის პრეტენზიებიღა იყო გასარკვევი ზაქათალის ოლქის ზოგიერთ ნაწილზე. მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან ბედი უკუღმა შემობრუნდა. საბჭოეთ-თურქეთის მოსკოვის შეთანხმებისა და შიგა გამიჯვნის შედეგად, საბჭოთა საქართველოს თავისი ტერიტორიის, სულ ცოტა, მეხუთედი ჩამოეჭრა. აქედან უმეტესი წილი თურქეთს ერგო. მან, არდაგანისა და ართვინის ოლქებთან ერთად, ახალციხის, მტკვრის ხეობისა და აჭარის კარის გასაღებიც – ფოცხოვის რაიონიც მიიღო. შიგა გამიჯვნით კი, არათუ დაკმაყოფილდა აზერბაიჯანის პრეტენზიები ზაქათალის ოლქის ზოგიერთ ნაწილზე, არამედ მთელი ოლქი გადაელოცა აზერბაიჯანს. ამას ზედ დაურთეს კახეთში – ერიქთარის ველის ზოლი, ყარაიაზის ველის ნახევარზე მეტი დავით-გარეჯის რაიონითურთ(?!). (ამის მერე, გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულება, „საქნავთობის" „აზნავთობში" ჩართვის შესახებ, გამაოგნებელ კითხვას ბადებს – ეგებ შირაქიც მიართვან ხონჩით მის უდიდებულესობა აზერბაიჯანს ნახჭევანივით ცალკე დომინიონად, ან პირდაპირ შეუერთონ მას მთელ აღმოსავლეთ კახეთთან ერთად).

ისლამი საუკუნეების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა უძველეს ქართულ კულტურას, ჩვენი სახსენებლის მოსპობას ცდილობდა, ძალით გვამუსულმანებდა, და აი, ახლა, XX საუკუნეში, როცა მრავალტანჯულ ქართველობას უნდა ამოესუნთქა, როცა ნაწილობრივ მაინც უნდა გამოსწორებულიყო ისტორიული უსამართლობა, საქართველო უარესად დაჯიჯგნეს და პანისლამიზმის სამსხვერპლოს ტარიგად შესწირეს. განსაკუთრებით პარადოქსულია: 1) რომ ეს მოხდა რუსეთის ხალხთა უფლებების შესახებ ი. ბ. სტალინისა და ვ. ი. ლენინის ისტორიული დეკრეტისა და 1920 წლის 7 მაისის შეთანხმების შემდეგ; 2) რომ ყველა ეს მსხ-

ვერპლი პანისლამიზმსა და მის ბელადს – თურქეთს შეეწირა, თურქეთს, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე კუდით ქვა ასროლინეს და სასტიკად დამარცხებული, მაინც გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან; 3) სპარსეთის შაჰებისა და თურქეთის სულთნების ანტიქართული თარეში კი არ აღიკვეთა, არამედ გაფართოვდა და იკურთხა არა მხოლოდ ე. წ. თურქეთის ნაციონალური რევოლუციის, არამედ საბჭოთა რევოლუციის ვითომც წმინდა ინტერნაციონალური პრინციპებით.

ზაქათალაში მოძმე აზერბაიჯანმა მამაპაპისეული ფუძეებიდან აჰყარა ინგილო ქართველები და იმათაც საქართველოს შეაფარეს თავი. და განა მხოლოდ აზერბაიჯანში მოხდა ეს? ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან მთლიანად ან ნაწილობრივ გამორეკეს ქართველობა. მაგალითად ალაგირიდან, სოჭის, ტუაფსეს რაიონებიდან და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის შემდეგ არცერთ ქართველ მიწათმოქმედს არ მიეცა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში დასახლების საშუალება. თუმცა დიდის რიხითა და ზარზეიმით განაცხადეს, უკვე გადაწყვეტილია სოჭის რაიონში უმიწაწყლო პირველი ათიათასი ქართველი გლეხის ჩასახლების საკითხიო, ეს საკითხი ჰაერში გამოკიდებული დარჩა. სამაგიეროდ, უკუპროცესი, – სხვა, მიწებით მდიდარი რესპუბლიკებიდან ხალხის მცირემიწიან საქართველოში ჩამოსახლება – დღემდე გრძელდება.

ამა თუ იმ რესპუბლიკის რაიონებად დაყოფისასაც კი, კომისიები დიდიხნობითა და საფუძვლიანად შეისწავლიან და მსჯელობენ, უმჯობესად როგორ გაიმიჯნოს მხარეები, ოლქები და რაიონები, ხოლო სახალხო კომისართა საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბუდუ მდივანმა, საბჭოების ყრილობაზე თქვენი თანდასწრებით ომახიანად განაცხადა, საბჭოთა საქართველოს საზღვრების განმსაზღვრელ აქტებს წაუკითხავად ვაწერდი ხელსო. ჰოდა, ჩამოგვეჭრა ტერიტორია გაგრის რაიონშიც, რაჭაში მდებარე მამისონის უღელტეხილიც სამხრეთ ოსეთს მიეწერა.

ასე უსწორდებით არაკეთილსაიმედო საქართველოს. დროა მოეხსნას მას ტერიტორიული სანქციები (ღიად დარჩეს ფოცხოვის, არდაგანის, ართვინის და ა. შ. საკითხი, რაც საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეგობრული საერთაშორისო მოლაპარაკებებითა და შეთანხმებებით უნდა გადაწყდეს). დაუბრუნდეს საქართველოს ზაქათალა, ერიქთარის, ჯეირანისა და ყარაიაზის ველები დავით-გარეჯითურთ და ა. შ. საქართველოს ტერიტორიაში მოექცეს თუნდაც ადლერის რაიონი, რადგანაც სოჭზე, სავარაუდოა, ხელი უნდა დავიბანოთ მას შემდეგ, რაც ამ კურორტის რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა.

თუმცა, კომპარტიის XII ყრილობამ საზეიმოდ და კატეგორიულად განაცხადა „ნაციონალური რესპუბლიკების ყოფნისა და მათი შემდგომი განვითარების აბსოლუტური აუცილებლობის შესახებ“, სინამდვილეში, ბევრად უფრო ძალუმად და სისტემატურად წარიმართა უკუპროცესები. საბჭოთა კავშირის დაარსებისთანავე, საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიური უფლებები თვიდან-თვემდე, წლიდან-წლამდე განუხრელად მცირდებოდა ცენტრის სასარგებლოდ. მთელი კანონმდებლობა, სასამართლო, სახალხო კომისარიატები ნაბიჯ-ნაბიჯ ექვემდებარებოდა რკინისებურ ცენტრალიზებას, უმკაცრეს ერთობასა და ერთფეროვნებას.

თვით განათლებაც, აქამდე, ფორმალურად, მხოლოდ ავტონომიური კი არა, არამედ დამოუკიდებელიც რომაა, ფაქტობრივად სამხედრო საქმეზე ნაკლებად ცენტრალიზებული როდია. რა გინდა რა წამოიწყოს რსფსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატმა, თუნდა ექსპერიმენტად, მთელ კავშირში განათლების ყველა სახალხო კომისარიატი, კარელიიდან სტალინაბადამდე, მის ამ განკარგულებას მყისვე აცხადებენ მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის ურყევ დებულებად და ყველა ქალაქის, სოფლის, დაბის, აულის, ყიშლაყის სკოლებში დაუყოვნებლივ გადადიან სწავლების ახალ მეთოდებზე.

მთელი წყობის უკიდურესი ცენტრალიზების გამო, სოციალისტური რესპუბლიკების ენობრივი ავტონომია სკოლით, თეატრით, ლიტერატურითა და ადგილობრივი (უმთავრესად სოფლად) მმართველობით შემოიფარგლება. ყველა დანარჩენი, ქვემოდან სულ ზემოთამდე, – სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიამდე, – რუსიფიცირებულია. თითქოსდა რუს ხალხს ჩამოერთვა ნაციონალური კომპარტიის ქონის უფლება, მაგრამ ყველამ უწყის, რომ ასეთი „დაჩაგვრა“ არც ისე საშიშით შეცვალეს, თუმცა არსობრივად არაფერი შეცვლილა.

ამჟამინდელი კავშირის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სახელმწიფო წარმონაქმნიდან, ერთადერთმა საქართველომ მიიღო ევროპის სახელმწიფოთა სრული ფაქტობრივი და იურიდ-

იული აღიარება. თვით საბჭოთა რუსეთმაც მოგვიანებით მიიღო ევროპის სახელმწიფოთა სრული ფაქტობრივი და იურიდიული აღიარება. ეს სრულიად გასაგები და თავისთავადია, რადგანაც საქართველო მეფის რუსეთის დამარცხებისა და რევოლუციის გამარჯვების ნიადაგზე აღმოცენებული სახელმწიფო იმპროვიზაცია კი არ გახლავთ, არამედ ერი (თუმცა ნაგვემნაჩეხი), ვინც ათასწლეულებში გამოატარა თავისი კულტურა, სახელმწიფოებრიობა და სულ რაღაც ასიოდ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ, ხელშეკრულების საფუძველზე შევიდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში. და აი, სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სახელით, ამ საქართველოს ტერიტორიული ჯიჯგვნა, მისთვის სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის მიუცემლობა, მექანიკურად შეთითხნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში ავტონომიად ჩართვა და სახელმწიფო უფლებების მხრივ, უდმურტიისა და მორდვეთის დონეზე დაყენება მიიჩნიეს მიზანშეწონილადა და სამართლიანად.

ამიერკავკასია არც ნაციონალურად, არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად, თვით გეოგრაფიულადაც კი არც როდის ყოფილა და არც არის რაიმე ერთიანი, მთლიანი. ესაა იმ მიწების პირობითი გეოგრაფიული აღნიშვნა, რაც, თუ ჩრდილოეთიდან შევხედავთ, კავკასიის ქედს მიღმა დევს.

რუსმა მეფეებმა ეს განაპირა, სხვადასხვა „ტუზემცებით“ დასახლებული მხარე, მისი მართვისა და გარუსების გასაადვილებლად, ერთ სამეფისნაცვლოში გააერთიანეს.

საბჭოთა კავშირის პირობებში, ამიერკავკასიის მიწებისა და ხალხების ერთ მექანიკურ კონგლომერატში გაერთიანება არა მხოლოდ კომპარტიის მიერ დეკლარირებული პრინციპების, არამედ კავშირის სხვა მხარეების მიმართ ნაციონალურ საკითხში გატარებული პრაქტიკული პოლიტიკის აღმაშფოთებელი დარღვევაცაა.

რამდენიმე სიტყვით მოქალაქეობაზე: ჩვენი კანონმდებლობა ორმაგ ან ორსაფეხურიან მოქალაქეობას ითვალისწინებს. რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საბჭოთა კავშირის მოქალაქეცაა. არადა, მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობის კვალიც არსად დარჩა. ახლა მხოლოდ საკავშირო მოქალაქეობაა. განა დასაშვებია რესპუბლიკების ასეთი გაუპიროვნებელობა; ამიტომ, უპრიანია, ჩაფიქრებულ გადემოკრატიულებასთან ერთად, საბჭოთა კონსტიტუციის გადახედვისა და დაზუსტების მხრივ, საქართველოს მდგომარეობა ზოგადად ასე დავინახოთ:

საქართველო თავისუფლდება გასაბჭოებისას დადებული ტერიტორიული სანქციებისაგან. მას უბრუნდება ზემოხსენებული ტერიტორიები. საქართველოს ტერიტორიული საკითხი საერთოდ უნდა განიხილებოდეს იმ თვალსაზრისით: ა) რომ საქართველო ყველაზე ღარიბია მიწით და ამ მხრივ ყველაზე ჩაგრულია სპარსეთ-თურქეთისა და რუსეთის იმპერიალიზმის მიერ; ბ) რომ სოციალური რევოლუცია მიწის საკითხს გადაჭრის, როგორც ნაციონალურ, ისევე ინტერნაციონალურ ფარგლებში, ანუ სამართლიანად გაანაწილებს მიწებს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის; საქართველო უშუალოდ შედის საბჭოთა რესპუბლიკის კავშირში; საქართველოში იქმნება განსაკუთრებული სამხედრო ოლქი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს წითელ არმიასა და მის ტერიტორიაზე განლაგებულ არაქართულ, რუსულ, უკრაინულ და ა. შ. სამხედრო ნაწილებსაც; არსდება საქართველოს რკინიგზის განსაკუთრებული მმართველობა; იქმნება საქართველოს განსაკუთრებული კავშირგაბმულობა; საქართველოს, ამ ზღვისპირა რესპუბლიკისათვის, იქმნება (ისევე, როგორც უკრაინისათვის) განსაკუთრებული სანაოსნო;

მოკავშირე რესპუბლიკებიდან, შავი ზღვის სახელმწიფოები – რუსეთი, უკრაინა და საქართველოა. სამხედრო ერთეულთა განსაზღვრულ ნაწილს ქართული ეკიპაჟები უნდა ჰყავდეს, რაც საკავშირო შავი ზღვის ფლოტის საქართველოს ნაწილი (ფლოტილია) იქნება, ისევე, როგორც არმიაში ნაციონალური ნაწილები; უნდა მიეცეს მეტი საბიუჯეტო-ფინანსური ავტონომია; ორგანიზებული უნდა იყოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს განყოფილება, არა საკავშირო სახბანკის ფილიალად, არამედ განსაზღვრული ავტონომიური უფლებებით;

სახელმწიფო, ანუ მმართველობის ძირითადი ენაა ქართული. ყველა უწყება ძირითადად ამ ენაზე იმართება (ისევე, როგორც რუსეთში – რუსულად)... საქართველოს, ქართველი ხალხის შენარჩუნება და ნორმალური, ე. ი. ყოველმხრივი განვითარება, შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლებისა და ქართული კულტურის, რუსთაველის ენის ყოველმხრივი ბუნებრივი განვი-

თარების პირობით, ენისა, რომელზეც ითარგმნებოდა არისტოტელე 41 და ფრანგი ენციკ-ლოპედისტები, ენისა, რომელსაც სისტემატურად კლავდნენ სპარსეთის შაჰები, თურქეთის სულთნები და, ბოლოს, რუსეთის მეფეები, მაგრამ მაინც ვერ მოკლეს და რომელიც ამჟამად საქართველოს მოქალაქეთა 82 პროცენტისთვის სალაპარაკო და ლიტერატურული ენაა. ენის ყოველმხრივი განვითარების გარეშე არ არის ეროვნული კულტურა, ე. ი. თავად ერი. ენა — ესაა შრომისა და ბრძოლის და არა მარტო თეატრალური ხელოვნების, ლირიკულ-პოეტური ოხვრების, ბელეტრისტიკისა და, გნებავთ, სკოლის ფუნქცია და იარაღი. ენა მხოლოდ მაშინ ვითარდება ნორმალურად და ყოველმხრივ, როცა სრულად გამოიყენება პოეზიასა და მძიმე მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობასა და თეატრში, ჯარსა და სკოლაში, ომისა და მშვი-დობის დროს, ჰაერსა და ზღვაზე, ეთერსა და მიწისქვეშეთში და ა. შ. ენა, რომელიც არცთუ შორეულ ისტორიულ წარსულში კავკასიისა და წინა აზიის ხალხთა საერთაშორისო ენა იყო (იხ. ნ. მარი42), ახლაც კი, ამდენი განსაცდელის შემდგომ, ჩვენს კავშირში, რუსულთან ერთად, ერთ-ერთია ამ ორი კულტურული ენიდან, რომელიც გავრცელების მხრივ, სცილდება თავის ეროვნულ ბაზას.“

გრ. ლორთქიფანიძე, ა. ი. დგებუაძე, კანდელაკი.

ვორონეჟი, 1935 წლის 24 მარტი

ძველი მოწამეებივით, წმინდანად შერაცხული გმირებივით შეეწირა კიდეც ამ გაბედულ მხილებას.1937 წლის 13 იანვარს „გამართლებული და დაჯილდოებული“ გრიგოლ ლორთქი-ფანიძე გამოიძახეს ვორონეჟის უშიშროების სამსახურში, დააპატიმრეს და ხუთი წლით ციმ-ბირში გადაასახლეს. კონსპირაციულად გზიდან გამოგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ სამუშ-აოდ გრონობორის რკინიგზის მშენებლობაზე უპირებდნენ გაგზავნას, სადაც, მისი სიტყვით, „ამქვეყნიური ჯოჯოხეთი“ იყო. თვითონვე ხვდებოდა დასასრულის დასაწყისს.

1955 წელს „სამშობლოს მოღალატედ“ შერაცხული გმირული სულის ადამიანის – გრიგოლ ლორთქიფანიძის რეაბილიტაცია მოხდა.

როდესაც არ უნდა ეცხოვრა, გრიგოლ ლორთქიფანიძისნაირი ადამიანი სულ ბრძოლის ველ-ზე იქნებოდა. ასეთები თან აშენებდნენ, თან ხმალს იქნევდნენ. მათ შეუმცდარად ესმოდათ ქვეყნის სატკივარი, საქართველო მათთვის ლაპარაკობდა და ისინიც უსიტყვოდ იგებდნენ მის ჭირსა თუ ლხინს, ტკივილსა თუ სიხარულს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაწერები, მისი ნააზრევი, იმდენად მართალია და თანამედროვე, აქტუალობას არასდროს დაკარგავს, ძალა და ზემოქმედების უნარი არასდროს მოაკლდება. მისი ბევრი შეხედულება ისტორიის მსვლელობამ საცნაური გახადა.

აღსრულდა გრიგოლ ლორთქიფანიძის წინასწარხედვა, რომ საბჭოთა იმპერიას საბოლოოდ კრიზისის ხანა დაუდგებოდა და გაქრებოდა.

1991 წლის 9 აპრილს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქა-რთველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო სამართალმემკვიდრეა პირველი რესპუბლიკის, რომ-ლის თავდადებული მუშაკი, სამხედრო და განათლების მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო. რაც შეეხება მეორე, მარიონეტულ საბჭოთა რესპუბლიკას, ქართველი ხალხისთვის ეს პერიოდი მძიმე იყო და ბევრისთვის საბედისწეროც. მასობრივი რეპრესიებითა და ეროვნული ფასეულობების დევნით, ტოტალიტარული სისტემის საშინელი გამოვლინებებით გამორჩეუ-ლი რეჟიმის ერთ-ერთი მსხვერპლი, მეოცე საუკუნის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, სამშობლოს ინტერესებისათვის უკომპრომისო მებრძოლი, მოაზროვნე და ზნეობრივი გმირი – გრიგოლ ლორთქიფანიძეც იყო. მისი მოწამეობრივი სიცოცხლე და ტრაგი-კული სიკვდილი ვერ იქცა მისი ყოფის დასასრულად; ეს დასასრულია, რომელიც დასაწყისსაც ნიშნავს...

კრებული „მატიანე“ აგრძელებს რუბრიკას „ვანის რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლები და ციხე-სიმაგრეები“, სადაც მაქსიმალურად ვცდილობთ სააშკარაოზე გამოვიტანოთ საუკუნეების მიერ დავიწყებას მიცემული რაიონის კულტურული წარსულის ჯერ არსად დაწერილი ისტორიები, ვარაუდები და დასკვნები. პროექტს უძღვება „მატიანეს“ ჟურნალისტი ***ინდირა გოგოძე****.*

ინეზა ხურციძე
რაფიელ ქართველიშვილი

ვანის რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ციხე-სიმაგრეები

საქართველო მრავალმხრივ საინტერესო ქვეყანაა, მას დიდებული აწმყო და კიდევ უფრო უკეთესი მომავალი აქვს. ამავე დროს წარსული მისი მშვენება და სიამაყეა. ბედნიერია ის ერი, რომელიც წინაპართა მიერ შექმნილ მყარ ნიადაგზე დგას. მისი მემკვიდრე კი შუბლგახსნილი ეგებება კეთილგანყობით მოსულ სტუმარს და აწეული თავით მოჰყვება მთასა და ბარში, რათა აჩვენოს ლანდშაფტთან შეზრდილი, ხელით ნაძერწი, ქვით ნაგები ძეგლები. ვინ არ მოხიბლულა და აღტაცებულა მაღალი მთების დამაგვირგვინებელი მცხეთის ჯვრითა და ქსნის ციხით, ტაფობზე მდგარი სვეტიცხოველით ან ველზე გედივით ყელმოღერებული ალავერდით. წინაპართა მიერ ეს ნაშენ-ნაამაგარი კულტურის მაღალი დონის მაუწყებელია, ამიტომაც გვმართებს მისი შესწავლა, დაცვა და მოვლა.

ქართველს, რომელსაც ათასი წლის განმავლობაში მტერი არ დალევია, იძულებული იყო ხმლით ხელში ეშენებინა სახლი თუ სასახლე, ციხე თუ ტაძარი, მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, მაინც ყველაფერს ეტყობა შემოქმედებითი სიდიადე. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არ მოიძებნება არცერთი კუთხე, სოფელი თუ დასახლება, სადაც არ იქნება შემორჩენილი წარსულის რაიმე გადმონაშთები-ძველი ეკლესია-მონასტრები, სამრეკლოები ან ციხეთა ნანგრევები. ამაზე ძირითადად საქართველოს სამხრეთით მდებარე ნასოფლარები მეტყველებენ, რადგან მტრის შემოსევისას სწორედ ისინი იგერიებდნენ პირველ დარტყმას. მაგრამ ჟამთა საუკუნეობრივმა სვლამ მტრის გარეშეც დაასვა თავისი დაღი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში არსებულ სიძველეებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი რაიონია, რადგან სამხარეთმცოდნეო შესწავლის თვალსაზრისით, ვანის რაიონი უაღრესად საინტერესო მხარეა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ჩვენთან მე-19 საუკუნეში დაიწყო. ვანის რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილი სიძველეების შესწავლას ჯერ კიდევ მ. ბროსემ და შემდეგ უფრო ფართოდ, ე. თაყაიშვილმა ჩაუყარეს საფუძველი. განსაკუთრებით ინტერესი ამ მხარისადმი გამოიწვია არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, რომელსაც კურირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ექსპედიცია, აწგანსვენებული პროფესორის ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, რითაც ნათელი მოჰფინეს ძველი კოლხეთის ცივილიზაციის არაერთ საკითხს. ვანის ნაქალაქარი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ძეგლად ითვლება, მაგრამ ეს რაიონი სხვა მხრივაც საინტერესო მხარეა. აქ ძალზე დიდი რაოდენობის მიწისზედა ნივთიერი ძეგლებია გადარჩენილი, რომლებსაც ჩვენი წარსულით დაინტერესებული მკვლევარები გვერდს ვერ უვლიან. ამჯერად ვეცდებით მცირე მიმოხილვით წარმოვაჩინოთ აქ არსებული თლილი ქვით ნაგები მარგალიტები.

ქ. ვანის ტერიტორიაზე უძველეს ძეგლად ითვლება სოფ. ზედა ვანში არსებული **„მთავარანგელოზის ეკლესია“**, რომელიც მე-12 საუკუნეს მიეკუთვნება. ეკლესია უგუმბათოა. იგი აგებულია კირქვით. ადრე ორივე მხრიდან მოპირკეთებული ყოფილა ადგილობრივი ლამაზად გათლილი ფილა ქვებით. ამჟამად ტაძრის სახურავი და სამხრეთ კედელი დანგრეულია, დანარჩენი კედლები დაბზარულია. ჩრდილოეთ კედელზე გადარჩენილია თაღის ორი ქუსლი, რომელსაც ეყრდნობოდა სახურავი, კედლებზე შიგნიდან დაშვებულია ორსაფეხურიანი სვეტები.

ჩრდილოეთით ორი სარკმელი აქვს, დასავლეთით ერთი. თავის დროზე ეკლესია მოხატული ყოფილა ფრესკებით, რომელთა ფრაგმენტები აქა-იქაა შემორჩენილი. ეკლესიას ჰქონდა სამი კარი – ორი – ჩრდილოეთით, ერთი – დასავლეთით. სამხრეთის კედელი მოშლილია და არ ჩანს. თუმცა ე. თაყაიშვილი წერს, რომ ეკლესიას წინათ სამხრეთის მხარეზე ეკვდერი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მოუშლიათ და კარი ამოუშენებიათ. ეკლესიას ჩრდილოეთით ჰქონია მინაშენი, რომელიც ახლა დანგრეულია. დასავლეთიდან მიშენებული ჰქონდა აგრეთვე კარიბჭე, რომლის ჩრდილოეთით კედელი დანგრევას გადაურჩა. უფლის წყალობით, 2016 წლის აღდგომის შემდეგ ტაძარი რესტავრირებულია, აღდგენილია და წირვა-ლოცვა აღევლინება. ამავე ეკლესიიდან 20 მ-ის დაცილებით არის სამრეკლო, რომელიც აგებულია XIX საუკუნეში, ის წარმოადგენს სამსართულიან, ხუთწახნაგოვან ნაგებობას, რომელსაც აქვს გუმბათი. საინტერესოა ერთი ისტორიული ცნობაც – შუა ფეოდალურ ხანაში ვანის მთავარანგელოზის ეკლესიას კედელში ჩატანებული ჰქონდა მარმარილოს ქანდაკება, რომლის XII საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია „ერისთავთ ერისთავი ზვიადი“. საფიქრებელია, რომ ის იმ ქვაბულიძეთა გვარის წარმომადგენელია, რომელიც მთლიანად საჩინოსა და მათ შორის ყუმურის ხეობასაც განაგებდა.

„წმ. გიორგის სახელობის ტაძარი“ ანუ „ლაბაჯაურის წმ. გიორგი“, სოფელ ისრითში, სულორის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, პატარა კლდოვან შემაღლებაზე მდებარეობს. ძეგლი დღემდე ნაკლებადაა ცნობილი. მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა იგი XX საუკუნის დასაწყისში, მოგვიანებით კი ნინო ხოშტარიამ. ეკლესია კარგად აღიქმება ყოველი მხრიდან. იგი ქვაყორისა და კირხსნარის ნაერთითაა ნაგები. მოპირკეთებულია ქვიშაქვის სქელი და არათანაბარი ზომის ფილებით. იგი მარტივი, ცალნავიანი მცირე ტაძარია, რომლის ფორმა კვადრატს მიახლოვებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. დგას ერთსაფეხურიან ციკოლზე. სადა კარნიზის ქვები ფასადებზე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. სამხრეთის სვეტი თითქმის აღარ არსებობს. მოჩუქურთმებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის სარკმელები. რესტავრაცია 1961 წელს ჩაუტარებიათ. ეკლესია მოხატულიც ყოფილა. საღებავთა კვალი ალაგ-ალაგ დღესაც შეიმჩნევა. მხოლოდ დეკორის საშუალებითაა შესაძლებელი მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს ეკლესიის აგების დრო. თაყაიშვილი მას XII-XIII სს ათარიღებს და აქ გაკეთებულ ჩუქურთმებს კაბენისა და გუდარეხის მორთულობებს ადარებს. ტაძარში გამოყენებულია ქართული ხუროთმოძღვრების ყველაზე გავრცელებული ორნამენტების ანალოგები, რომლებიც გვხვდება XII-XVIII საუკუნეების ჩათვლით-ტაო-კლარჯეთის, ოშკის, ხობის XIV-XV სს., საფარას, დაბის, ზარზმის ადრეულ ძეგლებზე. გამოვყოფდით აქ არსებულ ერთ ფრაგმენტს-ფრთებგაშლილ არწივს ბრჭყალებით უპყრია კურდღელი, რაც პირველად X საუკუნის ხახულის ტაძარზე ჩნდება და ძირითადად სამხრეთ საქართველოს ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. უნდა ითქვას, რომ ოსტატი აშკარად სესხულობს ორნამენტთა სახეებს და უხვად იყენებს სამხრეთ საქართველოში ადრე შექმნილ და შემდეგ გამარტივებულ ფორმებს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ ყიფიანის აზრით, ტაძრის აგების დრო ზოგადად XIVს. დასასრულითა და XVს. დასაწყისით შემოიფარგლება.

მეზობელ სოფელში, სოფ. დიხაშხოს ტერიტორიაზე მდებარეობს **„წმ. სამების სახელობის ტაძარი“**. ისტორიული ძეგლი სოფლის ცენტრიდან დაშორებულია 3 კმ-ით. ეკლესია ერთნავიანი, ბაზილიკური ტიპისაა. აშენებულია ფლეთილი ქვითა და კირქვის დუღაბით. ტაძარს აქვს სამი შესასვლელი. მოპირკეთებულია ადგილობრივი ჯიშის ქვიშა-ქვის წყობით, რომელიც ამოყვანილია კარის დუღაბით. ეკლესიის მშენებლობა დათარიღებულია XVI-XVII საუკუნეებით. ზომა შეადგენს 3X5 მ-ს. მოხუცების გადმოცემით ეკლესია ადრე მოხატული ყოფილა ფრესკებით. ამჟამად ფრესკის კვალი არ შეინიშნება. შენობის დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყოველ კედელს აქვს ზემო ნაწილში ჩაშენებული თითო სარკმელი.

ვანის რაიონის სოფ. ბზვანში, ინაშაურის ზედა უბნის საზღვართან არის **„სვიმონწმინდას ეკლესია“**, რომელიც XIX საუკუნეშია აშენებული. ეკლესია უგუმბათოა და იგი აგებულია ადგილობრივი ჯიშის ქვებით. ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი კარი – ერთი ჩრდილოეთით,

მეორე დასავლეთით. აქვს ხუთი სარკმელი და კედლებიც მყარ მდგომარეობაშია. დასავლეთის მხარეს კარებზე შენარჩუნებულია ჯვრის გამოსახულება. ვის მიერ არის აგებული, ამაზე ცნობა არ მოიპოვება. ტაძარი დღემდე არ არის აღდგენილი მცირე დასახლებისა და უპერსპექტივობის გამო. ამავე ტერიტორიაზე ნაპოვნია აგრეთვე გამოქვაბული, რომელსაც **„ბერის საყდარი“** ეწოდება.

ვანის რაიონის სოფ. ამაღლებაში კულტურის ძეგლად ითვლება **„მაცხოვრის ამაღლების ეკლესია“**. იგი მდინარე კვინისწყალის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. წარმოადგენს სამფასადიან ნაგებობას, რომელსაც თავდაპირველად გუმბათოვანი გადახურვა ჰქონდა. ტაძრის ტერიტორია, მე-17 საუკუნიდან რაჭიდან ჩაოსახლებული ერისთავების საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. იგი სავარაუდოდ V-VIII საუკუნეებშია აგებული. ნგრევის შემდეგ პირველად XI საუკუნეში აღადგინეს ოთხკუთხედი ფორმის აგურით. ომებისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად ეკლესია ისევ დანგრეულა და მე-17 საუკუნეში კვლავ აღუდგენიათ ადგილზე წარმოებული აგურით. აღმოსავლეთის მხარეს შენარჩუნებული იყო საკურთხეველი ორი ოთახით და თაღით, ხოლო გუმბათი, ჩრდილოეთ კედელთან ერთად მაშინ ჩამოიქცა, როდესაც ბოროტმა სულებმა თუნუქის სახურავი გადახადეს. სამხრეთით მიშენებული პატარა მოცულობის ეკლესია უვნებელი გადარჩა ბეტონის ჭერის გამო. მთავარი ეკლესიის კედლის სისქე 1 მეტრი და 30 სანტიმეტრია, სადაც დატანიებული აქვს გვირაბები, რომელიც მიწის ქვეშ გადიოდა და ბერების კელიასთან აკავშირებდა ტაძარს. ბოლო აღდგენაზე ზრუნვა XX საუკუნეში დაიწყო და დიდი დაბრკოლებების მიუხედავად ეკლესიამ დღევანდელი სახე მიიღო. პერანგის ქვებად გამოყენებულია აგური, ხოლო ძირითადად აგებულია ადგილობრივი ჯიშის ფილა ქვებით. ეკლესიას აქვს 3 – კარი (სამივე დაზიანებული იყო), ექვსი სამრეკლო და ამჟამად უგუმბათოა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ ფუნქციონირებდა სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ გიმნაზია და ბოლოს კი სკოლაც. ცნობილ მოგზაურს, გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს ასე აქვს მოხსენიებული ძეგლი: „მოერთვის რიონს სამხრეთიდან ამაღლების ხევი, გამოსდის ფერსათს, მასზედ არის მონასტერი ამაღლების, დიდ გუმბათიანი არს შუენიერს ადგილს“ – აქ ბერთა სადგომის არსებობას, ნანგრევებიც ადასტურებს. 1937 წელს შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე კი **„ამაღლების საყდარია“** აღნიშნული. დღეისათვის ტაძარი რესტავრირებულია და წირვა-ლოცვაც აღევლინება.

სოფ. ინაშაურში ისტორიისა და კულტურის ძეგლად ითვლება **„ღვთისმშობლის შობის“** ერთნავიანი ეკლესია, რომელიც ადრე წმ. გიორგის სახელს ატარებდა. იგი ჩხობაძეებისა და კანკაძეების უბანში, საკმაოდ შემაღლებულ ადგილზე დგას. ეკლესია XIX საუკუნეს მიეკუთვნება. კერძოდ, აგებულია 1860-70 წლებში ადგილობრივი ჯიშის ქვებით. შენარჩუნებული აქვს პერანგის ქვებიც და გადახურულია კრამიტით. აქვს ორი კარი და 6 სარკმელი. 1937-38 წლებში დანგრეული ეკლესიის ქვებით პურის საცხობიც ააგეს, სოფლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა საკუთარი სახლის ასაშენებლადაც გამოიყენა და ბოლოს, რაც გადარჩა, კოლმეურნეობის საწყობადაც იქნა გამოყენებული. ისტორიული ცნობებიდან ვგებულობთ იმასაც რომ ამ სოფელშივე არსებულა **ინაშაურის წმინდა სიმონ ღმრთისმიმრქმელის ეკლესია**. აშენებისა და დანგრევის წლები არ არის ცნობილი. მხოლოდ ის ვიცი რომ ტაძარში 1816 წლიდან 1829 წლამდე წირვა-ლოცვას აღავლენდა მღვდელი გერასიმე მინდელი.

სოფ. ქვედა გორას ცენტრში აგებულია XIX საუკუნის ისტორიისა და კულტურის ძეგლი **წმ. გიორგის სახელობის ეკლესია**, რომელსაც **„სამგელიას წმინდა გიორგის“** ეძახიან. მოხუცების გადმოცემით, ამ ადგილზე ადრე მგლები იყრიდნენ თავს და ამიტომ უწოდეს ამ ადგილს **„სამგელია“**. ეკლესია გუმბათიანია. აშენებულია ადგილობრივი ჯიშის ქვებით და ფასადზე პერანგის ქვები შენარჩუნებული აქვს. ტაძარში შიგნიდან დაშვებულია ორსაფეხურიანი სვეტები და სხვა ძეგლებთან შედარებით უფრო საღად გამოიყურება. შენარჩუნებული აქვს კარები და სარკმელები. დაზიანებული ჰქონდა სახურავი, რომელიც შეკეთდა. ამჟამად ეკლესია დაცულია.

სოფ. ზედა გორაში არის **ბაზილიკური ტიპის ეკლესია**, რომელიც აგებულია XIX საუკუნეში. აშენებულია ადგილობრივი ქვების წყობით. ეკლესიას წინა ფასადი შენარჩუნებული აქვს, ხოლო ჩრდილოეთი კედელი დანგრეულია.

სოფელ შუამთაში, მაღალ გორაკზე არის ქედის **„წმინდა გიორგის“** სახელობის ტაძარი. იგი აგებულია 1615 წელს, გვიან ფეოდალურ ხანაში ადგილობრივი ჯიშის ქვებით და ერთ-ერთი უძველესი ტაძარია იმერეთის XVII საუკუნის უძველეს ძეგლთაგან. ეკლესიაში ალაგ-ალაგ შეინიშნებოდა ძველთაძველი ფრესკები, რომელიც ჩამორეცხილი იყო, მაგრამ 2015 წელს ხელთავიდან მოიხატა. ტაძარს აქვს სამი კარი და შენაჩუნებული აქვს სამივე. აქვს 6 სარკმელი. 2000 წელს, ერთობლივი ძალისხმევით ეკლესიის შესასვლელთან აშენდა სამრეკლო. ამჟამად სრულიად აღდგენილია და წირვა-ლოცვა აღევლინება.

სოფელ ტობანიერში არის ეკლესია **„სამება“**, რომელიც აგებულია XIX საუკუნეში. აგებულია ადგილობრივი ჯიშის ქვებით. ეკლესიას წინა ფასადი შენარჩუნებული აქვს, დაზიანებული აქვს კედელი აღმოსავლეთ მხრიდან, აქვს ორი კარი, ოთხი სარკმელი, შიგნიდან მოხატულობა არ შეინიშნება. ეკლესიის კარების თავზე შეინიშნება ჯვრის გამოსახულება.

სოფელ მიქელეფონში არის ეკლესია **„წმინდა გიორგის“** სახელწოდებით, რომელიც აგებულია XIX საუკუნეში. აშენებულია ქვების წყობით და გვევლინება ნანგრევების სახით.

ვანის ტერიტორიაზე არსებული ციხე-კოშკები შუა საუკუნეების პერიოდისათვის მნიშვნე-ლოვან სათვალთვალო პუნქტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ იმერეთისა და სრულიად საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში. ასეთი ძეგლებიდან ჩვენამდე მოაღწია ისრითის X საუკუნის **„ციხე-კოშკმა“**, ინაშაურის **„თამარის ციხემ,“** შუა საუკუნეების ძულუხის **„მელოურის ციხემ“**, **„შუა გორას ციხე-კოშკმა“** და XII საუკუნის **„ყუმურის გვირაბიანმა ციხემ“**.

სოფელ ყუმურის ერთ-ერთ უბანში მაისოურში, მდინარე ყუმურის მარცხენა ნაპირას, მდინარიდან 1 კმ მანძილის დაშორებით, დგას ციხე, რომელსაც **„საპაიჭაოს ციხეს“** უწოდებენ. იგი აგებულია განმარტოებულ გორაზე, რომელსაც **„ციხის გორას“** ან კიდევ **„მზვარეს“** უწოდებენ. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ციხეს ჩამოუდის ღელეები, რომლებიც ჯერ ერთმანეთს უერთდებიან და მერე ყუმურს ერთვიან. ამ ორივე მხრიდან ციხე პრაქტიკულად მიუვალია. დასავლეთის მხრიდან კონცხი, რომელზედაც ციხე დგას, მთის სხვა ნაწილებიდან ორი ერთმანეთის თითქმის პარალელური თხრილებითაა გამოყოფილი. პირველი თხრილის სიგანე სამ მეტრამდეა, მეორესი ხუთზე მეტი. ყველა ეს საბრძოლო თხრილები რკალისებურად ეკვრის ამ ციხის სერს. დასავლეთით, სერისკენ მიმავალი ციხის პირველი საბრძოლო თხრილის სიგრძეა 45 მეტრი, სიგანე 11. აქვე შეიმჩნევა ხელით ნაშენი ქვიტკირის წყობა, რომელიც თავის დროზე შესაძლებელია მაღალი ყოფილიყო, რაც აქაურობას მტრისათვის მიუვალს ხდიდა. დასავლეთისაკენ, პირველი საბრძოლო თხრილიდან მეორემდე 20-23 მეტრია-სიგრძე 15მ, სიგანე კი 10 მეტრი. მეორედან მესამემდე მანძილი 35 მ-ია – სიგრძე 8 მ, სიგანე კი 9 მეტრი. აქ ზვარესაკენ მიმავალი სერი ვიწროა. მესამედან მეოთხე საბრძოლო თხრილამდე მანძილი 12 მეტრია – სიგრძე 9-10 მ, სიგანე 8 მეტრი. მეოთხედან მეხუთემდე 35 მეტრია – სიგრძე 12 მ, სიგანე 8 მეტი. ამ ადგილზე ზვარესაკენ სერი თანდათან იფართოებს განს და შემაღლებული ადგილი იწყება. ამიტომ საბრძოლო თხრილების გაგრძელებას სტრატეგიული მნიშვნელობა არ ექნებოდა. პირველიდან მეხუთე თხრილამდე მანძილი პლიუს-მინუს 150 მეტრს შეადგენს, რაც საკმარისი იქნებოდა ციხის მეისართათვის საბრძოლველად. ბოლო მონაცემების მიხედვით, დედაციხის ფართობი 600მ2-ის ნაცვლად, სავარაუდოდ 250მ2-ზე (±30) მეტს არ შეადგენს. შედარებით კარგადაა შემორჩენილი ციხის სამხრეთი კედელი, რომლის სიმაღლე საფუძვლიდან 20 მეტრს შეადგენს. კედლის ბოლოში მრგვალი სვეტებია მოთავსებული. სავარაუდოდ ისინი საზარბაზნეს ნაშთებს წარმოადგენენ. ამ ციხიდან შემორჩენილი ერთი ქვემეხი ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იყო დაცული.

როგორც აქამდეა აღიარებული, ციხის სამხრეთის კედელზე არსებული მრგვალი საჭვრეტები, სათოფურებადაა ცნობილი. ეს ცნობა, 2010 წელს, ყუმურის ხეობაში მივლინებით მყოფმა დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის ხელმძღვანელმა, პროფესორმა როლანდ ისაკაძემ უარყო და თქვა, რომ ეს საჭვრეტები განკუთვნილი იყო ორსართულიანი ნაგებობის მშენებლობის დროს, ე.წ. კოჭის ხეების ჩასამაგრებლად, რათა ზედ იატაკი გაეკეთებინათ. დრო-

ჟამის გასვლის შემდეგ, ხის მორები დალპა და კედელში შემოგვრჩა მხოლოდ მზერაგამჭოლი სიცარიელეები. ვფიქრობთ ამით სათოფურების არსებობა უნდა გამოირიცხოს. ზოგადად კედლის სისქე 90-100 სმ-ია. დასავლეთის კედლის კი 1მ. 30სმ. ეს იმიტომ, რომ ამ მხრიდან მტერს ადვილად შეეძლო შემოღწევა.

დედაციხეს შესასვლელი კარები სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში ჰქონია მოთავსებული (სიმაღლე 155 სმ, სიგანე 80 სმ.)კარები და ჩარჩო განადგურებულია და ძირი მოსილულია. მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით, სავარაუდოა, რომ ციხის კარს დიდი ხის დირეთი კეტავდნენ. ნათლად ჩანს ძელის ნამყოფი ადგილიც. კარების მარჯვენა მხარეს კარგადაა შემორჩენილი მეციხოვნეთათვის შუბის გარეთ გასაყოფი ორი მზერაგამჭოლი სიცარიელეც.

როგორც აღვნიშნეთ, დედაციხე რამდენიმე სართულიანი იყო. მის აღმოსავლეთ მხარეს კიდევ ერთი კოშკი მდგარა, რომლის ადგილზე ამჟამად ნანგრევებია. აღმოსავლეთის მხრიდან ციხე შედარებით ადვილი მისადგომია, ამიტომ ამ მხრიდან თხრილია გაჭრილი. თხრილის აღმოსავლეთით კიდევ ერთი კოშკი ყოფილა, რომლის ნანგრევების ნაშთებმა დღემდე მოაღწია. ციხეს შესასვლელი ჩრდილო -დასავლეთის მხრიდან ჰქონდა. გზა კლდის მასივში იყო გაჭრილი და როგორც ადგილზე ნახვით ირკვევა, მოჭრილი კლდის ქვითაა აგებული. ვარაუდი იმისა, რომ ქვა კარგადაა დამუშავებული, ვფიქრობთ სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ქვის არაორდინალური ფორმა ამის დადასტურების საშუალებას არ იძლევა. ანუ ეს არის ტიპიური მოჭრილი ქვა, რომელიც ადგილობრივ მიწა-ნიადაგში მრავლადაა შერეული.

რაც შეეხება დედაციხიდან აღმოსავლეთისაკენ გაჭრილ საბრძოლო თხრილს, რომელიც პირველ კოშკს ყოფს დედაციხისაგან, სიგრძე 20 მ-ია, სიგანე 8 მეტრი. პირველი კოშკის საძირკველი ძლივს შეიმჩნევა. მანძილი მეორე აღმოსავლეთის კოშკამდე 25 მ-ია. მისი საფუძველი კარგადაა შემორჩენილი-სიგრძე-სიგანე 6-6 მეტრია. კოშკიდან 40-50 მეტრის დაშორებით, ჩრდილოეთის მხარეს, დაბლით ფერდობზე გვირაბია ჩანგრეული. გვირაბში შესვლისას, 8 მეტრის გავლის შემდეგ(უნდა იარო წელში მოხრილმა), ორმეტრიანი კედელია აღმართული, რომელზეც ასვლა შესაძლებელია, რადგან ფეხის ნატერფალებია ამოჭრილი. ამას მოსდევს სამმეტრიანი გვირაბი, რომელიც ჩამონგრევით მთავრდება. სავარაუდოა, რომ ეს გვირაბი უფრო გრძელი უნდა ყოფილიყო, როცა ციხე მოქმედი იყო. არსებობს ვარაუდები, რომ დედაციხესა და მეორე კოშკს ექნებოდა საიდუმლო გვირაბიც, რის შესახებაც უფრო ნათელ წარმოდგენას არქეოლოგიური გათხრები მოგვცემს(თუ ოდესმე ჩატარდება).

ყუმურის ციხესთან კიდევ ერთი საინტერესო ადგილი არის. დედაციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვემოთ, ციხის ღელეში ერთ ადგილს ეძახიან ***„სოლომონ მეფის ტანსაბანიას“***. ამ „ტანსაბანიას“, ოცმეტრიანი ღელის ჩქერი ეცემა სიმაღლიდან. წყალუხვი არ გახლავთ, რომ ბუნებრივად გაეკეთებინა საბანაო კალაპოტი. ეტყობა, რომ ხელოვნურადაა გაფართოებული. და რაკი ადამიანის ხელი ეტყობა აქაურობას და ციხიდან არც ისე დიდ მანძილზე მდებარეობს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია აქ არსებობდა საიდუმლო გვირაბის გამოსასვლელი, რომლის კარის ფუნქციასაც წყალი – „ხელოვნური ტანსაბანია“ ასრულებდა.

ციხის აგების თარიღი ჯერჯერობით დაუდგენელია. ამ მიზნით კარგი იქნებოდა არქეოლოგიური და კერძოდ, პალეომაგნიტური გამოკვლევების განხორციელება. ყოველ შემთხვევაში შუაფეოდალური ხანის დასაწყისიდან (შესაძლო უფრო ადრეც) ეს ციხე მოქმედი უნდა ყოფილიყო. წერილობით წყაროებში პირველად ციხე 1737 წლის დასავლეთ საქართველოს რუკაზე გვხვდება **„პაიჭაძის ციხის“** სახელწოდებით. ამ სახელითვე აქვს მოხსენიებული გიულდენდშტედსაც. იმერეთის 1810 წლის აჯანყების დროს ეს იყო უკანასკნელი ციხე-სიმაგრე, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ აიღო და საფუძვლიანადაც დაანგრია.

საინტერესოდ მიგვაჩნია ერთი ფაქტიც. არქეოლოგებთან თანამშრომლობით ვგებულობთ, რომ თუ ისტორიული ძეგლის კვლევისას არ გაგვაჩნია ისტორიული წყაროები, უნდა დავეყრდნოთ ზეპირსიტყვიერებას, რისთვისაც ხალხის ნათქვამს უნდა დავესესხოთ. სოფელ

ყუმურში ყოველ ხანში შესულ ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვისას, თითოეული მათგანი თამარ მეფეზე მიუთითებს და ციხესაც **„თამარის ციხედ“** მოიხსენიებს.

ერთი სიტყვით **„ყუმურის ციხე“** დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ხეობაში იყო აგებული და სამხრეთ საქართველოდან გადმოსასვლელ ერთ-ერთ სამხედრო გზას კეტავდა, რომელიც ოძრხეს ციხიდან (აბასთუმნის დღევანდელი თამარის ციხე) მოემართებოდა და მეფის წყაროს მწვერვალის გამოვლით სოფელ შუამთაში მთავრდებოდა .

სოფელ ყუმურის ამავე უბანში, ე. წ. **„საყდრის გორის თავზე“**, დგას **„წმინდა გიორგის ქვის ეკლესია“**, რომლის მთავარ – წმინდა გიორგის დღესასწაულზე, რომელიც ყოველი წლის 6 მაისს იმართებოდა, მთელი სოფლის მოსახლეობა იყრიდა თავს. ის დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო. მოპირკეთებული იყო თლილი ქვით. მოგვიანებით ის შეულესიათ კიდეც. სავარაუდოდ მისი აგების თარიღი განვითარებულ ფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნოს. ამჟამად ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. ის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (გასული საუკუნის 20-იანი წლები) დაუნგრევიათ სოფლის ათეისტ კომკავშირლებსა და კომუნისტებს.

გარდა ამისა, ყუმურის თემის კიდევ ორ უბანში – ვერხვანში და დუცხუნში, ორი ხის ეკლესია ყოფილა აგებული შესაბამისად 1810 და 1817 წლებში. ამჟამად ისინი ორივე დანგრეულია. ერთ-ერთი მათგანი – **დუცხუნის ეკლესია** ათეისტებმა დაარღვიეს და სოფ. ყუმურის ცენტრში კლუბად გადააკეთეს. ეს ფაქტი ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია.

ყუმურის ციხის დასავლეთით, 500 მეტრის დაშორებით არის ადგილი **„ნადარბაზევი“**. სახელწოდება ძალზედ საინტერესოა, მით უფრო, რომ მიწის დამუშავების დროს აქ გათლილ და მოჩუქურთმებულ ქვებს დღესაც პოულობენ. შესაძლოა, სწორედ ამ ადგილზე იყო აგებული ყუმურის (სოფელას, ხემურის, საპაიჭაოს) ხევის მფლობელთა (ხევისთავთა, ფეოდალთა) სასახლე.

სოფელ დიხაშხოს ტერიტორიაზე არსებულმა **„ციხე-დარბაზმა“** დღემდე ნანგრევების სახით მოაღწია. იგი დგას განაპირა ჩრდილოეთის სერზე, რომელიც რიონს გადაჰყურებს. ჩვენამდე მოაღწია ოთხკუთხა კოშკმა, რომლის ზომები, 5,5X2მ-ია. ნაგებია ფლეთილი ქვით. წყობა საკმაოდ სწორია. ერთ კედელში ერთი სათოფურია შემორჩენილი, რაც ციხეს XVI-XVII საუკუნეების მიჯნიდან ათარიღებს.

მდინარე ძულუხურას ზემო წელში, მდინარეების ძულუხურასა და თაკარეულის შესაყარიდან ასიოდე მეტრის დაცილებით, სამხრეთით გორაკზე შემორჩენილია ციხის ნაგებობები, რომელსაც **„მელოურის ციხეს“** უწოდებენ. იგი სამი მხრიდან ძალზედ ძნელი მისადგომია, შედარებით ადვილი მისადგომი აქვს აღოსავლეთის მხრიდან. ციხის კედლებიდან ყველაზე კარგად ჩრდილოეთის 4 მ-იანი კედელია შემორჩენილი. აქ კედელში, ერთმანეთისგან დაახლოებით ორი მეტრის დაშორებით, მთელ სიგრძეზე დატანილია მარტივი სათოფურები. ციხე ნაგებია კარგად დამუშავებული ქვის დიდი ფილებით, რაც ამ ნაგებობას ადრეფეოდალური ხანით ათარიღებს. ამჟამად ადგილი ეკალ-ბარდებითაა დაფარული და ფაქტიურად იქ მისვლა, მოუვლელობის გამო შეუძლებელია.

„ქართული არქიტექტურის ძეგლები და მათი მხატვრული ღირსებები, მათი მდებარეობა და ორგანული შერწყმა გარემო ბუნებასთან, მათი სიძველე, ამ „სიძველეთა სურნელება“, არ შეიძლება არ იზიდავდეს ყოველ ადამიანს, ვისაც კი სილამაზე უყვარს, ვისაც უყვარს და აღელვებს თავისი ქვეყნისა და ერის წარსული და გული შესტკივა მისი მომავლისათვის“ – წერდა თავის დროზე ვუკოლ ბერიძე... ისღა დაგვრჩენია დავეთანხმოთ თითოეული ქართველის სათქმელს, დიდი მოღვაწის მიერ დიდებულად დაწერილს და ვისურვოთ, რომ ყოველ მოჩუქურთმებულ ქვას თავისი ადგილი ეპოვოს წარსულის გაცოცხლებულ კედლებში.

ქვემოთ გთავაზობთ კულტურის ძეგლების ნუსხას, რაც ვფიქრობთ საინტერესო აღმოჩენა იქნება ჩვენი მკითხველისათვის:

ვანში ეგზარქოსობის დროს აგებული და განახლებული ეკლესიების ნუსხა

№	ეკლესიის სახელწოდება	კურთხევის წელი	რითაა აგებული
1.	ვანის ბაგინეთის მთავარანგელოზის	1835 წელს ეკურთხა	ხით
2.	ბზვანის ღვთისმშობლის მიძინების	1809 წ.	ქვით
3.	გადიდის წმ. გიორგის	1854 წ.	ხით
4.	დიხაშხოს წმ. სამების	1870 წ.	ქვით
5.	დუცხუნის ღმრთისმშობლის	1868 წ.	ხით
6.	ვანის მაცხოვრის ამაღლების	1886 წ.	ხით
7.	ვანის მთავარანგელოზთა	1886 წ.	ხით
8.	ვანის წმ. გიორგის	1830 წ.	ხით
9.	ზენობნის წმ. სამების	1883 წ.	ხით
10.	იმერუხუთის წმ. კვირიკეს და ივლიტეს	1850 წ.	ხით
11.	ინაშაურის ღმრთისმშობლის შობის	1872 წ.	ქვით
12.	ისრითის წმ. გიორგის	1894 წ.	ქვით
13.	კუშუბაურის მაცხოვრის ჯვარცმის	1860 წ.	ქვით
14.	ონჯოხეთის მაცხოვრის ფერისცვალების	1860 წ.	ხით
15.	რომანეთის წმ. გიორგის	1853 წ.	ხით
16.	საბეკის ღმრთისმშობლის მიძინების	1890 წ.	ხით
17.	სალომინაოს ღმრთისმშობლის შობის	1848 წ.	ხით
18.	სალომინაოს ღმრთისმშობლის შობის	1884 წ.	ქვით
19.	სალომინაოს წმ. გიორგის	1863 წ.	ხით
20.	სალომინაოს წმ. გიორგის	1898 წ.	ხით
21.	სალომინაოს წმ. გიორგის (ჯიხეთის)	1900 წ.	ხით
22.	სალხინოს სულიწმინდის მოფენის	1862 წ.	ხით
23.	სალხინოს სულიწმინდის მოფენის	1891 წ.	ხით
24.	სულორის (დვალიშვილების) წმ. გიორგის	1862 წ.	ქვით
25.	ტობანიერის (ეწერტობანიერის) წმ. სამება	1855 წ.	ქვით
26.	ტობანიერის წმ. გიორგის	1891 წ.	ხით
27.	ტყელვანის წმ. სტეფანეს	1851 წ.	ხით
28.	უხუთის ღმრთისმშობლის შობის	1840 წ.	ხით
29.	უხუთის ღმრთისმშობლის შობის	1884 წ.	ქვით
30.	უხუთის წმ. გიორგის	1856 წ.	ხით
31.	უხუთის წმ. გიორგის	1880 წ.	ხით
32.	ქედის წმ. გიორგის	1834 წ.	ქვით
33.	ყუმურის (საპაიჭაოს) წმ. გიორგის	1848 წ.	ქვით
34.	ციხისუბნის ღმრთისმშობლის	1815 წ.	ხით
35.	ძულუხის წმ. გიორგის	1852 წ.	ხით
36.	ძულუხის წმ. გიორგის	1886 წ.	ხით
37.	ჭყვიშის მაცხოვრის ჯვარცმის	1872 წ.	ხით
38.	ჭყვიშის მთავარანგელოზთა	1875 წ.	ხით
39.	ჭყვიშის ღმრთისმშობლის შობის	1815 წ.	ხით
40.	ჭყვიშის ცხოველსმყოფელის ჯვრის	1817 წ.	ხით
41.	ჭყვიშის წმ. გიორგის	1824 წ.	ხით
42.	ჭყვიშის წმ. გიორგის	1877 წ.	ხით
43.	ჭყვიშის წმ. გიორგის	1903 წ.	ხით

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურამ ყიფიანი. „ლაბაჯაურის წმინდა გიორგი“. „მატიანე“ №4
2. თეიმურაზ ადეიშვილი. „სოფელ ყუმურის ისტორიული მიმოხილვა“. „მატიანე“ №1
3. მერაბ კეზევაძე. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“
4. მერაბ კვაჩიძე. „სოფელი ამაღლება“

ბადრი ბუხაიძე

ბიბლიის შემქმნელი ეთნოსი
ქართულ-შუმერული ენები

ინგლისელი არქეოლოგების ჯ. სმიტისა და ო. ჰენრის მიერ აღმოჩენილმა (XIX ს ქ. ნინევიაში (ასურეთი) თიხის ფირფიტებმა, რომელშიც გადმოცემულია სამყაროს შექმნა და წარღვნა, დაადასტურა ის, რომ ძვ. ბაბილონურ ენაზე დაწერილი „ძველი აღთქმის ქალდეური წიგნი“ 1000 წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ძვ.ებრაული ძვ. აღთქმის ტექსტები. ამ წიგნის შემქმნელები, როგორც ირკვევა – ჯ. სმიტის ნაშრომით „აქადური ძვ. აღთქმის წიგნი“-დან ქალდეველები ყოფილან, ქართული ეთნოსის უძველესი წამომადგენლები. ცალსახად შუმერულია გილგამეშის მითი და აქედანაა მისი ანალოგები გავრცობილი მეზობელ ხალხებში. გილგამეში, ურჩხულს ებრძვის – ძვ. კოლხური თეთრი გიორგი და გილგამეში პროტოტიპებია. ბიბლიური, ძვ. აღქმა-შესაქმე, წარღვნა და სხვა – შუმერული წარმოშობისაა. „ცხადია, შუმერებს არ შეეძლოთ უშუალო ზეგავლენა მოეხდინათ ძვ.ებრაულ ლიტერატურაზე, ვინაიდან ებრაელთა გაჩენამდე დიდი ხნით ადრე გადაშენდნენ. მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ შუმერებმა ბევრი რამ გადასცეს ქანაანელებს – ებრაელთა უშუალო წინამორბედებს... და მათ მეზობლებს – ასირიელებს, ბაბილონელებს, ხეთებს, ხურიტებს და არამეელებს“ (ს.კრამერი. **ი.ი.შ.** გვ.179) ბიბლია რომ ებრაელების შექმნილი არაა, ამას ერთი საუკუნის უკან საქართველოს კათალიკოს პატრიარქი 1917-18 წ.წ., უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II აღნიშნავდა: „...გათხრების შემდეგ დამტკიცდა, რომ ქრისტეს შობამდე 7-8 ათასი წლის წინ, მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ ხალდები (ქალდები), მათ პირველებმა მსოფლიოში შექმნეს თავისი მაღალი ეროვნული კულტურა, რომელიც შემდგომში გახდა წყარო და მაგალითი მომდევნო ხალხების კულტურისა.... 2000 წელზე მეტხანს ებრაელები ამყოფებდნენ რელიგიურ-ისტორიულ დაკნინებაში თითქმის მთელ მსოფლიოს. მათ მოახერხეს თავს მოეხვიათ კაცობრიობისათვის, უჩუმრად, სხვა ხალხებისაგან მისაკუთრებული და თავიანთ ყაიდაზე ასხმული რელიგიური რწმენები.“ „ძვ.წ.IX ს. ბიბლია ითარგმნა ფინიკურ ენაზე, ხოლო ძვ.წ. V ს. ეზრამ კვლავ თარგმნა იგი ხალდეურიდან. ხალდეას-ური შუმერში იყო. ხომ არ არის ბიბლიის თავდაპირველი ტექსტი შუმერების შექმნილი? სხვათა შორის, მითი წარღვნის შესახებ პირველად შუმერებმა დააფიქსირეს“ (თ. მიბჩუანი). აი რა წერია შუმერულ თქმულება „გილგამეშიანში“ წარღვნის შესახებ: „ჟამიდან ჟამზე კაცთა მოდგმა ერთობ მომძლავრდება, წელსაც მოიდგამს, გონებასაც ძალუმად აამუშავებს და ღვთაებებს ლამის გაუურჩდეს კიდეც. ამგვარი ვითარება უკვდავთა გულისწყრომას იწვევს და სასჯელიც არ დააყოვნებს....“ ზემოთ აღვნიშნე, რომ შუმერები სამყაროს შექმნას უკავშირებდნენ ადამიანის სახის მქონე ღმერთს „ანი“-ს (ცა) და ქალღმერთ „ქიმ“-ს (მიწა). მათი წარმოდგენით კოსმოსი ეს არის ცისა და მიწის მოწესრიგებული კავშირი – დურ ან ქი – ცისა და მიწის კავშირი. შუმერული პირველი ადამის სახელიც ამ სიტყვიდანაა წარმომდგარი – ენქიდუ (ა-(ე)ნქი-დუ). შევადაროთ ადამიანის სახის მქონე ღმერთი ბიბლიური დაბადების 27-ე თავს; „შექმნა ღმერთმა (ანი) კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად (ანი-ძე) და დედაკაცად (ქი-დედა ღვთისმშობელი) შექმნა ისინი“. შუმერები მფარველი ელვარების-ნათების გამომხატველად აღიქვამდნენ სამებას, რასაც ადასტურებს „გერგეტას“ (საქართველოში არაერთი გერგეტაა) ლექსი: „დიდია წმინდა სამება, ცისკიდურამდე ელავსო, თავისა ყრმის (ძე ღმერთი?!) გამჯავრებელსა ნაბადივითა სთელავსო“ (ზ. კიკნაძე. **შ.მ.** გვ.91). აქადის მეფის (აქ-ადი, საქართველოში ზე-კარი) სარგონის დაბადების მითში ნათქვამია, „მუცლადმიღო დედამ ღვთისმხევალმა“. შევადაროთ „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ! მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა! კურთხეული ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.“ ზანურ-მეგრულ დიალექტზე „ქვეყანა“ არის „ქიანა“ ანუ შუმერული „ანქი“ „ქიანა“-ს ანაგრამაა. აქვე უნდა შევეხო ე.წ. უსინათლოს ლოცვას, მეორე სახელით ეხნატონის ლოცვა. ეხნატონი ეგვიპტის ფარაონი, იგივე ამენხოტეპ IV, რომელიც მეფობდა ძვ.წ. XV ს. ბოლოს.

ეს ლოცვა გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე ქრისტიანული სახარებისეული ლოცვა „მამაო ჩვენო“. შევადაროთ ეხნატონის ლოცვა ქრისტიანულ მამაო ჩვენოს – მათეს სახარება თ.6-9,13 და თავად განსაჯეთ. „მამაო ჩვენო, უხილავო, მაგრამ არსო ყოველთა, წმინდა იყოს სახელი შენი ჩვენთვის, დაე მოვიდეს კანონი შენი ნათლის მომფენი ვარსკვლავთა სამყაროში და ჩვენს ყოფაში დაე, დღეს დაგვაპურე პურით და მოგვიტევე მომაკვდინებელი ცოდვები (ვალები), როგორც ჩვენ მივუტევებთ ზეცის წინაშე ვალებს (ცოდვებს). ცდუნებისა და ბოროტებისაგან დაგვიცავი ჩვენ“. ეხნატონი ის ფარაონია, რომელმაც ეგვიპტეში მრავალღმერთიანობა გააუქმა და ფაქტიურად – მზის ღმერთის, ატონის – ერთღმერთიანობა დაამკვიდრა.

ბოლოდროინდელი მეცნიერული ჰიპოთეზით დადგენილია, რომ მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციები სათავეს წინააზიიდან იღებენ და მისი მკვიდრი მოსახლეობის ძირითად ბირთვს კავკას-ქალდეური ტომები წარმოადგენენ. საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ქართველები წინა აზიის მკვიდრი მოსახლეობაა. მეცნიერები ფრ. ჰომლი, გ. ტურაევი, კიპერტი, ლენორმანი და სხვა. ამტკიცებენ შუმერულ-ქართულ იდენტობას. ამ ხალხის, კავკას-ქალდეური (ხალდების, ხეთების, თუბალების და სხვა) ტომების შექმნილია საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები. საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტია, რომ ენათა კლასიფიკაციაში ქართული ენა არცერთ ენათა კლასს არ განეკუთვნება, იგი თვითნაბადი ენაა. ენათმეცნიერ ჟ.ა.გატეირიას განმარტებით „ეკუთვნის სპეციალურ ოჯახს, რომელსაც ქართულ ოჯახს ვუწოდებთ.“ ასევეა ქალდველთა და შუმერთა ენებიც, ამ ენების ნათესაური კავშირი მსოფლიოს არცერთ ენასთან არ გამოვლინდა, ურთიერთმსგავსება – ნათესაური კავშირი და ერთი ძირიდან წარმომავლობა მხოლოდ ურთიერთ შედარებისას გამოჩნდა ცხადად. ეს ენები – ქართული ძვ. იბერიულ-კოლხური და ქალდეურ-შუმერული ენები მსგავსი ენებია, ერთი წარმომავლობა აქვთ, ერთმანეთთან გენეტიკურად არიან კავშირში. ქალდეური ენა ხეთურ-იბერიული ენების, უპირველესად ქართული, ენის აგებულებისაა. ეს კავშირი დადგენილია ცნობილი მეცნიერების: მ. წერეთლის, ნ. მარის, კრამარჟის, ლენორმანის, მასპეროს, სეისის, კარსტის, ჰომლის, ბოჩკის და სხვათა მიერ. არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ შუმერულ-ქალდეური ენა ქურუმთა კასტის საიდუმლო ენა იყო, რომელ ენაზეც ასევე იწერებოდა კრიპტოგრაფიული ტექსტები. ქალდეაში შუმერებს წინ უსწრებდა დიდი კულტურის მქონე სხვა ხალხი, რიგ მეცნიერთა აზრით, შუამდინარული ტოპონიმიკა თითქმის არაშუმერული წარმომავლობისაა. იგი ძალიან ახლოს დგას ქართულთან, მაგ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით და არსებული წყაროების მიხედვით, უძველესი სახელწოდება ძვ. შუმერისა იყო „ენგური“. ზემოთ აღვნიშნე, რომ ძვ. შუმერული ეპოსის თანახმად არის ცა-„ანი“ და მიწა-„ქი“. შუმერულად „ანქი“-ცა და მიწა, ძვ. კოლხურად (ზანურ, ლაზური) ქვეყანა არის „ანქი“-ს ანაგრამა-„ქვიანა“, შუმერულად „ცის კაცი“ არის „ან მარე“, სვანურად „ცის მარე“. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შუმერები, ქალდეველების უშუალო წინამორბედები, შუამდინარეთში, ჩრდილოეთიდან მოვიდნენ. ბიბლიურად და ისტორიული განსაზღვრებით ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი-კავკასიაა. მსოფლიო მეცნიერებმა შუმერების წარმოშობის კვალს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დღემდე ვერ მიაგნეს და ეს ხალხი გადაშენებულად გამოაცხადეს. შუმერები შუამდინარეთში ჩრდილოეთიდან მოვიდნენ და ანბანიც მზა სახით ჩაიტანეს. ბოლო დროის მონაცემებით ირკვევა, რომ შუმერული ფუძე ენა და მისი წინარე ენა-დამწერლობა დღემდე არსებობს, რასაც ამტკიცებს სამყაროს შესაქმის ქართული ასომთავრული ანბანი. ქართული და შუმერული ანბანის ასო-ნიშნების სახელწოდება და რიგი ასო-ნიშნები გრაფიკულად იდენტურია. ამის შესახებ 1996 წ. ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევების შემდეგ, არგუმენტირებული დასკვნა გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა, მსოფლიო ანბანური კვლევის ცენტრმა „შუმერმა“.

„ჩვენს მოსაზრებას, რომ პროტოშუმერული-ქართული ენა არის დასაბამისეული ფუძე ენა, ადასტურებს ენათმეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებები ქართული ენის შესახებ. ქართული ენა მეცნიერებმა იმ პირველ ენად შერაცხეს, რომელიც ყველა ენათა შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს. ქართული ენა პირველად და დასაბამისეულ ენად აქვს აღიარებული ნიკო მარს.

მისი თვალსაზრისით პროტოქართული ენა არის „ერთიანი გლოტოგოლური ფენომენი, საერთო საფუძველი ყველა ენებისა, რომელნიც წარმოიშვნენ მისგან დიფერენციაციის პროცესში. ამ საკითხზე ასევე საუბრობს ცნობილი მეცნიერი ა. ლოსევი. ქართული და სხვა ქართული დიალექტების მსოფლიო როლზე... ქართული ენის „კულტურულ შუბლზე“ ნ. მარმა ამოიკითხა მსოფლიო ენათა ერთიანი განვითარების კანონები. ნ. მარს ქართული ენის მიმართ შემდეგი განუცხადებია: „დღეს იქნება თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად კაცობრიობის ვერც ერთი კულტურული სიძველის საკითხი ვერ გადაიჭრება.“ დღესდღეობით მტკიცდება, რომ ფუძე — ქართულ ენას დიდი გავლენა მოუხდენია ინდოევროპულ ენებზე. ინდოევროპელთა წინარე სამშობლოს წარმოადგენდა შუამდინარეთი, საიდანაც ისინი გავრცელდნენ ევრაზიის უვრცელეს ტერიტორიაზე. გამყრელიძე და ივანოვი ასაბუთებენ, რომ ფუძე ქართველურ ენას და მაშასადამე უძველეს ქართველურ ეთნოსს, ზეგავლენა მოუხდენია ფუძე ინდოევროპულ წინარე ენაზე. კიდევ უფრო ადრე გამოთქმული იყო თვალსაზრისი, რომ ფუძე ქართველურ და ფუძე სემიტურ წინარე ენებს ჰქონიათ გარკვეული კონტაქტები. მაშასადამე, ჯერ კიდევ მესოპოტამიასა და წინა აზიაში მცხოვრებ სემიტებს და ინდოევროპელებს, საიდანაც გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე, ურთიერთობა ჰქონიათ წინარე ქართველურ ეთნოსთან...“ (ნ.ბარამიძე. ლ.ს.ა.ჟ. გვ.60-62).

დღეისათვის დასაბამისეული ფუძე ქართული ენიდან სამივე დიალექტი – სვანური, ზანური, იბერიული – სახეზეა. სვანური დიალექტი ფუძე ქართული ენის გადარჩენილი ნაწილია, იმ იბერიულ-კოლხური ენისა, როცა „ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი... რადგან სწორედ აქ აღიარა უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე“ (დაბ.11-1,9).

შუმერულის იბერიულ-კოლხურთან, (ქართულთან) გენეტიკური ნათესაობის საკითხის შესწავლა შესამჩნევად წინ წავიდა, თუმცა გასარკვევი და გადასაჭრელი ჯერ კიდევ ბევრია. ჯერჯერობით ამ მიმართულებით მეცნიერებში საკმაო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. შუმერულში, ქართული ენის-სვანური დიალექტის სიტყვები მრავლადაა და ერთმანეთის იდენტურია, რაც ამ ენების ერთ ფუძეზე, ერთ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ამ საკითხზე საინტერესო კვლევა გააჩნია, წარმოშობით უკრაინელს, გერმანელ მეცნიერს ვიქტორ რებრიკს, რომლის საგაზეთო სტატია გაზეთ „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა /1999წ. 20-27 აგვისტო/. გავეცნოთ ამონარიდს ამ სტატიიდან: „...ჰ. ფენრიხის შუმერულ-ქართველური სია, სადაც მან წარმოადგინა 94 შერჩეული პარალელი, ერთის მხრივ შუმერულსა და მეორეს მხრივ, ოთხ ქართველურ ენას შორის (ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური); სიაში ჩართული იყო არა მხოლოდ სიტყვათა მარაგი, არამედ ზოგიერთი გრამატიკული ფორმატიც. ჰ.ფენრიხი ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქმე ეხება ადრეულ ნასესხებ ურთიერთობებს ერთი ქართველური სუპერსტრატის სახით შუმერულ ენაში (შეადარეთ: კრისტიანის ზემო მოყვანილი თეორია, რომლის თანახმადაც „კავკასიური (ენა) მნიშვნელოვნად და შეურევლად გავრცელდა ევფრატისა და ტიგროსის დაბლობში და უპირატესობა მოიპოვა ადგილობრივ ენაზე (“აჯობა მას“).

შუმერულ ქართველურ შედარებებს უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს. ერთ-ერთი პირველი იყო ს. კრამერი, რომელიც შუმერულს აკუთვნებდა სამხრეთ-დასავლურ კავკასიური ენების ჯგუფს. ის არა მარტო ცალკეული სიტყვების შედარებებს აკეთებს, არამედ ახდენს ამ ენების გრამატიკათა ნორმების შედარებასაც. პარალელების სია შუმერულ და ქართველურ ენებს შორის; მან მიაგნო აგრეთვე ბევრ მორფოლოგიურ პარალელს. ის ვარაუდობდა ნათესაობას შუმერული და ქართველური ენების ნაცვალსახელების, კავშირების, ნაწილაკების და ა.შ.

შუმერულისა და კავკასიური ენების კავშირ-ურთიერთობებს ახლოს შეეხო აგრეთვე ბორკი პოებლის წიგნის „შუმერული ენის გრამატიკის საფუძვლები“ დაწვრილებითი განხილვისას. ის ფიქრობდა, რომ შუმერული წინადადებების წყობა ემთხვევა კავკასიურს... ისიც ასკვნის, რომ შუმერული და კავკასიური ენები მონათესავე ენებია...

ვ.კრისტიანი შუმერულის ურთიერთობას კავკასიურ ენებთან დაწვრილებით განიხილავს

თავის ნაშრომში. წინამორბედების იდეების მიმოხილვის შემდეგ მას თვითონ მოჰყავს არგუმენტები შუმერულსა და კავკასიურ ენებს შორის ნათესაური კავშირის შესახებ (გვ.75-80)...

ლუდვიგ ვ. აიჰბერგი კავკასიურ ენებში ხედავდა გარკვეული სახის შუამავალს შუმერული კულტურის ენობრივი მასალის ინდოგერმანული ენებისათვის გადაცემის საქმეში.

...საჭიროდ მივიჩნიე ორივე სიის (წერეთელის და ფენრიხის) შემოწმება და ხელმეორედ კორექტირება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ...წინარე ქართველური ენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-19 ს-ში დაიყო ქართულ-ზანურად და პროტოსვანურად; მაშასადამე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში ის არსებობდა, როგორც ენა და იყო შუმერულის თანამედროვე...
2. ...უმრავლესობა მეცნიერებისა ახლა იმ აზრისაა, რომ... გენეტიკური ნათესაობა კავკასიური ენების სამ შტოს შორის... თითქმის არ არსებობს... დამთხვევები ამ ენების ოჯახებს შორის ძალიან ცოტაა.
3. ბოლოს ჩვენ მივიღეთ სია 74 შესატყვისისა, შუმერულსა და წინარე ქართველურ ენებს შორის, რომელიც შეიცავს არა მარტო ლექსიკურ, არამედ აგრეთვე გრამატიკულ შესატყვისებსაც. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო მეტი შესატყვისის პოვნა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა რაოდენობა, არამედ სიზუსტე...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზა ქართველო-შუმერული წინარე ნათესაობის შესახებ, ზემოთ მოყვანილი მტკიცებების საფუძველზე გარკვეულ დასაბუთებას ჰპოვებს... ქართველურ ენებში... უფრო მეტი საერთოა შუმერულთან, ვიდრე მეზობელ კავკასიურ ენებთან. ასევე ვერ უარვყოფთ მათ შორის (იგულისხმება ქართველური და შუმერული) გრამატიკულ მსგავსებასაც. ...ქართველო-შუმერების წინარე სამშობლო ალბათ ლოკალიზირდება მცირე აზიის სამხრეთში. წინარე ენის არსებობის დრო მე-7-6 ათასწლეულები ჩვენს წელთაღრიცხვამდე.“

რუბრიკისაგან განსხვავებით შუმერულ-ქართველური ენის სიტყვათა გაცილებით დიდი რაოდენობაა შესწავლილი და გადმოცემული პროფესორი თ. მიბჩუანისა და ზ. ქაფიანიძის ნაშრომში: „შუმერი, კაცობრიობის პირველი ანბანი... გვ.440-442. გავეცნოთ ამ სიტყვათა არასრულ სიას დასახელებული ნაშრომიდან.

შუმერული/შუამდინარული	**ქართული/სვანური**
მარ /მარუმ/ კაცი/	მარე /კაცი/
გურუშ/მდაბიო/	ლუ-გურუშ-ე /მოდღურული მდაბიო/
ლუგულ /მმართველი/	ლუგავ /ღონიერი, მძლეთამძლე/
შარ /მეფე/	შარ /მობეზრება, მომაბეზრებელი/
თუ /შობა/	ლი-თუ-ე /დაბადება/
მელამ /ბრწყინვალება, ელვარება/	მელამ /ცეცხლის გამონაშუქი, ელვა/
გუბ /დგომა ერთ ადგილას/	გვიბ /გუბე, ერთ ადგილას მდგარი წყალი/
აშგაბ /დაბაღი/	აშგაბ /დაბაღი, ტყავზე ბალანის გაძრობა/
	ბაპუ /მღვდელი, მოძღვარი/
ადაპუ /ბრძენი/	ეზერ /კარგი, საუკეთესო/
ეზენ /დღესასწაული/	ლა-გუზა /რისამე დაუფლება, მოზიდვა/
გუზა /ტახტი/	
თი /ცხოვრება/	ლი-თი /ლი თუე/მკა, დაბადება/
ქალ-ან, ქალ-ლა /საუცხოო/	ლქალ /ფასდაუდებელი/
ხარ /ხარი/	ხარ /ხარი/ ჴაან

ქუშ /ამოხვნეშა, ქოშინი/	ლი-ქუშ-იელ /ამოხვნეშა, ქოშინი/
ბარ /დაბლობი, უდაბნო/	ბარ /დაბლობი, ვაკე/
ნუ /უარყოფა, არა/	ნუ /არა/
ფეშ /ამოსუნთქვა/	ფაშ /დაღლილი სუნთქვა/
ირინი /ბრწყინვალება/	ირჰი /თენდება, სინათლე, ბრწყინვალება/
მიუშარ /ღვთაება/	მუშარა /კვირადღეების ციკლი რელიგ. კულტ. ამსახ./
მურიმ /ჭის მსახ.ღმერთი/	მორელ /ჭა/
სუბ-შუბ /დაცემა/	სუბი /ცეკვა დაცემითი ილეთებით/
იერე /ვიღაცა/ მონა	იერე /ვიღაცა/
ლაგალ /ღვთის მსახური/	ლაქალ /სანაქებო/
შუ /ხელი/	შუ /ხელი/
სატუ /შიშველი/	სატიაი /შიშველი/
დი /დიდი დედა/	დი /დედა/
დადუ /სიყვარული/	დადილ /საყვარელი/
ბაუ /მიწადმოქმედი/	ბაუ /მიწიერი/
ქი /გი/ დედამიწა/	გიმ /დედამიწა/ მიწა
გალი /ქალი/	ქალი /ქართულია/
ნანა და გალ /ქალ-ღმერთები/	ნანა-გალ /დედულეთი/
ქალდეკ /მხარე შუამდინარეთში/	ხალდე /სოფ. სვანეთში/
ლახამუ /ღვთაება/	ლახამულ /სოფ.სვანეთში/
ნამტარ /განსჯა/	სვან. „ნალთალ“ აგრეთ. განსჯას ნიშნავს
ექური /“სახლი მთა“/	სვან. „ქორ“-ი სახლი
აგა, აგგა, გე. /კეთება, შენება/	აგე /აშენებს/
აშ /ერთი/	ეშ /ხუ/ ერთი
ბაზბარ /მზე, თეთრი, ბრწყინვალება, სინათლე/	ბასაბარ /ცეცხლის გამოელვება/
გალ /ცხოვრება, ყოფნა/	ლი-გალ-ი /აშენებს ცხოვრობს/
გამ /შექმნა/	ლე-გამ /შესაქმნელი, ასაგები/
გან /სრული ბევრი/	გუნ /სრული, ძლიერ ბევრი/
გიზ /ავადმყოფი, ბნელი/	გიბ /ღრძობა/
ინიმ /ენა/	ნინ /ენა/
დემშუ /ცა/	დეცშუ /ცით/
გუნ /სრული, კრებული, სიმძიმე/	გუნ /სრული, ძლიერ ბევრი/
სულ /სიხარული, მხიარულება, ხალისი/	ხულ /ყლუპი/ღვინო?/
ხულ /ბოროტება, მოსპობა,სიგლახე/	ხოლა /ბოროტი, ცუდი/
კა /პირი/	კა /ფიქალი ქვა, თხელი ფიქალი/
კეშლა /შეკვრა, შებოჭვა/	კეშ, კეშილდა /ტყაპუჭი/
კილ /გოგო/	კილ /კივილი/
რელ /გოგო/	ლფ-კელ /ქალბატონი/
ტილ /ტირილი/	ლა-ტილ /დაძახება, დაყვირება/
ურ /სქესობრივი ძალა, კაცობა/	ლი-ურ-ელ/კუროს აღგზნება, ძროხის დამაკება/
გინ /ფეხი/	ლი გინე /ლი-გინ-ე/ დგომა/ ფეხზე.

საინტერესოა სვანური სიტყვა „ანტყვასგ“ და სხვა.

(ვარსკვლავი). ამ სიტყვაში „ან“ შუმერულია და ცას აღნიშნავს. ამგვარად „ანტყვარგ“ ნიშნავს „ცის ნაპერწკალი“. ასეთ ფონეტიკურ და შინაარსობრივ იდენტურობას ამჟღავნებს დანარჩენი შუმერულ-სვანური სიტყვებიც“.

სიტყვების იდენტურობა შეიმჩნევა სხვა ქართულ დიალექტებთანაც. მაგ. ზანურად (დღ. მეგრულში) „თუთაშხა“ არის „მთვარე“, შხა“ ხეთურად არის „ღმერთი,“ „თუთაშხა“ კი „მთვარის ღმერთს“ აღნიშნავს. „თუთა“ ძვ. ეგვიპტურად „თოთ“, „მთვარის ღვთაებაა.“ სვანურად „მუშვანი“ არის „სვანი“, ხოლო შუმერები ამ სიტყვით აღნიშნავდნენ „ხალხს,“ „ადამიანს“.

სვანურში დღემდეა შემორჩენილი, სვანურ-შუმერული საერთო რელიგიური კულტები და ერთნაირი საგალობლები და ა.შ. **„ლილე“** შუმერულ ღვთაებათა პანთეონში **„ენ-ლილი“** არის უფალი ჰაერისა და სივრცის, სვანურში ლილე უზენაესი ღვთაებაა და უძველესი ჰიმნია. **ლილე** არ არის მზის ღვთაება და შესაბამისად მზის საგალობელიც არ არის, როგორც ეს ბევრს მიაჩნია. საგალობელის ამ ტექსტში მზე საერთოდ არ არის ნახსენები, არც სვანურში და არც შუმერულში (გავიხსენოთ, რომ ქრისტიანობამდე უზენაესი ღმერთი იგივე – პერსონიფიცირებული – მზეა. აქედან შემორჩა „ლილე“ მეხსიერებაში, როგორც მზის საგალობელი, მიუხედავად იმისა, რომ მზე-სვანურად „მიჟ“ – ტექსტში არაა ნახსენები. ბ.ბ.).

სავანური საგალობელი **„შამაშ“** – შაიამა, შამაშრერა...“ და მისამღერი **„შაი ოდი შამ ორერა“**. შამაშ შუამდინარეთში მზის უზენაესი ღმერთია. შამაშს შუმერები ქვესკნელში ჩასულ მზეს ეძახდნენ. სვანური საგალობელი **„შაიამა შამაშ-რე-რა“** ღამით სრულდება და ამით ისინი მზეს უხმობენ, მზის ღმერთს ეხმიანებიან. შაი ძვ. ეგვიპტურად ბედია. შაი ასევე იყო მევენახეობის მფარველი ღმერთი, **ოდი** (ზანურ, მეგრული), **ადი** (სვანური) ნაყოფიერების ღმერთ ოდიდან მოდის – კოლხური ღმერთების პანთეონია. შამ შუმერულად მზის ღვთაებაა. **ო-რე-რა=რა**-ს, მზეს. ამ სიმღერით სვანები დღესაც უმღერიან ბედის მწერალ ღმერთ შაი-ს, ნაყოფიერების ღმერთს **ოდი**-ს, მზის ღვთაებას **შამაშ**-ს და **რა**-ს. ასეთი მრავლის მომცველი საგალობელის შექმნა მხოლოს უძველესი იბერიულ-კოლხური შონის (სვანი) ტომს შეუძლია.

მისამღერი **ჰარულალო, ჰაიდა ჰარულალო, ჰარი ჰარალი ჰარალო** ქართველისათვის ქართულია, ხოლო შუმეროლოგებისათვის შუმერული სიმღერაა, რითაც მოსავლის ღმერთს უმღერიან.

„ლამარია“. შუმერში **ლამარია** ადამიანის მფარველი ანგელოზი იყო. სვანეთში ლამარია-ს ღვთისმშობელს, მარიამს უწოდებენ.

„ბარ-ბარ“, შუმერულად **ბარა-ბარა**, მზის ღვთაებაა. სვანურში ბარბარ ქალური ბუნების ნაყოფიერების ღვთაებაა. სვანური ბარბარი, იგივე ზანურ-ლაზური ბარბალი, რაც ბორბალს ნიშნავს და სიცოცხლის მარადიულ წრებრუნვას გამოხატავს.

შუმერული ენა ასევე მსგავსებას იჩენს სხვა ქართულ დიალექტებთან. მაგ. ზანურ-ლაზურთან, დღ.მეგრულთან.

შუმერულად	**მეგრულად**
ირნინა-ყოველი ენა	ირ ნინა-ყოველი ენა
ნინაგენა-დედამიწის ენა	ნინა ქიანა-ქვეყნის ენა
თიბირა-ის სიმღერა	თი ბირა-ის სიმღერა
სიმუ-შენ რა?	სი მუ-შენა რა?
ქიგალე-შემოგევლე	ქოგალე-შემოგევლე და სხვა.

„თუთაშხა“ ლაზურად არის მთვარე, „შხა“ ხეთურად ღმერთს ნიშნავს, ე.ი. თუთაშხა არის მთვარის ღმერთი. ასევეა ძვ. ეგვიპტურად „თოუთ“-მთვარის ღვთაებაა. ეგვიპტელებს კოლხებთან დიდი მსგავსება აკავშირებთ, რასაც ძვ.წ. V საუკუნეში ხაზგასმით აღნიშნავდა ჰეროდოტე: „კოლხებს და ეგვიპტელებს მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის“-ო.

იმედია, ასეთი ფაქტების შემდეგ, ეჭვიც აღარ უნდა დარჩეს ქართული და შუმერული ენების იდენტურობაზე, ეს ასეა და ეს ასე რომ არის, ამას ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს. უფრო მეტად უახლესი მომავალი აჩვენებს, რომ ეს ორი უძველესი ხალხი ერთი

ეთნოსის შვილებია, რამეთუ ენა და ეთნოსი ერთი მთლიანი ცოცხალი ორგანიზმია. შუმერები-ქალდეველების წინაპრები, შუამდინარეთში ჩრდილოეთიდან მოსული ხალხია, რაც მრავალი მეცნიერის მიერაა დადასტურებული. არა მარტო ისტორიოგრაფიაში, არამედ შუმერულ მითებში „სამყაროს შესაქმეში“ და ბიბლიაში, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ეს კავკასიაა, კავკასიის აბორიგენი მოსახლეობა ისტორიულად ქართული ტომებია.

შუმერები ისტორიაში სათავეს ძვ.წ. XVI ათასწლეულიდან იღებენ. შუამდინარეთში ეს ხალხი ძვ.წ. XII ათასწლეულში მივიდა და საკუთარი ისტორიის უძველეს პერიოდს დამწერლობის შექმნას უკავშირებს, რომელიც ქრისტეს წინარე 11-12 ათასი წელია. კრამერის აზრით: „შუმერებს შუამდინარეთში მოსვლამდე უკვე ჰქონდათ დამწერლობა.“ შუმერებს, ამ სახელწოდებით ძვ.წ. IV-III ათასწლეულში ძვ. აქადის მოსახლეობა იხსენებს. შუმერები თავიანთ მიწა-წყალს ქალამს ქვეყანას უწოდებენ (ქალამი-დან გამომდინარეობს შუმერთა შთამომავლების ქალდეველების სახელდება, ქალ-დეა). არსებული წყაროებით ირკვევა ისიც, რომ უძველესი სახელწოდება შუმერისა ენგური იყო. დამწერლობა არც ასურელებს, არც ბაბილონელებს, არც სემიტური წარმოშობის ხალხს არ შეუქმნია. ცნობილი ფაქტია, რომ ხალხი რომელმაც დამწერლობა შექმნა, აღმოსავლეთის მთიანეთიდან არის მოსული შუამდინარეთში-შუმერში, ამ ხალხმა ანბანი თან მოიტანა. საყურადღებოა, თვით სიტყვა „შუმერი“-ს ეტიმოლოგიური და სემანტიკური დატვირთვაც, სიტყვა ‘შუმერი“=’შუ-მე-რი“. I და III მარცვალი არის სიტყვა „შური“, რაც დღ. მეგრულით არის „სული“, II მარცვალი „მე“ -ისტორიაში ცნობილია, როგორც ყოველივე არსებულის იდეალური საფუძველი, ისევე, როგორც კაცობრიობის „ღვთაებრივი სჯულდება მე“ (იხ.ზ.კიკნაძე **შ.მ.** გვ. 159. ს.კრამერი. **ი.ი.შ.** გვ. 128,132, 137.), ან როგორც „ზეციური კონცეფცია“. ე.ი. „შუმე-რი“ არის „სული ღვთაებრივი სჯულდებით“ ან „სულის ღვთაებრივი სჯულდება“.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ადამიანი და უსასრულო სამყარო თავის თავში წარმოადგენს ურთიერთმოდელს. ამ მოდელის პროგრამისა და სისტემის მთლიანი პოტენციის ¼ ნაწილი დევს მათ ფიზიკურ სახეში, ხოლო ¾ ნაწილი ინფორმაციის სახითაა მათში და დაფარულია, ამოუხსნელია. ანალოგიურია კოლხური არეალი. ქართულ ენასა და ანბანურ-რიცხობრივ დამწერლობაში კოდირებული სრული ინფორმაციის ¼ ჩანს ფიზიკურად, ხოლო ¾ ნაწილი კოდირებულია, რაც ლაზი მამებისა და ქურუმების მიერ საიმედოდ იქნა „დაფლული“ ენასა და ანბანში. ¼ ინფორმაციისა „ანი“-დან „ჰოე“-მდე გახსნილია, ცნობილია – დაუსაბამოო დასაბამი, ხოლო ¾ „ინი“-დან „ლი“-მდე დაფარულია – პირველი, მეორე და მესამე არე, სართული ანუ სამოთხე. მაინც რაში მდგომარეობს კოლხური არეალიდან გამოსული წმინდა მამათა მისია და მოვალეობა? ადამის მოდგმის, როგორც კოსმიური არსების, დედამიწაზე ცხოვრების სხვადასხვ ეტაპზე, ველური ცნობიერებიდან (თვითსჯულის, ბუნებრივი სჯულის ეპოქა) გამოყვანა, მათ სინამდვილეში გიორგიანული განათლების, იგივე სიმართლის მადიდებელი სწავლების პირველჩანასახის დანერგვა-დამკვიდრება. სიმართლის მადიდებელი სწავლების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სახელის სწორად შერჩევას. ამიტომ ძველ მსოფლიოში არსებობდა სახელის კულტი, სახელი გამოხატავდა ადამიანის ცხოვრებას, მის არსს და უდიდეს ზეგავლენას ახდენდა სახელის მატარებელზე. ვინაიდან, სახელის დარქმევა ეფუძნებოდა სახელის დასარქმევ არსებათა ბუნების მიზანს, ცოდნას და მიუთითებდა სახელის მატარებლის დამახასიათებელ თვისებებზე. ამ მიზანს ემსახურებოდა კოლხური არეალი და ამ არეალიდან გამოსული ლაზი ქურუმები და მოგვები, როცა ახორციელებდნენ ზემოთ აღნიშნული განათლების სისტემის გატანა მთელს დედამიწაზე. ამიტომ ეწოდა „აქადი“-ს (აქ-ადი) მიწა-წყალს „ქალამ(ი)“-ს (ქალა-მი), ლაზი ქურუმების მიერ პროტოქართული სიტყვა-სახელი „შუმერი“, რომლის არსსა და ეტიმოლოგია-სემანტიკაზე ზემოთ ვისაუბრეთ. ასევეა იბერია და კოლხეთი.

„ბიბლიაში, აღკვეთილია პირველობის დასაბამიერი ხალხის ხსენება: „არ არს ხსენება პირველთა მათ და უკანასკნელთა, რომელ ყოფილ არიან უწინარეს ჩუენისა, არა არს ხსენება ქმნილთა მათ თანა უკანასკნელთა“ (ეკლ.1-11). უკანასკნელი ის იქნება, ვინც პირველი იყო

— „მე ვარ პირველი და უკანასკნელი“ (გამოცხ. 1-170 ..... პირველები აღდგებიან უკანასკნელ დღეს და დაეპატრონებიან არამეთა დასაკარვებლებს, რადგან პირველებს, დასაბამებლებს, ყველაფერი არამელთა მოდგმამ წაჰგვარა: ეს პირველები არიან ქალდეველები, ბიბლიის შემქნელ წინასწარმეტყველთა მოდგმა: „მათ, რამეთუ, აჰა აღვადგენ მე ქალდეველთა ნათესავსა მწარესა და კისკასსა მომავალსა სიბრტყეთაზედა ქუეყანაისათა, დამკვიდრებად დასაკარვებელთა არამისთა“ (აბაკ.1-60. აქ აშკარად ჩანს ის, რომ ქალდეველები, ბაბილონელები, ანუ შუმერები არიან... სამყაროზე ბიბლიას აქვს სწორი წარმოდგენები. იგი ეკლესიურ კანონში გამოთქმულია შეფარვით, ხოლო ღიად-წინასწარმეტყველების: იობისა და ეზრას წიგნებში... ბიბლიური პირველი ისტორია ღია ტექსტით მოგვითხრობს, რომ ქალდეველები იყვნენ ვარსკვლავთმეტყველები, მისნები და ვარსკვლავთმეცნიერებით იცოდნენ, რომ მომავალი განპირობებულია“. (ვ. ვახანია, **კ.ს.ე.** გვ.376). „პლანეტებს სახელი ხალდებმა (ხალიბებმა) შეარქვეს“ – წერდა დიოდორე სიცილიელი ძვ.წ. I ს-ში.

ბოლო დროს აშკარად იკვეთება, რომ ბიბლია ებრაელი ერის შექმნილი არ არის ძველი აღქმის ტექსტები იდენტურია ძვ. შუმერულ თქმულებებთან და მითებთან სამყაროს შექმნის შესახებ. ბიბლიის შემდგენელი არაა ებრაელი ერი. იგი ქალდეურ-შუმერულ მოდგმაში უნდა ვეძებოთ – ქალდეველები ქანაანელთა წინაპრებია, ქანაანელები კი ებრაელებია — „რადგან ქალდეველებმა საკუთარი ნაწერები და ენა ღმერთის სიტყვების შესანახად მიანდვეს ებრაელებს“ (რომ.3-2). ამას ჰესიოდეც აღნიშნავდა თავის „თეოგონოაში“, რომ ღმერთების სალაპარაკო ენა კოლხური ენაა, საუკუნის უკან ამავე აზრს იზიარებდა და განამტკიცებდა უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი 1917-18 წ.წ. კირიონ II. „...მხოლოდ და მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურისათვის ღვთაებრივი გამოცხადების მნიშვნელობის მიცემით, ებრაელებმა, როგორც ღვთის რჩეულმა ხალხმა, თავს მოახვიეს მთელს მსოფლიოს თავისი ეროვნული ისტორიაც ... გათხრების შედეგად დამტკიცდა, რომ ქრისტეშობამდე VII-VIII ათასი წლის წინ მესოპოტამიაში ცხოვრობდნენ ხალდები (ქალდები), მათ პირველებმა მსოფლიოში შექმნეს თავისი მაღალი ეროვნული კულტურა, რომელიც შემდგომში გახდა წყარო და მაგალითი მომდევნო ხალხების კულტურისათვის. ამ დრომდე არსებობდა უკუღმართი წარმოდგენა ებრაულ კულტურაზე. 2000 წელზე მეტხანს ებრაელები ამყოფებდნენ რელიგიურ-ისტორიულ დაკნინებაში თითქმის მთელს მსოფლიოს. მათ მოახერხეს თავს მოეხვიათ კაცობრიობისათვის უჩუმრად, სხვა ხალხებისაგან მისაკუთრებული და თავიანთ ყაიდაზე ასხმული რელიგიური რწმენები.“ ბიბლიაში კოდირებულადაა გადმოცემული ჭეშმარიტება სამყაროს შესახებ — მაკრო და მიკრო კოსმოსზე. ამიტომ ბიბლია უცილობლად, დასაწყისშივე კოდირებული ანბანით უნდა დაწერილიყო. სრულყოფილი ანბანურ- რიცხობრივი კოდი და ანბანურ-რიცხობრივი შიფრი, კაცობრიობისათვის დღემდე ცნობილ და მოღწეულ ანბანებს შორის, მხოლოდ ქართულ ასომთავრულ ანბანს გააჩნია. ამდენად ბიბლია სხვა ანბანსა და ენაზე ვერ შეიქმნებოდა. აქედან გამომდინარეა ამ ენისა და ანბანის სახელწოდებაც; „მშობელი“, „მშობლიური დედა ენა“ და „ასომთავრული“, „მთავარი ასობგერები“, „მთავრული ანბანი.“

„ებრაული ენა არის ენა ბიბლიის შემნახველი ერისა და არა ენა იმ ერისა, რომელმაც ბიბლია შექმნა. ებრაული ენა, როგორც ცნობილია, დაფიქსირებული იყო იესოს ჯვარზე. რის გამოც ის ხალხები, რომელთა ენებიც ებრაულთან ერთად შევიდა ქრისტეს ჯვრის წარწერაში, აცხადებენ პრეტენზიას, რომ მათი ენა ბიბლიის ენაა.... დავაკვირდეთ: ქრისტიანობის ბურჯი პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ასწავლის ებრაელებს: **„ვინაიდან ის ვიზედაც ეს ლაპარაკია, ეკუთვნის სხვა ტომს, რომლისგანაც არავინ მიკარებია სამსხვერპლოს“.** (ებრ.7-130.) ტომი, რომელიც სამსხვერპლოს არ მიკარებია, ვერ იქნებოდა ერთი ტომი ებრაელთა თორმეტი ტომისაგან, რადგან იესო ქრისტეს სასიკვდილო განაჩენს ებრაელებმა, როგორც ცნობილია სინედრიონზე უყარეს კენჭი.... ქრისტე ჯვარს აცვეს ებრაელი ერის სახელით.... ბიბლიაში ცნებები „ერი და ენა“ ... იდენტიფიცირებულია. როდესაც პავლე მოციქული ასწავლის: „ის, ვიზედაც ეს ლაპარაკი...“ ***ესე იგი იესო ქრისტე, ეკუთვნის სხვა ტომს, რომლის ნათესავი სამსხვერპლოს არ გაკარებია, ეს იმას ნიშნავს, რომ სამსხვერპლოს არ გაკარებია იესოს***

ენაც, ქალდეური ენა ...იესოს ენაზე, თავდაპირველ ერთ ენაზე, რომლის კანონიკური ნიშანი არის ის, რომ იგი სამსხვერპლოს არ გაკარებია, პრეტენზიას ვერ განაცხადებს: ებრაული ენა, ბერძნული ენა, რომაელთა ენა ანუ ლათინური და მისგან გამომდინარე ენები. ...სისხლში შეღებილი სამოსელი, ბერძნული პიორფირი, ქართული ძოწეული, იესო ქრისტეს საკუთარი სამოსელია ("ეცვა სისხლში ამოვლებული სამოსელი,მისი სახელია ღმერთის სიტყვა გამოცხ. 19-13) ...მესიის პასუხი ასეთია: „საწნეხელი დავთრგუნე მარტომან და ნათესავთაგანი არაა არს მამაკაცი ჩემთანა..." (ეს.63-3). მაშასადამე, სამსხვერპლოს არ გაკარებია ნათესავთაგანი მამაკაცი და იესოს ენა, რადგან ენა გააზრებულია, როგორც მამრული საწყისი.[1]

...ხოლო იესოს ნათესავი დედები, მათ შორის ღვთისმშობელი, როგორც ცნობილია იდგნენ ჯვართან („ხოლო დგეს ჯუარსა მას თანა დედაი იესუისი და დაი დედისამისისაი, მარიამ კლეოპაისი და მარიამ მაგდალინელი." იოან.19-25). სიმბოლო ენა – მამაკაცი, გვაკავშირებს ძველი ეგვიპტის მითოლოგიასთან. მით უფრო, რომ ეს სიმბოლო-ენა-მამაკაცი ქართული ჰომილიის (საღვთისმეტყველო ქადაგების) მიხედვით, ლაზარე სუდარით არის შემოსილი („და გამოვიდა მკუდარი იგი, შეკრული ხელითა და ფეხითა სახუეველითა, და პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა..." იოანე 11-440, კანონში უფლის სამოთხედ წოდებული (დაბ. 13-10). ძველი ეგვიპტის მითოლოგიით ღმერთი ღმერთთა პტაჰი, რომელიც ძველეგვიპტურ „მკვდარ წიგნში" განასახიერებს ღმერთის სიტყვას, გამოისახება სუდარაში შებურვილი მამაკაცის სახით, პტაჰის წმინდა ცხოველი, მისი ემბლემაა ხარი აპისი, ეს სიმბოლიზმი ძველეგვიპტურიდან მოდის. სუდარა, იგივე ზეწარი, ისე, ვით ეს ისწავლება „ვეფხისტყაოსნის" ტექსტით ("ვა საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს" 710) იდენტიფიცირებულია საწუთროს ბოლოსთან. ზეწარი, იგივე სუდარა, ქართულ ეთნიკურ ყოფაში სულ უკანასკნელ დრომდე ცნობილია ქალის სამოსელად... ბიბლიური პირველისტორიით ეთნიკურ ერთეულისა, რომელშიც არა სჯულით, არამედ აღთქმით, ადამიანად განხორციელდა მესიაა და მაცხოვარი; იგი არის სიმბოლო „თესლისა", რომელიც კანონიკური ტექსტით მესიასავით მაღალ საფლავში განისვენებს და მესიისაგან გაღვიძებას მოელის (ეზკ. 32-21, 32). ბიბლია ასწავლის, რომ უძველეს ხალხთა წარმომავლობა, განსაკუთრებით იმ ეთნიკური ერთეულისა, არა სჯულით, არამედ აღთქმით „საზეპურო ერისა", რომელშიც ღმერთი ადამიანად განხორციელდა, განმარტებულია აგრეთვე ანთროპოლოგიურად და მისი სხვა ეროვნებაში აღრევა გამორიცხულია. მაშინ, როდესაც თანამედროვე მსოფლიოს ხალხები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ხსენებულ ტაბულებში როგორმე დაიდასტურონ თავი, ხოლო „ქალდეული გენეზისის" ნუსხებში ქართველები პირდაპირ მოიხსენებიან: „ასირიელ მეფეთა ქრონიკებში ხშირადაა მოხსენიებული Muski და Tabal, როგორც კილიკიაში მცხოვრები ორი მეზობელი ხალხი, ჰეროდოტე კი საუბრობდა ტიბარებისა და იბერიანების შესახებ, რომლებიც კოლხეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად, ეს ორივე ხალხი ტიგროსისა და ევფრატის ზემოწელში ცხოვრობდა, მიდიასა და სკვითიას შორის, ე.ი. კოლხეთსა და იბერიაში, რომლებიც თანამედროვე კავკასიის სამხრეთში მდებარეობს" (ვ.ვახანია. კ,ს, გვ.378, 379,380,382).

---

1. ჯვარცმისას მაცხოვრის მიერ წარმოთქმული სიტყვა ამის ნათელი დასტურია: „Ჩმა-ყო იესუ Ჩმითა დიდითა და თქუა: ელოᲨ, ელოᲨ, ლამა საბაქთანი?... მდგომელთა ესმა და იტყოდეს: აჰა, ელიას ხადის" (მარკ.15 34,35). ჩვენმა წინაპრებმა ქრისტიანობამდე – უძველესი დროიდან უწყოდენ ერთი ღმერთის შესახებ, რომელსაც „სამი ღმერთის" – კვირიკე, ელია და თეთრი გიორგი – ერთობით აღიარებდნენ. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ კვირიკე დარჩა კვირიკედ, კვირიკობის დღესასწაული დღემდე აღინიშნება საქართველოში. თეთრი გიორგი გარდაიქმნა – შეერწყა კაბადოკიელ წმინდა გიორგის, ხოლო ამინდისა და წვიმის ღმერთი ელია წმიდა ელია თეზბიტელის სახით დამკვიდრდა. ასე, რომ მაცხოვრის მიერ ჯვარცმისას წარმოთქმული სიტყვები ქალდეური – იბერიულია. ამასვე ამტკიცებს ალ.ცინცაძე; „...რომ „ელი" წინარექართული წარმოშობის სიტყვა ჩანს, რომელმაც იმ პერიოდის ენობრივი სამყარო მოიარა და ისევ ქართულში დაბრუნდა...." (ალ.ცინცაძე. მ.დ.მ.მ.მ. გვ.81)

ავთანდილ სილაგაძე – პროფესორი
ანზორ თოთაძე – პროფესორი

ქართული გვარ-სახელები

ადამიანისათვის სახელის დარქმევის აუცილებლობა უხსოვარ წარსულში, მოაზროვნე ადამიანის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა. დღეს არავინ იცის რა ერქვათ ჩვენს შორეულ წინაპრებს, რა სახელით მოიხმობდნენ ისინი ერთმანეთს, რომელია იმ უხსოვარი დროიდან შემორჩენილი სახელი, ან, საერთოდ, გაუძლეს თუ არა მათ საუკუნეების ქარტეხილებს. სახელებს ისეთ უძველეს დროში აქვთ გადგმული ფესვები, რომ დღეს უკვე ბევრი მათგანის მნიშვნელობის დადგენა შეუძლებელია.

ბგერითი მეტყველების განვითარების ადრინდელ საფეხურზევე გაჩნდა ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მათთვის სახელების დარქმევის საჭიროება. შემდგომში, საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ადამიანთა სახელები იცვლებოდნენ, ძველი სახელები ადგილს უთმობდნენ ახალს, ისინი სულ უფრო მეტად ხდებოდნენ გარკვეული შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელი, იცვლებოდა თვით სახელების დარქმევის წეს-ჩვეულებანი. ამასთან, გარკვეული მნიშვნელობის მქონე სახელები, ციურ მნათობთა სახელწოდებანი უფრო გამძლე აღმოჩნდა და დღემდე ბევრი მათგანი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ხალხში. ასეთ სახელებს მრავალი საუკუნის ისტორია აქვთ. როგორც მკვლევარებს მიაჩნიათ, უძველეს ქართულ სიმღერებში დამოწმებული სახელები: *ალალე, ვარადო, ნანა, დელია, ორირაშა, ლალე, არალე, ია, რანუნი, ნანინა* და სხვა, წარმართულ ღვთაებათა სახელები უნდა იყოს. სწორედ ეს ან მათგან ნაწარმოები ადამიანთა სახელები დღესაც ცოცხლობენ.

ამდენად, სახელების წარმოშობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უეჭველია, ყოველი სახელი, წარმოშობის გარკვეული პერიოდიდან, შესაბამისი მნიშვნელობითაა დატვირთული, მაგრამ დროთა განმავლობაში ბევრი მათგანი შინაარსისაგან დაიცალა და ახლა მხოლოდ როგორც სახელი, ისე იხმარება. სახელთა ასევე დიდმა რაოდენობამ თავისი მნიშვნელობა დღმდე შემოინახა. მაგალითად, უდაოა, რომ მზესთან დაკავშირებულ ისეთ სახელთა ჯგუფს, როგორიცაა: *იამზე, მამამზე, მზევარი, მზევინარი, მზეთამზე, მზეონა, მზექალა, მზეჭაბუკი, მზეხა, მზეხათუნი, მზია, მზიანა, მზისა, მზისადარი, მზისავარი, მზისანა, მზისთვალა, მზიული, მზიური, პირიმზე, ქალთამზე* და სხვა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ სახელები წარმოქმნილია სიტყვა მზე-დან, კერძოდ, მასთან მიმართებასა და შესადარისობაში. ამავე დროს თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მზესთან დაკავშირებული ყველა სახელი, მამამზისა და მზეჭაბუკის გარდა, ქალის სახელს წარმოადგენს, მაშინ ცხადია ხდება, რომ ქართველებს მზე უძველეს დროში წარმართული სარწმუნეობის მიხედვით ქალის, სიცოცხლის საწყისის, სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რის შესახებაც აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი.

გარკვეული შინაარსის მატარებელია აგრეთვე ისეთი ქართული სახელები, როგორიცაა: *მთვარისა, სიზმარა, ნასყიდა, ირმისა, ვეფხია, მაყვალა, მგელიკა, უფლისა, ღვთისავარ, ქრისტესია* და მრავალი სხვა, მაგრამ არსებობენ ისეთი ქართული სახელებიც, რომელთა მნიშვნელობის დადგენა დღეს შეუძლებელია, არ ხერხდება. ასეთ სახელებს მიეკუთვნება: *ბოცო, ბუხუტი, ჯოტო, გვანცა, ნუნუ* და სხვა. ამ სახელების ეტიმოლოგიური ძიებანი ჯერჯერობით უშედეგოა. ეს სახელები ძველი და ასაკოვანია და, ამდენად, შინაარსობრივად ბუნდოვანი, ჭირს მათი წარმომშობი სიტყვების შინაარსის დადგენა, ე.ი. სიტყვის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება, რაც საკმაოდ რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც.

ადამიანთა საკუთარი სახელების წარმოშობა თითქმის ყველა ხალხში საერთო კანონ-ზომიერებით ხასიათდება. კერძოდ, სხვადასხვა ხალხშიადამიანთა სახელებად გამოყენებულია ციური მნათობი, ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა სახელწოდებანი, ცალკეული საგნის, მოვლენის, ხელობის, სოციალური ყოფის, დროის, სადაურობის, ფერის აღმნიშვნელი სიტყვები, ბავშვის დაბადებით გამოწვეული სიხარულისა თუ უკმაყოფილების განცდა. ამრიგად, ისტორიულად ადამიანთა საკუთარი სახელები სათ˜ავეს იღებს საზოგადო სახელების მეტად ფართო სპექტრიდან.

ახლა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული წარმოშობის სახელების გამოყენების არე დიდი ხნის წინათ დავიწროვდა და მათი ადგილი უცხოურმა ანთროპონიმებმა დაიკავა. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ, რის შედეგად სახელის დარქმევის რიტუალი შეიცვალა და იგი სამღვდელოების ხელში გადავიდა, რასაც, ბუნებრივია, თან მოჰყვა ქართული წარმართული სახელების განდევნა და ქარისტიანული კალენდრის სახელების დამკვიდრება. ცხადია, ამ პროცესს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია და ადრინდელი ტრადიციული სახელები მეტ-ნაკლებად განაგრძობდნენ სიცოცხლეს უპირატესად მეორე სახელის სახით. რაც შეეხება მთას, სადაც წარმართული რელიგიის ნაშთები შედარებით ფართოდ შემორჩა, წარმართული საკუთარი სახელები უფრო ხშირად გამოიყენებოდა და ზოგიერთი მათგანი დღესაც განაგრძობს არსებობას (*ბაკური, ბექა, გოჩა, დაჩი, თაყვა, კახა, მამია, მახარა, რატი, ცოტნე, გვანცა* და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს უძველესი დროიდანვე ჰქონდათ შემუშავებული საკუთარ სახელთა მწყობრი სისტემა, სხვადასხვა მიზეზით თანდათანობით მკვიდრდებოდა ნასესხები სახელებიც. კერძოდ, ქართული წარმოშობის სახელების გვერდით უხვად გამოიყენებოდა ძირითადად ხურიტული, სპარსული, ბერძნული, არაბული, თურქული, რუსული და სხვა ევროპული ენებიდან ნასესხები სახელები. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა ბერძნულმა და ბერძნულიდან ნასესხებმა ებრაულმა სახელებმა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ მონათვლის დროს ეკლესიის მოთხოვნით ბავშვისათვის აუცილებლად ქრისტიანული სახელი უნდა შეერჩიათ. ეს სახელები უნდა ყოფილიყო წმინდანად შერაცხული პიროვნებისა, რომელიც საეკლესიო კალენდარში იყო შეტანილი. სწორედ ასეთი, ბიზანტიაში შედგენილი კალენდრის გზით საყოველთაოდ გავრცელდა საქართველოში უმთავრესად ბერძნული, ლათინური და ძველებრაული სახელები.

თითქმის ყველა ხალხში მკაცრად გამიჯნულია ქალისა და მამაკაცის სახელები. მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში მრავალ სახელს თანაბრად არქმევენ ორივე სქესის წარმომადგენლებს, მაგრამ სახელთა უმეტესობა მაინც განსახვავებულია ქალისა და მამაკაცის მიხედვით. ამასთან, იმ ენებში, რომლებიც სქესს განასხვავებენ, საერთო სახელები სხვადასხვა ფორმით იხმარება სქესის განმასხვავებელი ნიშნის მიხედვით. მაგალითად, რუსულ ენაში *ევგენი, ალექსანდრე* და *ანასტასი* მამაკაცის სახელებია, ხოლო *ევგენია, ალექსანდრა* და *ანასტასია* – ქალისა. გასული საუკუნიდან რუსული ენის მეშვეობით ჩვენშიც მკვიდრდება მარტოოდენ დაბოლოების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული ქალისა და მამაკაცის სახელები. მაგრამ, რამდენადაც ქართულში ქალისა და მამაკაცის სახელები გამიჯნულია, მიზანშეწონილია უფრო ნაკლებად იქნეს გამოყენებული საზიარო სახელები. ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის რუსულიდან შემოსულ სახელებზე.

იშვიათია ჩვენში ქალისა და მამაკაცისათვის ერთი და იგივე სახელების დარქმევის შემთხვევები. მხოლოდ რამდენიმე სახელია საზიარო და ამ შემთხვევაშიც ისინი უპირატესად ქალის ან მამაკაცის სახელად იხმარება. ქართველებში ყველაზე გავრცელებული საზიარო სახელებია: *გიული* (ქალი – 3584, მამაკაცი – 918), *გულიკო* (ქალი 3630, მამაკაცი – 319), *გუგული* (ქალი – 4306, მამაკაცი – 606), *დოდო* (ქალი – 6530, მამაკაცი – 163), ია (ქალი – 13215, მამაკაცი – 148), *იმედა* (ქალი 281, მამაკაცი – 3356), *ნუკრი* (ქალი – 207, მამაკაცი – 3862), *სულიკო* (ქალი 3803, მამაკაცი – 4680), *ჩიტო* (ქალი 742, მამაკაცი – 199) და სხვა.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად,სახელთა უდიდესი უმრავლესობა მკვეთრად გამიჯნულია ქალისა და მამაკაცის მიხედვით. მაგრამ ამავე დროს, როგორც ითქვა, სახელთა მცირე ნაწილი საზიაროა ორივე სქესისათვის. როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში საზიარო სახელები სხვადასხვა წარმოშობისაა და ისინი ერთმანეთს მხოლოდ ბგერებით ემსგავსებიან. ასეთ სახელთა რიცხვს მიეკუთვნება ია, დოდო, და სხვა. მაგალითად, ქალის სახელი ია ადრეული გაზაფხულის ყვავილის სახელს უკავშირდება და იგი პირველად იხსენიება ბორჯომის ხეობაში მდებარე XII-XIII საუკუნეების მარიამწმინდის ეკლესიის ერთ-ერთ ფრესკაზე. ამავე დროს ია როგორც ვაჟის სახელი გვხვდება X საუკუნის ძეგლში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, სადაც აღწერილია IX-X საუკუნეთა სამცხეში მომხდარი ამბები. კერძოდ, ნაწარმოებში აღნიშნულია: „საყვარელო ძმაო ია“, „ხოლო კაცი იგი ია გვიჩვენებდა მცირესა რასმე დაბასა“

და სხვა. ამრიგად სამცხეში თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში ია გვხვდება როგორც ქალის, ისე მამაკაცის სახელად. როგორც მიუთითებენ მამაკაცის სახელი ია სხვა წარმოშობისაა, მას ყვავილის სახელწოდებასთან არაფერი აქვს საერთო და იგი მიღებული ჩანს ძველებრაული იაკობ-ის შემოკლების გზით.

არც ისე იშვიათად სახელის დარქმევა ხდება ყოველგვარი ტრადიციის უგულებელყოფით. იგონებენ ახალ, ხშირად უშინაარსო სახელებს, ზოგჯერ სახელს თხზავენ რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის ან ცნობილი პიროვნებების გვარის ცალკეული ნაწილების შეერთებით. ვხვდებით კიდევ უფრო დიდ უცნაურობებსაც – სახელად საქვეყნოდ გამოჩენილი მეცნიერების, მწერლების, სახელმწიფო მოღვაწეების გვარებს იყენებენ. ასე ვთქვათ, როგორც მოეპრიანებათ ისე, უთავბოლოდ არქმევენ ბავშვს სახელს. მაგრამ სახელების ასე დარქმევა ყოვლად დაუშვებელია. ბევრი ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებს უცნაურ, უაზროდ შეთხზულ და არაფრისმთქმელ სახელს, რომელიც მას არ მოსწონს და ხშირად იძულებულია გადაირქვას იგი. არა გვგონია თავს უხერხულად არ გრძნობდნენ ჩვენი თანამემამულეები, რომელთაც სახელად ცნობილი უცხოელი მოღვაწეების გვარები ჰქვიათ. მაგალითად, *ადენი* (ჰქვია 6 მამაკაცს), *დანტე* (13), *დანტესი* (14), *დარვინი* (27), *დეგოლი* (5), *დიდრო* (12), *დუგლასი* (74), *ედისონი* (61), *ენგელსი* (26), *ვაგნერი* (95), *ვერდი* (6), *ვოლტერი* (8), *ზოლა* (8), *იდენი* (8), *გაიდარი* (12), *გერცენი* (9), *გოგოლი* (34), *გრომიკო* (50), *მაკარტი* (2), *მალთუსი* (1), *მარატი* 9199), *მარქსი* (8), *მიულერი* (20), *მორგანი* (6), *მოცარტი* (1), *ნეველი* (10), *ნელსონი* (55), *ნერუ* (3), *ნიუტონი* (20), *ნობელი* (6), *ოისტრახი* (1), *ონეგინი* (3), *პუშკინი* (9), *უორენი* (52), *როდენი* (29), *როლანი* (8), *რუზველტი* (41), *რუსო* (6), *ტელმანი* (531), *ფრანკო* (5), *ფრუნზე* (32), *შილერი* (7), *ჯონსონი* (17), *ჯოული* (5) და სხვა.

არცთუ იშვიათია სრულიად შეუფერებელი სახელის დარქმევის შემთხვევები. ზოგიერთს ჰქვია: *სერჟანტი* (23), *მაიორი* (30) და *მარშალი* (3). ბუნებრივია, მაღალი წოდების სამხედრო პირებს თავიანთი არმია სჭირდებათ და კიდევაც არის *მხედარი* (23), *მეომარი* (9), *მებრძოლი* (10) და *მაუზერი* (3). ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვინმე სერჟანტმა, მაიორმა ან მარშალმა შეიძლება სერჟანტის, მაიორის ან მარშალის სამხედრო წოდებებიც მიიღონ, მაშინ, მართლაც, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სამხედრო ჩინოსნები.

ასევე შეუფერებული სახელია *ლორდი* (10), *გრაფი* (47), *ნაჩალნიკი* (5), *ლიდერი* (13), *გენია* (70), *უნარი* (17), *მგოსანი* (6) და სხვა. ალბათ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უხერხულია, კაცი გვარიანად ხელმოკლე და უჩინო იყოს და ლორდი, გრაფი ან ნაჩალნიკი ერქვას, ასევე კაცი პოეზიაზე მწყრალად იყოს და მგოსანს ეძახდნენ, ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის არაფრით გამოირჩეოდეს და გენიას, ლიდერს და უნარს უწოდებდნენ.

ბუნებრივია, ყოველი ბავშვის დაბადებას დიდი სიხარული მოაქვს ოჯახში. ტრადიციულად დიდ ბედნიერებად ითვლებოდა ვაჟის დაბადება, რაც მრავალშვილიან და, მაშასადამე, ეკონომიკურად ძლიერ ოჯახსაც გულისხმობდა. ამავე დროს ვაჟები მთელი ქონების მემკვიდ-რეებად ითვლებოდნენ. ყოველივე ეს საკმაოდ ძლიერი ცხოვრებისეული არგუმენტები იყო იმისათვის, რომ, ერთი ქართული ანდაზის არ იყოს, „ქალი სხვათა სახლის ყორედ“ მიეჩნიათ, ხოლო ვაჟი – ოჯახის (სახლის) ბურჯად და გამაგრძელებლად. ამიტომ ვაჟის შეძენისას უფრო ხშირია შეთხზული სახელები, რომელთა შორის ბევრი აშკარად ხელოვნური და საჩოთიროა. არა გვგონია რომელიმე ვაჟმა ან ქალიშვილმა თავი მოიწონოს ისეთი სახელებით, როგორიცაა: *ველოდი* (720), *არველოდი* (699), *გელოდი* (148), *არგელოდი* (7), *მელოდი* (22), *მოგელი* (368), *მოველოდი* (2), *მოგელოდი* (1), *მინდოდი* (4), *გელი* (16), *შენგელი* (332), *მეტია* (42), *მეტვარი* (66), მეგრ. მეტი არაა), *მინუსი* (2), *ქორდიკო* (194, მეგრ. ყოფილიყავ), *მოკონა* (217, მეგრ. გვინდა), *მეწყინა* (19), *არმინდა* (39), *მინდა* (23), *დარჩი* (13), *ზოლოტი* (5), *ვალუტა* (37) და სხვა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით კი 30-იან და 40-იან წლებში ჩვენში ფართოდ გავრცელდა არაფრისმთქმელი, ხშირად რაიმე მოვლენის ან ცნობილი რევოლუციონერების გვარების ცალკეული ნაწილების შეერთების შედეგად მიღებული სახელები. დღეს ასეთ სახელებს თითქმის აღარავის არქმევენ, მაგრამ თავის დროზე ისინი საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ. ასეთი სახელებია: *მარლენი* (795, ნაწარმოებია მარქსისა და ლენინის დასაწყისი ასოების შეერთების შედეგად), *მელორი* (283, მარქსი,

ენგელსი, ლენინი და ოქტომბრის რევოლუცია), *მელსი* (79, მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი), *ლესტამბერი* (49, ლენინი, სტალინი, ბერია), *სტალბერი* (13, სტალინი და ბერია), *ჯუსტანი* (183, ჯუღაშვილი სტალინი), *ჯუსტალი* (14, ჯუღაშვილი სტალინი), *დაზმირი* (353, და ზდრავსტვუეტ მირ), *სტალინი* (18), კომუნი (6), *კომუნარი* (27), *ილიჩი* (6), ელდენი (5), *მარსელიოზა* (7), *ოქტიაბრინა* (110), *ცელინა* (36) და მრავალი სხვა. ასევე საკმაოდ გვხვდება სხვა უცნაური სახელებიც (*ზალოგი* – 13, *მაგნიტი* – 6, *პარნიკა* – 26, *მოსკოვი* – 18, *პარიზი* – 4, *ტარზანი* – 94, გავრცელდა ცნობილი კინოფილმის „ტარზანის“ გავლენით და ა.შ.), მაგრამ ყველა მათგანის ჩამოთვლა აქ შეუძლებელია.

თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, ნათელია, რომ სახელის შერჩევისას მეტი სიფრთხილე გვმართებს. არ შეიძლება სახელის შერჩევა მარტოოდენ საკუთარი გემოვნების მიხედვით ისე, რომ არ გავითვალისწინოთ სახელის წარმოშობის სადაურობა, ჩვენში დამკვიდრების მდგომარეობა, მისი შინაარსი და ქართულ ენაზე ჟღერადობა.

სახელი გაცილებით ადრე წარმოიშვა, ვიდრე გვარი. სახელის წარმოშობის დროს არავითარი მოთხოვნილება არ იყო გვარზე – ადამიანების გასარჩევად მარტო სახელიც კმარობდა. მაგრამ დროთა ვითარებაში, თანდათანობით, საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე პიროვნულ სახელთან ერთად საჭირო ხდებოდა დამატებითი სახელის შემოღება. დამატებითი სახელი უფრო სრულ წარმოდგენას იძლეოდა ამა თუ იმ პიროვნების ჩამომავლობის, სადაურობის, ხელობისა და სხვა მისი შესატყვისი ნიშან-თვისებების შესახებ. რაც მთავარია, დამატებითი სახელით იგი უფრო ადვილად გამოსარჩევი ხდებოდა საზოგადოების სხვა წევრების და, უპირველეს ყოვლისა, თავისივე მოსახელე პირების – სეხნიებისაგან. შემდგომში დამატებითი სახელისაგან წარმოიშვა გვარი.

ძველ ქვეყნებში ფაქტობრივად სახელები ასრულებდნენ გვარების ფუნქციას. მაგალითად, საბერძნეთში *სოფოკლე, პლატონი, სოკრატე* – უფრო გვარები იყო, ვიდრე სახელები. ამავე დროს ბერძნები ახალშობილს მხოლოდ ერთ სახელს არქმევდნენ. იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ არსებობდა გვარები ამ ცნების თანამედროვე გაგებით, რომელიც აერთიანებდა მთელ ჩამომავლობას და მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ ბერძნებს მრავალფეროვანი სახელები ჰქონდათ. ბავშვებს სახელებს სრულიად თვითნებურად, საკუთარი სურვილის მიხედვით არქმევდნენ. ხშირად იგონებდნენ ახალ სახელებს. ეს სახელები, როგორც წესი, დაკავშირებული იყო ბავშვის დაბადების სხვადასხვა გარემოებასთან ან ახალშობილისათვის დამახასიათებელ თვისებებთან ან კიდევ იმ თვისებებთან, რომლებიც მშობლებს უნდოდათ, რომ მომავალში თავიანთი შვილისათვის ყოფილიყო ნიშანდობლივი. არც ისე იშვიათად ბიჭს არქმევდნენ მამის ან ბაბუის პატივსაცემად მათ სახელებს, გოგონას კი – დედისას ან ბებიისას. ბერძნებს ღრმად სწამდათ, რომ სახელები მაგიურ თვისებებს შეიცავდნენ და ხშირად ბავშვებს ღვთაებათა სახელებს არქმევდნენ.

რომაელები, ბერძნებისაგან განსხვავებით, გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ „გვარებს“ – საგვარეულო სახელებს, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობაზე გადადიოდა. თავდაპირველად რომაელები სარგებლობდნენ ორი – საკუთარი და საგვარეულო სახელით. მოგვიანებით უკვე სამი სახელი გამოიყენებოდა: დაემატა საოჯახო მეტსახელი. საკუთარ სახელს ბავშვს დაბადებიდან მეცხრე დღეს არქმევდნენ, ხოლო საგვარეულო სახელი და საოჯახო მეტსახელი მემკვიდრეობით გადადიოდა. მაგალითად, სამ სახელს ატარებდა რომის იმპერატორი *გაიუს იულიუს კეისარი*, რომელიც წარმოშობით ეკუთვნოდა ძველი რაომაელი იულიუსების წარჩინებულ გვარს, რომლის მამამთავრად ითვლებოდა ლეგენდარული ენეასის ძე – *იულიუსი*. ასევე სამსართულიან სახელს ატარებდა ანტიკური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე *მარკუს ტულიუს ციცერონი*. *მარკუსი* მისი საკუთარი სახელი იყო, ტულიუსი საგვარეულო სახელი, ხოლო *ციცერონი* საოჯახო მეტსახელი, რადგან ციცერონის წინაპრები სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და უპირატესად მოჰყავდათ ცერცვი (ციცერ - ლათინურად ცერცვს ნიშნავს).

გვარს, ძველ დროში, ყველა ქვეყანაში და საქართველოშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, საგვარეულო მაშინ თითოეული თავისი წევრის ძლიერი და სანდო მფარველი იყო. გავლენიანი გვარის წარმომადგენელს ნათესავთა წყალობით ზურგი გამაგრებული ჰქონდა და არავის დაეჩაგვრინებოდა, ხოლო საგვარეულოსა და ნათესავებს მოკლებული, პირად ნიჭსა და ძალაზე იყო დამოკიდებული და იმ დროს ამგვარ უგვაროთათვის სამოქმედო გზის ფართოდ გაკაფვა და დაწინაურება ძნელი იყო. ამიტომ მაშინ, როდესაც ადამიანი უნდოდათ შეექოთ, ამბობდნენ ხოლმე „გუარიანი“-აო. ქართულ საისტორიულო წყაროებში არა ერთი და ორი ცნობაა დაცული სახელოვანი და „გუარიანი კაცის“ შესახებ. ამდენად საქართველოს მკვიდრნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: „გუარიანებად“ და „უგუარონად“. ძირითადად ამ ნიშნის მიხედვით ხდებოდა სხვადასხვა სამოხელეო სარბიელზე დაწინაურება. ამიტომ გვარიშვილობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ყველა ცდილობდა თავისი საგვარეულო ღირსება დაეცვა, თავისი უღირსი საქციელით გვარი არ „წაეხდინა“. საინტერესოა, რომ ძველ რომში თუ ვინმე საძრახისი საქციელით თავის გვარეულობას ჩრდილს მიაყენებდა, მის სახელს ამ საგვარეულოში აღარ ახსენებდნენ, აღარავის არქმევდნენ.

გვარიშვილობისა და წოდებრივი ღირსების დაცვა ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იყო. ამასთან, მათი მოპოვება მეტად დიდი ზრუნვის საგანი გახდა. მეტად ნიშანდობლივია ამ მხრივ 1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები. ამ აღწერის მიხედვით ქართველი ხალხის შესახებ ერთი ისეთი მონაცემიც იქნა მიღებული, რომელიც დიამეტრულად განსხვავდებოდა სხვა ხალხების ანალოგიური მონაცემებისაგან. კერძოდ, ქართველებში შთამომავლობითი თავადაზნაურობა 70 ათასზე მეტ კაცს, ანუ მთელი ქართველი მოსახლეობის 5,29 პროცენტს უდრიდა და ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო იმპერიაში მცხოვრებ სხვა ხალხების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. მაგალითად, რუსებში იგი 0,76, ხოლო საშუალო იმპერიაში 0,97 პროცენტს შეადგენდა. ქალაქად მცხოვრები ყოველი მეცხრე ქართველი თავადაზნაურულ წოდებას ეკუთვნოდა. ამასთან, კავკასიაში მთელი თავადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტი ქართველი თავადაზნაურობა იყო, რუსი – 16,8, ხოლო სომეხი თავადაზნაურობა მხოლოდ 5,4 პროცენტს უდრიდა. პოლონელი პროფესორის ბ. ბარანოვსკის აზრით, საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო მსოფლიოში, სადაც თავადაზნაურობა მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდა. ასევე დიდი იყო საქართველოში პიროვნული თავადაზნაურობის რაოდენობაც. კიდევ ერთი მაჩვენებელი იმსახურებს ამ მხრივ ყურადღებას – ქართველებში სასულიერო პირები 29 ათასზე მეტ კაცს, ანუ მთელი მოსახლეობის 2,18 პროცენტს უდრიდა, მაშინ, როდესაც საშუალოდ იმპერიაში ეს მაჩვენებელი 0,47 პროცენტს არ აღემატებოდა. ამ მხრივაც რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს შორის გამორჩეული ვიყავით. ასე, რომ პრივილეგიური წოდება (შთამომავლობითი და პიროვნული თავადაზნაურობა, სასულიერო პირები) მთელი მოსახლეობის 8,5 პროცენტს აღწევდა. პრივილეგიური წოდების სიმრავლეს თავისი დადებითი და არანაკლებ უარყოფითი მხარეები გააჩნდა, მაგრამ მათი განხილვა ამჟამად ჩვენს საგანს არ შეადგენს.

ქართული გვარები წარმოქმნის თვალსაზრისით მეტად მრავალფეროვანია. უმთავრესად გვხვდება ადამიანის სახელებისაგან მიღებული გვარები. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში გვარის მწარმოებლად აღებულია წინაპრის სახელი. ამასთან ქალის სახელები იშვიათად უდევს საფუძვლად ქართულ გვარს. ბევრ ქართულ გვარს სათავე დაუდო ცხოველების, თევზების, სამეურნეო და საომარი იარაღის სახელებმა, ასევე ხშირად გვხვდება ტომის, ეროვნების, სადაურობის აღმნიშვნელი გვარები და სხვა.

გვარ-სახელების შესწავლის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გვარის გაჩენის, საყოველთაო ხმარებაში შემოსვლის დროის გარკვევა. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში გვარი VI საუკუნეში გაჩნდა. უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი გვარების უმრავლესობა დაახლოებით XIV-XV საუკუნეებიდან მომდინარეობს. თუმცა ისიც მეტად საგულისხმოა, რომ XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის (რომელიც საგანგებოდ ეხება გვარების საკითხს) მიერ ძველ ქართველ მთავართა დასახელებული გვარები, VI-XV საუკუნეების ფარგლებში თავსდებიან. ამასთან, შესაბამისი

წერილობითი წყაროების მიხედვით ძირითადად პრივილეგირებული წოდების წარმომამდგენლები მოიხსენიებიან გვარებით. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული IX საუკუნეში უკვე ცნობილია დონაურების ფეოდალური საგვარეულო კახეთში და არგვეთის მფლობელი ბაღვაშების მსხვილი ფეოდალური საგვარეულო, X-XI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოა მარუშიანები. ასევე ძირძველია დღეს არსებული გვარები: გრძელიძე (მოხსენებულია 1028 წელს, იგი ერთ-ერთი უძველესი გვარია საქართველოში), ყანჩაველი (1030 წ.), დადიანი (1030 წ.), დვალი (1038 წ.) და სხვა. როგორც ჩანს, ცნობილი პიროვნების, „გვარიანთა" სახელითა და გვარით მოხსენიების საჭიროებაც მეტი იყო. დაბალი ფენების, „უგვარონთა" ვინაობის აღსანიშნავად კი უბრალოდ სახელი ან სახელი და მამის სახელი, ხოლო ზოგიერთ სახელისა და სადაურობის მაჩვენებელი სიტყვები ან ეთნონიმები (მაგალითად, თევდორე ჯავახი), სახელისა და ხელობის აღმნიშვნელი ტერმინები (გიორგი მჭედელი) გვხვდება და სხვა. ამ მხრივ შესანიშნავ მასალას იძლევა ფისკალური და სამხედრო მიზნებით ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთრები (მაგალითად 1721 წლის აღწერა და სხვა). მეტად საყურადღებოა ასევე ოსმალეთის ხელისუფლების მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ 1595 წელს მოსახლეობის დაბეგვრის მიზნით საყოველთაო აღწერის მასალები. აღწერის დავთარში, მაგალითად, ახალციხის რაიონის ამჟამად სომხური სოფლების სხვილისისა და პამაჯის დაბალი ფენების წარმოადგენელთა ვინაობა იმ პერიოდში (1595 წ.) ასეა წარმოდგენილი: *პაპუნა, გოგიჩა ანდიას ძე, ილია ძმა მისი, ლომინა, ივანე ივანეს ძე, გოგიჩა ძმა მისი, ბეჟან, აღდგომელა ძე მისი, თევდორე, ილია მაცაცას ძე, შაშია, მახარა წამალას ძე, კვირიკე ილიას ძე, საბა გრიგოლის ძე, ბადურა ძე მისი, ზურაბ, ლაშქარა* და ა.შ.

საჭიროა აქვე ისიც ითქვას, რომ გვარ-სახელებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის ისტორიის შესასწავლად, მის გასაცნობად. მოტანილი მასალა არა მარტო გვარების წარმოშობის საკითხის შესწავლის შესაძლებლობას, არამედ უტყუარად იმის თქმის უფლებასაც იძლევა, რომ ამჟამად სომხებით დასახლებულ სოფლებში სხვილისსა და პამაჯაში 1595 წელს მთლიანად ქართველები ცხოვრობდნენ. აქ გავრცელებული ქართული სახელები სწორედ ამაზე მეტყველებენ. საერთოდ მოსახლეობის აღწერის მასალების (კერძოდ სახელების) ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ მე-16 საუკუნის ბოლოს სამცხე-ჯავახეთის მთელი მოსახლეობის 95%-ზე მეტს ქართველები შეადგენდნენ. ასევე ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს გვარ-სახელების შესწავლას ტოპონიმებთან და ეთნიკურ პროცესებთან დაკავშირებული ბევრი ბუნდოვანი საკითხის სწორად გადაწყვეტაში. გვარ-სახელების ანალიზი გვაძლევს იმის საშუალებას, თუ წინა და განსაკუთრებით გასულ საუკუნეში როგორ მასობრივად ხდებოდა ქართული მოსახლეობის გასომხება და გაბერძნება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ წინამდებარე წიგნში ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, დემოგრაფები, გეოგრაფები და მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლები მათთვის ბევრ საინტერესო მასალას იპოვიან. ეს წიგნი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას შეიძენს მომავალში მონაცემთა შედარებისა და პროცესების დინამიკაში განხილვის თვალ-საზრისითაც. მასში პირველადაა გამოკვლეული საქართველოში გავრცელებული გვარებისა და სახელების სიხშირე, მათი გავრცელების გეოგრაფია, დაჯგუფებულია ქართული გვარები მაწარმოებლების (დაბოლოებების) მიხედვით. ანალოგიურადაა შესწავლილი საქართველოში გავრცელებული სახელები. ნაშრომში ცალკე ნაკვეთი ეთმობა საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულ ათას გვარსა და სამას სახელს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამჟამად საქართველოში ყველაზე გავრცელებულია *ბერიძის* (24797), *კაპანაძის* (18550), *გელაშვილის* (17995), *მაისურაძის* (16516), *გიორგაძის* (14582), *კვარაცხელიას* (13618), *ლომიძის* (12949), *შენგელიას* (12764), *წიკლაურის* (12499), *ხუციშვილის* (11062), ხოლო არაქართული გვარებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება *მამედოვის* (8322), *გრიგორიანის* (5883), *ალიევის* (5600), *პეტროსიანისა* (4837) და *სარქისიანის* (4572) გვარები. ამასთან გამოირკვა, რომ ამჟამად საქართველოში დაახლოებით 1000 ისეთი გვარია რომელთა წამომადგენლები თოთოეული გვარის მიხედვით 1000 კაცს აღემატება.

მეტად საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული ქართული გვარების მაწარმოებელთა მიხედვით აღმოჩნდა რომ 1649222 ქართველის გვარი ძე-ზე ბოლოვდება, 1303723-ისა შვილი-ზე, 494224-

სა ია-ზე, 200642-სა ავა-ზე, 129206-სა იანი-ზე, 76044-სა ური-ზე და ა.შ. საგულისხმოა რომ ძე-ზე დამთავრებული გვარები უმეტესად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, ხოლო შვილი-ზე აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება ისეთ ფართოდ გავრცელებულ გვარის დაბოლოებას როგორიცაა ია, იგი ძირითადად დაფიქსირებულია სამეგრელოში.

საყურადღებოა ისიც, რომ საკმაო სიხშირით გვხვდება ურიზე დაბოლოებული ქართული გვარები. როგორც სპეციალური გამოკვლევებით დგინდება ეს მაწარმოებელი ძველ საქართველოში ვაჟსა და ძე-ს, ვაჟიშვილს ნიშნავდა და საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს ურიზე დაბოლოებული გვარები იხსენიება ქუთაისის, საცაიშლოს და აფხაზეთის საკათალიკოსოს დავთრებში. აღსანიშნავია რომ უკვე XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ურით დაბოლოებული გვარების ადგილს ძე-თი და შვილი-თ დაბოლოებული გვარები იკავებენ. ასეთივე პროცესებს ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოში.

ნაშრომი ნათელყოფს ქართველთა განსახლებაში მომხდარ თვისებრივ ძვრებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობის ურთიერთმიგრაციას. მაგალითად აღსანიშნავია, რომ ია-ზე დაბოლოებული გვარების მატარებელი 85366 კაცი ამჟამად თბილისში ცხოვრობს, ხოლო იმერეთი – 43709. ასევე საგულისხმოა, რომ დედაქალაქში ცხოვრობს 4496, ხოლო გარდაბანში – 1016 წიკლაური, მაშინ როდესაც ამ ძირძველი გვარის წარმომშობ კუთხეში – ხევსურეთში მოსახლეობა გაქრობის პირზეა მისული. მეტად საყურადღებოა იანი-დაბოლოებაზე დამთავრებული გვარების ადამიანთა განსახლებაში მომხდარი ცვლილებებიც. მაშინ როდესაც მთელ სვანეთში 26 ათას კაცი ცხოვრობს, სვანური გვარების ერთ-ერთ მაწარმოებელ ფორმანტნზე იანი-ზე დამთავრებული გვარის 112 ათასზე მეტი წარმომადგენელი ცხოვრობს დანარჩენ კუთხეებში. იგივე შეიძლება ითქვას რაჭაში გავრცელებული გვარის – მაისურაძეთა შესახებაც, რომელთა საერთო რიცხვი 16 ათას კაცს აღემატება, რაც რაჭის მთელი ამჟამინდელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს.

ნაშრომში ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი საქართველოში გავრცელებული სახელები. დახასიათებულია მათი სიხშირე როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. მაგალითად, საქართველოში ყველაზე გავრცელებული მამაკაცის სახელია გიორგი, რომელიც 147454 ჩვენს თანამემამულეს ჰქვია. ასევე ფართოდ გავრცელებულია მამაკაცის სახელები: *დავითი* (76051), *ზურაბი* (49789), *ალექსანდრე* (42715), *ლევანი* (41851), *მიხეილი* (35681), ქალის სახელებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს *თამარი* (100658), *ნინო* (92937), *მაია* (49131), *ნანა* (45008), *მარიამი* (43698). აღნიშნული სახელები თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მაგალითად, საქართველოს ყველა კუთხეში ყველაზე მეტ ადამიანს ჰქვია სახელად გიორგი და თამარი.

საქართველოში გავრცელებულ გვარებთან და სახელებთან დაკავშირებული მასალების მოპოვების პროცესში იმდენად დიდძალი ფაქტობრივი მასალა დაგროვდა, რომ მათი სრულად გამოცემა წიგნის დასტამბვის სიძვირის გამო დღესდღეობით შეუძლებელია. ამიტომ წინამდებარე წიგნში ასახვა ჰპოვა იმ გვარებმა, რომელთა წარმომადგენლობითი რიცხვი ოც კაცზე ნაკლებია. ასეთი გვარების რაოდენობა კი ათასობითია. ეს მეტად დამაფიქრებელი დემოგრაფიული პრობლემაა, შეიძლება ითქვას – საქვეყნო სატკივარი. ის ვინც ამ წიგნში თავის გვარს ვერ იპოვის, ის უნდა მიხვდეს, რომ მისი გვარი გაქრობის პირასაა მისული და მან ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რათა გადაირჩინოს თავისი გენი, ჯილაგი, საკუთარი მოდგმა და არ იქცეს ისტორიის კუთვნილებად. ეს, უწინარეს ყოვლისა, ითქმის იმ ძირძველ ქართულ გვარებზე, რომელთაც უდიდესი დამსახურება მიუძღვით ერისა და ქვეყნის წინაშე. ამ გვარების საუკეთესო წარმომადგენლებმა ისტორიის მრავალ ქარცეცხლში გამოატარეს თავიანთი გენი და ამით ქართული სული და დღეს, მეოცე საუკუნეში არ ეპატიებათ მათ შთამომავლებს თავისი გვარის უკვდავებისათვის ზრუნვა შვილების გამრავლებაში არ გამოხატონ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნში ვერ მოხვდა ის სახელებიც, რომლებიც ორმოცდაათზე ნაკლებ ადამიანს ჰქვია. ძირითადად წიგნის მოცულობის გაზრდის თავიდან აცილებისა და პოლიგრაფიულ-

საგამომცემლო ხარჯების სიძვირის გამო ნაშრომში ერთადაა წარმოდგენილი მამაკაცისა და ქალის სახელები. ასევე ერთადაა ისინი განხილული სხვა ნიშნების მიხედვით ანალიზის დროსაც. ნაშრომში მოცემულია საქართველოში გავრცელებული გვარ-სახელების რაოდენობა და შემდეგ ამ გვარ-სახელების სამი ყველაზე მეტად გავრცელების ადგილი (ქალაქი ან რაიონი).

ნაშრომში ოფიციალურ სახელებთან ერთად სათანადო ასახვა ჰპოვა კნინობითმა სახელებმაც. ამასთან წიგნში მოტანილი სახელებიდან ჩანს, რომ აშკარად შეიმჩნევა კნინობითი სახელების ძირითად, ოფიციალურ სახელებად ქცევის ტენდენცია. ხშირად კნინობითი სახელები ჭარბობს კიდეც ძირითად სახელებს, რაც არ შეიძლება სასურველ მოვლენად იქცეს მიჩნეული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახელი წიგნში წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმით, ისე, როგორც ეს ცხოვრებაში გვხვდება (მაგალითად, ჯულიეტა – ჟულიეტა; მარინა – მარინე და სხვა).

ნაშრომი ემყარება უნიკალურ მასალას, რომლის მოპოვება შესაძლებელი გახდა საქართველოში მასობრივი პრივატიზების დროს ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ვაუჩერების დარიგების პროცესში. წიგნში მონაცემები მოტანილია 1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით საპასპორტო მონაცემებისა და მეტრიკული ამონაწერის მიხედვით. მასში გასაგები მიზეზების გამო, ასახვა ჰპოვა აფხაზეთსა (კოდორის ხეობის გარდა) და ცხინვალის რეგიონის ნაწილში გავრცელებულმა გვარ-სახელებმა, თუმცა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობის გვარ-სახელები ნაშრომში აისახა. ამავე მიზეზით, ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონული მაჩვენებლების ჯამი შეიძლება არ დაემთხვეს საერთო მაჩვენებელთა ჯამს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი წიგნი საერთოდ იშვიათობაა და პირველად ისტამბება.

ვ ა ნ ი

1. ხურციძე 1971
2. დვალიშვილი 1644
3. გიორგაძე 1112
4. ხელაძე 882
5. ტყეშელაშვილი 830
6. ადეიშვილი 731
7. კორძაძე 646
8. ვაშაყმაძე 591
9. ბელთაძე 557
10. გაბუნია 522
11. ძაგნიძე 491
12. მამასახლისი 486
13. აბრამიძე 476
14. ჯულაყიძე 476
15. ჩახუნაშვილი 467
16. შარაშენიძე 452
17. ბაღდავაძე 426
18. მეფარიშვილი 415
19. ნიკოლეიშვილი 346
20. ლორთქიფანიძე 338
21. როხვაძე 327
22. მაღლაკელიძე 303
23. პაიკიძე 294
24. ბოლქვაძე 292
25. გოგიბერიძე 287
26. არველაძე 281
27. შენგელია 279
28. კაცაძე 273
29. ოჩხიკიძე 268
30. ქიმუცაძე 260
31. თვალაბეიშვილი 258
32. მინაშვილი 258
33. ორმოცაძე 254
34. ბურკაძე 230
35. ცხვარაძე 223
36. კაპანაძე 221
37. მჟავანაძე 219
38. ბიბიჩაძე 218
39. ჯანელიძე 218
40. ნამიჭეიშვილი 217
41. სანიკიძე 217
42. დიაკონიძე 212
43. ოქროპილაშვილი 207
44. ქარჩხაძე 207
45. თავაძე 201
46. ღვინიანიძე 190
47. დიასამიძე 189
48. ჯოგლიძე 189
49. ხარაბაძე 185
50. კაპატაძე 176

აკაკი თევზაძე – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი

მაჭანკლობის თემის ასახვა ქართულ მწერლობაში, ქართულ ხალხურ პოეზიასა და ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ქორწილი ყველაზე გამორჩეული, უმნიშვლეოვანესი მოვლენაა, რასაც წინ უსწრებს ჯვრისწერის უბედნიერესი წუთების განცდა.

სხვადასხვა ქვეყნების ადამიანებში ამ დღის აღნიშვნის სხვადასხვანაირი წესები არსებობს. ქართველებს, როგორც ერთ-ერთ ძირძველ, უდიდესი კულტურული წარსულის მქონე ხალხს თავისი ფსიქიკის, ზნეობის, თავისი ხასიათისა და ცხოვრების წესის შესაბამისი საქორწინო რიტუალი, წეს-ჩვეულებები შეუმუშავებიათ და შესაბამისი პოეზიაც შეუქმნიათ.

„ქართული საქორწილო ცერემონიალი რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებდა: დაკვლევა-დარიგება; დაწინდვა ანუ ნიშნობა, საპატარძლოსთან გამოთხოვება, ქორწილი და პატარძალის სამუშაოზე გაყვანა.“ დაკვლევა-გარიგების ტრადიცია ძველთაგანვე ჩამოყალიბებულა. ქალების დაკვლევის შესაძლებლობა ახალგაზრდა ვაჟებს ჰქონდათ ქორწილში, სამგლოვიარო ცერემონიალზე, ყანის მკისა და პურის ლეწვისას, წყაროდან წყლის მოტანისას... ეს ქალ-ვაჟთა ურთიერთმოწონების უშუალო პროცესი გახლდათ“ (თეონა ნოზაძე „საქორწილო ტრადიციები ძველ საქართველოში“, ინტერნეტმასალა).

პარალელურად ამისა გარიგებაც არსებობდა. მაჭანკალი (შუამავალი, მაშვალი) ერთურთისთვის სრულიად უცნობ ახალგაზრდებს, ხანში შესულებსაც აქორწინებდა. თუ საქმეს კარგად მოაგვარებდა, სამაჭანკლოსაც გვარიანს მიიღებდა, ის ქალ-ვაჟის მშობლებს წინასწარ აცნობდა თითოეულის ქონებრივ შესაძლებლობებს, ჯიშ-ჯილაგს, წარმომავლობას, ქალის მზითევის რაობას, ფულად და მატერიალურ მხარეს და სხვ.

ამ გზით დაქორწინებულები ხშირად მყარ ოჯახებს ქმნიდნენ – სიყვარულსა და ერთგულებაზე დაფუძნებულს, ხოლო იყო შემთხვევა, როცა დაქორწინებულები ერთმანეთს ხასიათით ვერ შეეწყობოდნენ, ვერც სიყვარულით გააჩაღებდნენ კერას. ბუნებრივია – ასეთი ოჯახები ინგრეოდა, ეს დასაშვებია კიდეც, რადგან ზოგჯერ დიდი სიყვარულით შექმნილი ოჯახიც დაშლილა.

მაჭანკლობის, გარიგების ინსტიტუტი ოდითგანვე ფუნქციონირებდა საქართველოში. ბატონყმობის გაუქმებას (1864 წ.) ჩვენი ქვეყნის ყველა სფეროში რადიკალური ცვლილებები, ძირეული გარდატეხები მოჰყვა, უფრო სტაბილური სიტუაციების დამყარება. კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის აღმასვლამ, ქალაქებში სომხური მოსახლეობის მოჭარბებამ სტიმული მისცა მაჭანკლის, შუამავლის... პროფესიის კიდევ უფრო დახვეწას. „ნებისმიერი სოციალური ფენის და პროფესიის წარმომადგენელი, თავადიც, აზნაურიც, გლეხიც, მღვდელიც, ხელოსანიც და ვაჭარიც მანამდე არნახული წესებით ცდილობდა ფულის შოვნას. ფულის შოვნა მთლიანად მათ მარიფათსა და მოხერხებაზე იყო დამოკიდებული. XIX საუკუნეში განვითარებულ მოვლენებს არც მაჭანკლობის ინსტიტუტი ჩამორჩა“ (ნ.რატიანი). მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც შუამავლის პროფესიით ირჩენდნენ თავს. გამჭრიახობაზე, გერგილიანობაზე, მახვილგონიერებაზე იყო დამოკიდებული მათი შემოსავალი – ფულადი თუ მატერიალური. განსაკუთრებით სომეხთა ქვრივები ეწეოდნენ ამ საქმიანობას, თუმცა არც ქართველი მამაკაცები და ქალები თაკილობდნენ ასეთი საქმის კეთებას.

„XIX საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში ამ თემის ამსახველი საკმაო მასალა მოიპოვება. ჯეინ ოსტინის რომანი „სიამაყე და ცრურწმენა“ სწორედ ამ პრობლემას შეეხება – გაღარიბებულ ოჯახში რამდენიმე ქალიშვილი იზრდება და მათი „დაბინავება“ დედის ერთადერთი საზრუნავია. რომანის გმირი იღბლიანი აღმოჩნდება. მის და მისი დის ბედნიერ ქორწინებას

სიყვარული გადაწყვეტს“ (ნესტან რატიანი, „გარიგების ინსტიტუტი“, 12 ივლისი, 2016 წელი. ინტერნეტმასალა).

ქართული ლიტერატურიდან მაგალითისთვის საკმარისი იქნება დავასახელოთ კრიტიკული რეალიზმის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?!“, დავით კლდიაშვილის „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, აქვსენტი ცაგარელის კომედია „ხანუმა“, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების ფილმს (1926 წ. რეჟისორი ა. წუწუნავა), ვ. დოლიძის ოპერის „ქეთო და კოტეს“ ლიბრეტოსა და ფილმს „ქეთო და კოტე“ (რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი).

1968 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაიდგა სპექტაკლი „ხანუმა“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

XIX საუკუნეში გარიგების ინსტიტუტი საკმაოდ დაკნინდა. რახან მაშვალის შემოსავალი და საარსებო წყარო დამოკიდებული იყო ორი ოჯახის ურთიერთგარიგებაზე, ხშირ შემთხვევაში შუამავალს მადლობის სანაცვლოდ ცემა-ტყეპით, ლანძღვა-გინებით ისტუმრებდნენ. ასე მოხდა მაჭანკლის „როგორც პოზიტიური პერსონაჟის ნეგატიურ პერსონაჟად გადაქცევა.“ გარიგების ინსტიტუტის თემის საკითხის შესასწავლად აუცილებელია ვიცოდეთ ის სპეციფიკური ტერმინოლოგია, რომელიც უშუალოდ მასთანაა დაკავშირებული. ეს ტერმინებია: მაჭანკალი, მაშუალი (შესაძლოა ეს სიტყვა „შველა-დან“ მომდინარეობდეს. ამ შემთხვევაში აშკარად იკვეთება დასაოჯახებელი პირების უნუგეშო მდგომარეობა). ქაბატუა (ქაბატუა იგივე ქაბატო, სიტყვა ქალბატონოს დამახინჯებული ფორმაა, რომელიც აკნინებს ამ პროფესიის ადამიანს. ამ ტერმინის ქვეშ მეტწილად ქვრივად დარჩენილი სომეხი ქალები მოქმედებდნენ, რამაც გამოიწვია კიდეც ტერმინის დამახინჯებაც და მისთვის აშკარა ნეგატიური კონოტაციის მინიჭებაც), სუტკნეინა (ამ კომპოზიტის ორივე ნაწილი უცხოურ სიტყვას უკავშირდება და ქართულად ითარგმნება როგორც ტყუილქალბატონი, ან ფუჭქალბატონი), ხანუმა (ხანუმა ხანის მდედრობითი სქესის ფორმაა და აღნიშნავს მაღალი სოციალური კლასის ქალბატონს. ეს სიტყვაც ნეგატიური კონოტაციის მატარებელია (ნესტან რატიანი, 1916 წ., ინტერნეტმასალა).

სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“ სიტყვა „მაჭანკალი“ განმარტებული აქვს, როგორც „სიძვის შუამავალი“, „მატყვი“(მატყუარა). დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (თბ., 1984 წ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). ასეთ ახსნას შეიცავს: „მაჭაკალი, მაჭანკალი – შუამავალი კაცი ან დედაკაცი“. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (ალ. ნეიმანი, გამ. „განათლება“, თბ., 1978 წ.) კი ასე განმარტავს ამ სიტყვას: მაჭა(ნ)კალი, შუაკაცი, შუამავალი, გამრიგებელი, დალალი, მოციქული, მაშვალი. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მეგრულად მაჭანკალს – მარებელი ჰქვია.

ილია ჭავჭავაძე თავის შესანიშნავ მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ დიდი ოსტატობით გვიხატავს ცბიერი, მარიფათიანი მაჭანკლის სუტ-კნეინას სახეს, რომელიც სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით ცდილობს დასაქორწინებელი ქალ-ვაჟის – დარეჯანისა და ლუ-არსაბის საქმის მოგვარებას. თავის ძმასთან ჯერ კიდევ გაუყრელი ოცი წლის ლუარსაბი ეძებდა კაი გვარიშვილის, მდიდარ მზეთუნახავს და ამ მიზნით ჯერ ქალაქში აპირებდა წასვლას, გავლა-გამოვლას, იქნებ ვინმე მოხვდეს ბადეშიო, მაგრამ მალევე გადაიფიქრა, შეიტყო რა „თავად გრძელაძეს, დიაღ პატიოსანი გვარის და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერია“ (ი. ჭავჭავაძე, ტ.2, გამ. „საბჭოთა საქართველი“, თბ., 1985წ, გვ. 15), ამ ამბავის გაგების შემდეგ ლუარსაბმა სულ დაკარგა მოსვენება. ერთ დღეს, საბედნიეროდ, ღმერთმა მაჭანკალიც მიუგზავნა, დარბაისელი, მოხუცი ღარიბი ქვრივი ხორეშანი, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ ამ ხელობით ირჩენდა თავს. ამ სუტ-კნეინას (უცხო სიტყვაა და ნიშნავს ტყუილ-ქალბატონს – ა. თ.) არაერთი გარიგების საქმე ჰქონია მოგვარებული, მისებრ გაქნილი და მოხერხებული შუამავალი ორიც არ მოიძებნებოდა დედამიწის ზურგზეო, ამიტომაც ბლომად იღებდა ფეხის

8. მატიანე

ქირას, დაწყებულ საქმეს ყოველთვის ბოლომდე მიიყვანდა. თუმცა ლუარსაბთან შუამავლად გრძელაძემ გაგზავნა, მან თავი ისე მოაჩვენა – თითქოს თავისი ნებით ეწვია, რათა მისთვისაც გარკვეული გასამრჯელო დაეცინცლა.

ეს ამბავი ახალჯვარდაწერილი ერთი აზნაურიშვილის სახლში მოხდა. ქორწილის მეორე დღეს ნაბახუსევი ლუარსაბი ფანჩატურში ისვენებდა. მზე ესვენებოდა, როცა ვიღაცამ ხელი ჰკრა და გააღვიძა. ლუარსბი მყისვე ფეხზე წამოდგა და გულდასმით მოისმინა, მოჰყვა სუტ-კნეინა ტყუილ-მართალს, მისი და დედამისის მეგობრობის ამბავს. ისიც დასძინა, რომ დედამისმა მის ხელებში დალია სული. მერე სიზმარი მოუყვა, სიზმარში ერთი მშვენიერი ანგელოზი გამომეცხადა, რომელიც დღემდე ცხადი მგონია: „ხორეშან! – მიბრძანა სულმა ცხოველმა, მე შენის გულითადის მეგობრის სული ვარ, განწმენდილი და გასპეტაკებული' („კაცია-ადამიანი?!") მე მაშინვე მუხლებზე მოვეხვიე დედითქვენის სულსა. „მუხლებზედ ნუ მეხვევი, მიბრძანა ხელახლად, მე შენგან გული მტკივა: რად დაანებე თავი ჩემს დავითს და ლუარსაბსა? დავითი კიდევ არაფერი, იმან ცოლი იშოვა და დაბინავდა, ლუარსაბს რატომ არ ჰპატრონობ?" მე, რა თქმა უნდა, აღქმა მივეცი დედობა გაგიწიო.

სუტ-კნეინას პირფერობა, თვალთმაქცობა და საზრიანობა კარგადაა გაცხადებული მის ამ სიტყვებში: „მე, რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგიჟებია ის ქალი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამანის მხარ-ბეჭი და სიტურფე ტარიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. თვალი მოგკარით თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედური ქალის გულშია. უბედურს ვამბობ იმიტომ, რომ იქნება თქვენ იმაზედ არც კი ჰფიქრობთ, ის კი იქა ჰდნება" (ი. ჭავჭავაძე. ტ 2, თბ., 1985წ, გვ.165).

ლუარსაბს დიდად ეამა სუტ-კნეინას ნაუბარი. ბეჭებში უფრო გაიშალა, წელში გასწორდა და ახალაკოკრებულ ულვაშზე ხელი კმაყოფილებით გადაისვა, ისიც დიდად გაუხარდა, რომ წუხელაც ის ანგელოზი მოვლინებია და უთქვამს: ეგ საქმე აუცილებლად მოახდინეო.

ახლა მოვუსმინოთ ლუარსაბისა და სუტ-კნეინას დიალოგს:

– „ფული რაერთი აქვს? – ჰკითხა ლუარსაბმა

– ორასი თუმანი ექნება

– ნაღდად?

– სულ ბაჯაღლო-ოქრო შინა აქვს, პარკში შეკრული.

– გრძელაძიანთ ქალი ხომ არ არის?

– თქვენ ვინ გითხრათ?

– მე ვიცი.

– მაინც?

– ვიცი ის არის. განა მე კი გულში არა მედო იმ ქალის სახე", დამორცხვებით ჩაიღიმილა ლუარსაბმა.

თუ ნებას დამრთავთ, თქვენს მაგიერ დაველაპარაკები იმ ქალსო, ძალიან გაუხარდებაო. „რავა, მამას კი არ გაუხარდება?" – სიტყვა შეაგება ლუარსაბმა. მაჭანკალმა განზრახ გაართულა საქმე, ქალის მამა უარზედ დგასო. დაუმალა ლუარსაბს, რომ სწორედ მისგან იყო მიგზავნილი. თვალთმაქცი, ფულს დახარბებული შუამავალი ლუარსაბს თამასუქს დასტყუებს, ხოლო მოსე გრძელაძეს, ფულზე ხომ არ არის საქმეო არწმუნებდა და 30 თუმანი გასამრჯელო მოსთხოვა. ცბიერებით მაჭანკალმა და გრძელაძემ ისე მოახერხეს, ლუარსაბის ძმას დავითს მოსამსახურე ლამაზი გოგო ანახეს და ჯვარი კი მოსეს შეუხედავ ქალზე დააწერინეს ლუარსაბს. საქმე რომ მოაკვარახჭინა გრძელაძემ სამაშვლოს მიცემაზე სასტიკი უარი სტკიცა სუტ-კნეინას. წართმეული თამასუქი დაუბრუნა ლუარსაბს, დაპირებული ორასი თუმანიც არ მიუცია. ყველაზე სამწუხარო, სავალალო ის არის – დავითმა საკუთარი ძმა ათ თუმნად რომ გაყიდა, გონჯი ქალი შეართვევინა. მისი გულცივობა, უზნეობა, გაუტანლობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

შესანიშნავი მწერლის ავქსენტი ცაგარელის ოთხმოქმედებიან კომედიაში „ხანუმა“ ზედმიწევნით კარგადაა დახატული ცბიერი, თითლიბაზი, პირმოთნე მაჭანკლების ტიპიური სახეები, მათი ქიშპობა-პაექრობა, ბრძოლა პირველობისათვის. ისინი ათასი მაქინაციებით, ხრიკებით ცდილობდნენ თავი მოუქონონ ერთმანეთთან გასარიგებელ ქალ-ვაჟს, მათ ოჯახებს და რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახონ.

ვაჭრობით გამდიდრებული დაბალი ფენის წარმომადგენელი მიკიჩა ტყუილ-კოტრიანცი თანახმაა თავისი ასული სონა ხანდაზმულ ქვრივ თავად ვანოს მიათხოვოს, რათა ავტორიტეტი აიმაღლოს საზოგადოების თვალში, მაღალ წრეში შედგას ფეხი. მას ფული და ქონება არ აკლია, მაგრამ მოსვენებას არ აძლევს წოდებრივი მდგომარეობა. მეორეს მხრივ, გაღარიბებული თავადი ვანო კარგი მზითევისა და ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, მზად არის ჯვარი დაიწეროს მოიჯარადრე დიდვაჭრის ქალზე, თუმცა, ცოტათი კი ეჩოთირება მასთან დამოყვრება.

ერთ მშვენიერ დღეს კართუკანაანთ ქაბატუა, სახელმოხვეჭილი შუამავალი ეწვია დიდი მამულების პატრონ, ნაადრევად დაქვრივებულ თავად ვანოს და დაჰპირდა: „ქალი შეგრთო, კნიაზ, ქალი შეგრთო, რომ ერთი იმის ცალი ჰინდოეთის მეფეს ჰყვანდეს, ერთი ხონთქარს და სხვას არავის მთელს დუნიაზედ“ („ქართული მწერლობა“, ტ.24, თბ. 2005, გვ. 408). თავადმა სიტყვა შეაგება: „აი, ყოჩაღ! ხანუმა რომ მირიგებს იმასაც ჯობია?“ (იქვე, გვ.408).

და აი აქ კი აეშალა საღერღელი გაწიწმატებულ ქაბატუას, მოჰყვა მეორე მაჭანკლის – ხანუმას ლანძღვა-გინებას, ხანუმა თულუხჩების მაჭანკალია, მაგისი გარიგებული ქალის შერთვას, თვითონ ხანუმა შეირთო ცოლად ის გერჩიოსო. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს – ხანუმაც მიწასთან გაასწორა და მისი შერჩეული საპატარძლოც. თავადი ძალზედ დაინტერესდა ახალი საცოლის ვინაობით, გაიგო რა ქალი საკმაოდ შეძლებული სოვდაგრის მიკიჩა ტყუილ-კოტრიანცის ულამაზესი ასული იყო და მზითევსაც გვარიანს მიიღებდა, ქაბატუამ ჩამოწერილი მზითევის ფურცელიც აჩვენა.

თავადმა თავის მხრივ შეაგულიანა მაჭანკალი. თუ ამ საქმეს დროულად და კარგად მოაგვარებ „ათ თუმანსაც გაიკრამო“. ქაბატუას ეცოტავა „ფეხის ქირა“ და ცდილობს თავადს, როცა მზითევს და ფულს მიიღებდა ათ თუმანთან ერთად დასტყუოს ათი კოდი პური, ერთი ხელი საქორწილო ტანისამოსი და სხვა რამეებიც... ამაზე თავადმა თავისთვის გულში გაიფიქრა: „მამა გიცხონდა, ჩემ ხოდაბუნებსაც შენ დაგისაკუთრებ“.

კომედიაში „ხანუმა“ სიტუაცია ძალზედ იძაბება, კულმინაციას აღწევს, როცა თავად ვანოს ძმისწული კოტე ფანტიაშვილი, განათლებული, ახალგაზრდა პედაგოგი გაიგებს, რომ ბიძამისი იმ ქალზე აპირებს ჯვრის დაწერას, რომელიც მას ასე ძალუმად უყვარს, სიცოცხლეს ურჩევნია.

მძიმე საგონებელში ჩავარდნილი კოტე გულგახეთქილი მივარდება ბურთიკაანთ ხანუმასთან ეგებ რამე უშველოს. ქაბატუასა და თავად ვანოზე უზომოდ განაწყენებული ხანუმა მათ დიდ ოინს მოუწყობს. ქორწინების დღეს ის დიდსოვდაგრის ასულის სონას ტანსაცმელში გამოწყობილი და ზედმეტად გადაპრანჭული ენახვება თავად ვანოს, დამახინჯებული ფრანგულისა და რუსულის გამოყენებით, არაბუნებრივი ქცევით აღაშფოთებს მას და მის თანმხლებ პირებს, თანაც იმ დონეზე, რომ თავადი კატეგორიულ უარს განაცხადებს მის შერთვაზე.

გაქნილი, გამჭრიახი გონების ხანუმა საქმის მოსაკვარახჭინებლად ოც თუმან გასამრჯელოს ცალკე ახალგაზრდა კოტეს წაართმევს და ამდენსავეს სონას გამოსძალავს. მან კარგად იცოდა, რომ ისინი თავიანთი ბედნიერებისთვის მეტსაც გაიღებდნენ. ხანუმამ, უეშმაკესმა და ცბიერმა ხანუმამ, ლაქარდიანი ენით მიკიჩას ძმიშვილს აკოფას დასტყუა მზითევის ქაღალდი, სადაც თავადი ვანოს ნაცვლად თავადი კოტე ფანტიაშვილი ჩაწერეს, რომელზედაც ჯვარი დასწერეს კიდეც.

ხანუმასაგან გაბიაბრუებული, მოტყუებული თავადი ვანო და მიკიჩა ბოლოს მაინც გაგებით ხვდებიან ამ ამბავს. მიკიჩა სიღარიბით იწუნებდა სასიძოს. მაგრამ, როცა „კნიაზმა“ სიამაყით მიმართა ძმისშვილს „დღეიდან ჩემი მამული თქვენი საკუთრებაა, მე შენი ჭკუის იმედი მაქვს

კოტე!... მეც სულ თქვენთან ვიქნები, დავსტკბები და ვიმხიარულებ თქვენის ცქერით“ და ორივე გულთბილად დალოცა და მიკიჩასაც სინათლე ჩაეღვარა სულში და მასაც არ დაუზოგია თბილი სიტყვები ახალდაქორწინებულთათვის.

ხანუმამ თავის მარიფათიანობით, გაქნილობით, ხაბრიანობით აშკარად დაჯაბნა მოქიშპე მაჭანკალი ქაბატუა, თუმცა ისიც მასავით გულხარბი, თვალთმაქცი, გაიძვერა და ერთი ფოლორცი ადამიანია.

მაჭანკლის, მაშვალის კომიკურ სახეს მეტად შთამბეჭდავად, ცოცხლად გვიხატავს დ. კლდიაშვილი მოთხრობაში „სოლომან მორბელაძე“. ფულის შოვნის ერთადერთ წყაროდ მისთვის შუამავლობა გამხდარა. ეს გაღარიბებული აზნაური ჯორზე ამხედრებული დღემუდამ აღმა-დაღმა დაეხეტება, რათა ქალ-ვაჟს შორის გარიგება მოახდინოს და ამით ლუკმა პურის საფასური მიიღოს. არც გასათხოვარი ქალისა და ცოლმოსაყვანი ვაჟის ცხოვრებისეული მდგომარეობაა სახარბიელო. უკიდურესი სიღარიბის გამო ქალის მშობლები ვერ ახერხებენ სათანადო მზითევი და ფული მისცენ სასიძოს. თავის მხრივ დასაქორწინებელი ვაჟის მშობლები ყოველმხრივ ცდილობენ საპარტაძლოს მეტი ფული და მზითევი მოჰყვეს, რათა ცოტათი მაინც გაიუმჯობესონ საარსებო პირობები.

სოლომანი დიდად გამჭრიახი, მოქნილი, გამოცდილი მაჭანკალია, მაგრამ მაინც იმედ-გაცრუებული რჩება ბოლოს. „ბესარიონ საქარაძემ და ქაიხოსრო ქათამაძემ თავისი გაინაღდეს – ერთმა ქალიშვილი გაათხოვა, მეორემ მზითევი მიიღო და გულცივად მოიშორეს მაშვალი სოლომან მორბელაძე (დ. კლდიაშვილი, „სამი მოთხრობა“, თსუ გამომც., თბ., 1987 წ.). მხოლოდ ხარის ტყავი მიიღო ბესარიონისაგან, ხოლო ექვსი მანეთი და ორი აბაზი ძლივს დასტყუა ქაიხოსროს ახალდაქორწინებულ ვაჟს, ნიკოს, რომელიც სამაშვლოს სრულად გადახდას დაპირდა, რომ დღეს იქნება თუ ხვალ აუცილებლად გაუსწორებდა ანგარიშს. მოტყუებული და გაცუცურაკებული სოლომანი სასოწარკვეთილი ამოიკვნესებს: „ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა, რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდესმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს? (დ. კლდიაშვილი, „სამი მოთხრობა“, თბ., 1987 წ, გვ.67).

მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ღარიბ-ღატაკი აზნაური პლატონი თავად უდგება მაჭანკლად მამამისს – ბეკინა სამანიშვილს. ის თავგადაკლული ეძებს მთელ დუნიაზე ორნაქმარევ, უშვილო ქვრივს, რათა შემთხვევით – ოჯახში ქონების გამყოფი არ დაიბადოს. მაღალოსტატურად გვისურათხატებს მწერალი ახალგამომცხვარი მაჭანკლის ხასიათს.

ქართული ხალხური პოეზიის VIII ტომში (1979) შესული საყოფაცხოვრებო ლექსებიდან მეტად საინტერესოდ იკითხება „მარებელი“ (მაჭანკალი), რომელიც კ. სამუშიას ჩაუწერია ზუგდიდში ხალხურ მთქმელ ვ. ჯორჯიკიასაგან. ნაწარმოები დაწერილია მეგრული ენით.

მშვენიერი ლექსია და იმღერება კიდეც. მისი კეთილხმოვანება რომ შევიგრძნოთ სანიმუშოდ მოვიტან ორ სტროფს:

ართი კოჩქ ქუმორთუ დო
ოსურც გირიგქენია,
ოსურც, მარა მუ ოსურცუ
გვალო გაკეთენცია;
ანთას მანათ ფარას მერჩანც,
ცხენ დო ონანგერცია,
ნორჩილი დო გექუნალც,
ოქრო-ვარცხილ ბრელცია...

მაჭანკალი ამ ლექსში ნეგატიურადაა წარმოჩენილი. ქართულ ენაზე ნაწარმოების შინაარსი ასეთია: „ერთი კაცი მოვიდა და (მითხრა) ცოლს გაგირიგებო, ცოლს, მაგრამ რა (ნაირ) ცოლს,

მთლად აგაშენებსო (გაგაკეთებსო), ათას მანეთს ფულს მოგცემს, ცხენს და უნაგირსაო, ქვეშაგებს და საბანს, ოქრო-ვერცხლს ბევრსაო... ქონებამ მომატყუა (და) თანხმობა განვუცხადე (შემექმნა ნათქვამი), თავის ტვინი ამირია (ამომართვა) შეჩვენებულმა მაჭანკალმა... ყოფილა, მაგრამ რა ოხერი, ეს ქალი ბედდამწვარი. იმის გამზრდელი ოჯახი შავ უფსკრულში ჩაიქცეს; უკბილო, ბებერი, გამხდარი, ლოყები აქვს დამჭკნარი, ჯაგლაგ ცხენსა ჰგავს კუზიანი, ზურგდაცრეცილი... რა მწარეა ახალგაზრდას (ვაჟს) ბებრუხუნა რომ ჰყავდეს, ანდა ყმაწვილ ქალთან ბერიკაცი რომ ბღლაძუნობდეს...

მსგავსი სიუჟეტური, შინაარსობრივი ქარგითაა გამართული პოეტ ხუტა ბერულავას სიმღერად ქცეული ლექსი „მარებელი“ მეგრულიდან „გადმოქართულებული“, მშვენივრად გარითმული, მხატვრული სახეებით დამშვენებული:

ერთი კაცი შემომიჩნდა,
გაგირიგებ ლამაზ ქალსო,
ასეთია დალოცვილი,
მზეს უსწორებს მაღლა თვალსო.
მოინდომოს, ხვალ გაჰყვება
თუნდაც ბრძენს და თუნდაც გმირსო,
მზითევი აქვს, რა მზითევი!
ცხენს მოგცემს და უნაგირსო.
ოქრო, ვერცხლი და ზურმუხტი,
მის კალთაში ელავს, წვიმსო,
საბანი და ქვეშაგები,
იმდენი აქვს, ველარ თვლისო.
ვით კოლხეთის დედოფალი,
მარგალიტის ტახტზე ზისო,
დღისით ხალხში გამოგაჩენს,
დაგიამებს ღამე ძილსო.
აი, ასე შემომიჩნდა
მაჭანკალი – მარებელი,
სოფელ-სოფელ მარებელი,
კაცთა გამამწარებელი.
შემომიჩნდა ის წყეული,
დამიბნელა მთლად გონება,
გადამრია, დამახარბა
სხვისი განძი და ქონება.
მაყრიონიც მომაყენა
და ის ქალიც, ადრე დილით,
შევხედე და რას შევხედე!
დიდხანს ვიყავ დაბნედილი.
ყოფილა და რა ყოფილა!
წავიქეცი ბანზე ლამის,
რომ ვიხილე ის უკბილო,
კუზიანი და ელამი.
ვით ჯაგლაგი ცხენი ჩემი,
მოჩაქჩაქებს დედაბერი!
პატარძალი მომიყვანეს,
ჩემი ჭკუის შესაფერი...
ეზო-კარი დაიბუგოს.
ძირიანა, ფესვიანა,
სადაც იგი გაიზარდა
თავის ოქრო-ვერცხლიანა!
...რა მწარეა, შინ შეუშვა
ცრუპენტელა მაჭანკალი,
ანდა კიდევ, მე რომ შემრჩა,
ამისთანა პატარძალი!

კალისტრატე სამუშიას წიგნში „ქართული ხალხური პოეზიის საკითხები“ (1979) არის შეტანილი შუამავალზე დაწერილი ლექსი „მარებელი“, რომელიც შინაარსობრივად საკმაოდ ენათესავება პირველ „მარებლის“ ტექსტს, რომელიც მის მიერვეა ჩაწერილი. მე-2 „მარებელიც“ ევფონიური თვალსაზრისით პირველზე არანაკლებ საინტერესოა. თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ მეგრულ ენაზე შეთხზულ ამ ლექსის ერთ სტროფს და მთელი ლექსის სიტყვასიტყვით პარალელურ თარგმანს საერთო ქართულ ენაზე.

„მარებელქ ქუმორთუ დო,
სქანო ბოში დობგორია,
ბოშიში ჯარი ვამოჭირე,
სქან ჯგირობუა მოკონია“.
.....
.....
.....

„მაჭანკალი მოვიდა და შენთვის ბიჭი მოვძებნეო, ბიჭის დარდი არ მაქვს, შენთვის მინდა

სიკეთეო; საზოგადოდ ცნობილია, როგორც კარგი მოსახლეო. იმათ ბაღი რომ აქვთ, ეტლით შემოუვლიან, უცნობები რომ შეხედავენ, იმას კითხულობენ: — ეს სახლ-კარი ვისი არის, ეს მდიდრები ვინ არიან?! ერთი ძმა მთავარი ექიმია, მეორე — სამთო ინჟინერი, ვინც მათი რძალი იქნება ის გოგოა ბედნიერი. ისინი ისეთ რძალს ეძებენ, უცხო ენა რომ ესმის. შენი საქორწილო კაბა პარიზში შეიკერება, „პრინცეცები“ მდადედ და გენერალ-გუბერნატორი შენი მეჯვარე („ნათლია“) იქნება.

გოგო – სხვა ყოველივე კარგი, მაგრამ თვითონ რასა საქმიანობს?

მაჭანკალი – ოჰო, ის ყველამ იცის, ზოგჯერ მოიჯარადრეა, მის ქონებაზე ტრიალებენ სადაც კი არიან ვაჭრები. პირადად ბიჭს თუ კითხულობ იმ მაზრაში ბიჭი არაა თვალტანადი სხვა მისი დარი, ნასწავლი და გამოცდილი, ვარდის კოკორივით ლამაზი.

გოგო – მაჭანკალო შემოგევლე, იმ ბიჭს თუ გამირიგებ, დამანახვე მე ის ბიჭი, თუ პირჯვარს იწერ... ყურით სმენა, თვალით ხედვა, თავისთავად ვინცა გაჰყო, დასწყევლოს მაჭანკლისა სარმა და მისი ფანდი... ყველა ერთად სახტად დარჩა, როდესაც ბიჭი მოვიდა. მაჭანკალმა როგორც მე მომატყუა – კაცი კაცს არასდროს არ მოუტყუებია – იქ სიმდიდრე (არა კაცს არ უნახავს), არცა ნასწავლი (ვინმე) სმენია – ჩემი მტერი შეხვედროდა მის (ბედ) იღბალს ამნაირს, ამნაირი მაჭანკალი ღმერთმა (მაშოროს) დასწყევლოს. (კალისტრატე სამუშია „ქართული ხალხური პოეზიის საკითხები“ გამომცემლობა მეცნიერება“ თბ. 1979 წელი. გვ.139-140).

ლექსის კვინტესენციური გააზრება-გაანალიზება აშკარად ცხადყოფს, რომ მარებელი (მაჭანკალი) აქაც ნეგატიურად, უარყოფით კონტექსტში მოიხსენიება, როგორც მატყუარა, ორპირი და ენამოქარგული.

გარიგების, მაჭანკლობის თემაზეა შექმნილი ვანის რაიონის სოფელ ონჯოხეთში მცხოვრების, 92 წლის, აწ გარდაცვლილი ხალხური მთქმელის, ალუბა ორმოცაძის ლექსი „ძველი შუამავლები“. ავტორი აღნიშნავს, რომ შობის ხსნილი დადგებოდა თუ არა – მაჭანკლები მეტად გააქტიურდებოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ გასათხოვარ გოგოებს და დასაოჯახებელ ვაჟებს. ხშირად გასაქანს არ უტოვებდნენ ისე უჭირვებდნენ საქმეს. იმდენს უქებდნენ, ისე დიდებულად უხასიათებდნენ საცოლე ვაჟს და ვაჟის ოჯახს ქალის სილამაზეს, ქონებრივ შესაძლებლობას – თქმულის ნახევარიც რომ გამოსულიყო მართალი, რაღა უჭირდათ. გამოცდილი, მატრაბაზი, ენაგაქლესილი შუამავალი (მაშვალი) ყოველმხრივ ცდილობდა ქალ-ვაჟს შორის გარიგება მოეხდინა, თუნდაც სავსებით შესაფერისნი არ ყოფილიყვნენ ისინი ერთმანეთისთვის და ამით მეტი სარგებელი ენახათ. სწორედ ასეთი საქმის მოგვარება უფრო აძლევდათ ხელს. ახლა თვალი გავადევნოთ – რა მშვენივრად გადმოგვცემს ავტორმთქმელი ალუბა ორმოცაძე მაჭანკლის საქმიანობას:

„არ მინდოდა ცოლის თხოვა, ვჯიუტობდი როგორც ჯორი,
მაგრამ ისე შემომიჩნდა მაჭანკალი ბარე ორი...
სწორედ საქმე გამიჭირვეს, აღარ მომცეს გასაქანი
და ხელად გამომინახეს ერთი ცოლად მოსაყვანი.
ტყუილებით სულ ამავსეს, ქალი არის იმისთანა
სასეირნოდ რომ გამოვა იმას უმზერს მთლად ქვეყანა.
ეს ოხერი შუამავლი წინ ჭიშკართან დაგიხვდება,
ლაპარაკსაც წამოგიწყებს – დღე და ღამე გაიყრება,
ტყუილს-მართალს ბევრსაც გეტყვის, წარბი აღარ გაეხრება,
წამოდი და ქალი ნახე, სამძიმოდ თვარ გაგიხდება.
ქალი თუ არ მოგეწონოს, ჭკუაში არ დაგიჯდება,
აბა, ამით რა წახდება, ერთი დღეი გაგიცდება.
წვიმიან ღამეს შეგირჩევ, მთვარიანი არ იქნება,
ეგი ქალი რომ დაშარნო, ამით რაი დაშავდება,
ერთი სიტყვა თქვი დასტურის — საქმე უმალ გათავდება.“

სარჩო-საბადებელს, ფულად სახსრებს მოკლებული დასაქორწინებელი ვაჟი უარს არ ამბობს ცოლის შერთვაზე, მაგრამ რა ქნას „ხარჯის ფული“ არ გააჩნია, სასოწარკვეთილობას მიცემული გულჯავრიანი ამბობს:

„ყველამ იცის მე საწყალი რისთვისაც ვარ დაჩაგრული,
ქალის თხოვა მოვინდომე – ვერ ვიშოვე ხარჯის ფული.
თუმანი მღვდელმა მომთხუა, მანეთია საკილტული,
ცხრა თუმანზე გამიწია შარნაა თუ საძიძური.
ხასიათით გულკეთილი, მუდამ საქმობს, ფხიზელია,
ღამეც კი არ მოდის ძილი, მშვიდი დარბაისელია.“

ამ ლექსში, როგორც მაჭანკალზე შექმნილ სხვა ლექსებში, აქცენტი გადატანილია საპატარძლოს ოჯახის სიმდიდრეზე, რათა დასაქორწინებელი ვაჟი აცდუნონ ქონების მოხვეჭის სურვილით, ქალის ფიზიკურ ნაკლზე, შეუხედაობაზე ხელი ჩააქნევინონ.

მივყვეთ ზემოთ ხსენებული ლექსის მდინარებას, როგორ უხვევენ თვალს სასიძოს ქალის მზითვებითა და ოჯახის სიმდიდრით:

„მამაც ისე მდიდარია, ფულით გაგიტენის მჯიღებს,
.....
ჯიბეში რომ ხელს ჩაიდებს – ასიანებს ამოიღებს,
მზითვებს მოგცემს იმისთანას, ურემიც ვერ წამოიღებს...
სხვა რა გინდა, ჩემო ძმაო, მოიყვანე კარგი ცოლი,
ლამაზი და ახალგაზრდა, შესაფერი, შენი ტოლი, –
და შემდეგ იმხიარულე, ჩაეხვიე, ჩაიკონე
მე ხომ შენთვის კარგი მინდა, ჩემი რჩევა გაიგონე.“

გულსადაგი (გულუბრყვილო), გულმარიხიანი (მხიარული) სასიძო მაშუალის სიტყვებმა ისე მოაჯადოვა – ცა და ქვეყანა მისი ეგონა, ამბობს კიდეც:

„ამ სიტყვებმა გადამრია, გამახელა, გამაცოფა
და ვიფიქრე ეგრე მარტო რაღა არი ჩემი ყოფნა.
ჯამაგირს ხომ კარგად ვიღებ — ეს ორივეს ქე გვეყოფა
და რა მიჭირს მოვიყვანო ცოლად ერთი გოგო ქორფა?!
წამით ვეღარ მოვისვენე და შემიძვრა ტანში ქეცი,
ცოლის თხოვას არ ვფიქრობდი და საძებრად გავიქეცი.
სანახავად რომ მივედი – ისე დამხვდა მოკაზმული,
ანგელოზი მომეჩვენა, კიღმა წამივიდა სული.“

ქალის ქონებას დახარბებული სასიძო გააცუცურაკეს, არც მზითვები მისცეს სანაქებო, არც ფული და ქალიც არ გამოდგა თვალმწყაზარი, გულშესავარდნი. უკეთესად ბარეორი ვერ გადმოსცემს გაწბილებული ვაჟის უნუგეშო მდგომარეობას:

„ყაბულს გავხდი ყველაფერზე, რაკი აღარ მომცეს ფული
და მზითვებზე მოვურიგდი, ლები მერგო და ბუმბული...
ეკლესიას მივაშურეთ, ხელად ჯვარი გადვიწერე,
გულში ვფიქრობ სიმაური ფულებს უხვად მომცემს მერე.
მხოლოდ გოგო წავიყვანო და ამითი გავიხარო,
აბა, მერედ დამიძახონ „ხალასტოი“ რატომ ხარო.
ქორწილი გადავიხადე და კარგი დრო გავატარეთ,
მთელი ღამე გავათენეთ, ვიქეიფეთ, ვინეტარეთ...
მაგრამ დილა რომ გათენდა ცოლი აღარ მომეწონა
და როდესაც გაიცინა – იმან უფრო დამაღონა.
პირის კანი დაპრანჭოდა, წინა კბილიც აღარ ჰქონდა,

რომ შევხედე ცხონებული ჯაჯიკაი მომაგონდა.
... და ვიფიქრე გუნებაში – ვხედავ თვალმა მომატყუა,
მაგრამ კიდევ მადლი უფალს – კარგი ხასიათის თუა.“

ერთი კვირაც არ იყო გასული, ახალმა პატარძალმა „შლიაპა“, კაბა, სამკაულები და ბევრი სხვა რამე მოითხოვა ქმრისაგან, რომელმაც საყვედურის კილოთი უპასუხა: ფული არ მაქვს ერთი გროში და რა ჯანდაბით გიყიდოო. დღეს რომ კაბა მოგიტანო, ხვალ ფეხსაცმელს მომთხოვ კიდეო. ქალმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა:

„ეს რომ ვუთხარ – წარბი შეჰკრა, გამიჯავრდა, გამებუტა,
დღისით ზურგი შემაქცია, ღამით აღარ ჩამეხუტა –
და რაც მთხოვა – ავივალე, რაღა მექნა, ღმერთო, აბა,
გამოეწყო, გაიპრანჭა, შეიკერა ვიწრო კაბა.“

მოდას აყოლილმა, განებივრებულმა ქალმა, რომელიც არც თეატრს აკლედბოდა და არც ბალ-მასკარადებს, სხვა კაცებისკენ დაიწყო ყურება. უნდა შევნიშნოთ, რომ მაჭანკალზე შექმნილ სხვა ხალხურ ლექსებში არ გვხვდება ჩართული მსგავსი შინაარსის პასაჟი. ავტორმთქმელი ალუბა ორმოცაძე აქ ხაზს უსვამს არაკეთილსაიმედო ცოლის ორგულობას და თავგასულობას:

„თვითონ თავისუფლად დადის, არც რცხვენია და არც შიშობს, –
მუდამდღე რომ სხვას ეხუტვის, იმას კი არ ანგარიშობს.
ამნაირად დავიტანჯე, ჩემი ცოლის გადამკიდე,
მაგრამ ამით გულს ვიკეთებ – ჩემებრ ბევრი მოთქვამს კიდევ.“

მოღალატე ცოლმა, უფლის განგებით, ჩაილურის წყალი დალია, კაცმა იფიქრა საშველი დამადგაო და ახალი ცოლი მოიყვანა. სიხარულით აცხადებს:

„კარგი ცოლი მოვიყვანე, ლამაზი და ჩინებული,
შავთვალწარბა, თმაგიშერი, კბილებჩაჭიკჭიკებული.“

სამი თვე „გადაკვარახჭინებული“ ერთად ცხოვრების შემდეგ ახალშერთულ ქალს მუცელი და გვრდები „გაუბიზინდა“, ბეჩავი რას წარმოიდგენდა, რომ ქალი „სხვისი გაბიზინებული იყო“, ლექსის ასეთი ფინალიც მოსალოდნელია და იქნებ სავსებით ლოგიკურიც:

„მივატოვე, დავრჩი ასე გულზე გაჭიჭინებული,
ამის შემდეგ უცოლო ვარ, დავალ გაჩიჩინებული.“

თავისი შემოქმედებითა და მაჭანკლობის თემაზე შექმნილი ლექსით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აჭარიდან ვანში ჩამოსახლებული (ტობანიერში ცხოვრობს ამჟამად – ა.თ.) ავტორმთქმელი (პროფესიით მასწავლებელი) ალექსანდრე მგელაძე. პატივცემული ალექსანდრე 67 წლის გახლავთ, მხნე, ფრიად მჭერმეტყველი და მახვილგონიერი. ტობანიერის მოსაზღვრე სამტრედიის რაიონის სოფელ კორმაღლის საჯარო სკოლაში ასწავლის და დიდი სიახლოვე აკავშირებს აქვე მცხოვრებ განთქმულ მაჭანკალ მურად თევზაძესთან, რომელიც 85 წელსაა მიტანებული და დღემდე, როგორც თავად ამბობს, ქალ-ვაჟს შორის გარიგების 300-მდე საქმე აქვს მოგვარებული. შუამავლობისთვის ზოგჯერ ფულს ჩუქნიდნენ, ზოგჯერ ფეხსაცმელს, შარვალ-კოსტუმს ან ყანწებს და ა.შ., მაგრამ ზოგჯერ პირშიჩალაგამოვლებულიც დარჩენილა, საკადრისი გასამრჯელო არ მიუციათ. სწორედ ასეთ ამბავზეა აგებული ქვემოთ მოტანილი ლექსი, რომელიც ცნობილ მაჭანკალს მურად თევზაძეს მიეძღვნა. აი ეს ლექსიც:

„მაჭანკლობაში განთქმული არის თევზაძე მურადი, –
გასათხოვ – ცოლსათხოვრების ჯიბეში უდევს სურათი.
სამასი საქმის გაჩარხვა არის არც ისე ადვილი,
მოხერხებული კაცია, ხანუმა არის ნამდვილი.
კაცს ხელზე საქმე რომ ასდის, ცუდს იტყვი იმის მოდგმაზე?
„ორ დღეში დაგაქორწინებ“ – შეჰპირდა თემურ ბოლქვაძეს.
და კორმაღლიდან დაეშვნენ, შუამთას ლხენით მოდიან,

გზა ნასერელამ გადუჭრათ, სახუმრო საქმე როდია.
როცა გახედა თემურიმ აბობოქრებულ მდინარეს,
თქვა: „ამას ვერ გადავლახავთ, რთული გზა გვიდევს წინარე.“
არ მინდა ქალი, დავბრუნდეთ, სახლში წავიდეთ, ძამია,
ქალის გულისთვის ამ წყალში, როგორ დავიხრჩო თავია?!
მაშვლობისათვის მურადის ესიზმრებოდა ფულები...
უკან რას დაბრუნდებოდნენ გათოშილ – გაწუწულები.“

განთქმულმა მაჭანკალმა მალე საქმეც გაჩარხა და თავის დედულეთში, შუამთაში სიარულსაც უმატა, არც ლხინსა და ქეიფს იკლებდა, მაგრამ, როგორც ბევრი სხვა შუამავალი, ისიც „ყინულზე გააცურეს“. გაბედნიერებულ ვაჟს მისთვის კაპიკი ფულიც არ მიუცია: მივყვეთ ლექსის სიუჟეტის განვითარებას.

„... და ასე გაბედნიერდნენ: ჩვენი თემური, ლალია,
სამაჭანკლოსი თემურის დარჩა მურადის ვალია.
რომ სარგებლობდა მურადი მაჭანკლის დიდი უფლებით, –
ხან მოითხოვა „კოსტუმი“, ხან „დუბლიონკა“, „ტუფლები“,
ვერცერთი რომ ვერ მიიღო, თქვა: „ალბათ, მშრალად ჩავივლი...
დაბადების დღეს მაჩუქე, თემო ძვირფასო, ყვავილი.“

ლექსის ავტორი ერთგვარად თანაუგრძნობს იმედგაცრუებულ მაჭანკალს და პატარა მოკრძალებულ დარიგებასაც აძლევს:

„დღეიდან სამაჭანკლოსი, გირჩევ – ეს ჩემი ვალია,
ფული წინასწარ აიღო, არ დარჩე ხახამშრალია.“

როგორც მთელს საქართველოში, იმერეთში, კერძოდ, ვანის რაიონში, ბევრი ადამიანი იყო დაკავებული მაჭანკლობის პროფესიით. შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: შუშანიკ ადეიშვილი (დუცხუნი), თამარ ცინცაძე (სულორი), ნადია თოდუა (ძულუხი), ქრისტინე თოდუა (გადიდი), მარგალიტა მახუაშვილი (ამაღლება), ვენერა მახარაძე-ნაკაშიძე (ინაშაური), ანიჩკა ნუცუბიძე (მთისძირი), გაიანე ხურციძე-გოგაბერიშვილი (ზედა-გორა), თამარ ჩიხლაძე (ძულუხი), გივი კორძაძე (მუქედი), მურად თევზაძე (ტობანიერი – კორმაღალი) და სხვ. შუამავლის მარიფათიანობაზე, გონებაგახსნილობაზე, მოსწრებულ სიტყვა-პასუხზე იყო დამოკიდებული გარიგების საქმის კეთილად გასრულება. მექორწინე მხარეთა მომგვარებელი მაშვალი, გარკვეული გასამრჯელოს მიღების პირობით დასაქორწინებელთა, უმთავრესად ვაჟის ოჯახის დავალებებს ასრულებდა. მაჭანკლობა ისტორიულად შუაკაცთა ინიციატივიდან განვითარდა, რაც არქაული დროიდან იყო ცნობილი საქორწინო ურთიერთობებში. ამ საქმეს უპირატესად ასაკოვანი ქალები ჰკიდებდნენ ხელს, რა თქმა უნდა, კაცებიც. მაგალითად, მე პირადად ვიცნობდი განთქმულ მთისძირელ მაჭანკალს ანიჩქა ნუცუბიძეს, რომელსაც ეს საქმე კარგად გამოსდიოდა ხელიდან. ქალ-ვაჟს შორის გარიგების არაერთი საქმე აქვს მოგვარებული. მაგალითად, ჭიჭიკო შენგელიასა და შუამთელი ჟუჟუნა ადეიშვილის საქმე, რომლებმაც მყარი ოჯახი შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ასაკოვანნი იყვნენ ერთი ღირსეული შვილი მაინც დაუტოვეს ქვეყანას. ჩემი კარის მეზობელია, გვარიანი შესახედავი მდედრობითი სქესის დიდი დამფასებელი, მაგრამ ცოლის შერთვაზე დღემდე თავს იკავებს, ალბათ, ისიც მაჭანკალს ელოდება.

მუქედელი ხალხური მელექსე, ავტორმთქმელი მურთაზ ხუციშვილი, ანეკდოტების თქმის შეუდარებელი ოსტატი, განთქმული თავისი იუმორისტული ნიჭით, ფერებს არ იშურებს, რათა სრულყოფილად დაგვიხატოს ცნობილი მაჭანკლის, მუქედელი გივი კორძაძის სახე. თვალსაჩინოებისათვის მოვიტან ლექსს, რომელიც საკმაოდ კარგადაა გამართული, მხატვრულობის თვალსაზრისითაც არ არის ინტერესმოკლებული:

მაჭანკლის ლექსი

„ამ ჩვენს გივია კორძაძეს,
თავი ხომ არ ეცოდება, —
სამაჭანკლოდ სოფელ-სოფელ
დადის, კეთილ საქმე შვრება.
თბილ ზრახვებით გამსჭვალული
მაშვლობითა ხარობს ერთობ...
დიხაშხოსკენ გზას დაადგა,
რომ მიტუშას ქალი შერთოს.
სადედოფლოს მიეახლა,
სიტყვას ეტყვის თაფლიანსა:
სასიძო მყავს – ვერ იპოვი
ისეთ ბრგეს და ძარღვიანსა.
სევდიანმა ქვრივმა ქალმა
ჯერ ტლინკები თუმცა ჰყარა, –
ბრგე ვაჟკაცის მოლოდინში
უჩვეულოდ გაიხარა.
აბა, მეტი რა უნდოდა,
კოხტად მორთულ-მოკაზმული, –
მიტროს სახლში მიუყვანეს,
დაუამეს საწყალს გული.
სამაჭანკლოდ გივი იღებს
სავსე ხვირჯინს-ქათმიანსა...
და ღვინოსაც ბლომად ითხოვს
ნატურს, განა შაქრიანსა.
მაგრამ დახეთ – ამ ჩვენს გივის
აეკიდა საქმე შარად,
მეორე დღე რომ გათენდა
მიტროს ქალი გაეპარა.
თვალმშვენიერ, გამრჯე, ქვრივ ქალს
ჩია კაცი შეაჩეჩეს,
მასთან ყოფნას დაითმენდა? –
„სიამაყე“ უგავს მეჭეჭს.
კარგი დღე არ დაადგება,
ვინც შეირცხვენს ასე ულვაშს,
არც ჩვენ გივის დაკლებია
პატარძლისგან წყევლა-კრულვა.

დღევანდელ პირობებში მაჭანკლის როლი მეტწილად ჩაანაცვლა ინტერნეტსივრცემ, რეალურად მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ვირტუალური გაცნობის შედეგად ბევრი ოჯახი შეიქმნა, მყარიც და არამყარიც. დასაქორწინებელი წყვილები, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებებითაც ეცნობიან ერთმანეთს. საინფორმაციო ვაკუუმი ნამდვილად არ იგრძნობა, მიუხედავად ამისა, მაჭანკალს თავისი დანიშნულება, ფუნქციები დღესაც არ დაუკარგავს. ღმერთმაც ქმნას – კვლავაც მომრავლდნენ პროფესიონალი, კეთილი შუამავლები, რაც ხელს შეუწყობს ახალი ოჯახების დაფუძნებას, ისედაც მცირერიცხოვანი ერის გამრავლებას.

და ბოლოს მინდა შევნიშნო, რომ ამ წერილს საკითხის სრულყოფილად გაშუქების პრეტენზია არ გააჩნია, კვლავაც ვაგრძლებთ მასალების მოკვლევა-შესწავლას, რაც გარიგების ინსტიტუტის თემას უკავშირდება.

კრებული „მატიანე“ აგრძელებს ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ისტორიების მომოხილვას. პროექტის კოორდინატორია „ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ სპეციალისტი, ფილოლოგი ***თამილა მჟავანაძე***

ბადრი ხურციძე
ტარიელ ოქროპილაშვილი
ვარლამ გიორგაძე

სოფელი საპრასია

თემში შედის ორი სოფელი: საპრასია და რომანეთი. თემს აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი უხუთი. მათ შორის საზღვარი მდინარე კვინისწყალია და გზა, რომელიც მდინარე კვინისწყალიდან გადის კობელაურის მიმართულებით და სოფელ საპრასიისაგან გამოყოფს უხუთის შემადგენლობაში შემავალ ვაშაყმაძეების უბანს. დასავლეთით სოფელს ესაზღვრება – ძულუხი. მათ შორის საზღვარი გადის მდინარე ძულუხურაზე, რომელიც სათავეს იღებს სამხრეთით მოსაზღვრე ე.წ. საქორესა და ნახიზარევის მთებში. სოფლის ცენტრში ჩამოედინება პატარა მდინარე „დურბეშა“, რომელიც საგანოს გზის ტერიტორიაზე, ჭოკიანთან ახლოს უერთდება მდინარე კვინისწყალს. ჩრდილოეთით თემს ესაზღვრება ინაშაური-ამაღლება, ხოლო სამხრეთით ტყეებით დაფარული მთები და ალპური ზონა, რომელიც თავისთავად მდებარეობს ახალციხე-ადიგენი-აჭარის ქედის სამხრეთით. თვით საპრასიას ტერიტორიაზე, ჩრდილოეთით აღმართულია ორი მთა: ბზვარე და სათავადო, რომელიც სოფელს იცავს ქარისაგან და ქმნის ხელსაყრელ კლიმატს და პირობებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის.

სოფელი საპრასია მას შემდეგ, რაც გატარდა საგლეხო რეფორმა (1865 წ.) შედიოდა უხუთის თემსაზოგადოებაში, ხოლო 1880 წლიდან ხელახალი რეფორმებით დარჩა იმავე სოფლის საზოგადოებაში.

სოფელში სულ ცხრა უბანია, ესენია: გიორგაძეების, კობელაურების, ღიზინეების, ოქროპილაშვილების, ქაჯურეების, მეგუნდიების, წიპიების, სამყურეებისა და ჯოღორუების უბნები.

სოფელში მცხოვრებთა შორის სჭარბობს ხურციძეთა გვარი. შემდეგ საფეხურზე – გიორგაძეები, ოქროპილაშვილები, ხელაძეები და სხვები.

უახლოეს წარსულში სოფლის ტერიტორიები ათვისებული იყო ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების (ვაშლი, ტყემალი, ვაზი) მოსაყვანად. ამჟამად, აღნიშნული ტერიტორიები დაფარულია ტყით ან მათ ადგილას გაშენებულია თხილი. სოფელში, ძირითადად, მიმდინარეობს თხილის მოვლა-გაშენება.

დღეის მონაცემებით სოფელი საპრასია ფლობს 1113 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს, აქედან საძოვარია 750 ჰა.

საპრასია-რომანეთის მიმდებარე ტერიტორიებზე 5-6 კილომეტრის დაშორებით, სოფლის სამხრეთ ნაწილში, მთაში არის ისეთი ტოპონიმები, რომლებიც ადასტურებენ, რომ აქ ძველად მოსახლეობა ცხოვრობდა. ესენია: ნაროდინევი, ნამარნევი, ბიბიჩოური, წიქაროული, აკვანა, ნახიზარევი. წისქვილიპირი არის ადგილი საყივარაში,სადაც ჩანს რომ აქ ოდესღაც სამჭედლო არსებობდა, ხოლო მთა გორმაღალზე არის უზარმაზარი ქვის როდინი, რომელსაც თავიანთი მარცვლეული კულტურების გამოსაცეხვად იყენებდნენ. როდინი ნახევარ ტონაზე მეტს იწონის, მსგავსი მასალა ახლო-მახლო არსად იშოვება, საკვირველია საიდან და როგორ ამოიტანეს ამ მაღალ ქედზე. ამავე ტერიტორიაზე დევს საწრიაპის ქვა, რომელსაც ყურძნის გასაწნეხად იყენებდნენ, აქვე ნაპოვნია ქვევრები. ამ მიდამოებში არის სხვა ტოპონიმებიც: კიტვანი, საქორე, სიპი, წიფლარა, ბუისერი და სხვა. აქ ტყეში ბლომად არის გაველურებული იზაბელას (ადესას) ჯიშის ვენახი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ იზაბელა შედარებით ახალი ჯიშია და იგი XIX საუკუნის II ნახევრიდან გვხვდება ვანის ტერიტორიაზე, ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ აქ ადგილობრივმა მოსახლეობამ დაახლოებით საუკუნის წინ (ან ცოტა ადრე) დატოვა ეს საცხოვრებელი ადგილები და ჩამოსახლდა უფრო დაბლა ტერიტორიებზე, რომელიც კომუნიკაციური თვალსაზრისით უფრო მოსახერხებლად მიიჩნია.

სოფლის სახელწოდების შესახებ არსებობს ორი მითი-ლეგენდა. პირველის თანახმად სოფელში ადრე ბოსტნეულ-კულტურათა შორის მოჰყავდათ თურმე დიდი რაოდენობით პრასი, რომელიც იყიდებოდა ახლო ბაზრობებზე და მეზობელ რაიონებში, ხოლო მეორე ლეგენდის თანახმად აქ თურმე მისდევდნენ მონადირეობას. ერთხელ ერთ მონადირეს ნადირისთვის ძაღლი გამოუდევნებია სახელად „პრასია“ – საა პრასიაო. ამის გამგონ უცხო ვინმეს ამ ადგილისთვის საპრასია დაურქმევია.

მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან სოფლის ბართან დამაკავშირებელი გზა კერცხეთიდან უხუთის გავლით, ან ძულუხიდან სულორის გავლით იყო, სადაც ურმით ან ცხენით შეიძლებოდა გადაადგილება.

გასული საუკუნის 30-იან წლებში სოფელში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. უწიგნურობა და სიბნელე ბატონობდა სოფელში. მთავრობა ზრუნავდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზეც, ფუნქციონირებდა საღამოს სკოლები. ოჯახებში შექმნილი იყო ჯგუფები, მასში გაერთიანებული იყო ყველა ასაკის ადამიანები. სოფლის ინტელიგენცია და მოწვეული პედაგოგები ასწავლიდნენ ანბანს.

მეფის თვითმპყრობელობის დროს სოფელში იყო ორი საეკლესიო დაწყებითი სკოლა, სადაც მსურველები იხდიდნენ სწავლის ქირას და ისე სწავლობდნენ წერა-კითხვას, წერა-კითხვას ასწავლიდნენ სასულიერო პირები.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1919 წელს, მენშევიკების მმართველობის ხანაში დაარსდა „უმაღლესი დაწყებითი“ სკოლა, რომელმაც იარსება 1923 წლამდე. სკოლის გამგედ მუშაობდა იროდი უგლავა. ეს სკოლა მოთავსებული ყოფილა კობელაურზე სპეციალურად გამოყოფილ შენობაში.

1923 წელს სკოლას ეწოდა „მთლიანი შრომის სკოლა“, გამგედ მუშაობდა ვლადიმერ გეგია, ხოლო 1924 წელს გადაკეთდა შვიდწლიან სკოლად. 1926 წელს ჩამოყალიბდა „სოფლის ახალგაზრდობის სკოლა“, დირექტორი – კაპიტონ ბურჯანაძე. 1931 წელს ამ სკოლას ეწოდა არასრული საშუალო სკოლა, დირექტორი – ბაგრატ ხარატიშვილი.

1938 წელს დაარსდა საპრასიის საშუალო სკოლა, დირექტორად დაინიშნა ბაგრატ ბაჯაძე.

საპრასიას საშუალო სკოლაში არამარტო საპრასიისა და რომანეთის ახალგაზრდობა, არამედ მეზობელი სოფლებიდანაც დადიოდნენ ახალგაზრდები. იმ წლებში საშუალო სკოლები არ ფუნქციონირებდნენ უხუთში, ქვედა გორაში, ძულუხში და ბზვანში. აქ სწავლობდნენ ახალგაზრდები უხუთიდან, გორადან, ჭოკიანიდან, ინაშაურიდან, ბზვანიდან და ძულუხიდან. წლების მანძილზე საპრასიას სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: აკაკი კიკაბიძე, მინაგო ხურციძე, სევერიანე ხურციძე, შურა ბარაბაძე, თამარ ვაშაყმაძე, ვლასი ხუბლავა, სერგო ზარნაძე, ჯანსუღ ზარნაძე, გურამ ხურციძე, ზაურ ზაქრაძე, ვაჟა ბაჯაძე და სხვები.

გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში სოფელ საპრასიაში აიგო რაიონის სოფლებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბ-კანტორის ორსართულიანი შენობა. შექმნილი იყო მშენებელთა ბრიგადა ადგილობრივი კოლმეურნეებისაგან. მნიშვნელოვანი ის არის, რომ სამშენებლო მასალების მოზიდვა ხდებოდა ყოველგვარი ტექნიკის გარეშე. ურმით ეზიდებოდნენ ხრეშს და სილას მდინარე რიონის ნაპირებიდან, ცემენტს სადგურ რიონიდან. მშენებლობისათვის ადგილზევე წვავდნენ კირს, გამართული ჰქონდათ ადგილობრივ ნედლეულის ბაზაზე კუსტარული სააგურე ქარხანა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების (1967 წ.) დასასრულს რაიონს და მათ შორის, სოფელსაც

სტიქია დაატყდა თავს. თებერვალში 12 დღე განუწყვეტლივ თოვდა. მოსახლეობას დღეში ორ-სამჯერ უწევდათ სახლების დათოვლა. ჩაიკეტა გზები, მეზობელი მეზობელს ვეღარ უკავშირდებოდა. დააზიანა და დაანგრია საცხოვრებელი სახლები. განსაკუთრებული ზიანი მიადგა საზოგადოებრივ ნაგებობებს. დაინგრა საპრასიის საშუალო სკოლის შენობა, რომელიც ისედაც ავარიულ, შეუფერებელ შენობაში იყო განთავსებული. იგი შეადგენდა სხვადასხვა დროს შეძენილ ხის, ბოძებზე შემოდგმულ, ერთიმეორეზე მიშენებულ ავარიულ ნაგებობას. მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა. ზოგიერთი კლასები განლაგდა კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოს შენობაში. სასწრაფოდ მობილიზებული იქნა საპრასიისა და რომანეთის სოფლის ხელოსნები და დამხმარე მუშახელი. აიგო დანგრეული სკოლის შენობიდან ვარგისი მასალებიდან რამდენიმე სასკოლო ოთახი. პარალელურად მიმდინარეობდა სკოლის ახალი კაპიტალური შენობის მშენებლობა. მშენებლობა კონტროლის ქვეშ ჰყავდა მაშინდელი რაიკომის პირველ მდივანს გივი ყიფიანს.

1972 წელს სკოლა ექსპლოატაციაში შევიდა.

დღეის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 400-მდე კომლი 850-900 მაცხოვრებლით, დაახლოებით 300-მდე პენსიონერია. ხალხი ძირითადად დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, განვითარებულია მეჯოგეობა, მეფუტკრეობა და თხილის წარმოება. მთიანი რელიეფის გამო მიწის სამუშაოები ხელით ან ცოცხალი გამწევი ძალით სრულდება. მცირე ნაკვეთებზე იყენებენ მინი ტრაქტორებს.

გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: სიმინდი, ლობიო, სხვადასხვა სახის ბოსტნეული. მრავალწლიანი ვაშლი, მსხალი, კომში, კურკოვნები, სუბტრობიკული ხურმა, ვენახის სხვადასხვა ჯიშები, მაგრამ ძირითადად ცოლიკაური და იზაბელა (ადესა). ყურძნის მოვლა იმდენად შრომატევადია, რომ მას არ აწარმოებენ გასაყიდად, მხოლოდ ოჯახის საჭიროებისათვის მოჰყავთ.

იმის გამო, რომ სოფელში არ არის არავითარი საწარმო, ახალგაზრდობისთვის შესაფერისი საქმიანობის პირობები, ადგილი აქვს სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაციას.

სოფელი განიცდის დემოგრაფიულ დაბერებას. მოსახლეობის რაოდენობაში შეინიშნება კლების დინამიკა, მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის უმრავლესი ნაწილის ქალაქებში გადასახლება, ძალიან ბევრია მიტოვებული ოჯახები, რომელიც ნასახლარებადაა ქცეული.

1960 წელს სოფელში გაიხსნა 15 საწოლიანი საავადმყოფო – ამბულატორია. საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო ივლიანე (ჩიტო) ვაშაყმაძე, რომელიც დაკომპლექტებული იყო ექიმებითა და საშუალო სამედიცინო პერსონალით. საავადმყოფომ იარსება 1970-იანი წლების ბოლომდე, მაგრამ შენარჩუნდა ამბულატორია სხვადასხვა პროფილის ექიმებით. 1980-იან წლებში აიგო ამბულატორიის ახალი შენობა.

სოფელს ომის მძიმე წლებში და შემდეგაც მუდმივად ემსახურებოდა აფთიაქი, რომელიც განთავსებული იყო მთავრობის მიერ ნაქირავებ ბინაში. აფთიაქს ემსახურებოდნენ მოწვეული სპეციალისტები ილია და თამარ ბიბილეიშვილები. ისინი იქვე ცხოვრობდნენ და დღე-ღამის განმავლობაში რა დროსაც არ უნდა მისულიყავით, აუცილებლად მიიღებდით შესაბამის წამალს, დარიგებას, კეთილ სურვილებს და გამოჯანმრთელების იმედს. აქვე ზრდიდნენ თავიანთ ორ შვილს შოთასა და დოდოს.

შოთა ბიბილეიშვილი იყო პირველი ოქროს მედალოსანი საპრასიის საშუალო სკოლადამთავ-რებულთაგან, შემდგომში ცნობილი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1970-იან წლებში საპრასიაში გაიხსნა სქემური კაბელების საამქრო, რომელშიც დასაქმებული იყო 20-მდე ადამიანი. აგრეთვე ფუნქციონირებდა 250 ნომრიანი ატს. ფოსტა, ორ ჯგუფიანი საბავშვო ბაღი საპრასიაში და რომანეთში, მინერალური წყლის საამქრო „დურბეშა“ და კლუბ-ბიბლიოთეკები.

სოფელ საპრასიის საჯარო სკოლას სხვადასხვა წლებში ემსახურებოდნენ: თინა სინაურიძე (1942-1944 წწ), პეტრე ლომინაძე (1944-1946 წწ), ამროსი შენგელია (1946-1947 წწ), ვახტანგ ტყეშელაშვილი (1947-1948 წწ.), აგაბო ხურციძე (1948-1950 წწ.), სევერიანე ხურციძე (1950-1951 წწ.), აპალონ ტყეშელაშვილი (1951-1958 წწ.), სევერიანე ხურციძე (1958-1964 წწ.), ბიჭიკო ხურციძე (1964-1989 წწ.), ბადრი ხურციძე (1989-1991 წწ.), 1991 წლიდან ავთანდილ ხურციძე (მოქმედი დირექტორი).

საპრასიის საშუალო სკოლაში აღიზარდნენ ცნობილი ადამიანები: შოთა ბიბილეიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; გრიგოლ ხურციძე – მწერალი; გრიგოლ ხურციძე – დოცენტი, მეცნიერ-თანამშრომელი; პოლიაქტორ ხურციძე – სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომისა და ხელფასის განყოფილების გამგე.

სოფელ საპრასიას ასევე ჰყავს ჩვენი დროის გმირი, 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული შოთა (კიკა) ხურციძე, რომლის სახელი 2014 წლის სექტემბერში მიენიჭა საპრასიის საჯარო სკოლას.

ამჟამად, სოფელში ფუნქციონირებს ერთი საჯარო სკოლა საპრასიაში, ერთი საბაზო სკოლა რომანეთში. ორი სავაჭრო ობიექტი, ერთი აფთიაქი, რამდენიმე ელექტრო და წყლის წისქვილი.

ციცინო გაბუნია
თემურ გეგიძე

სოფელი ტობანიერი

სოფელი ტობანიერი შედის ვანის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, რომელიც შედგება შემდეგი დასახლებული პუნქტებისაგან – ზედა ეწერი, ტობანიერი, კუშუბოური, მიქელეფონი. ტერიტორიულად სოფელი წარმოადგენს როგორც ზეგანს, ისე ვაკე-დაბლობს, იგი გაშენებულია მდინარე ყუმურის მარცხენა სანაპიროზე ზღვის დონიდან 200-1000 მეტრ სიმაღლემდე. ჰავა ტენიანი, სუბტროპიკულია, ნალექების რაოდენობა 1500-1700 მმ-ია. ზამთარი თბილი, ზაფხული გრილი, საშუალო ტემპერატურა იანვარში 0-3^0-ია, ხოლო ივლისში 20-22^0.

ტობანიერის მოსაზღვრე სოფლებია: შუამთა, მუქედი, კორმაღალი, ყუმური.

სოფელში არის მასიური ტყე „ბუკნარი“ წარაქვის მთაზე, რომელიც სოფელ ტობანიერს ესაზღვრება დასავლეთის მხრიდან. ეს ტყეები ხასიათდება შერეული და ფართო ფოთლოვანი მცენარეებით.

სოფელში გაედინება მდინარე ყუმური, იგი მდინარე რიონის მარცხენა შენაკადია, სათავეს იღებს მესხეთ-ჯავახეთის ჩრდილოეთის კალთებიდან, მისი სიგრძე 28 კმ-ია. აუზის ფართობი 83,7 კმ2-ია, სათავიდან სოფელ შუამთამდე მთის ტიპისაა, ხოლო შუამთის ქვემოთ ვაკის.

ტობანიერის უბნებიდან ზედა ეწერი მდებარეობს სოფლის ბოლოს დასავლეთით, ზღვის დონიდან 200 მ-ზე, კლიმატით მსგავსია გურიისა და აჭარის რაიონების, აქ ხარობს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა რაც გურიასა და აჭარაშია. დღევანდელი მონაცემებით ტობანიერი ფლობს 1359 ჰა სასოფლო-სამურნეო მიწის ფართობს, აქედან, კერძო სექტორის საკუთრებაა 556 ჰა, სახელმწიფო 803 ჰა, სახნავია 232 ჰა, მრავალწლიანები გაშენებულია 36 ჰექტარზე.

ტობანიერი – ამ სოფელს ასე შერქმევია: „სოფელში ჩამოდის მდინარე ყუმური, რომელიც ადრეულ პერიოდებში ყოფილა მდიდარი, თევზით სავსე, როდესაც მდინარეში ბევრი თევზია ამას ეძახიან სოფელში „ტობს“, აქედან შეიძლება დაერქვა სოფელს ტობანიერი. მეორე ვარიანტი ასეთია: ფიქრობენ, რომ თვითონ ეს ადგილი სადაც ახლა სოფელია გაშენებული, შეიძლება ადრე დაფარული იყო ტბებით. ტობა – მეგრულია, რაც ნიშნავს ტბას, ხოლო მეგრული სახელწოდების ტოპონიმები ვანის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლადაა შემონახული, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ეს მხარეც საუკუნეთა მიღმა შედიოდა ეგრისის სახელმწიფოში. ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე იზიარებდა აზრს იმის შესახებ სოფლის სახელწოდება წარმომდგარია სიტყვა „ტბისაგან“.

სოფელში განვითარებულია მეცხოველეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მიწათმოქმედება, მეფუტკრეობა. მოსახლეობა ქრისტიან-მართლმადიდებელია, ცხოვრობენ ქართველები.

სოფელი ტობანიერი ფეოდალურ პერიოდში შედიოდა საჩინოელი თავადის ჩიჯავაძის სამფლობელოში, მაგრამ შემდეგში იმერეთის მეფის ალექსანდრე V მიერ განხორციელებული პოლიტიკისა და კონკრეტულად მისი ძმის მამუკა ბატონიშვილის გატარებულ ღონისძიებას „რომ მან მოპარვით“ დაიპყრო ჩიჯავაძის სამფლობელო. ამ თავადურმა წრემ დაკარგა ტობანიერზე გავლენა და არამარტო ტობანიერზე. ეს გვარი საფუძვლიანად იქნა „დამცრობილი“, ამაზე დასტურს იძლევა ვახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიაში და მითითებები გაკეთებული აქვს გიულდენშტედტსაც.

იმერთა დიდი მეფის სოლომონ პირველის მიერ ზემოთ აღნიშნული პროცესი გაღრმავდა, რასაც მოჰყვა ტობანიერის ტერიტორიული ნაწილის გაენათზე გადაცემა, „მეფემან სოლომონ გაენათს შევსწირე ამინ“ ადასტურებდა სტელა (ქვაზე წარწერა), რომელიც ტობანიერის ტერიტორიის იმ საზღვარზე იყო ჩამაგრებული, საიდანაც იწყებოდა გაენათზე გადაცემული ტერიტორია და დაცული იყო თითქმის 21-ე საუკუნის მიჯნამდე. გაენათის მფლობელობაში

გადაცემული ტერიტორიის მცხოვრები ყმა-გლეხების ნაწილი ხსენებული პროცესიდან გადავიდნენ სასულიერო ყმა-გლეხების მდგომარეობაში.

მას შემდეგ რაც, საბოლოოდ, დასავლეთ საქართველო მოექცა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ, სოფელი ტობანიერი შედის ქუთაისის მაზრის შემადგენლობაში, ხოლო მმართველობითი ფუნქციით დაექვემდებარა სამტრედიის საბოქაულოს. 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში განხორციელებული საგლეხო რეფორმის შედეგად (მხედველობაშია ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების აქტი), შეიქმნა ტობანიერის თემსაზოგადოება და მასში შევიდა ახლო მიმდებარე სოფლები: შუამთა, ჭყვიში (ციცხვების ტერიტორია, რომელიც მოიცავდა დღევანდელი მთისძირის დიდ ნაწილსაც), ყუმური (საპაიჭაო თავისი უბნებით), მუქედი ციხესულორამდე. 1880-იანი წლებიდან მმართველობის სისტემის უვარგისობის გამო განხორციელდა თემსაზოგადოებების ხელახალი რეორგანიზაცია, თუმცა ამ პროცესს ტობანიერის თემსაოზგადოებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. იგი თავის ტერიტორიულ ფარგლებში დარჩა უცვლელად და ასე გრძელდებოდა 1917 წლის რევოლუციამდე.

მასალებით ცხადად ჩანს, რომ სოციალურ-კულტურული ფორმით ტობანიერის თემსაზოგადოება დიდად არ განსხვავდებოდა დღევანდელი ვანის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა, მსგავსი ერთეულებისგან. თუმცა იმპერიაში კაპიტალისტური სისტემის თანდათანობით დამკვიდრების შემდეგ ზოგიერთი ძვრები დაფიქსირებულია აქაც და თემსაზოგადოებას, როგორც გლეხთა თვითმმართველობის ორგანოს მაზრასთან შეთანხმებით ამის ფუნქციონალური მოვალეობაც გააჩნდა. თუმცა ამას დიდი ძვრები სოფლის საგლეხო მიმართულებისაგან არ მოჰყოლია. უფრო მოგვიანებით ადგილობრივ მცხოვრებთა ინიციატივით ჩამოყალიბდა გლეხთა ურთიერთდახმარების სალარო, რომლის საწესდებო კაპიტალიც გლეხთა ნებაყოფლობითი შენატანები იყო, ხოლო უფრო გვიან ტობანიერში ფუნქციონირებას იწყებს ფულად-საკრედიტო ამხანაგობა. შედარებით ფართო უფლებით, ოღონდ მისი საწესდებო კაპიტალი ეყრდნობოდა კვლავ გლეხთა ნებაყოფლობით შენატანებს. ეს იყო ერთგავრი წაშველება გლეხურ საზოგადოებაზე: „1913 წელს ტობანიერის საკრედიტო ამხანაგობას თავის წევრებზე სესხად გაუცია 19176 მანეთი, აქედან სახნავი მიწისა და ვენახის საყიდლად გამოყენებული იქნა 8950 მანეთი, მიწის იჯარით ასაღებად 795 მანეთი, წისქვილისა და სახლების შესაკეთებლად 1070 მანეთი, მუშა პირუტყვის შესაძენად 2125 მანეთი, მევახშეთა ვალების გასასტუმრებლად 3915 მანეთი, რაც ადასტურებს, რომ სოფელი მოქცეული იყო მევახშეთა ფართო ქსელში და მძიმე ტვირთად აწვა მას.

უფრო მოგვიანებით ტობანიერის „თემსაზოგადოება“ მკვეთრად აღმოჩნდა ჩართული პოლიტიკურ პროცესებშიც, რომელიც საქართველოში განვითარებული მოვლენების შე-მადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. 1902 წლიდანაა დაფიქსირებული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოსახლეობის არალეგარული შეკრებები, ხოლო 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ტობანიერის თემსაზოგადოების მცხოვრებთა კონკრეტული ნაწილი მონაწილეობდა სამტრედიაში გამართულ მეფის საწინააღმდეგო აქციაში და დამოწმებულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის სტაროსელსკის შეტყობინებაში, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის (მთავარმართებლის) სახელზეა გაგზავნილი. ინფორმაციით ჩანს, რომ აქ გაშლილია ანტისამთავრობო აგიტაცია, საამისო პირები ხელმძღვანელობის გასაწევად მივლინებულია იმერეთის რევოლუციური კომიტეტიდან, რომლებიც მასებში ანხორციელებდნენ შესაბამის საქმიანობას, ხოლო ალიხანავ-ავარსკის სადამსჯელო ოპერაციებს მოჰყვა საგანგებოდ შექნილი წითელრაზმელების, კონკრეტულად წითელაშვილის შეიარაღებული ორგანიზაციის გააქტიურება. ამავე პროცესებში ორგანიზებული ფორმით ჩართული აღმოჩნდა ტობანიერელი ნოე გრიგოლის ძე სანიკიძე, არსენ და სამსონ სანიკიძეები, რამდენიმე თანასოფლელთან ერთად, რომლებიც ბათუმის პორტსა და იქვე ზოგიერთ სარეწებში იყვნენ დასაქმებული. მათი მოვალეობა აქ იარაღის შეძენა და წითელრაზმელთა უზრუნველყოფა იყო, იარაღი იგზავნებოდა ვანშიც (საჩინოში) და თავიც გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას. თუმცა, შემდეგ, რაც ჟანდარმერიამ ეს საქმე გახსნა იგი დააპატიმრეს და ბაქოს ბაილოვის ციხეში, სტალინის საპატიმრო საკნის გვერდით, მეზობელ საკანში იხდიდა სასჯელს.

ტობანიერი აქტიურად აღმოჩნდა ჩართული 1924 წლის აჯანყებაშიც. ვანში ამ აჯანყების

ხელმძღვანელი პირებიც ამბერკი ადეიშვილი, პოლიკარპე ნაფეტვარიძე, თვალაბეიშვილი, ძირითადად, ტობანიერის თემსაზოგადოების მაცხოვრებლები იყვნენ. არსებობს დოკუმენტური ინფორმაცია აჯანყების „დამოუკიდებელი კომიტეტისადმი“ გაგზავნილი, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ტიპის რევოლუციური ორგანიზაციები კარგადაა მოწყობილი ხონსა და ტობანიერში. თუმცა, ეს აჯანყება სამ დღეში დამარცხდა.

დღევანდელი ვანის რაიონის ტერიტორიაზე 1880-იანი წლების დასაწყისამდე საგანმანათლებლო სისტემის დაწესრიგების თვალსაზრისით თითქმის ძვრა არ იყო. ამ პერიოდიდან ნაბიჯები გადაიდგა ერთ-ორ კლასიანი სამრევლო სკოლების გახსნის სახით, მაგრამ ერთეულ სოფლებში. ტობანიერის თემსაზოგადოებაში 1876 წელს აქაური ახალგაზრდა მასწავლებლის მათე გეგიძის თაოსნობით დაარსდა ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა, რომელიც თავისი ხარჯით ააშენა ტობანიერის საზოგადოებამ. ეს სასწავლებელი 1897 წელს გადაკეთდა ორკლასიან სამონასტრო სკოლად, რომელშიც სწავლობდა 20-მდე მოსწავლე. აქ სწავლა მიმდინარეობდა 1875 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით. საღვთო სჯულთან ერთად ასწავლიდნენ ძველსა და ახალ აღთქმას, მოკლე ღვთისმეტყველებას, რუსულ ენას გრამატიკითურთ და მართლწერას, არითმეტიკის მთელ კურსს, ე.ი. რასაც გიმნაზიის პირველ სამ კლასში გადიოდნენ: მოკლე გეომეტრიას, გეოგრაფიას, რუსეთის ისტორიას, მშობლიურ ლიტერატურას, რომელსაც უმცირესი დრო ჰქონდა დათმობილი და ხატვას.

„ზედა ტობანიერის დაწყებით სკოლაში დაკომპლექტდა ერთი კლასი და დაინიშნა ერთი მასწავლებელი, ადგილობრივი მკვიდრი ლავრენტი გეგუჩაძე, სკოლას არ ჰქონდა საკუთარი შენობა და ის მოთავსებული იყო ლუკა სანიკიძის სახლში“. 1918-1919 სასწავლო წელს დაკომლპექტდა პირველი და მეორე კლასები და მეორე მასწავლებლად დაინიშნა ნიკოლოზ სირბილაძე, შემდგომში ცნობილი პოეტი ნიკოლოზ მიწიშვილი. 1923-1924 საწავლო წელს სკოლა ლუკა სანიკიძის სახლიდან გადატანილი იქნა ეწერ-ტობანიერში ბუჭაჭია შარაშენიძის სახლში, მასწავლებელი ლ. გეგუჩაძე, რეპრესირებულ იქნა სასწავლო წლის დასაწყისშივე და სკოლის გამგედ დაინიშნა დავით მამაფორია. შემდეგ სკოლას თავკაცობდა პროკლე ტაბიძე (გალაკტიონის ძმა), რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა აგრეთვე ტობანიერისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ყველა დაწყებით სკოლას, სკოლაში იყო პირველი და მეორე კლასი, სულ 30 მოსწვლე. მომდევნო 1924-1925 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში დაინიშნა მეორე მასწავლებელი, სოფელ ქვედა მუქედში მცხოვრები ამბროსი გოგოძე. 1928-1929 სასწავლო წლის დასაწყისში მესამე მასწავლებლად დაინიშნა სოფელ შუამთაში მცხოვრები მიხეილ არველაძე. მომდევნო ერთი წელი სკოლას იოსებ შარაშენიძე ხელმძღვანელობდა, (შემდგომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის დოცენტი). 1929-1930 სასწავლო წელს გაიხსნა მე-4 კლასი და დაინიშნა მეოთხე მასწავლებელი, სოფელ შუამთის მკვიდრი გიორგი ყუბანეიშვილი. 1929 წლის სექტემბრიდან სკოლა სრულ კომპლექტიანი დაწყებითი სკოლა გახდა, რომლის სახელწოდება იყო „ზედა ტობანიერის 4 წლიანი შრომის სკოლა“. 1930 წელს სკოლის გამგედ დაინიშნა ამროსი გოგოძე.

„1930 წელსაც კი სკოლას არ ჰქონდა საკუთარი შენობა. ა. გოგოძეს დაუსვამს საკითხი სკოლის აშენების შესახებ. ვანის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ტიტე ბერეკაშვილს მხარი დაუჭირა და დაჰპირდა შუამთის ძველი სკოლის შენობის მიცემას. ამროსი გოგოძემ მიიღო სათანადო ზომები და დაიწყეს სკოლის მშენებლობა. საინტერესოა, რომ მშენებლობისათვის ადგილზე ვერ იშოვეს ლურსმანი, საჭირო შეიქმნა ოდესიდან მისი ჩამოტანა... „წავიდა ამროსი გოგოძე და 15 დღეში ჩამოიტანა 200 კგ. ლურსმანი“. გააგრძელეს მშენებლობა და 1934-1935 წლის დასაწყისისათვის მზად იყო 8 საკლასო ოთახი. სკოლის დირექტორად სურების თემის მცხოვრები ექვთიმე ტრაპაიძე დაუნიშნავთ, შემდეგ წლებში სკოლას ხელმძღვანელობდნენ: ნადია წერეთელი, ლავრენტი გეგუჩაძე და ელენე ნაფეტვარიძე. 1940 წელს სოფელ ტობანიერში გაიხსნა საშუალო სკოლა. სკოლის დირექტორი იყო გუგული კაცაძე. ერთი წლის შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობა დაევალა ყუმურის თემის მცხოვრებს გერონტი ადეიშვილს. 1943-1944 სასწავლო წელს კი, სკოლის დირექტორად დანიშნეს ტობანიერის თემის მცხოვრები სიმონ მილორავა.

სხვადასხვა დროს ტობანიერის საშუალო სკოლის დირექტორები იყვნენ: ელპიტე მეფარიშვილი,

შოთა ჯულაყიძე, დავით ტაბიძე, დავით მეფარიშვილი, ილია უღრელიძე. 1978 წლიდან ილია უღრელიძე გავიდა პენსიაზე და სკოლის დირექტორად დაინიშნა ოთარ შარაშენიძე, ხოლო 1987 წლიდან დღემდე ტობანიერის საჯარო სკოლის დირექტორია თემურ გეგიძე.

სოფელი ისტორიული წარსულის მქონეა, აქ აღმოჩენილია ვერცხლის მონეტები, (შემორჩენილია 215 ცალი), უმეტესობა ტრაპეზუნტის ასპერებია, რომელიც მოჭრილია იმპერატორების იოანე პირველის (1235-1238 წლები), მანუილ პირველის (1238-1269) იოანე მეორის (1280-1297 წლები) მიერ. განძის 27 მონეტა განეკუთვნება ე.წ. კირმანეულის კატეგორიას, რომლის ემისია დასავლეთ საქართველოში წარმოებდა, განძი ჩაფლული უნდა იყოს XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე.

სოფლის მოსახლეობის რაოდენობა 2013 წლისათვის იყო 1877 კაცი, სულ ცხოვრობს 690 ოჯახი. 1990 წლამდე ცხოვრობდა 750 კომლი. ამ დინამიკის მიხედვით მოსახლეობის კლება თვალნათლივ ჩანს. კლების მიზეზებია მიგრაციული პროცესები, რაც გამოწვეულია 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებით, რომელიც საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის დიდ ნაწილს შეეხო. უმუშევრობაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სოფელი იცლება. მიდიან ახალგაზრდები სოფლიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში სამუშაოს საძებნელად. მიდიან საზღვარგარეთ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ნაწილი წლების შემდეგ ბრუნდება, მაგრამ ისევ მიდის, რადგან აქ ისეთივე პირობები (უმუშევრობა) ხვდება. მცირე ნაწილი სამუდამოდ საზღვარგარეთ რჩება საცხოვრებლად, სოფელი დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას, სოფლის მოსახლეობის 30-40% ემიგრაციაშია. „ახალგაზრდების ნაწილი იმის შიშით, რომ ოჯახს რჩენის წყარო არ გააჩნიათ არ ქორწინდებიან. როგორც პრაქტიკა აჩვენებს ეს პროცესები არ შეჩერდება თუ არ შეიქმნა სამუშაო ადგილები არამარტო ქალაქებში და რაიონის ცენტრებში, არამედ სოფლებშიც.“ მითუმეტეს ვანის რაიონში პროცესი მოჰყვა არსებული სამრეწველო ორგანიზების ნგრევას და აგროსექტორის პრაქტიკულ მოშლას, ხელით მძიმე შრომის კოეფიციენტის გაზრდას.

XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრამდე ტობანიერის თემსაზოგადოებაში, შემდეგ ტობანიერის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბებამდე რაიმეგვარი მსხვილი აგრარული გაერთიანება ან ამდაგვარი კერძო მეურნეობა წყაროებით დაფიქსირებული არაა. ასეთი დანაყოფი მხოლოდ 1926 წლიდან არსებობდა.

1926-1929 წლებში ფუნქციონირებდა ეწერ-ტობანიერის სტალინისა და მიქელეფონის „გზა კომუნიზმისაკენ“ სახელობის კოლმეურნეობები. 1930 წელს შეიქმნა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ფლობდა 70 ჰა მიწას, მასში გაერთიანებული იყო 80 კაცი.

1931-1933 წლებში კოლმეურნეობების რაოდენობა გაიზარდა და ჩამოყალიბდა უბნების მიხედვით ეწერ-ტობანიერში, მიქელეფონში, ზედა მიქელეფონში, კუშუბოურში, ზედა ეწერში. 1960 წელს წვრილი აგრომეურნეობები (კოლმეურნეობები) გაერთიანდა ტობანიერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობად. ხელმძღვანელობდა ელეფთერ ღვინიანიძე. კოლმეურნეობა ცნობილი იყო სიმინდის უხვი მოსავლით. კოლმეურნეობის არსებობის პირობებში იგი მრავალდარგოვანი იყო, მოჰყავდათ ხახვი, პომიდორი, ხოლო უფრო ადრე არახისი, კანაფი, ბამბა. საერთოდ, ტობანიერის კოლმეურნეობას გააჩნდა მძლავრი მატერიალური ტექნიკური ბაზა და ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა ვანის რაიონში.

1990-იანი წლებიდან კოლმეურნეობების გაუქმების პარალელურად მოიშალა მისი მატერიალურ ტექნიკური ბაზაც და სასოფლო-სამეურნეო დარგობრივი დიფერენცირებაც, რომელიც მძაფრი უარყოფითი ფორმით აისახა სოფლის მცხოვრებთა ეკონომიკაზე და სოციალურ-კულტურულ ფაქტორებზე.

1980-იანი წლების ბოლოს მაღალმთიან აჭარიდან ჩამოასახლეს ეკომიგრანტები, სახელმწიფომ უზრუნველყო ისინი საცხოვრებელი ორსართულიანი ბინებით, მიწის ნაკვეთებით, რომელთა ჩამოსახლებამ შეცვალა მოსახლეობის დინამიკა, გაიზარდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობა, თუმცა რამდენიმე წელია მათ დაიწყეს აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლება. ზოგი ისევ აჭარას დაუბრუნდა, რაც ეკონომიკური პირობების თანდათანობით გაუარესებას მოჰყვა, ამ მხრივ გამორჩეული იყო 1990-იანი

წლების ბოლო და XXI საუკუნის საწყისი ეტაპი. სოფელში შობადობა დაბალია, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ქალებში 70 წელი, ხოლო მამაკაცებში 67 წელი.

სოფლის მოსახლეობა შესაბამის უბნებში ძირითადად საგვარეულოების მიხედვით (ე.წ. მობიძაშვილეებით). ცხოვრობენ: კაცაძეები, ბურკაძეები, მინაშვილები, მეფარიშვილები, ბუბუტეიშვილები, მცხოვრებთაგან სჭარბობენ მეფარიშვილები და მინაშვილები, საუკუნეების განმავლობაში აქ უცხოვრიათ შარაშენიძეებს, მილორავებს და მეფარიშვილებს.

ძველი ტობანიერის მრევლს ემსახურებოდა მიქელეფონის სამების ეკლესია, კუშუბოურის ეკლესია, ტობანიერის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია.

2013 წლის 23 ივნისს, თითქმის საუკუნის შემდეგ, სოფელ ტობანიერში კვლავ აღდგა ღვთის-მსახურება, რომლის განხორციელება ვანი-ბაღდათის ეპარქიის ხელმძღვანელობასთან ერთად, სოფლის მკვიდრმა, სოფელზე და ხალხზე უზომოდ შეყვარებულმა მამუკა შარაშენიძემ შესძლო.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სოფელში იწყება კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ორგანიზებული მშენებლობა, რომელსაც განსაკუთრებული როლი ჰქონდა დაკისრებული სოფლად, თითქმის მასიური წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ეს მუშაობა იმავე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან უფრო მასიურ სახეს იღებს და ყოველ 500-კაციან დასახლებაში იხსნება ერთი ბიბლიოთეკა, ხოლო სოფელში არსებული სასოფლო ბიბლიოთეკა ფლობდა საკმაოდ მდიდარ წიგნად ფონდს. შეუფერხებლად აგრძელებდა საქმიანობას 1932 წელს აგებული სოფლის კლუბი, სადაც ჩამოყალიბდა მომღერალ ვაჟთა გუნდი საინტერესო ხალხური რეპერტუარით, რომელიც კაპიტალურად შეკეთდა 1980-იან წლებში და გადაკეთდა კულტურის სახლად, ის სოფელში ფართო მასიური ღონისძიებების ჩატარების კერად იქცა. არსებული ბიბლიოთეკა დღეს გაუქმებულია, წიგნადი ფონდი გადაეცა ტობანიერის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას, არ ფუნქციონირებს, დანგრევამდეა მისული კულტურის სახლიც.

ამჟამად, ტობანიერში არის ორი საჯარო სკოლა, ერთი სოფლის ცენტრში კ. კეკელიძის სახელობის და მიქელეფონში სკოლა-ბაღით. მოსწავლეთა დინამიკა ასეთია:

ტობანიერის საჯარო სკოლა

2004-2005 წ.წ. — 165 მოსწავლე
2005-2006 წ.წ. — 157 მოსწავლე
2006-2007 წ.წ. — 151 მოსწავლე
2007-2008 წ.წ. — 133 მოსწავლე
2008-2009 წ.წ. — 140 მოსწავლე
2009-2010 წ.წ. — 132 მოსწავლე
2010-2011 წ.წ. — 129 მოსწავლე
2011-2012 წ.წ. — 176 მოსწავლე
2012-2013 წ.წ. — 146 მოსწავლე
2013-2014 წ.წ. — 127 მოსწავლე

მიქელეფონის საჯარო სკოლა XIX საუკუნის დასაწყისამდე სწავლობდა 150-მდე მოსწავლე

2013-2014 წ.წ. — 43 მოსწავლე
2014-2015 წ.წ. — 42 მოსწავლე
2015-2016 წ.წ. — 38 მოსწავლე
2016-2017 წ.წ. – 34 მოსწავლე
2017-2018 წ.წ. — 36 მოსწავლე

სოფელში ფუნქციონირებს საბავშვო ბაგა-ბაღი, რომელიც 1932 წლისათვის გაუხსნიათ. ამის შესახებ მოგვითხრობს სოფლის უხუცესი, 87 წლის ვარლამ შარაშენიძე. „1932 წელს საბავშვო ბაღში ჩემთან ერთად იყვნენო: ოთარ შარაშენიძე, ჟორჟიკა გეგიძე, დურმიშხან კორძაძე, ლადო ჯოგლიძე, გრიშა კორძაძე. ბაღის შენობა ნაქირავები ჰქონდათ იუსტინე ღვინიანიძისაგან, რომელიც ერთი ოთახისაგან შედგებოდა, ეს იყო ხის შენობა. ბაღი იყო ფასიანი, თანხას მშობლები იხდიდნენ.“ ახალი ბაღის შენობა გაიხსნა 1967 წელს.

1967 წელს გახსნილი ბაღის ისტორიას გვიყვება აღმზრდელი მავლინა სანიკიძე. „1965 წლიდან რაიონში დამოკიდებულება სასწავლო-სააღმზრდელო ორგანიზაციებისადმი რადიკალურად შეიცვალა, რასაც მოჰყვა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თითქმის მთლიანი ცვლა. ბაღი გაიხსნა ტობანიერის ცენტრში ვანის რაინის განათლების განყოფილების გამგის მიხეილ ხარძეიშვილის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ელეფთერ ღვინიანიძისა და სასოფლო საბჭოს

თავმჯდომარის გურამ კაცაძის ხელმძღვანელობით. ტობანიერის ბაღის გამგედ დაინიშნა იზო თევზაძე. ამ დროისათვის ბავშვთა კონტიგენტი იყო ორი ჯგუფისთვის, სადაც ირიცხებოდა 60-მდე ბავშვი. 1968 წლის სექტემბერში გამგედ დაინიშნა ჟენია ჯინჭარაძე, მასწავლებლად ილიასა აბულაძე. ბაღი უზრუნველყოფილი იყო სასწავლო ნივთებით, ინვენტარით, პროდუქტით და სათამაშოებით. 1973 წელს შეკეთდა ბაგა-ბაღის შენობა და დაემატა მესამე ჯგუფი."

1988 წელს ისევ იმ ადგილას სოფლის ცენტრში აშენდა ახალი ტიპის ბაღი. იგი გათვლილი იყო 120 ბავშვზე, ბაგა-ბაღი უზრუნველყოფილი იყო საჭირო ინვენტარით, გათბობით, გამდინარე წყლით, შიგა აბაზანითა და ტუალეტებით. მოწყობილი იყო საძინებელი ოთახები თავისი შესაფერისი ინვენტარით. მწყობრში იყო მუსიკისა და ფიზკულტურის დარბაზები. დასაქმებული იყო 27 თანამშრომელი, თითოეული ჯგუფისათვის გათვლილი იყო ოთახები სამედიცინო მომსახურებით.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაშლილი იქნა მიქელეფონის 8-წლიანი სკოლის შენობა, აშენდა და ექსპლოატაციაში გაეშვა ახალი კაპიტალური ნაგებობა, უკვე შერეული კომპონენტით, მიქელეფონის არასრული საშუალო სკოლა-ბაღი.

1998 წლიდან ბაღებში ბავშვთა რაოდენობა, ქვეყანასა და რაიონში შექმნილი კრიზისული პირობების გამო შემცირდა, თუმცა ფუნცქიონირებას მაინც აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებიც თვეების განმავლობაში ხელფასს ვერ ღებულობდნენ. ამ რთულ დღეებში ბაღს გვერდით დაუდგა სოფლის მოსახლეობა, რომ არ გაუქმებულიყო, ისინი ამარაგებდნენ ბაღს საკვები პროდუქტებით. თენგო კაცაძე ყოვედღიურად აწვდიდა ბაღს ხორცს, კარაქს, ბულკს. შეფობას უწევდა ბაღს იური ხვიჩია, რომელმაც საჩუქრად გადასცა მეწველი ძროხა, მცირე მეწარმე სერგო ღონღაძე ბაღს ამარაგებდა კარტოფილით და კომბოსტოთი.

ბაღი არ დახურულა, მაგრამ ჯგუფები გაუქმდა, მშობლებს არ ჰქონდათ საშუალება შვილებისათვის ფული გადაეხადათ. რადგან თვითონაც უმუშევრები დარჩნენ. სამი ჯგუფიდან დარჩა ორი ჯგუფი, რამდენიმე წლის შემდეგ კი ერთი ჯგუფი. ამ ბაღის კედლებში აღიზარდა მრავალი თაობა, რომლებიც დღეს წარმატებულად მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში.

დღეის მდგომარეობით სოფელ ტობანიერის საბავშვო ბაღში აღსაზრდელთა რაოდენობა გაზრდილია წინა წლებთან შედარებით. 2010 წლის სექტემბერში ბავშვთა კონტინგენტი შეადგენდა 40 აღსაზრდელს, რომელიც ყოველ წელს იცვლებოდა. 2012 წლის ზამთარში ტობანიერში სტუმრად იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციის „ენერგოეფექტურობის ცენტრიდან", პირობები გაითავისეს და შეიმუშავეს სტრატეგია. 2013 წლის გაზაფხულზე ისევ გვესტუმრნენ უკვე საქმით და დაიწყეს შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. ძველი კარ-ფანჯრები ჩაანაცვლეს ახალი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებით, აყარეს ძველი იატაკის საფარი, ჯერ მოაპირკეთეს, შემდეგ დაფარეს ქეჩიანი ლინელიუმით, ძველი შეშის ღუმელები ჩაანაცვლეს ახალი ლამაზი და ეკონომიური ღუმელებით. 2013 წლის სექტემბერში ბაღი უკვე კარგ პირობებში აღმოჩნდა და შესაბამისად გაიზარდა საბავშვო ბაღზე მოთხოვნა. ამ დროისათვის ბაღში ირიცხება 50 აღსაზრდელი, პირობების გაუმჯობესებასთან ერთად მოიხსნა კვების გადასახადიც.

სოფელში სოციალისტური პერიოდიდან ფუნქციონირებს საექიმო ამბულატორია, რომელიც აღჭურვილი იყო საჭირო სახის ინვენტარით (იგი დღესაც მოქმედია). წინა წლებში სოფელში არსებობდა და ფუნქციონირებდა აფთიაქი, საყოფაცხოვრებო ობიექტები, სამკერვალო და საპარიკმახერო, მაგრამ დღეს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად ისინი აღარ ფუნქციონირებენ, აუცილებელი და საჭირო არის, რომ ასეთი ობიექტები სოფელში არსებობდეს.

ამჟამად (ბოლო 4-5 წელი), სოფლად არსებული სავაჭრო ობიექტების მომარაგება ხდება დისტრიბუტორების მიერ, რომლებიც სხვადასხვა სახის საქონლით ამარაგებდნენ სავაჭრო ობიექტებს. მოსახლეობა კმაყოფილია, რომ მათ არ უხდებათ რაიონში ან ქალაქში წასვლა მათთვის სასურველი პროდუქტის შესაძენად.

სოფელში იყო პურის საცხობი, რომელშიც გამომცხვარი პურითაც მარაგდებოდა სოფელი. ამჟამად, პურის საცხობი არ ფუნქციონირებს.

სოფელში არის ორი წყლის წისქვილი ჟორჟოლიანებისა და ამირან შარაშენიძის, არის კერძო

ელექტრო წისქვილები. ეს სოფლის მოსახლეობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მათ არ უხდებათ სხვა სოფელში ან რაიონში სიმინდის წაღება დასაფქვავად.

ბოლო წლებში გაუმჯობესდა საკომუნიკაციო საშუალებანი, ცენტრამდე გზა ასფალტირებულია, დახრეშილია საუბნო გზები და ასევე ჭალის გზებიც.

მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტრომომარაგებით, ამ მხრივ მოსახლეობა 1990-იანი წლების ბოლოდან 2005-2007 წლამდე რაიონის მოსახლეობასთან ერთად უკიდურეს ვაკუუმში იყო, ხოლო გაზიფიცირება დაწყებულია სამი წელია, ნაწილი უკვე სარგებლობს ამ სიკეთით, თუმცა უსახსრობის გამო ყველა ვერ ახერხებს გაზის შეყვანას საცხოვრებელ სახლებში.

მოსახლეობა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული, საქმიანობენ საკუთარ კარ-მიდამოში. იქ მოწეული მოსავლით არსებობენ, მაგრამ, როცა მოუსავლიანი წლებია, მაშინ ძალიან უჭირს ოჯახებს, უჭირს არსებობა და თავის გატანა, მოსახლეობის ერთი ნაწილი მიდის სოფლიდან, რომ თავის სარჩენი წყარო მოძებნოს.

სამუშაო პირობები რთულია. სამუშაო იარაღია – თოხი, ბარი, ნამგალი. მათი საშუალებით ხდება ნიადაგის დამუშავება და მოსავლის მიღება. მცირე საწარმოო აგრარული ტექნიკა მოსახლეობის უმრავლესობისათვის მიუწვდომელია, მხოლოდ ჭალის ფართობების დამუშავება ხდება... ნახევრადმექანიზებული წესით. სოფელი გამორჩეული იყო მრავალდარგოვანი აგრარული კულტურებით, დღეისათვის კი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კუტურა არის სიმინდი.

სოფელში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ გამოჩენილი პიროვნებები, რომელთა მოღვაწეობამ სახელი გაუთქვა ჩვენს სოფელს, მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური-პოლიტიკურ-კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ესენი არიან: სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, რომლის სახლ-მუზეუმი დასრულების სტადიაშია; აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომლის სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1979 წელს (დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით) ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ვანის რაიონმა და ტობანიერის მაშინდელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯუმბერ კეკელიძემ. ლევან შარაშენიძე – გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, შემდეგში თავდაცვის მინისტრი. მეცნიერები: თინათინ შარაშენიძე, ამირან კაცაძე, ჯემალ კაცაძე, ერემია სანიკიძე, ჯონდი სანიკიძე, მამია სულაბერიძე, დავით შარაშენიძე, ივანე კეკელიძე, მარიამ უღრელიძე, ნოდარ უღრელიძე, ვიქტორ შარაშენიძე, პაპუნა შარაშენიძე, ლადო მინაშვილი, ტარიელ მეფარიშვილი, იოსებ შარაშენიძე.

როცა სამამულო ომი დაიწყო ვანის რაიონშიც გამოცხადაა საყოველთაო მობილიზაცია. ტობანიერიდან 404 ახალგაზრდა იქნა გაწვეული. აქედან სახლში 149 მებრძოლი დაბრუნდა. დაიკარგა ან დაიღუპა 255-259 კაცი, მარტო ზედა ეწრიდან წავიდა 86 ვაჟკაცი. არ დარჩენილა სოფლად ერთი ოჯახიც კი, რომელსაც ომის საშინელება არ შეხებია, იყო შემთხვევები, როცა ოჯახიდან იყო გაწვეული ორი, სამი ოჯახის წევრი და ორივე ან სამივე დაიღუპა ომში.

კორძაძე ლავროსი 18 წლის ასაკში გაიწვიეს სავალდებულო სამსახურში, მსახურობდა უკრაინაში. ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი, რომ დაიწყო ომი და რამდენიმე წერილის შემდეგ არაფერი ისმოდა მის შესახებ. 1974 წელს ობუხოვის რაიონ სოფ. ტრიპოლში ნახეს მისი ჩონჩხი, ეზოში მუშაობის დროს, რომელსაც კისერზე ჰქონდა მედალიონი, რომელშიც ეწერა მისამართი. ამ მისამართზე წავიდა მისი ძმა და ძმიშვილები და ის ჩამოასვენეს მშობლიურ სოფელ ტობანიერში.

ტობანიერის ცენტრში დგას შინმოუსვლელთა მემორიალური დაფა 260 მებრძოლის სურათით. აქ ყოველ წელს 9 მაისს ეწყობა ღონისძიება საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით. ისინი ყვავილებით ამკობენ შინმოუსვლელთა სკვერებს. იგონებენ მათი გმირობის ამსახველ ეპიზოდებს, უძღვნიან ლექსებს. ღონისძიებაზე იწვევდნენ აწ. გარდაცვლილ ომის მონაწილეებს: ალ. მეფარიშვილს, კ. მეფარიშვილს, ა. მინაშვილს, პ. ბუბუტეიშვილს, ნ. მინაშვილს, პ. მინაშვილს, დ. მინაშვილს, გ. ბელთაძეს, გ. ოჩხიკიძეს, ბ. შარაშენიძეს, ა. გიორგაძეს. ომის მონაწილეებიდან რომლებიც სახლში დაბრუნდნენ ცოცხალი მხოლოდ რამოდენიმე კაცია.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

– გულწრფელი მადლობა ბიზნესმენსა და მეცნიერს ბატონ ზაურ თათვიძეს წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს. სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი – **ომარ კაპანაძე** (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

რედაქტორ-გამომცემელი – **ბეჟან წაქაძე**
ზაურ თათვიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეიმურაზ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უჩა დვალიშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალიშვილი – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ოლეგ ალავიძე – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**
კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**
კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე
ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძე**

კრებულში გამოქვეყნებული მასალების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი

კრებული გამოდის 2014 წლის ბოლოდან